

1353] 2

114/3



მნათობი

1

3

მნათობი



1959



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის

წელიწადი 36-ე

№ 3

მარტი, 1959 წ.


საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გივი ჯავახიშვილი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა და ქართული მწერლობის ამოცანები	35-	3
შოთა ნიშნაძე — ჩქარი შატრებელი, ლექსი		17
ლადო ავალიანი — ახალი პორტონტი, რომანი. გაგრძელება		19
კოლაუ ნადირაძე — როცა მარტო ხარ, ლექსი		49
ოტო იოსელიანი — ხელმოცარული, მოთხრობა		50
მედია კახიძე — ლექსები		56
გურამ გვიგნიძე — ნავსადგური, მოთხრობა		58
ლადო სულაბერიძე — ლექსები		63
ოთარ ჭილაძე — ლექსები		64
ალექსის პარნიხი — მოგზაურის თვალთ, ლექსი. თარგმანი მორის ფოცხიშვილისა		65
მხეილ ლაქერბია — მოთხრობები. თარგმანი შამია ასათიანისა		70
ნაყოლოზ ტიხონოვი — სერგო მთებში პოემა. გაგრძელება. თარგმანი ქარლ ქალაძისა		76
პორის შატერაშვილი — მეგობრობით შობილი, ნარკვევი		81
დ. ლომიძე — აღმათვითვანებელი პერსპექტივები, სასიხარულო ფაქტები, ნარკვევი		87
კრიტიკა და პუბლიცისტიკა		
გ. ჩაველიშვილი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა		89
შაველა ამისულაშვილი — მოვალეობის გრძნობა მომავლის წინაშე		106
გურამ კანკავა — ერთი წელიწადი ახალ ქართულ პრაზის მართვადან. დასასრული		109
ფილიპე ბერიძე — ახალგაზრდობის ხმა		121
შოთა ლომისაძე — წინაპართა ნაკვალევზე		128
გრიგოლ შარგვიანი — საერთაშორისო ერთიერთობის ზოგიერთი საკითხი		131

ბ. მეორე გვერდზე

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»



777

გამოსათხოვარი



სიმონ ჩიქოვანი — გალაკტიონ ტაბიძის ცხედართან 142
აკაკი ბელიაშვილი — შალვა დადიანი 145

ლიბრაბუკათმცოდნეობის საკითხები

მადლე ინგოროვა — პისუბი აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს 148

ხელოვნების საკითხები

ვხევლოდ ტიშონინი — ენრიკო კარუზო 175

მეცნიერული ლიბრაბუკა

ექვთ. თაყაიშვილი — მოგონებები 180

წიგნების მიმოხილვა

აღ. სანადირაძე — შაქრო გომელაურის მოგონებები 189
შოთა ხულაბერიძე — მოსე გვასალიას მოთხრობები 190

ახალი წიგნები გარეკანის მესამე გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგვე-
ლაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63, ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბუქდად 10/IV-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 180.
უე 00885. ანაწყოების ზომა 7 1/4 X 12 1/2. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 7000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილი ქ. 5.



გვიჩი ჯავახიშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა და ქართული მშენებლის ამოცანები*

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა საბჭოთა ხალხის და კომუნისტური პარტიის ისტორიაში შეეა როგორც ისეთი ყრილობა, რომელმაც ახალი ეპოქა შექმნა საბჭოთა ქვეყნის, კომუნისზმის მშენებელ ადამიანთა ცხოვრებაში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 — 1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“, რომელიც ყრილობამ მოიწონა, მომხსენებლის საბოლოო სიტყვა, ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებანი ახალ პერსპექტივებს ქმნიან ჩვენი ძლევაშოსილი წინსვლისათვის, აიარაღებენ პარტიასა და საბჭოთა ხალხს ბრძოლის დიადი პროგრამით და გვინათებენ შემდგომ გზას კომუნისზმისაკენ.

ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათლად და გარკვეულად არის განსაზღვრული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ახალი პერიოდის დიადი მიზნები და ამოცანები. ამ პერიოდის მთავარი ამოცანებია კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცება და იმავდროულად საბჭოთა ხალხის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო მეტად დაკმაყოფილება. ეს იქნება კაპიტალისტურ სამყაროსთან შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი, როდესაც პრაქტიკულად უნდა შესრულდეს ისტორიული ამოცანა—დაეწვიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

შეიღწლიანი გეგმის ძირითადი პრობლემა ეს არის კაპიტალისზმთან სოციალისზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალური მოგების პრობლემა. ამ პრობლემას ემორჩილება შეიღწლეადის ყველა ამოცანა, მძიმე ინდუსტრიის იმ დარგების განვითარების მაღალი ტემპები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მთელი სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება თუმცა ძირითადად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების 1959 — 1965 წლების საკონტროლო ციფრებს მიეძღვნა, მაგრამ მასში არსებითად მოცემული იყო პოლიტიკური ანგარიშიც პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის საქმიანობისა XX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში. მოხსენება შეიცავს არა მარტო კომუნისტური მშენებლობის უახლოესი შვიდი წლის ფართო პროგრამას, აქ არა მარტო ნაჩვენებია ამ გრანდიოზული ამოცანების განხორციელების გზები, არამედ, გან-

* მოხსენება წაკითხული საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტორგანიზაციის ღია კრებაზე ამა წლის 25 თებერვალს.

ხილულია აგრეთვე სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები.

მოხსენება შორს ვასცილდა სახალხო მეურნეობის განვითარების შეიღწლიანი გეგმის ამოცანების შინაარსის ფარგლებს და ყრილობის შედეგებსაც. გაცილებით უფრო მეტი საშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შეიღწ წლის საკონტროლო ციფრების დამტკიცებას.

ყრილობაზე გამოსული დელეგატები — ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხის წარმომადგენლები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, აგრეთვე ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მოღვაწეები ლაპარაკობდნენ იმ შესანიშნავ მიღწევებზე, რომლებსაც სსრ კავშირის ყველა ხალხმა მიადღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ. ნაგრამ კიდევ უფრო მეტი აღფრთოვანებით გადაშალეს მათ მთლიანად საბჭოთა ქვეყნის და მისი ცალკეული ეკონომიური რაიონებისა და რესპუბლიკების შეიღწლიანი პროგრამის მიხედვით განვითარების პერსპექტივები. დელეგატები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს, თუ როგორ უფრო უკეთ და უფრო მოკლე ვადებში გადაწყვიტონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

როგორც ცნობილია, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის განხორციელება წააწყდა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგობას, ჯგუფისა, რომელიც გამთიშველური ბრძოლის ყველაზე ბინძური მეთოდების გამოყენებით ცდილობდა ჩვესა ჩვენი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება. ყველა დელეგატმა მკაცრად დაგმო ანტიპარტიული ჯგუფის საქციელი და მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც გაანადგურა ფრაქციონერთა ჯგუფი.

აი უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენ ვიხილავთ შეიღწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს — ჯერ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების მიხედვით, ახლა კი პარტიის XXI ყრილობის მასალების მიხედვით. თვალი უკვე მიეჩვივა ამ ციფრებს და ჩვენ მათ ვიღებთ ისე, თითქოს ეს ასეც უნდა იყოს, და ერთბაშად როდი ვითვალისწინებთ, თუ რა უდიდესი შინაარსი, რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მათ. აბა მთელი სიღრმით ჩაუფიქრდით შეიღწლეღის ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა, მაგალითად, ქიმიური მრეწველობა, სადაც ხელოვნური ბოქკოს წარმოება გადიდდება ერთიოთხად, პლასტიკური მასებისა და სხვა სინთეზური მასალებისა — შეიღწჯერ და უფრო მეტად, ნავთობის მოპოვება გაიზარდება ერთიორად და უფრო მეტად, გაზისა — დაახლოებით ერთიხუთად.

მაჩანათმშენებლობისა და ხელსაწყო-მშენებლობის დარგში შეიღწლიანი გეგმით გათვალისწინებულია პროდუქციის გამოშვების ზრდა დაახლოებით ერთიორად, ხოლო კვების მრეწველობაში ხორცის წარმოება — 2,1-ჯერ, რძის პროდუქცია — 2,2-ჯერ. მიმდინარე შეიღწლეღში კაპიტალური დაბანდებანი აღწევენ იმ საერთო თანხას, რაც დაბანდებული იყო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ყველა გასული წლის მანძილზე.

ეს, ერთი შეხედვით, მშრალი ციფრები მოწმობენ იმ გვიანტურ ნახტომზე წინ, რომელსაც სსრ კავშირი განახორციელებს შეიღწლეღის მანძილზე. ითვალისწინებდა რა საკონტროლო ციფრების მნიშვნელობის გრანდიოზულობას, ამხანაგმა მიქოიანმა ძალიან მოხდენილად თქვა, რომ ამხანაგ ხრუშჩოვის მოხ-

სენება ამ ყრილობაზე გაისმა როგორც დიდებული სიმფონია კომუნისტური მშენებლობის შესახებ.



კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების ხელმძღვანელთა გამოსვლები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე წარმოადგენდა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგული საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის, ძალისა და შეშვიდროების ბრწყინვალე დემონსტრაციას. ისინი ლაპარაკობდნენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლის შესახებ. ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის უდიდესი გამოცდილების მეოხებით ვახდა შესაძლებელი ის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც მიღწეულია სოციალისტური მშენებლობის გზებზე ჩინეთში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, რომ სწორედ სოციალიზმის პირველი ქვეყნის მაგალითი და გამოცდილება აღაფრთოვანებს კოლონიური ქვეყნების ხალხებს იმპერიალიზმისაგან ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ლაპარაკობდნენ რა XXI ყრილობის საერთაშორისო მნიშვნელობაზე, მოძმე პარტიების დელეგაციები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შეიღწლიანი გეგმა უეჭველად გახდება სოციალიზმის ბანაკისა და მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების განმტკიცების მძლავრი ფაქტორი.

სწორედ ამიტომ არის, რომ შიშითა და სიძულელით შეპყრობილი იმპერიალისტები ცილს სწამებენ საბჭოთა კავშირს, ცდილობენ ძირი გამოუთხარონ სოციალისტური ქვეყნების მძლავრ ერთიანობას, ხოლო თანამედროვე რევინიონისტები, პირველ რიგში კი იუგოსლავი რევინიონისტები, ცდილობენ დაამახინჯონ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულებანი, ოცნებობენ იმაზე, რომ დაამცრონ საბჭოთა კავშირის მნიშვნელობა და მისი დიადი როლი საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელი ჯგუფი ფართო რეკლამას უკეთებს ეგრეთწოდებულ „სოციალიზმის მშენებლობის იუგოსლავურ გზას“, მაგრამ, თუ სანამდე მიიყვანა ისინი ამ გზამ, ამაზე ნათლად მეტყველებს ამ ცოტა ხნის წინათ „პრაგდაში“ გამოქვეყნებული ზოგიერთი მონაცემი. ეს მონაცემები მოწმობენ, რომ იუგოსლავია თავის ეკონომიურ განვითარებაში მკვეთრად ჩამორჩება ამოსავალი დონის მხრივ მის მეზობელ სოციალისტურ ქვეყნებს და მისი ხალხის საარსებო დონე ვაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ამ სოციალისტურ ქვეყნებში.

რაც უფრო მეტად მიჰყავთ იუგოსლაველ რევინიონისტებს თავიანთი ქვეყანა იზოლაციისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან მოწყვეტის გზისკენ, ვითომდა საკუთარი იუგოსლავური გზის ძებნაში, მით უფრო მეტად დაშორდებიან ისინი სოციალიზმს და საბოლოო ანგარიშით, შეუძლიათ მიიყვანონ თავისი ქვეყანა კაპიტალიზმის რესტავრაციამდე.

განსაკუთრებით უბადრუკად გამოიყურება იუგოსლაველი რევინიონისტების ყალბი მტკიცება, თითქოს კომუნისტური და მუშათა პარტიები დამოკიდებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზე, თითქოს ჩვენი პარტია ესწრაფვის „პეგემონიზმს“ სხვა მოძმე პარტიების მიმართ.

მაგრამ, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის როლი მდგომარეობს არა იმაში, რომ იგი ხელმძღვანელობს სხვა ქვეყნებს, არამედ იმაში, რომ ქვეყნებს ქვეყანამ, პირველმა, გაუკაფა კაცობრიობას გზა სოციალიზმისაკენ, რომ იგი ყველაზე მძლავრი ქვეყანაა მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში და პირველი შევიდა კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. სწორედ ეს ისტორიული ფაქტორები განსაზღვრავენ საბჭოთა კავშირის და მისი კომუნისტური პარტიის როლს სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან და მოძმე პარტიებთან ურთიერთობაში.



შვიდწლიანი გეგმა საბჭოთა კავშირის ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ახალი გამოხატულებაა. მისი განხორციელება უდიდეს როლს შეასრულებს თანადროულობის ძირეული პრობლემის — საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების — გადაჭრის საქმეში. შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანები, უდიდესი ასიგნობანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის კვლავ და კვლავ ადასტურებენ, რომ სახელმწიფო, რომელიც ასეთ პროგრამას ისახავს, საჭიროებს მშვიდობას, რომ მას აღებული აქვს გეზი მშვიდობისაკენ და არა ომისაკენ.

როგორც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და საბოლოო სიტყვაში, ისე ყრილობის ბევრი დელეგატის და უცხოელი სტუმრების გამოსვლებში წითელ ხაზად არის გაღებული მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობისა და ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების — მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა. ამა თუ იმ ეკონომიური სისტემის უპირატესობათა საკითხი უნდა გადაიჭრას ფართო ეკონომიური შეჯიბრებით და არა დამანგრეველი ომებით.

განვლილ პერიოდში საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური განვითარების ტემპების და შვიდწლიანი გეგმით დასახული ზრდის ტემპების ანალიზი დამაჯერებლად მეტყველებენ, რომ ახლა ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვნად უსწრებს წინ ამერიკის შეერთებულ შტატებს როგორც ტემპების მხრივ, ისე პროდუქციის აბსოლუტური ყოველწლიური ზრდის მხრივაც. „ჩვენ ოთხჯერ უფრო სწრაფი ნაბიჯით მივდივართ, — როგორც ამხანაგი ხრუშჩოვი ამბობს, — და, მაშასადამე, ამერიკელთა დაწვევა ახლა გაცილებით უფრო ადვილია“.

შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების შედეგად, 1965 წლისათვის მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნები იქნებიან მთელი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტის მწარმოებლები. ამით უზრუნველყოფილი იქნება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის უპირატესობა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემასთან შედარებით, მატერიალურ წარმოებაში — ადამიანის საქმიანობის გადაწყვეტ სფეროში.

საბჭოთა კავშირის მეგობრები ყველა ქვეყანაში აღფრთოვანებით შეხედენ შვიდწლიან გეგმას.

ჩეხოსლოვაკელი მწერალი ორჟი მარკი წერს: „სიხარული და სიამაყე — აი გრძნობა, რომელსაც განიცდი, როცა ეცნობი სსრ კავშირის განვითარების პერსპექტივებს. საქმე მარტო პროცენტებში როდია, საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ გამოდნობილი იქნება უამრავი ტონობით ფოლადი, რომ მოქსოვილი იქნება მილიარდობით მეტრი ქსოვილი, რომ მდინარის მსგავსად წვაე ნავთი თუ



რძე. საქმე ისაა, რომ ყველა ეს სიმდიდრე ნიშნავს ახალი ერის კომუნუნიზმის ერის დაწყებას“.

ავსტრიის პროგრესული „ფოლკსშტიმე“, ეხება რა შეიძლიან გეგმას, წერს: „ეს ისტორიული დოკუმენტი წარმოადგენს სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის მშვიდობიან შეჯიბრებაში გადამწყვეტი ბრძოლის სტრატეგიულ გეგმას, სოციალიზმის მსოფლიო ასპარეზზე გამარჯვების გეგმას“.

„როცა ჩვენთვის ცნობილი გახდა ციფრები ახალი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შეიძლიანი გეგმისა, — წერს კაიროს გაზეთის „ილ-მასას“ მიმომხილველი აბდელ ჰაქიმ ტაჰერი, — ყველა ნამდვილი არაბი პატრიოტი განიცდიდა კმაყოფილების გრძნობას და უძღვევლ რწმენას ჩვენი ძვირფასი მეგობრის შემდგომ წარმატებაში. თავისი წარმატებებით საბჭოთა კავშირი ხელს უწყობს ჩვენს პროგრესს“.

საბჭოთა კავშირის მტრებში შეიძლიანმა გეგმამ შეფოთება და აბნეულობა გამოიწვია. ბურჟუაზიული პროპაგანდა შეეცადა დაემახინჯებინა საბჭოთა კავშირის შეიძლიანი გეგმის სამშვიდობო მიზნები, დაემცირებინა მისი ზემოქმედება უბრალო ადამიანთა გონებასა და გრძნობაზე.

მაგრამ ბურჟუაზიული პრესა, ბევრი ბურჟუაზიული მოღვაწე, ბურჟუაზიული ეკონომისტი იძულებულია აღიაროს საბჭოთა შეიძლიანი გეგმის უდიდესი მნიშვნელობა.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების პრესა, კომენტარებს უყეთებს რა სკკპ XXI ყრილობის შედეგებს, იძულებულია აღიაროს საბჭოთა ხალხის რწმენა კომუნუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის წარმატებით შესრულებაში, საბჭოთა ხალხის რწმენა სოციალისტური სისტემის უპირატესობაში და მის გარდუვალ გამარჯვებაში კაპიტალიზმზე.

ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მიუთითებდა: „ყრილობის ძირითად მომენტს წარმოადგენდა რწმენა, რწმენა საბჭოთა კავშირის სამხედრო უპირატესობაში დღეს და ეკონომიურ უპირატესობაში ხვალ“.

უცხოეთის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ ერთსულოვნებას, რომლითაც შეხედნენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას არა მარტო ყრილობის მონაწილეები, არამედ მთელი საბჭოთა ხალხი. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერდა: „ყრილობისათვის დამახასიათებელი იყო მტკიცე რწმენა, რწმენა მსოფლიოში კომუნუნიზმის საბოლოო გამარჯვებაში, თავის შეიარაღებაში, რწმენა, რომ საბჭოთა კავშირი შეასრულებს, შეიძლება ვადაზე აღრეც, თავის შეიძლიან ეკონომიურ გეგმას“.

ამერიკის პრესისათვის, როცა ის ეხება XXI ყრილობის შედეგებს, დამახასიათებელია ის, რომ თითქმის ვერაფერს ბედავს ეჭვი შეიტანოს საბჭოთა შეიძლიანი გეგმის რეალურობაში, რომლის წარმატებით შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირი ეკონომიურად გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ეხება რა შეიძლიანი გეგმის რეალურობას, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს: „დასავლეთის სპეციალისტები თითქმის ერთსულოვნად იმ აზრისა არიან, რომ საბჭოთა კავშირში და სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკის სწრაფი ზრდა მომავალშიც გაგრძელდება...“

ინგლისური გაზეთი „რეინოლდ ნიუსი“ სარედაქციო სტატიაში, ეხება რა სკკპ XXI ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების მნიშვნელობას, ასეთ დასკვნამდე მიდის: „დასავლეთი აგებს ეკონომიურ ბრძოლას კომუნუნიზმთან“. გაზეთი მიუთითებს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მილიონობით უმუშევარია,

მართო ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვი, შეადგენს 5 მილიონს. ინგლისში სამრეწველო წარმოება რამდენიმე პროცენტით შემცირდა 1958 წელს. საბჭოთა კავშირში კი ეკონომიკა აღმავალი გზით მიდის. „საბოლოო ჯამში, — წერს „რეინოლდ ნიუსი“, — გაიმარჯვებს ის სისტემა, რომელიც უკეთ დააკმაყოფილებს კაცობრიობის მოთხოვნებს, ყველა ადამიანისა და არა ერთეულების მოთხოვნებს“.

ამერიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელიც თავისთავს თვლის „ყველაზე უფრო საქმიან სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციად“ და რომელიც ეკონომიურ, საკანონმდებლო, ყიდვა-გაყიდვისა და სხვა საკითხებში რჩევას აძლევს ამერიკის მონოპოლიებს, ამას წინათ შეიმუშავა ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებით 30 ათასი ფორმისათვის სპეციალური მოხსენება „საერთაშორისო კომუნისმის ახალი ეკონომიური გამოწვევის“ შესახებ.

ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ „სოციალიზმი იმარჯვებს კაპიტალიზმზე და რომ კაპიტალიზმის წლები დათვლილია“. ამის დასადასტურებლად მოხსენებაში მოყვანილია შემდეგი ფაქტები:

1. დასავლეთმა დაკარგა თავისი წინანდელი სამხედრო უპირატესობა. უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი გაგვითანაბრდა ჩვენ სამხედრო ტექნიკის დარგში და გავვისწრო კიდევ; მისი კოსმოსური რაკეტა-პლანეტა, რომელიც ამჟამად მოძრაობს მზის ირგვლივ, წარმოადგენს მთელი მსოფლიოსათვის საბჭოთა კავშირის კოსმოსში უპირატესობის უდავო მიჩვენებელს.

2. საერთაშორისო პრესტიჟის თანაფარდობა იზრება საბჭოთა კავშირის მხარეზე. კოსმოსურ სივრცეში გამარჯვების გარდა, განუწყვეტლივ ფართოვდება და მოხერხებულად ხორციელდება საბჭოთა კავშირის მიერ სხვა ქვეყნებისადმი დახმარების პროგრამა, რაც ზრდის საბჭოთა კავშირის მებობრობის რიცხვს, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობას ამ დარგში დარტყმას აყენებს 1957 — 1958 წწ. ეკონომიური დაცემა და რასობრივი დისკრიმინაცია სამხრეთ შტატებში. საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა იზრდება შუა-აღმოსავლეთში, ინდოეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. გასულ წელს მას ეკონომიური წარმატებები ჰქონდა ლათინურ ამერიკაში.

როგორც ზემომოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, ჩვენი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა კავშირის შეიდწლიანი გეგმის უდიდესი მნიშვნელობა, მისი რეალურობა და ის შედეგები, რომლებიც მოჰყვება ამ დიადი პროგრამის განხორციელებას.



ყრილობის ყოველი დელეგატი — იყო იგი მუშა, სოფლის მეურნეობის მშრომელი, მეცნიერი, მწერალი თუ სახელმწიფო მოღვაწე, ყრილობის საბოლოო სხდომიდან რომ მიდიოდა, გამსჭვალული იყო სურვილით, რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო თავის რესპუბლიკაში, რაიონში, საწარმოში, კოლმეურნეობაში, რათა გაეზიარებინა ადამიანებისათვის თავისი შთაბეჭდილებანი ყრილობის შესახებ და მიმდინარე წლის — შეიდწლიედის პირველი წლის დამდეგიდანვე შესდგომოდა პრაქტიკულ საქმიანობას პარტიის დიად წინადასახულობათა განსახორციელებლად, ყველაფერი გაეკეთებინა დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ამ შრომითმა ენთუზიაზმმა მოიცვა მთელი საბჭოთა ხალხი. ეს მასობრივი შრომითი აღმავლობა აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ჭეშმარიტად დემოკრატიული ხასიათით, იმით, რომ მთელმა ხალხმა იღებს მონაწილეობას სახელმწიფო მშენებლობაში, კერძოდ, სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ამ საკონტროლო ციფრების მომზადებაში, რომლებიც ყრილობამ დაამტკიცა.

საკონტროლო ციფრებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ცალკეული რესპუბლიკების განვითარების ინტერესები სავსებით შეესაბამება საერთო-საქვეშაო ინტერესებს. თვითეულ რესპუბლიკაში, უწინარეს ყოვლისა, განვითარდება მეურნეობის ის დარგები, რომლებისთვისაც მოიპოვება ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობები.

რა ძირითადი ამოცანებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის წინაშე საწარმოო ძალთა, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში 1959 — 1965 წლებისათვის?

— რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული ბაზის ყოველმხრივ გაფართოება ახალი ელექტროსადგურების, ქვანახშირის ახალი შახტების მშენებლობის, რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გაზიფიკაციის გზით;

— შავი და ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარება, ფეროშენადნობთა წარმოების გადიდება;

— ქიმიური მრეწველობის გაფართოება მოქმედი საწარმოების ინტენსიფიკაციისა და ახალი საწარმოების მშენებლობის გზით;

— ახალი მანქანათმშენებელი ქარხნების შექმნა, ელექტროტექნიკური მრეწველობის ახალი სახეობის ნაკეთობათა გამოშვების ათვისება, უფრო სრულყოფილი მოწყობილობის დანერგვა წარმოებაში ტექნიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად;

— მსუბუქი და კვების მრეწველობის, განსაკუთრებით ჩაის მრეწველობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარება;

— სოფლის მეურნეობის ყოველმხრივ განვითარება და, უწინარეს ყოვლისა, ჩაის პლანტაციების, ციტრუსოვანთა ნარგავების, მევენახეობისა და მებეღვინეობის გაფართოება, მეცხოველეობის პროდუქტების მნიშვნელოვანი გადიდება;

— სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, მისი ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება, საქონელბრუნვის შემდგომი გაშლა მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის;

— საბინაო მშენებლობის გაფართოება, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარება; ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა განხორციელება;

— შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძველზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა მოითხოვს ჩვენი მუშებისაგან, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციისაგან, ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებისაგან ძალების დიდ დაძაბვას და ორგანიზატორულ მუშაობას. ჩვენი რესპუბლიკისთვის დაწესებული დავალებანი თუმცა რთულია, მაგრამ სავსებით რეალურია და, შეიძლება

დანამდვილებით ითქვას, ეს დავალებანი არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც იქნება შესრულებული.

როგორც ცნობილია, ჩვენ შეექმენით ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყომშენებლობის 22 ახალი საწარმო. მათი მოწყობის დროს ბევრი სიძნელე გვექონდა, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნარი შეგვწევს მოვაგვაროთ ეს რთული წარმოება.

უკვე მოწყობილი საწარმოების გარდა, ჩვენ ყოველმხრივ უნდა გავაფართოოთ ეს დარგი. ამას ის გარემოებაც გვიკარნახებს, რომ მძიმე ინდუსტრიის სხვა დარგების გასაფართოებლად ჩვენ ჯერჯერობით საკმაოდ არ მოგვეპოვება გამოკვლეული ნედლეულის რესურსები.

ამის გამო საჭიროა მაქსიმალურად გაძლიერდეს შავი და ფერადი ლითონების, ნავთობისა და გაზის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, რათა შეიქმნეს საკუთარი ნედლეულის ბაზა, რაც საჭიროა შავი და ფერადი მეტალურგიის, გასაკუთრებით ქიმიური მრეწველობის წარმატებით განვითარებისათვის, ნავთობისა და გაზის გადამამუშავების ბაზაზე.

რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის გასაუმჯობესებლად უდიდესი მნიშვნელობა ექნება ყარაღაღ-თბილისის გაზსადენს, რომელიც ამჟამად შენდება და რომელიც საშუალებას მოგვცემს გავათავისუფლოთ თითქმის ათი ათასობით ტონა სხვა სახის სათბობი (პირობითი გამოანგარიშებით). ეს გაზი პირველ რიგში გამოყენებული იქნება ქ. თბილისის და რუსთავის სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. გაზსადენის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს და 1959 წლის დამლევისათვის დამთავრდება, მაგრამ გაზის მიღების მოსამზადებელი სამუშაოები ქ. თბილისში და განსაკუთრებით რუსთავში საგრძნობლად ჩამორჩება.

შვიდწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ავამაღლოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, როგორც მთავარი წყარო გაფართოებული სოციალისტური კლავწარმოებისა და დაგროვებისა, რასაც გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი, როდესაც მიუთითებდა, რომ „...შრომის ნაყოფიერება, ეს საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის“. ჩვენი გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის დაწესებული საკონტროლო ციფრების უცილობლივ შესრულება მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში, უწინარეს ყოვლისა, სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის გზით.

ჩვენი საწარმოებისათვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია წარმოების ხარჯების სისტემატურად შემცირება, ნედლეულის, მასალების, სათბობის და ელექტროენერჯიის ხარჯების ნორმების შემცირებით, იმ ანგარიშით რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

შვიდწლიანი გეგმის წარმატებით და ვადამდე შესრულება უნდა დაიწყოს შვიდწლიანი პირველი წლის პირველივე თვეებიდან. სამრეწველო წარმოების გამოშვების ზრდა გასული წლის იანვართან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ასეთივე კარგი შედეგებია თებერვალშიც.

თოვლი თოვს.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე, ჩვენი რესპუბლიკის მთელი ხალხის წინაშე. ჩვენ ღირსეული

წვლილი უნდა შევიტანოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების დიად და კეთილშობილურ საქმეში. ეკვი არ არის, რომ ჩვენი ხალხი, რომელსაც არა ერთხელ უჩვენებია გმირული, მაშაქური შრომის მაგალითები, ამჯერადაც გამოიჩინოს პარტიის საქმისადმი ერთგულებას, არ დაიშურებს თავის ძალებსა და შემოქმედებითს უნარს, რათა ღირსეულად გადაწყვიტოს მის წინაშე დასახული ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანები.

პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობის მიერ მიღებული ახალი შედგლიანი გეგმა, რომლის განხორციელებაც საგრძნობლად მიგვაახლოებს ჩვენს საბოლოო მიზანთან — კომუნისტური საზოგადოების აშენებასთან, გულისხმობს შესანიშნავი საბჭოთა ხალხის ახალ მორალურ ზრდასა და განვითარებას, მისი შეგნების კიდევ უფრო ამძლავრებას. ამიტომაც ყრილობამ სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრებთან ერთად დიდი ყურადღება დაუთმო იდეოლოგიურ მუშაობას. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელი იდეოლოგიური მუშაობა მოწოდებულია განუვითაროს საბჭოთა ადამიანებს ახალი თვისებანი, აღზარდოს ისინი კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით“.

ახალი შედგლიანი მთავარი ამოცანები განსაზღვრავენ მთელი იდეოლოგიური მუშაობის მიმართულებას, შინაარსსა და ფორმებს. მშრომელთა ფართო მასების აღზრდის ყველა საშუალება სრულად უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ ამით ხელი შევეწყუთოთ კომუნისტურ პარტიას დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებაში.

ხოლო ადამიანების იდეურ-მორალური და ესთეტიკური აღზრდის მძლავრ საშუალებათაგანს წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომელთა ახალი ამოცანებიც ნათლად იქნა ჩამოყალიბებული ყრილობაზე როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, ასევე ამხანაგების ე. ა. ფურცევის, მ. ა. სუსლოვის, ნ. ა. მუხიტდინოვის და სხვათა სიტყვებში.

საბჭოთა მწერლობა თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა იმ დიდ გარდაქმნაში, რომლებიც ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში ხდებოდა, მუდამ საზრდოობდა ჩვენი სინამდვილის რევოლუციურ-გარდაქმნელი პათოსით. იგი მუდამ მკვიდრო კავშირში იყო ხალხის ცხოვრებასთან, მის გმირულ ბრძოლასთან ნათელი მომავლისათვის. საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებში სათანადო მხატვრული სიძლიერით აისახა ჩვენი ხალხის, საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი გარდატეხები.

ქვეშარტად დიდია საბჭოთა მწერლობის წარმატებები. ისინი მოპოვებულია კომუნისტური პარტიის მუდმივი მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის შედეგად.

ცნობილი პარტიული დოკუმენტი — „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მკვიდრო კავშირისათვის“ ნათელს ჰქვენს ლიტერატურისა და ხელოვნების სასიცოცხლო პრობლემებს, სახავეს მწერლობის განვითარების მთავარ ხაზს.

XXI ყრილობამ, რომელსაც კომუნისმის მშენებელთა ყრილობა ეწოდა. დასაბამი მისცა ახალ ისტორიულ ხანას ჩვენი საზოგადოების განვითარების ისტორიაში, მან საბჭოთა მწერლების წინაშე უდიდესი ამოცანები დააყენა. ახლა

ხდება კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მსოფლმხედველობის, ხასიათის ჩამოყალიბება და ფორმირება. ჩვენი მწერლების საპატიო ვალია, ღრმად ჩასწვდნენ დღევანდელი საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროს, შექმნან მათი მაღალმხატვრული სახეები. საბჭოთა მწერლობას შესწევს ამ დიდი ამოცანის გადასაწყვეტად ძალა და გამოცდილება.

საბჭოთა ლიტერატურის ძალა მის პარტიულობაში, მაღალ იდეურობაშია. ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა ჯურის მოესთეტო რევიზიონისტებს მთავარი წეტვეა საბჭოთა ლიტერატურის ამ სასიცოცხლო პრინციპებზე მიაქვთ. მათ არ სურთ გაიგონ, რომ ხალხის უღარესად ერთგული და მოამაგე საბჭოთა მწერლობა არ შეიძლება აქტიურად არ მონაწილეობდეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში, პოლიტიკისა, რომელიც საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს. ყრილობაზე აღინიშნა, რომ მწერალთა საზოგადოების, განსაკუთრებით კი, მებრძოლი კრიტიკის ვალია დაუნდობლად ამხილონ თანამედროვე რევიზიონიზმის რეაქციული ბუნება.

საქართველოს მწერლები მთელი საბჭოთა მწერლების ერთ-ერთ მოწინავე, ნიჭიერ რაზმს წარმოადგენენ. მათ არა ერთი და ორი მაღალმხატვრული ნაწარმოები შეიტანეს ერთიანი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში. ქართველი მწერლები მუდამ ერთგულად ემსახურებოდნენ საბჭოთა ლიტერატურას. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკანასკნელი პერიოდის მანძილზე ქართველმა მწერლებმა თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის შედეგად თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. ამას მოწმობს ის დიდი შეფასება, რომელიც წილად ხვდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადას მოსკოვში. უნდა კმაყოფილების გრძნობით გავიხსენოთ ჩვენი გამარჯვება დეკადაზე, რომელიც მთელი მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის ზეიმად იქცა. ამ დიდ და სასახლო საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს ქართველმა მწერლებმა.

განსაკუთრებით უნდა გავსვას ხაზი ჩვენი პროზაიკოსების ნაყოფიერ მუშაობას. მართალია, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ყველა რომანი და მოთხრობა ერთნაირი მხატვრული სიძლიერის არ არის, ზოგ მათგანს ცალკეული ხარვეზები ახასიათებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგრძნობა ქართული პროზის აღმავლობა და მას ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი.

ვალში არც ქართველი პოეტები დარჩენილან, კვლავ ახალგაზრდული გატაცებით წერენ ჩვენი ხანდაზმული პოეტები; სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა.

ქართულ პოეზიას დიდი და სახელოვანი ტრადიციები აქვს. ქართველი საბჭოთა პოეტები სახელოვნად აგრძელებენ ამ ტრადიციებს. ისინი თავისი დიდი წინაპრების ღირსეული მემკვიდრეები არიან. ეს დიდი აღფრთოვანებით იქნა აღნიშნული დეკადაზე მოსკოვში, და, იმედია, ქართველი პოეტები კვლავაც ჩვეული პოეტური აღმაფრენით უმღერებენ ჩვენს ნათელ და შინაარსიან ცხოვრებას.

ყრილობაზე სიამაყის გრძნობით აღინიშნა ის დიდი მიღწევები, რომლებიც ჩვენ კულტურის ფრონტზე გავაჯანია. მთელ რიგ ხალხებს მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში მიეცა შესაძლებლობა შეექმნა დამწერლობა, დღეს კი მათ უკვე თავისი მწერლობაც აქვთ. ავიღოთ ყირგიზეთი. მათ ოქტომბრის რევოლუციამდე დამწერლობა არ ჰქონდათ. ამ ბოლო ხანებში მოსკოვში ჩატარებულმა ყირგიზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადამ კი ცხადყო, თუ რა დაუჯერებელი წარმატებებია მიღწეული. დღეს ყირგიზი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები საბჭოთა კავშირის ხალხების მრავალ ენაზეა თარგმნილი. რაღა

შორს წავიდეთ, ჩვენში საქართველოში ხომ მართო ქართველი მწერლები არ ეწევიან ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას. მაგალითად, ნიჭიერი მწერლების დიდი რაზმი მუშაობს აფხაზეთში. განა ბრძნული ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელ განხორციელებაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთშია ლიტერატურამ, რომელმაც ძირითადად საბჭოთა პერიოდში დაიწყო თავისი არსებობა, უკვე ასეთ დიდ წარმატებებს მიაღწია?.. განა ნაციონალური პოლიტიკის მკაფიო გამოხატულება არ არის, რომ საქართველოში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან რუსი, ოსი, სომეხი, ქურთი თუ სხვა ეროვნების მწერლები? ქართული ლიტერატურა ახლა მართო თბილისში როდი ვითარდება. მწერლების ნიჭიერი ჯგუფი მუშაობს აჭარასა და ქუთაისში.

ახლახან ჩატარებულმა რესპუბლიკის მწერლების მე-5 ყრილობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს მწერალთა დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობა. ეს უფლებას გვაძლევს კიდევ უფრო მეტი მოთხოვნები წავუყენოთ მათ. მთელი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენი მწერლობის იდეურ-შემოქმედებითს საკითხებს, აღვნიშნოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ გაგვანძობს, დაუღალავად ვიშრომოთ პარტიის XXI ყრილობის მიერ საბჭოთა მწერლობის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

ქართველ მწერლებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. რესპუბლიკის მშრომელებს ბევრი სამართლიანი პრეტენზია აქვთ მათდამი. ჩვენ გვეკრძება კიდევ უფრო მეტი, უფრო ძლიერი ნაწარმოებები მუშაობა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის შესახებ, რომლებშიც დამაჯერებელი მხატვრული სიმართლით იქნება წარმოსახული და განზოგადებული ჩვენი ცხოვრება მის რევოლუციურ განვითარებაში. არც ერთი წუთით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომავალი კომუნისტური საზოგადოების აღმანიის ფორმირება, ზნეობრივი ზრდა, აზრი, მოქმედება და მისწრაფებები, მისი მდიდარი სულიერი სამყარო არის და იქნება საბჭოთა ლიტერატურის ცენტრალური, ყველაზე უფრო აქტუალური, უაღრესად თანამედროვე თემა. ამ თემის სათანადო მხატვრული სიძლიერის გადაწყვეტა ჩვენი მწერლების უპირველესი ამოცანაა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ქართველი მწერლების წარმატებები. მაგრამ თუ უკანასკნელი წლების ქართულ ლიტერატურას გადავხედავთ საბჭოთა მშრომელების მიერ მიღწეული უდიდესი გამარჯვებების სიმალიდან, იმ ამოცანების სიმალიდან, რომლებსაც საბჭოთა ხალხს, მათ შორის შემოქმედებით ინტელიგენციას უსახავს პარტიის XXI ყრილობა, ვფიქრობ, არავისათვის იქნება საკმაო, რომ ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება ცხოვრების განვითარების გიგანტურ ტემპებს, ჯერ კიდევ არ დგას პარტიის მოწოდების სიმაღლეზე.

სწორედ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მშენებლობები განხორციელდა, მკვეთრად გაიზარდა საკოლმეურნეო მინდვრებიდან მიღებული დოვლათი. კიდევ უფრო მდიდარი და ლამაზი გახდა ჩვენი ცხოვრება. დღეს ჩვენი შტრებიც კი ვეღარ მალავენ თავის განცვიფრებას იმ მძლავრი აღმავლობის გამო, რომელიც პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ გამოიწვია, იმ ამოცანების გამო, რომლებიც XXI ყრილობამ დასახა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც მუდამ ბაჭიობდა თავისი ტექნიკური მიღწევებით, აღიარა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის აშკარა უპირატესობა. მეტი რა გზა აქვთ, ძალიანაც მწარეა მათთვის ეს სინამდვილე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები დედამიწას აღარ დასჯერდნენ და ახლამზეს უვლიან გარს.

ყველა ეს მიღწევები ზომ ჩვენი სახელოვანი მშრომელების — საბჭოთა მუშების, კოლმეურნე გლეხობის, სამეცნიერო და ტექნიკური ინტელიგენციის შემოქმედებითი ნიჭისა და გამირული შრომის შედეგია. ქართულ ლიტერატურას კი ძალიან ნაკლებად მოეპოვება ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც სათანადო სიძლიერით იყოს ასახული უკანასკნელი წლების გამარჯვებები, შრომითი პათოსი, საბჭოთა ადამიანების კეთილშობილური, პატრიოტული საქმიანობა. ახალი შეიღწლიანი გეგმის ვადაზე აღერ შესრულებისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო ნათლად გამოაშკარავდება საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური სახე, მისი მდიდარი, შესანიშნავი სულიერი სამყარო. ამას კი მწერლის კალამი სჭირდება სათანადო მხატვრული ასახვისათვის.

ყრილობაზე სამართლიანად იქნა აღნიშნული, რომ საბჭოთა ლიტერატურაში აქა-იქ იჩენს თავს ნაციონალური შეზღუდულობის ელემენტები. ზოგჯერ სათანადო სიძლიერით არ არის გახსნილი კლასობრივი ბრძოლის ხასიათი წარსულში, ხოლო ზოგჯერ ამ წარსულის ერთგვარ იდეალიზაციასთანაც კი გვაქვს ზოლმე საქმე. ეს სწორი გაფრთხილება ქართველმა მწერლებმაც უნდა გაიზიარონ, რადგან ასეთი ხასიათის შეცდომებისაგან არც ჩვენი ისტორიული ჟანრის მწერლობა იყო დაზღვეული.

ქართველი მწერლები ჯერ კიდევ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ისტორიულ თემატიკას. ისტორიული თემატიკა ლიტერატურისათვის თავისთავად არ არის სასხვათაშორისო. პირიქით, ჩვენ გვჭირდება ისტორიული რომანები, მხოლოდ არა აუცილებლად მეფეებსა და ფეოდალებზე, არამედ ისტორიის ნამდვილ შემოქმედზე, წარსული ეპოქების მშრომელ ხალხზე. მაგრამ, ამასთანავე, ისიც უნდა გვახსოვდეს მუდამ, რომ ყოველი ეპოქის ლიტერატურისათვის ძირითადი განმსაზღვრელი მისი თანამედროვე ცხოვრება ყოფილა.

ქართველი მწერლები ვალდებულნი არიან მოგვცენ დღევანდელი ჩვენი ცხოვრების მხატვრული სურათები. ზოგ მწერალს უყვარს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს შეუძლებელია, რომ სინამდვილის შეცნობასა და გააზრებას დრო სჭირდება. ეს ყველაფერი მართალია, თუკი უკიდურესობაში არ გადავარდებით და ეგრეთწოდებულ „დისტანციის თეორიას“ არ გავაცოცლებთ. ვიდრე მხატვრულ სახეებში მოგვცემდეს ცხოვრებისეულ მოვლენებს, მწერალმა უნდა კარგად შეიცნოს იგი, მაგრამ ზოგი ამას ათეულ წლებს ანდომებს. ჩვენ კი გვინდა, რომ მწერლები უფრო აქტიურები, ოპერატიულები იყვნენ, მეტი ენერჯია და სიცოცხლე იგრძნობოდეს მათს შემოქმედებითს მუშაობაში. განა თითქმის სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე არ შეიქმნა საბჭოთა ლიტერატურაში მისდამი მიძღვნილი მაღალმხატვრული ნაწარმოებები? განა კოლექტივიზაციის, ამ უდიდესი გარდატეხის ეპოქის მხატვრული ასახვისათვის შოლოხოვის, პანფეროვის, ქიაჩელს, ლორთქიფანიძეს ათეული წლები დასჭირდათ სინამდვილის შესაცნობად? მათი რომანები მეტად დროულიც იყო და, ამასთანავე, მაღალმხატვრულიც. კიდევ უფრო აქტიურად უნდა იკრებოდნენ მწერლები დღევანდელ ცხოვრებაში, ამჩნევდნენ მასში მთავარს, მზარდს, პერსპექტიულს და თავის მხატვრულ ნაწარმოებებში მკაფიო ფერებით გვიხატავდნენ მას.

პარტიის XXI ყრილობაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა ის მახინჯი ტენდენცია, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში შეიმჩნეოდა ცალკეული საბჭოთა მწერლის შემოქმედებაში. ზოგმა მწერალმა მცდარად გაიგო პარტიის მიერ ჩვენს სინამდვილეში არსებული ნაკლოვანებების მკაცრი კრიტიკა და თავისი შემოქმედების ძირითად წყაროდ ცხოვრების მხოლოდ სუსტი და ჩრდილოვანი მხარეები გაიხადა. ცალკეული მწერლები თავისი აკვიტებული აზრის გამო ვეღარ ამჩნევდნენ

ჩვენი ცხოვრების ნათელ მხარეებს, ნაკლოვანებების ჩვენებისას ხელოვნურად ამუქებდნენ ფერებს, რის გამოც მათს ნაწარმოებებში არასწორად დაჯერებული დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი ჩვენი სინამდვილე. ყრილობაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურა არა მარტო პროგრესული იდეებით არის, ან უნდა იყოს, ყველაზე მოწინავე ლიტერატურა მთელ მსოფლიოში, არამედ თავისი მაღალი მხატვრული ღირსებებითაც. ჩვენი ცხოვრება სათანადო ძლიერ მხატვრულ ტილოებს საჭიროებს გამოსახატავად, ეს კი მწერლებისაგან ორიგინალური მხატვრული გამომსახველობითი ხერხების დაძაბულ შემოქმედებითს ძიებას მოითხოვს.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ თეატრების რეპერტუარში სუსტადაა წარმოდგენილი თანამედროვე თემატიკა. ეს პირდაპირ შეეხება ჩვენი რესპუბლიკის თეატრებსაც. რასაკვირველია, ეს თეატრალური ფრონტის მუშაობა უნდა გაითვალისწინონ, მაგრამ მთავარი კი მაინც ის არის, რომ ჩვენმა დრამატურგებმა და სხვა ქანრის წამყვანმა მწერლებმა სცადონ თავისი ძალა ამ საქმეში, მთელი სერიოზულობით ჩაუფიქრდნენ შექმნილ მდგომარეობას და იგრძნონ, რომ პასუხისმგებლობა თანამედროვე რეპერტუარის კრიზისზე, უწინარეს ყოვლისა, მათ ეკისრებათ.

კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ უკანასკნელ დროს გამოუშვა რამდენიმე მდარე ხარისხის, პირდაპირ უნდა ითქვას, უნიჭო ფილმი. მეტწილად ეს აიხსნება საკმაოდ მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე დაწერილი სცენარების უქონლობით. ამავე მიზეზით სტუდია დღეს იძულებითი გაცდენისა და გეგმის შესრულების ჩაშლის საფრთხის წინაშე იმყოფება.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის ჩამორჩენამ და მასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა თეატრების და კინოსტუდიის მუშაობაში სერიოზულად უნდა ჩააფიქროს მწერალთა საზოგადოებრიობა, მით უმეტეს, რომ მოსკოვში, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში, უკანასკნელ დროს გამოჩნდა საკმაოდ ბევრი კარგი დრამატურგიული ნაწარმოები, რომლებმაც უკვე საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს.

ნება მიბოძდეთ, იმედი გამოვთქვა, რომ თქვენი კავშირი, საქართველოს წამყვანი მწერლები ამ საკითხს სპეციალური განხილვის საგნად გახდიან, გულმოდგინედ და მოფიქრებულად გაერკვევიან ჩამორჩენის მიზეზებში და მიალწევენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ამისათვის ყველა საჭირო პირობა მოიპოვება.

დიდი ამოცანები დგას საბავშვო მწერლების წინაშე. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის შესახებ. საშუალო და უმაღლესი სკოლების ახლებურად გარდაქმნის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სკოლა დაუახლოვდეს ცხოვრებას, რომ ჩვენი ახალგაზრდობა თეორიულ ცოდნასთან ერთად ცხოვრებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევებსაც იღებდეს. საბავშვო ლიტერატურამ თავისი დიდი როლი უნდა შეასრულოს ახალგაზრდობის ახალი სისტემით აღზრდის საქმეში.

ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა კადრების იდეურ-მხატვრული აღზრდის საქმეს. მომავალი თაობა ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, უდიდესი მზრუნველობით უნდა მოვეყიოდოთ მას. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ მწერლობას ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა ეზრდება, მაგრამ მათთან მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. ზოგიერთი ახალგაზრდის შემოქმედებას ჯერ კიდევ აკლია მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა, ცხოვრების მაჯის-

ცემა, მხატვრული აზრის სიღრმე. ხშირად საკუთარი სტილის ძიებას დროს თავს იჩენს წერის ფორმალისტური მანერა. იმედია, ჩვენი ახალგაზრდობა პარტიის XXI ყრილობის შემდეგ უფრო აქტიურად ჩაებმება ცხოვრების ფართულსა და თავის შემოქმედებით გააგრძელებს და განავითარებს იმ კარგ ტრადიციებს, რომლებიც ქართულ საბჭოთა ლიტერატურას გააჩნია.

ეჭვი არ არის, ქართველი მწერლები არ დაზოგავენ თავის შესაძლებლობას პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ამ საქმეში მარტო მათი მონღომება არ იკმარებს. ისინი დროულ დახმარებასა და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას საჭიროებენ. ეს კი, პირველ რიგში, მწერალთა კავშირის გამგეობამ და პრეზიდიუმმა, აგრეთვე პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა იტვიროთონ.

პარტია დიდ როლს აკისრებს საბჭოთა მწერლობას, იგი მიაჩნია თავის აქტიურ თანაშემწედ მშრომელების კომუნისტური აღზრდის საქმეში. ქართველმა მწერლებმა კვლავ უნდა გაამართლონ ეს დიდი ნდობა და ახალი შემოქმედებითი აღმაელობით უნდა უპასუხოთ კომუნისტების მშენებელთა ყრილობის გადაწყვეტილებებს.

შოთა ნიჟინიძე

★

ჩქარა მატარებელი

7777

I

ხიდეები,

მოდის მატარებელი,
გულის გამხარებელი,
ელვის სადარებელი,
ჩქარი მატარებელი.
და მოსდევენ გზები გზებს
მოყოლებით ზედი ზედ,
ლობე ლობეს,
სარი სარს,
ეზო ეზოს,
კარი კარს,
ეფინება ბოლი ბოლს
ახლო ახლო

ბონდები,
ბევრჯერ გამახსენდებით!
ბევრჯერ მომაგონდებით!
მოდის მატარებელი,
ელვის სადარებელი

II.

შორიშორს.

მისდევს ჭერებს ტყელები,
მისდევს ფერებს ტყეები,
ისე მჭერმეტყველებით,
ისე ფერმეტყველებით,
რომ სარკმლებში მოძვრება
შთელი ეს საოცრება,
ეს ხილული ოცნება,
ცა და მიწის მოსწრება:

მიაქვს, მოაქვს წერილები,
სიხარულის ბარათები,
ბარათები შეპირების,
იმედების გამართლების.
ჰალა-ჰალა, შარა-შარა,
შარა-შარა, ჩალა, ჩალა
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!
რა ბალები, რა ყანები!
ნაღვარევი არყნარები!
არხნარევი ბაღნარები
გამორბიან ვახარებით.
გრაგანებენ ვაგონები,
გრაგანებენ ვაკვირვებით
სად გარბიან ჩაკონებით
ბოგირები, ბავირები?
გრუხუნებენ: როგორა ხართ?
გრუხუნებენ რახარუხით
რის გოროხი, რა გოროხი
ნახე რუხი ჩაბარუხი!
შემოსილა

ზვინულები,
ზვინები,
ბინულები,
ბინები.
წისქვილები,
ოდები
წიწილების
ოდენი;

ბე ჭრელ-ჭრულით
შემოსულა

ტრიალებენ, ცეკვავენ
ნათესები,
ხნულები,
დახნულ-დაფარცხულები,
ათასები,

ბეჭეჭურია!
ეზო ეზო ურმები
და ჭურები მეჭეჭური.
ეზო-ეზო, კარი-კარ
ლობე-ლობე, სარი-სარ
ეკონება

ულავი,
კიდევები,
კორდები,

ბოლი ბოლს,
ბეგონება:



თოვლი თოვს.
და მისდევენ ზერები ზერებს,
უკან უკან

ზედი ზედ

შუკა შუკას

გზები გზებს,
გზები — ძოწულულები,
გზები — განა შუკები
გზები — ბროწულულების
გზნებით განაშუქები;
სიმინდების ფონები,
ქები,

ოწინარები,
მზეზე ძველი კოშკების
ბჭენი მოცინარენი.
მოქრის მატარებელი,
ელვის სადარებელი.

III

ბოგირ-ბოგირ

ბოგა-ბოგა,

ბოგა-ბოგა,

ბოგირ-ბოგირ,

გზი მოდის ოკრო-ბოკრო
გოგო მოდის აგდი-გოგდი,
აბა დელი დელია!
გოგო მოდის ბოგაზე,
ჩემი საყვარელია
ხალი თუ აქვს ლოყაზე.

IV

აფრთხილდნენ რაფაზე
ეგ თითები — შროშნები,
შე მალულო ტკავილო,
ჩეტა როდის მორჩები?
ეშმაკუნა თვალეზო,
წამწამების მარაო,
ჩეტა გამაგებინა
მოგწონვარ თუ არაო?

შე უებრო ღიმილო
ჩემი იყო ნეტაო!
ჯანდაბამდის, კარგი ხარ,
როგორ უნდა გედაო!
განგებით თუ შემთხვევით,
ნეტა კიდე შევხვდებით?
მიჰქრის მატარებელი,
ელვის სადარებელი,
ჩქარი მატარებელი,
ჩქარი მატარებელი.

V

ეს რა ხმაა?

ტალლა შხუის
თუ დროშები აბიბინდა?
— ეს ქართველი ქალ-ვაეები
ბრუნდებიან ყამირიდან,
სადგურიდან სადგურამდე
ირეკება ხმა-ფოლადი
მათ სამშობლო ასახელეს
და აავსეს ხევა-დოვლათით.
როგორც მოსდევს სროლას სროლა
იერიშებს იერიში
ისე მოდის ეს თაობა
და არ შედის სიბერეში.
როგორც ქვევრის ამბოხება,
როგორც მაქრის აღდუღება,
ხნულს ჯეჯილი ამოყვება,
ამოსკდება თავთუხებად,
შენც მოდიხარ, სიცოცხლეო,
ახალ-ახალ თაობებად,
შენ შრომაში განირჩევი,
შენ არ იცი დაობება.
როგორც რეკავს გრდემლზე ურო
და მარტენში ცეცხლი ღელავს
ისე რეკავს ეს სიცოცხლე,
ისე მღერის ეს სიმღერა..
მოდის მატარებელი,
გულის გამზარებელი...



ახალი ჰორიზონტი*

რომანო

— ბიჭო, გაიოზ, რა ემართება მამა-შენს?! აქ არ მოკედეს მაგ ლდინძალდი ბარდლას შენიშვნაზე აფრასიონმა უეცრად გაჰყვტილი თვალით ჯერ გაიოზს გადახედა, მერე ბარდლას და დინჯად შენიშნა:

— ნუ გეშინია, ბიძია!... ნუ დამცი-ნი თუ არა, ხომ გაგიგონია — მწიფეს ესროდნენ, კუხე ცვივოდაო!

— მე ვარ კუხე? — იწყინა ბარდ-ლამ — ვაი შენს პატრონს! სროლაზე ნუ იქნება, თუ არა... რომელი ჩამო-ვარდება, დაინახაე!..

ამასობაში აფრასიონმა კვლავ ჩაპ-კიდა თავი. მომძინარებით მოხერხებუ-ლად მოერიდა ამ სახიფათოდ შებრუ-ნებულ სიტყვას და სამაგიერო პასუხს. ამ „ხუმრობაში“ მართლა ჩასთვლიმა. უსაქმოდ ყოფნა აფრასიონს ყოველ-თვის ძილსა გვრიდა; მაგრამ უნდა გე-ნახათ ეს „კისერმოწყვეტილი“ კაცი, როგორ გამოფხიზლდებოდა, რაწამს შახტის ჰაერს იყნოსავდა. ზოგს კი პირიქით, გარეთ რომ ეშმაკივით ჰქონ-და თვალი დაჰყვტილი, სწორედ შახ-ტში მოერეოდა ხოლმე თვლებმა. ბიჭი იყავი და რამდენიმე წუთით მაინც „თვალის მოტყუება“ დაგეშალა. სულ ერთია, რამეს მოიმიზეზებდნენ და ზღომეტიოდე წუთის მაგიერად საათნა-ხერით დაიკარგებოდნენ.

აფრასიონმა რომ კვლავ ჩაყვინთა, ბარდლა ფეთებით წამოიჭრა ზეზე; საგანრიგოში გამმაგებით მოჰყვა ბოლ-თას. თან განუწყვეტილივ სწევდა პაპი-როსს. ჰერში ასულ ბოლს დროდადრო, გამკრავი ქარი ჭაწეწილ ბამბის ფთი-

ლასავით მიჰქროლებდა ღია ფანჯრი-საკენ.

ამასობაში უცნობმა ვაჟმა ერთხე-ლაც შემოიხედა საგანრიგოში და მყის მოჩვენებასავით მიიშალა. ის ისე გა-მოჩნდებოდა ხოლმე კარებში, ისე შე-ხედავდა ბარდლას, იფიქრებდით, მის გამოწვევას ლამობსო და, აკი მართ-ლაც გამოიწვია. ბარდლამ კი, არც აცია არც აცხელა, სწრაფად მიაშურა გასას-ვლელს... უეცრად საგანრიგოს კარებ-ში, სწორედ ზღურბლზე, თამარელა შეეფეთა. თავის შეკავება ვერც ერთმა მოასწრო, ვერც მეორემ. მკერდზე ერთბაშად დაძვერებულ გოგონას ბარ-დლამ უნებლიედ ხელები შეაშველა. რა ეთქმოდა თამარელას, ყველაფერი მისი ზრალი იყო, ბარდლას ხელის უნებ-ლიედ შეშველება კი განზრახ იუცხო-ვა, თვალის ერთი მწყრალი შევლებით და გაღელვებულ მკერდში მჯილის კვრით ქაბუქს უქან დაახვეინა, მაგრამ ბარდ-ლა ისევ კარებში იდგა და თამარელას საგანრიგოში თავისუფლად შესვლა მაინც არ შეეძლო.

— რას მიცინი! იქნებ მე სულაც არ მეციანება!

თამარელას ხმამ ბარდლა გონს მოიყ-ვანა, გაამხნევა კიდევ. თითქო გაეხარ-და, რომ მან ხმა გასცა.

— არ გეცინება?! მამ სატირალი რალა გაქვს შენი... თვალების ნაპერწ-კლის ჰორიმე!

— მერე, უტიე ბიჭო, შენც არ დაგწ-ვას! — იხუმრა გამოფხიზლებულმა აფ-რასიონ უკლებამ.

— დაწვით ერთხელ ხომ დამწვა, ახლა კი ისეთ სიტყვას მეუბნება, იმ დამწვარზე სწორედ მდულარეა! —

ბარდლა-ბიძინამ კარის ჩარჩოს აქეთ-იქით ხელები მიაბჯინა და წინ ისე დაიხარა, იფიქრებდით, კარებში ჯიუტად გაშეშებულ თამარელაზე საკოცნელად მიიწვესო. თუმცა ამ წუთში თამარელას ისე ავად უელავდა თვალები, ისე მოეზიდა ვაფრენილივით ბოლოებასხლეტილი წარბები, ისე მოეკუმა ტუჩები, საეკვო იყო, აგრერივად სხემოქუფრულ გოგონასათვის თვით თავზეხელაღებულ ბარდლა-ბიძინასაც კი, არა თუ კოცნა, ნეკის ოდნავ დაკარებაც გაეხდა. ბარდლას სახე ისე მცეახლოვებინა თამარელასათვის, გარკვევით ესმოდათ ერთმანეთის სუნთქვა...

საკვირველი ის იყო, თუ სხვა დროს, ბარდლასთვის თვალის მოკვრის უმალ თამარელა ქუჩის მეორე მხარეს გადასულა, ახლა არც მორიდება უცდია, არც ადგილიდან ფეხის მოცულა. კიდევ კარგი, ბარდლას „ღმერთი არ გაუწყრა“, თამარელას გამომწვევ მზერას და დგომას თავისებური თავხედობით არ უბასუხა; მაშინ, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა კარებში მათი ერთმანეთთან შეფეთება. ბარდლა-ბიძინამ ამ ერთხელაც დასთმო. ცალი ხელით, რომელიც კარის ჩარჩოს უშვა, დონინჯი შემოიყარა, ცოტა განხედაც მიდგა და თამარელას გზა დაუთმო. საგანრიგოში შემოსულ თამარელას თვალები კვლავ ავად უელავდა, გული კი ისე უძგერდა, ეგონა, აი ახლა გასკდება, აი ახლაო. მის თავმომწონე მისრა-მოხრას ბარდლა-ბიძინამ თვალი გააყოლა. აშკარა იყო, მოეწონა და, ახლა იქნებ ამიტომაც შეუწყუმშა გული რაღაც გამოუცნობმა ტკივილმა. თუმცა, ეს ტკივილი მისთვის არც ისე „გამოუცნობი“ იყო. თამარელასთან დაპირისპირება ბარდლა-ბიძინას გულის სიღრმეში რატომღაც სწყინდა. იღუმალმა გადაწყვეტილებამ კი — დღეს თუ ხვალ მასთან „ანგარიში გაესწორებია“ — მოსვენება დაუკარგა. ბარდლა-ბიძინამ ძალღონე მოიკრიბა

და რაც შეეძლო, დინჯი კილოთი მიიძახა თავის გამწბილებელს. — კაცი რომ გაგეხუმრება, გოგო, თავს ძალიანაც კი ნუ დაიფასებ!..

თამარელას არ მოუხედნია. გაიოზის-ახლოს გრძელ მერხზე წყნარად ჩამოჯდა.

ბარდლა კი განანგრძობდა:

— შენზე უფრო ლამაზებიც გვინახავს!

— კი ბატონო, თუ გინახავს მაგას რაღა ჯობია! — მოულოდნელად მოუჭრა სიტყვა ბარდლას, ახლა უკვე კარგად გამოფხიზლებულმა აფრასიონმა.

— შენ ვილასი ტიკი-ტომარა ხარ!

— ამ ხნის კაცს, ბიჭო, მაგრე უნდა უბასუხო? მადლობელი ვარ ჩემო ბიძია, მადლობელი! — აფრასიონმა ქუდი მოიხადა და თავი მდამლად დაუჭრა ბარდლა-ბიძინას.

მარჯვენა ხელით დონინჯ შემოყრილი ბარდლა-ბიძინა ურცხვი და უდარდელი კაცის ღიმილით ისე გასცქეროდა საგანრიგოში მყოფთ, შეაწუხა კი-არა, თითქო სიცილადაც არ ეყო აფრასიონ უკლებას გამაწილებელი სიტყვა-პასუხიო.

რამდენიმე წუთი გავიდა. ხმა არავის გაუღია. ამასობაში ბარდლამ მხოლოდ პაპიროსი გააბოლა, უცნობმა ვაჟმა კი ერთხელაც შემოიხედა. შემოიხედა და წინანდელზე უფრო მეტხანს დაყოვნდა. ეტყობოდა, ამხანად თვალი თამარელაზე „დაჩა“ მისი გამომწვევი მზერა თამარელას არ შეუნიშნავს. სამაგიეროდ ბარდლამ წაიგრძელა კისერი, ვაჟს ირიბად შეაშტერდა სახეში და დაციხვით იკითხა:

— მოგწონს?! გაგატან, თუ გინდა!..

ვაჟმა ბარდლას გამომწვევად, ათვალწუნებით გადმოხედა და მიიპალა.

— თამარელა, ეგ ბიჭი ისე გიყურებს, ნამდვილად მოწონხარ!.. მაინც გაგვიანდება გათხოვება და, ბარემ გაყევი!

თამარელამ არც ახლა გასცა ხმა.

— თამარელა ისეთი ბიჭის არჩეუ-

ლია, იმასთან ეგ რა არის! — მოულოდნელად წამოიძახა გაიოზმა.

თამარელამ ერთი მწყურალად გადაუბრიალა თვალები გაიოზს — რა შენი საქმეა... ვინ დაგავალა, უპასუხეო.

— ვინ ბიჭია?! — აუჩქარებლად, პაპიროსის ერთი-ორი გაბოლებების შემდეგ, ცნობისმოყვარეობით იკითხა ბარდლა-ბიძინამ.

გაიოზმა ჯერ თამარელას შეხედა, მერე ბარდლა-ბიძინას და, თუმც ერთი წუთის წინ დატუქსეს, მაინც გაბედა ეთქვა:

— შატბია არაბიძე!

თამარელამ კვლავ გადახედა გაიოზს, მაგრამ მის თვალებში ახლა წელანდელი გულისწყრომის ამოკითხვა აღარ შეიძლებოდა. ეს კი თქვა ხმადაბლა — რა ვქნა, ეს ბიჭი თავს მომაკვლევინებსო.

— შატბია?! — ცოტა გაოცებით და წარბშეკმუხვნით გაიმეორა ბარდლა-ბიძინამ. — მაგ რომელია?... ჰო, გამაგონია! შენც ერთი, დამისახლე!.. იმის...

— ბარდლა-ბიძინამ ისე მოურიდებლად დააბოლოვა სიტყვა დედის გინებით, ვითომც სადმე მინდორში მარტო ყოფილიყოს.

თამარელას ჯერ სირცხვილის აღმუქრი შემოენთო, მერე გულწასულივით გაფითრდა. წამოდგომა და გარეთ გასვლა რომ დააპირა, იგრძნო, ახლა საამისოდაც კი არ ეყოფოდა ძალა.

აფრასიონმა ერთი გაოცებით შეხედა ურცხვი ღიმილით თავმომწონედ მზირალ ბარდლა-ბიძინას და მყის ზურგი შეაქცია. გული გაფურთხებითა იჯერა. ბარდლა მიხედა, რასაც ნიშნავდა ეს და რაც გაიფიქრა აფრასიონმა.

ისედაც მოუსვენარი გაიოზი კი ახლა სიბრაზისაგან ისე ატოკებდა ხელ-ფეხს, ისე ცახცახებდა, გეგონებოდათ — აციებო.

— შემაქციეთ, შემაქციეთ ზურგი თუ არა, ამის მეტად და ამაზე უარესი, თქვენმა მზემ, ჯერ არ გაგიფონიათ! —

ბარდლამ ქუდი გაისწორა და დაარღი-მანდული ნაბიჯით იქნით გაეშურა, სადაც გრძელ მერხზე თამარელა და გაიოზი ისხდნენ. ბარდლა უკანა მერხზე, ზურგშეკეცულ აფრასიონს გვერდით მიუჯდა. ცოტახნის მერე მკლავებით წინა მერხის საზურგეს ისე დაეყრდნო, თითქო აქ არაფერიო; თამარელას ხმადაბლა უთხრა:

— ქალ-ბატონო... შენთან ბოდიში... ბოლო სიტყვები, მგონია, ცოტა მლაშე მომივიდა..

უცნობმა ვაჟმა ერთხელ კიდევ შემოიხედა, წამით თვალი გაუშტერა თამარელას და როგორც კი მისი გამოჩენა ბარდლა-ბიძინამ შენიშნა, უმალ მიიშალა.

— კიდევ გამოჩნდა ბედნიერების მაძიებელი... — დაცინვით შენიშნა ბარდლამ, — წელან ვიხუმრე... შენს თავს ვინმეს დავეთმობ?!

თამარელა არც ხმას იღებდა, არც იძროდა. სულ გაქვავდა. ბოლოს, თითქო ამ აბეზარ შენიშვნებზე დასცხო, მუხარადი უცებ მოიხადა და მაგიდაზე დასდო.

— აქამდი მოგეხადა!... რა თქმა უნდა, ასე უფრო ლამაზი ხარ! ვინც შენ შატბაში გიკრა თავი, იმის...

ბარდლა წუთით დადუმდა, მერე წყენით შენიშნა თამარელას:

— თუ სამართალია ქვეყანაზე, მე უნდა გემდუროდე და... შენ მემდური?!

როგორც თამარელასი, ისე გაიოზის და თვით ყოვლად უღარდელი, გულგრილი აფრასიონის მოთმინების ფალაც დიდი ხანია ივისო, „ღალერასაც“ აღარაფერი უკლდა, მაგრამ, კრინტს არ სძრავდნენ.

— რა იქნება ხმა გამცე, ის არ მეყოფა, გონტუს მოლოდინში რომ ვაღარა გამერია?

პასუხად თამარელამ მერხზე აღვილი მოინაცვლა, ბარდლასაგან ცოტა

მოშორებით მაინც რომ მეგდარიყო. ამან ბარდლა უფრო გაახელა. პაპიროსს აჩქარებით მოუკიდა, ერთი-ორჯერ გააბოლა და თვითონაც მოინაცვლა ადგილი... ხელი შეუმჩნევლად თამარელასკენ გააპარა, არც აცია, არც აცხელა და ანთებული პაპიროსი კისერზე ფრთხილად მიადო... გაიოზმა თვალი ძლიერ შეასწრო თამარელას ხელის მოძრაობას. თამარელა მყის წამოიჭრა ზეზე, თვალის დახამხამების უშუალო სტაცა ხელი თავის მუწარადს და ანგარიშ-მიუცემლად უკუღმა, თავგანწირვით სთხლიშა სახეში ბარდლა-ბიძინას.

ამის დანახვაზე აფრასიონიც წამოიჭრა ზეზე, მაგრამ არ იცოდა რა ელოდა; ორ ლერ თმაში, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენოდა თხემზე, ხელი წაივლო და მისი ხმაც უცებ ისე გაისმა საგანრიგოში, თითქო ჭოტმა იყვილაო. თამარელა შუა დარბაზში გასულიყო და ბარდლას თავდასხმას ელოდა; გაიოზიც მისამველებლად მომზადებულიყო.

ბარდლაც, რალა თქმა უნდა, ფეხზე იდგა, მაგრამ ყველაზე ნაკლებად მას ეტყობოდა შემოთება. ჭურთღვიდან გამოგლეჯილი ზამბის გორგალით გულ-მოდგინედ იცობდა ცხვირის ნესტოს. მუწარადი ისე მოხვედროდა, რომ მუშტ-კრივში გამობრძმედილ ბარდლასაც კი წასკდა ცხვირიდან სისხლი. რამდენიმე წვეთი მერხის ახალგასალაშინებულ ფიციარზე წითლად კიფობდა. სად იყო, სად არა, უცნობი ვაეიც მოულოდნელად გაჩნდა. თამარელასა და ბარდლას შუა ჩადგა. ბარდლამ თამარელას ქომაგებს რომ შეაელო თვალი, გაეღიმა: ორი ამდენსაც კი მარტო ცალი ხელით გაუშვალდებოდა, თუ საჭიროდ დაინახავდა, მაგრამ რა უნდა მოეტანა ახლა მისთვის ასეთ გამარჯვებას. ბარდლა ჯერ უცნობ ვაეს მიუბრუნდა.

— რა ამბავია, ვინ დაგიძახათ?

ვაემა ერთი წარბებს ქვემოდან შეხედდა ბარდლას, მერე თავი დახარა, პაპიროსს ფერფლი გააყრევიდა და მშვიდად გააბოლა.

— თუ რამე გაქვს გუნებაში... — დაუმატა ბარდლამ ნათქვამს, მაგრამ რატომღაც ამის განარკვევას აღარ დაელოდა; მოულოდნელად ახლა გაიოზს გადახედა და უშარა — რა გაციუნებსო. გაიოზს სადა ჰქონდა ახლა სიცილის თავი. ბარდლამ ხელი მოუქნია გაფითრებულ ბიჭს; გაიოზმა აიცილინა ეს მოქნევა და მარჯვედ გადაბტა განზე. რახან ბარდლას ყურადღება მიიქცია, იფიქრა ვაეიტყუებო და, კარისაკენ გაეარდა. ბარდლა ხელით რომ ვერ მისწვდა, ფეხი მოიშველია და, ისე მაგრად ამოკრა გაიოზს, საწყალი ბიჭი კარის ზედა ჩარჩომდე შეხტა. ამის დანახვაზე უცებ ბარდლას ერთი მხრიდან აფრასიონი, მეორე მხრიდან უცნობი ვაეი სწვდა მკლავებში.

— ღმერთი არ გწამს, მიკლავ ბლარს?! — სასოწარკვეთილის ხმით დაიძახა აფრასიონმა.

ბარდლას წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია; მკლავები ისე დუნედ ეკორა, უცნობმა ვაემაც, აფრასიონმაც ნელნელა უშვეს ხელი; მაგრამ იმავ წამს ერთბაშად გაშლილი მკლავებით უკუღმა ისე უბიძგა ბარდლამ, რომ ორივენი მოპირდაპირე კედელს ზურგით მიეხეთქნენ.

ბარდლამ ამასობაში ტანსაცმელი შეისწორა, აკუმულატორულ ნათურას ხელი დაავლო და გარეთ გაიქრა.

საგანრიგოში დარჩენილნი ერთის წამით გაშტერებული შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს ისევ მოსალოდნელი იყო. ბარდლას შემობრუნება და რამე უბედურების დატრიალება, აფრასიონმა მოითქვა თუ არა სული, მერხზე მოსხლეტით ჩამოჯდა და ხმის კანკალით წამოიწყა:

— ღმერთო მომკალი... რა ქენი ეს თამარელა.. აღარ გინდა გარეთ თავის გაყოფა?!

— შენ კარგად იყავი, აფრასიონ ბიძია! — ბეჯითად მიუგო თამარელამ,

თუმც გადატანილი შიშისფერების კვალი ახლაც მკაფიოდ აჩნდა სახეზე.

— კაი, კაი ახლა! — შეუწყრა აფრასიონი — ასე მაინც რაზე გეიმეტე ბოლო თავი... ვის ურტყამ ცხვირში, რომ ურტყამ, იცი?!

— ვიცი, — მოკლედ, დინჯად მიუგო თამარელამ.

— რაცხა არ გავს, რო იცოდე...

— აბა, შევარჩინდი..

— რომ შეგვარჩინა ბარემ აუგობებდა.. შე ქალო ის ერთი ნამცეცი დამწვარი კისერზე ხვალ-ზეგ მოგიშუშდებოდა და გათავდებოდა ყველაფერი, შენი ნათხლემში კი სიკვდილამდი ემ-ახსოვრება მაგ ყმაწვილს!

— შეც ეგ მინდა!

აფრასიონმა გადმოქაჩული თვლები იქ მყოფთ მოავლო და დაიძახა:

— გადამრევს ეს გოგო!

— აფრასიონ ბიძია, სანამ კისერს დამწვავდა, მანამდე გული დამწვა მაგ უსინდისომ...

— გული? მაინც როგორ?!

— როგორ და...

— თქვი ბოლო... არ უნდა ვიცოდეთ?..

— შატბიას რომ შეაგინა, ვაბატიებდი?!

— ჰო, ეგ კი მართლა... შენ ავაშენა ღმერთმა! — იყვირა აფრასიონმა და წამოიწია, თამარელა რომ გადაეკოცნა, მაგრამ თამარელა საგანრიგოდან გასასვლელად აქამდისაც მომზადებული იყო და, ახლა რაღა გააჩერებდა.

თამარელა რომ ღერეთანში გამოვიდა, ერთი კი დაფიქრდა, მაგრამ ვეღარ გაიხსენა, რისთვის იცდიდა საგანრიგოში, თავბრუდახვეული ჩავიდა კიბეზე და ანგარიშშიუცემლად შტოლნისაკენ გაეშურა.

თამარელას ერთი წუთის შემდეგ აფრასიონი და გაიოზი დაედევნენ, შორიახლოს ფეხდაფეხ მიჰყვანენ. მათ ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, უმალ გაჩნდნენ ცნობისმოყვარენი. აფრასიონს, ეტყობოდა ვერ მოეთმინა და

ორი-სამი მუშისთვის უკვე ემცნო, რაც საგანრიგოში მოხდა.

ბარდლა-ბიძინას, რასაკვირველია შეუშინებელი არ დარჩენია თამარელა რომ შტოლნისაკენ გაეშურა. ერთი ორჯერ კიდევ შეისხა პეშვით წყალი, დასველებული თმა გადაიწურა, ცალ მხარზე მოსხმული ქურთუკის სახელოთი გადაიწმინდა და დინჯი ნაბიჯით თვითონაც შტოლნას მიაშურა. ამის დანახვაც აფრასიონსაც, გაიოზსაც ერთხელ კიდევ ეცვალათ ფერი. ბარდლასთვის თამარელას მართო შეტოვება ხელში ახლა საშიში იყო. თავიანთი შიში მათ გარს-შემოხვეულ ცნობისმოყვარეებსაც გაუზიარეს; ცოტა კიდევ დააყოვნეს, მერე ორი მესახტე აიყოლიეს და ოთხი კაცი ფეხდაფეხ მიჰყვა შტოლნაში შესულ თამარელასა და ბარდლა-ბიძინას.

ლეონტის ტევრში ჩასვლას დამთხვა საბიგე ძელებით დატვირთული ურამების ქარავანის გამოჩენა მესახტეთა ქალაქში. ამ ამბავმა ყველას ხელახლა მოაგონა „ის კვიმატი“ ბუხალაძე, რომლის დასავეიწყებლად თურმე ორი დღეც კი საკმარისი იყო.

ლეონტიმ იცოდა, ეს შემთხვევა მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა. უფროსების თვალში რომ კიდევ უფრო ამაღლებულიყო, მუშაობაში მთელი არსებით ჩაება. როცა იმ უბანს ესტუმრა, სადაც საბიგე ხეტყეს ამზადებდნენ ადრე წასული ბრიგადები, ლეონტი „ერთი შეხედვითაც“ დაჩრწმუნდა, საქმეს ახლა იმდენად ხალხი არ აკლდა, რამდენადაც მეთვალყურეობა, ხელმძღვანელობა და, ესეც უმალ თვითონ იკისრა. ზუთ დღეში მესახტეთა ქალაქისაკენ ათ-ათი ურემი საბიგე ხეტყის სამი ქარავანი გაისტუმრა. ძველ ბრიგადებს ამასობაში ახალი ხალხი შემოემატა და მუშობაც უფრო გაჩაღდა. ლეონტიმაც გაშალა ფრთები. აქ ყველაფრის ბატონ-პატრონი თვითონ იყო, რაც მის ხალხს და მონღომებსაც ასაკეცებდა.

ლეონტი რომ ამ ყოფაში იყო, არც სულიყო დარჩენილა გულზელდაკრეფილი. საქმე თვითონაც გაიჩინა; არა ერთი ლოზუნგი დაუწერა და პლაკატი დაუხატა ტვერის საბჭოს და კოლმეურნეობას. მან ტვერიდან ფეხის მოკვლა არ ისურვა, ბუზალაძეს არ აედევნა, რადგან აქაური ყველაფერი მოსწონდა: ბუნება—სულის საზრდოდ, ქალები—სალაციოდ, მოხუცები—ძველი და ახალი ამბების მოსათხრობად. ვიდრე ლეონტი სოფლიდან სოფელში დათარეშობდა, ტვერში „ჩამომხტარი“ სულიყო არცთუ ისე მოუთმენლად ელოდა მის დაბრუნებას. სულიკოს ამ დღითაც გვიან გაედვიდა; ოთახში რომ ვერაგის მოკვრა თვალი, ძილი კინაღამ შეიბრუნა, მაგრამ, როგორც იყო, სიზარბაცეს სძლია და ტანთ ჩაიცვა. შარვლისა და პერანგის ამარა, ფეხშიშველი აივანზე გამოვიდა: აქაც არავინ ჩანდა. მარტო, მოაჯირის ხარისზე დიდი შავი კატა იჯდა, რომელსაც წინა მარჯვენა ფეხი და მარცხენა ყური ჰქონდა თოვლივით თეთრი. კატამ ზანტად შემოხედა სულიკოს და თანაც ისე შემოკნავლა, თითქო ეკითხებოდა — რა გნებავთო.

სულიკომ აივანიდან მეორე ოთახშიაც შეიხედა თუ არა, დარწმუნდა, ყველანი გაკრეფილიყვნენ. სასადილო ოთახში, ქათქათა სუფრაგადაფარებულ მაგიდის ერთ კუთხეში გაწყობილი იყო საუზმე: სულიკოს ყურადღება უნებლიეთ მიიქცია ძველისძველმა ხელადამ, რომელსაც ისე ლამაზად ეცო შარშანდელი, გაყვითლებული ფუჩეჩი, დახატულივით ჩანდა. ხელპირის დასაბანად სულიკომ ჰსათან რომ ჩაირბინა, შორიხლოს აეთანდილს მოკვრა თვალი. იცნო, მაგრამ სახელი არ გაახსენდა.

— ბიჭო!

ეთანდილი ჩქარი ნაბიჯით გამოეშურა სტუმრისაკენ. სიარულში მარცხენა ხელს გამალებით იქნევდა წინ და

უკან, მარჯვენა კი სულ ერთთავად ზურგს მოფარებული ეჭირა.

— დილა მშვიდობისა... ^{ლმომლით} მიესალმა სულიკო რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერებულ, მორცხვად მზირალ აეთანდილს და თავით ფეხებამდე ათვალა-ჩაათვალიერა. ბიჭს შარვალი მუხლებს ქვემოდ ერთი ხელის დადებამდე ჩამოსწოდა და ისე უჩანდა, თითქო სადაცაა უნდა ჩასძვრესო. შიშველი კანკები კი ეკალ-ბარდში ძროშით სულ დაკაწრული და ალაგ-ალაგ დასისხლიანებულიც ჰქონდა.

— ეგ ხელი რატომ გიჭირავს ზურგს უკან, რამეს მიმაღე?..

სულიკოს შენიშვნაზე ბიჭს ეშმაკურად გაეღიმა; სტუმარ ძიას შუბლს ქვემოდან შემოხედა. შიშველი ფეხის თითებს შუა მომწყვდეულ ბალახს წიწკნა დაუწყო.

— მითხარი, ნუ გეშინია! — სულიკო თვითონ მივიდა ბავშვთან, ის არც ადგილიდან იძროდა, არც თავს სწევდა მალა. აეთანდილმა მხოლოდ მაშინ სცადა გაძლიანება, როცა ზურგს უკან ამოფარებული, მუქში მომწყვდეული ბარტყის გამორთმევა დაუპირა სტუმარმა ძიამ; ალბათ იფიქრა, უნდა წამართვას და გაუშვასო. ამასობაში აეთანდილს ბარტყისათვის როგორღაც ხელი გაეშვა. ბარტყმა დაბლა ფრენით ფშანებს შეაფარა თავი.

— მაგისთანას კიდე ბერს დაიჭერ!.. მოდი ერთი, ეს წყალი დამისხი, შენს გაზრდას.

ეთანდილმა სათლით ჰიდან ამოღებული წყალი ერთბაშად, მოუზომავად დაუსხა სულიკოს.

— ნელა, ბიჭო... საშავიეროს მიხედი?... სულ დამისველე შარვალი.

როცა სულიკომ სახე და გულმკერდი შეიმშრალა, ხის ტოტების ხმელ კაწეწებზე ჩამოკიდებული პერანგი კვლავ ჩაიცვა. თავის ვარცხნას რომ შეუღდა, უცებ აეთანდილს გაკვირვებით მიუბრუნდა.



— ეს შინაურები ასე როგორ გამე-
პარენ... შენთვის არაფერი უთქვამთ?

ეთანდილს არ შეუხედნია, ისე, ნა-
ჭევრადგაბუტულის კილოთი მიუვთა:

— როცა აღგება, ხელპირი დაბანე,
მერე ისაუბროს და, თუ სხვაგან არსად
წავა, ჩვენ დაბრუნებამდე არ მოიწყი-
ნოსო... ასე დამიბარა მანანა ბიცოლამ.

— ენაცვალოს სულიყო მაგ შენს
მანანა ბიცოლას!..

სულიყომ ხუმრობის, თუ მოფერების
ნიშნად ერთხელ ეთანდილსაც დაუსვა
თმებზე სავარცხელი. ეთანდილი წა-
მოწითლდა. სავარცხლის ჩამოსმა თვი-
თონაც მოფერებდა ჩასთვალა და გუ-
ნებაში ესაიმოვნა. ნახევარი საათის
შემდეგ, ნასაუზმები, კოხტად მორთუ-
ლი სულიყო სოფლის საბჭოსაკენ გაე-
შურა.

სულიყომ დღეს თავი გამოიღო. გა-
რეშეს აზრით იღვილი არ იყო სამ
ტილოზე სამ-სამი მეტრის სიგრძის
ლოზუნგების დაწერა, ორმეტრიან თეთ-
რად შეღებულ ფანერაზე, „პრადე-ში“
მოთავსებული კარიკატურის გადმოხა-
ტვა-გაღიდება და ნებისმიერად გაფე-
რადებაც კი. სულიყოს „ოსტატობით“
ყველა გაცივებული იყო. ტვერში მან
ისე გაითქვა სახელი, ყველა მზად იყო
„სულში ჩაეძვინათ“ იგი. საბჭოს
თავმჯდომარემ მუშაობაში გართულ
სულიყოს ორჯერ დახედა: ნამუშევარი
დიდად მოუწონა, წააქეზა — სამაგიერო
პატივისცემა ჩვენზე იყოსო. სული-
ყოს თუმცა აინტერესებდა, რით გამო-
ხატვედა სიკო ამ „სამაგიერო პატივის-
ცემას“. მაგრამ კითხვა ვერ გაუბედა.
სულიყო დღის ბოლოს, თავისი გარ-
ჯით შინ კმაყოფილი ბრუნდებოდა.

რახანია წასასვლელად მომზადებული
მანქანა რაფიელის კიშკართან, შრა-
გზაზე ელოდებოდა სულიყოს. შოფრის
გვერდით ლეონტი გაქიმული და სასა-
ცილოდ კისერგაშეშებული იჯდა. სუ-
ლიყოს დანახვაზე მან ერთი მწყურალად
მოიხედა და მწყურალადვე უხმო. დაუჩ-
ქარე, დაუჩქარეო.

სულიყომ გაკვირვებით შეხედა ბუ-
ზალაქს. მისი კილოც ეუცხოვა, გამო-
მეტყველებაც. „რას იზღვირება, რო-
გორ მეძახის, მაგის ტექნიკური მდივა-
ნი ხომ არა ვარ“ — გაიფიქრა და დამ-
ცინავი კილოთი შორიდანვე იკითხა:

— რა მოხდა, ლეონტი?

მანქანის უკანა კარის სახელურს კი
წააელო ხელი სულიყომ, მაგრამ ყოყ-
მანზე ეტყობოდა, ჩაჯდომას ჯერ არ
აპირებდა.

— ამხანაგო სულიყო, თუ კაცი ხარ,
ნუ გადაგვყოლე, დაჯექი, მიედივართ,
გვაგვიანდება. თქვენი ნივთები... ერთი
სიტყვით, ყველაფერი მანქანაშია, ნუ
გეშინიათ, არაფერი დაგვეჩიუებია!..

— კი მაგრამ, თუ რაფიელს არა,
ღიასახლისს, მანანას მაინც არ გამოე-
მშვიდობებოდნი?.. სირცხვილი არ იქნე-
ბა ისე პატივნაცემი...

— ვის გამოემშვიდობები, სახლში
არავენია!.. მალლობა... შენს მაგრვრალაც
გადახდილია! — ცალყბად შენიშნა
ლეონტი.

სულიყომ მანქანის კარი სწრაფად
გააღო და უკანა სავარძელზე მოწყვე-
ტით დაენარცხა. უკანა სავარძლის კუთ-
ხეში მიდგმულ, თავწიკრულ კალათაში
ჩამწყვედეულმა, აქამდე გაბუსუნებულმა
გოჭმა უმაღ იქყვირა, რაწამს სულიყოს
დანარცხებისას სავარძლის ზამბარებმა
კალათა მალლა შეისროლა.

— ეს რაღა ეშმაკია! — იყვირა გოქის დაჰყვირებაზე შეშინებულმა სულიცომ.

— რა გინდა ძაო, შენმა გოქმა წელიდან იმდენი მარბენინა... კალათაში რომ ჩავსვით, ამოგვიტა, ფეხიც გავხსნა მაგ რჯულ-ძალს!.. — საყვედურით გადმოსძახა იაშამ სულიცოს და მანქანაც დასძრა.

ვიდრე შოფერი ლაპარაკობდა, სულიცო იმ გოქივით განაბული უსმენდა. აქამდე თუ აზრდაც არ მოსვლია, ახლა ყველაფერს მიხვდა. მაშ ეს გოქი იყო საბჭოს თავმჯდომარის „სამაგიერო პატივისცემა“? მართალია, ერთი გოქი როგორ აღნაზღაურებდა ტევრში გაწეულ შრომას, მაგრამ ამ უცნაურმა პონორარმა სულიცო ისე გაახარა კმაყოფილებას ვეღარ ფარავდა.

— იაშა! შენი შრომა ანაზღაურებული იქნება, როცა ამ გოქის აღსასრულის დღე დადგება!

— ძალიან „გულუხვი“ ყოფილხარ. — შენიშნა სულიცოს ლეონტიმ. სულიცოს ყური არც უგდია ლეონტის დამცინავი შენიშვნისათვის. სურვილი არ ასვენებდა — ნეტავი ერთი შემახვდა ჩემი გოქისათვის; ისე რომ იყვირა, ტანად რამოდენააო. კალათი ფრთხილად ასწია, წონის შეტყობა სინჯა.

— ლეონტი! — მოულოდნელად მიუბრუნდა სულიცო გაშეშებულივით მჯდარ ბუზალაქეს, რომლის ბეჭებიც მის თვალწინ ერთთავად სასაცილოდ ტოკავდა მანქანის მოძრაობის და ოღროჩოლოების მიხედვით. — ლეონტი სევასტიევიჩ, არ მეგონა, თუ საქმეებს ასე მალე მოათავებდი!

— რაღა მალე!... ან მოთავება ჯერ სად იყო, მაგრამ... სასწრაფოდ დამიძახეს...

— დაგიძახეს?! — ისე ტრაგიკულად შემოსჩურჩულა უკანა სავარძლიდან ერთბაშად წინ წამოხრილმა სულიცომ, კაცი შეშინდებოდა.

ისედაც ათასი ვარაუდით შესწოთებული ლეონტის ახლა მეტიც აღარ უნდოდა. ამ „დამიძახეს“ ყოველ გზსტყებაზე მემახტეთა ქალაქამდე ლეონტი ისე მოუსვენრად იშმუშნებოდა, თითქო კისერში თმის ნაბარსი ჩასცვენია და ჩხვლეტსო.

მანქანა ლეონტიმ რაიკომის წინ გააჩერებინა იაშას. როგორც ტევრში შეიტყო, სწორედ რაიკომიდან დაერეკათ მისთვის. შახტაში სასწრაფოდ დაბრუნებას კი სთხოვდნენ, მაგრამ მიზეზს არ ატყობინებდნენ. სწორედ ამ მიზეზის შეტყობის მოლოდინში მთავარი სული დალია ლეონტიმ და ახლა, რაიკომის კიბეზე ისე მიაბიჯებდა, თითქო იქიდან დაბრუნება აღარ ეწერა.

როგორც კი ლეონტი თვალს მიეფარა, სულიცოც გადმოვიდა მანქანიდან და თითქო სეირნობსო, დინჯად იწყობოლის ცემა შენობის წინ. შემდეგ ნელა აუყვა ქვის კიბეს; ორი წუთიც არ გასულიყო, რომ ის შენობიდან სწრაფად გამოვიდა. კიბეზე ჩამოირბინა, მანქანაში მოსხლევით ჩაჯდა და მუხლის გასამართავად შორიასლოს მოსეირნე იაშასაც მიიძახა:

— ლეონტი სევასტიევიჩმა შემოგითვალა, სანამ რაიკომში ვარ, სახლამდე აიყვანე. — ბოლო სიტყვაზე სულიცომ საჩვენებელი თითი მკერაზე მიიღო, — და მალე დაბრუნდიო.

იაშას სულიცოსათვის არც შეუხედნია, კები თავზე უკეთ მოირგო და უხმოდ მიუჯდა საქეს.

მანქანის წასვლის შემდეგ ხუთი წუთი არ გასულა, რომ რაიკომიდან ბუზალაქეც გამოვიდა. იერზედაც, ნაბიჯზედაც ეტყობოდა — მისი ეჭვები კეთილად დასრულებულიყო და ახლა წინანდებურად მხნედ გრძნობდა თავს. მართალია, რაიკომის არც პირველი, არც მეორე მდივანი არ დახვდრია, მაგრამ სოფლიდან ასე სასწრაფოდ

უკან გამოწვევის მიზეზი მაინც შეიტყუო. ამ დილით შახტის უფროსი ლუკა ნიორაძე მძიმედ დაშავებულა და შახტი „უპატრონოდ“ დარჩენილა. „უპატრონო“ არავის უთქვამს, ეს თვითონ „დაასკენა“ ბუზალაძემ...

რაიკომიდან გამოსული ლეონტი გოცლაძე, მანქანას რომ თვალი ვეღარსად მოჰკრა. რას წარმოიდგენდა, თუ სულაც შოფერს გაიტყუებდა; სხვა დროს ლეონტის ეს ამბავი ძალზე გააჩინებდა: ახლა კი ერთი ორჯერ გაკვირვებით გაიქნია თავი. ცოტა შეიცადა, იქნება იაშა სათმე გამოჩნდესო, მერე ხელები უკან შემოიწყო და შახტების ცენტრალური უბნისაკენ გაეპარათა. სულ ერთია, გზად საავადმყოფოში უნდა შეველო, მომავლადეი ლუკა ენახა. ბუზალაძეზე ცოტა ადრე ლუკას სანახავად მოსულნი — ნიკო არაბიძე, ელიზბარი, ქარქაშაძე და ბრაქული ქვედა სართულის მოსაცდელში შეგროვილიყვნენ და ელოდნენ, დართავდა თუ არა ქირურგი ავადმყოფის ნახვის ნებას.

როცა ლეონტი გამოჩნდა, მის სახეზე ყველამ დიდი მწუხარება ამოიკითხა. ის არც კი მისალმებია ამხანაგებს; წუთით მათ ახლოს შეჩერებულმა დათრგუნვილის ხმით იკითხა — რას ამბობენ, როგორ არისო და, პასუხს აძარ დაელოდა, ფრთხილი, დინჯი ნაბიჯით მეორე სართულს მიაშურა.

ავადმყოფთან არც ლეონტი შეუშვეს. მან მხოლოდ ოდნავ გაღებულ კარებში შეიჭვრიტა. ოთახში, კარის მოპირდაპირე კედელთან რკინის საწოლზე იდო დათრგუნვილით გადათვრებული, თავით ფეხამდე დაბინტული სხეული; და ამ თოვლის საფარველედან ჩანდა მხოლოდ ნაცნობი ცხვირის წვეტი; თითქო ამის მეტი აღარაფერი დარჩენილიყო ლუკა ნიორაძისაგან.

ლეონტი ერთი წუთი გარინდული იცქირებოდა კარის ღრიტოში, მერე ზურგს

უკან, შორიახლოს მდგომ ქირურგს მიუბრუნდა. მკლავში ხელში გამოხდოდა ხმადაბლა ჰკითხა: *ბიზნისიქიქიქი*

— გადარჩება?

ქირურგმა ჯერ ეჭვის თვალით გადახედა ლეონტის. ცოტა მოგვიანებით უპასუხა ბუზალაძეს — მაგის თქმა ძნელიაო.

ახლა ლეონტიმაც დახარა თავი. წუთიერი ღუმილის შემდეგ კი ერთი მძიმედ ამოიოხრა და კიბეს მიაშურა, ძალიან ძნელი იყო, უბედური ლუკას ხვედრს არ შეეძარწუნებინეთ. ლეონტისაც ებრალებოდა და ენანებოდა ასეთ ყოფაში ჩავარდნილი ნიორაძე. ბევრმა მოგონებამ გაიღვიძა ბუზალაძის ხსოვნაში, რაც შახტის უფროსსა და მას ერთმანეთთან აკავშირებდა. მაგრამ ერთი, ასე შემორჩენილივით აკვირებული ფიქრი ლეონტის ყველა დანარჩენ მოგონებებს სჯაბნიდა... „ყველაფერი ბედია“. — ფიქრობდა ლეონტი. — „იღბალია მაგ უბედურისათვის, რომ ამ დილით შახტაში შესვლა მოისურვა და ეს ამბავი შეემთხვა... იღბალია ეს ყველაფერი ჩემთვისაც... თუ ბედი მწყალობს და უკეთეს მომავალს მპირდება“...

ლეონტის დიდხნის ნასათუთვე ოცნებას, ჩანს, ეწერა ახლომა, რახან ლუკა ნიორაძე ბედმა ასეთ დროს და ასე გასწირა.

ნიკო არაბიძე და სხვები ლეონტის მოუთმენლად ელოდნენ, გამოჩნდა თუარა იგი პირველი სართულის დერეფანში, უმალ შეეგებნენ. ლეონტიმ თავი უფრო ჩაღუნა, ნაბიჯს კი მოუჩქარა და ისე გაიქრა გარეთ, თითქო აქამდე სული ჰქონდა შეგუბებული და სუფთა პაერზე გამოსვლას ისწრაფოდაო. ერთხანს უსიტყვოდ მიაბიჯებდნენ ყველანი, მერე ნიკომ საყვედურით დაიწყო:

— თქვი, შე კაცო, რას ამბობენ ეჭი-
მები. ხომ ხედავ, აღარა ვართ...

— ჩვენ კიდევ ვართ და კიდევ ვიჭ-
ნებით, იმან იკითხოს თუ არა...

— რაო, გათავდა?! — დაიძახა ბრა-
ჰულმა და წინ წახტა.

— არა, ღმერთმა დაიფაროს, მაგ-
რამ... — ლეონტიმ სიტყვა განზრახ
გაწყვიტა... — მგონია... ბევრიც არ უკ-
ლია!

— აუჰ! — შეკივლებით იტკია შუბ-
ლში ხელი ბრაჰულმა. — მერე და
შაგისთანა კაცი სიკვდილს ასე დავანე-
ბოთ?! —

„როცა კარგად ვართ, მაშინ ერთ-
მანეთის ცუდად ყოფნა გვენატრება,
როცა ცუდად გავხდებით, გვინდა სულ-
ში ჩავიძვრინოთ ერთმანეთი და ბოლოს
ყველაფერი ასე ვაი-ვიშით, ბრაჰული-
სებური მაიმუნობით თავდება“. გულის-
ტივილით გაიფიქრა არაბიძემ.

— სად მოხდა მარცხი? — იკითხა
ლეონტიმ.

— ჩემთან. — დაუყოვნებლივ მიუგო
ნიკომ.

ლეონტიმ ერთი აღმაცერად შეავლო
თვალი არაბიძეს. — ახლა ეს გვეპირვე-
ბოდა?

— ბარემ არ გვეპირებოდა ლეონ-
ტი სევასტიევიჩი, მაგრამ... — ჩაერია
ბრაჰულიც.

— მაინც, სად, როგორ დამარცხდა?...
ადამიანის შვილი არ იყო იმ არე-მარე-
ზე, რომ მიხმარებოდა?!

— იყო, მაგრამ... რას გააწყობდი?...
ის ოხერი ზბოიკა გაჰქედილა აზვავებუ-
ლი ნახშირით... — უხალისოდ დაიწყო
ნიკომ, — ზემოდან ნამეტანი ბევრი ეყა-
რა, ისევ ქვევიდან გადაეწყვიტათ ბი-
ჭებს ნახშირის გაჰქედილი ლოდის გა-
მოთხრა. ასულა, შენ ხარ ჩემი ბატონი,
მნგრეველი. ბევრი ეწვალა თურმე, ბევ-

რი უეირკიტა შორიდან რკინის გრძელი
ჯოხით, მაგრამ ვერ დასძრეს ამსახლებაში
ლუკას ჩამოუვლია. — ნიკომს მხარები
აიჩეჩა, — მაინც რა იყო, არ მახსოვს
ლუკა რომ დილით შახტში ჩამოსული-
ყოს, დღეს კი, რაღაც კვიმატად... ჩა-
მოუვლია და საგონებელში ჩავარდნი-
ლი ხალხი, რომ დაუნახავს, გამოუძახ-
ნია ამფეთქებელი, აუღიათ პნევმატური
ჩაქუჩი და შესულან. ჯერ კიდევ არ ყო-
ფილან გაჰქედილ ლოდამდე მისული,
რომ იზუვლა თურმე ნახშირმა და ორი-
ვე ქვეშ მოიყოლა... მუშა გვერდზე მოხ-
ვედრილა და ისე არ დაშავებულა, ლუ-
კას კი ეტყობა ვედარაფერი მოუსწრია,
ნახშირის ზეავს წაუქცევიდა და ზედ
გადაუვლია... ცოცხლად დაუმარხავს
კაცი.

აქამდე თუ ნიკოს ნაამბობს ყურად-
ღებით ისმენდნენ, ახლა უცებ ყველამ
თავი დახარა.

არაბიძისას მიმავალი, მანქანაში ნე-
ბიერად გართხმული სულიყო ფიქრს
მისცემოდა. მისი ფიქრები ახლა სულ
იმ გოქს დასტრიალებდა, რომელიც კა-
ლათში დროდადრო ყრუდ წაიღრუტუ-
ნებდა ხოლმე... „გოქს ვასასუქებლად
ნიკო ბიძიას დაეუტოვებ. დეკემბერში
ერთი-ორი დღით ჩამოვალ, დეაკვლე-
ვინებ და თბილისში წავიღებ. ნახევარს
ხორცად ბაზარში გავაყიდვინებ ეის-
მეს, ნახევარი კი შინ დაგვეპირდება.
გაყიდული ხორცის ფასად ვიყიდი დე-
ფიციტურ საქონელს, ჩამოვიტან მეშახ-
ტეთა ქალაქში, ან სოფელ ტევრში და
გადავცვლი ლობიოსა და ხორბალზე.
ერთ გოქს კიდევ გავასუქებინებ ნიკო
ბიძიას და.. ჯერ ისე არ ჰქირს, მაგრამ
რაც უნდა ვაპირდეს, ჩვენ მაინც ოო-
ლად წავალთ...“

როცა მანქანა შეჩერდა, სულიკოც მყის გამოერკვა. არაბიძის ჭიშკართან მანქანიდან დინჯად გადმოვიდა. იაშას ცოტა არ იყოს გაუკვირდა, სულიკომ კალათა რომ მანქანაში დასტოვა. შოფერი ვერ მიმხვდარიყო რას ნიშნავდა ეს ამბავი. ვიდრე ჭიშკარამდე მივიდოდა, სულიკომ მოიხედა და „გაოცდა“ — ეს იაშა ასეთი „მიუხვედრელი“ როგორ არისო. როცა სულიკომ ერთი შეხედვით ვერ მიახვედრა შოფერი გულისნადებს, რა გქნა, დაბრუნდა, ხვეწნით უჩურჩულა.

— იაშა! მეცი პატივი, ნუ გამოამკვინებ ამ უცხო ხალხში. მიმიტანე კალათა სახლის კიბემდე... ერთი შეხედვით არავინ ჩანს ამ არემარეზე, მაგრამ ვინ იცის, რამდენი გვითვალთვალებს ღობის, აივნის, ფანჯრის დარაბების ქუქრუტანიდან — აბა არაბიძის ეზოში რა შეიტანეს და რა გამოიტანესო... ესეც რომ არ იყოს, ხომ იცი, აქაო-და თბილისელი მხატვარიო, რანაირად არ გამპორავენ, ხელში რომ მაგ სოფლური კალათა დამინახონ!...

ამ სხაპსხუბით ნაჩურჩულეზე იაშას არაფერი უპასუხნია, შეეცყო კია, სულიკოს თხოვნის შესრულება ძალიან ეძნელებოდა — „ამას ნეტავი სადგურის ხუთმანეთიანი მუშა ხომ არ ვგონივარო“ — გაიფიქრა წყენით, მაგრამ ხათრი მაინც არ გაუტეხნია. მანქანიდან სწრაფად გადმოვიდა, კალათას ხელი დასტაცა და ის იყო არაბიძის ჭიშკრისაკენ გააქანა, რომ სულიკომ მკლავში ხელის წაელებით და თვალების იდუმალი მოწყურებით შეაჩერა.

— თუ ძმა ხარ, იაშა, ამოიყვანე ერთი ეგ გოჭი კალათიდან.

იაშამ სულიკოს ეს თხოვნაც უხმოდ შეასრულა. წინა და უკანა ფეხებ გაავებული გოჭი იაშას ახლა ხელში ეჭირა და ელოდა რას „ინებებდა“ სულიკო.

— იაშა... ოღონდ ეგ გოჭი დააქყვირე და... რა გინდა ჩემგანს!.. კაცო, ჩვენი

ჩამოსვლა ამ არემარეს მაინც არ ვამცნოთ?!. ვის ვემალებით, ეჟუ ვცემქ!

იაშას ახლა კი მოუვიდა გულმკნქანა

— მე ამის დაპყვიერებელი არა ვარ!... შენ კი იქნება მრავალკამიერიც ამღერებინო! ა, ძმაო შენი გოჭი. დმერთმა მოგახმაროს!...

იაშამ ისე მოულოდნელად შეაჩერა გოჭი სულიკოს, რომ მანაც უნებლიედ სტაცა ხელები წინა და უკანა ფეხებში და გულზე მიიხუტა, იაშას კი გუბილებულის თვალთ გადახედა. სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხა, კალათზე თვალთ ანიშნა:

— რახან შეგპირდი, გაჩუქებ, წაიღე. მშვიდობაში — სულიკო არც დაშვიდობებია, ისე შეაქცია ზურგი შოფერს და სწრაფი ნაბიჯით ჭიშკარს მიასურა.

იაშამ მეტის სიბრაზისაგან დონიჯი შემოიყარა. ეჩქარებოდა, მაგრამ ადგილიდან ვეღარ დაძრულიყო. სულიკოს თვალი გააყოლა და ბოლოს გულისჯავრი ისევ კალათზე იყარა; ერთი ისე წაუქნია ფეხი, კალათა ჰაერში ბურთივით ავარდა და არაბიძის ღობის სარზე კოხტად ჩამოეცო.

როცა მანქანა წასასვლელად ათუხთუხდა, სულიკოს უკვე ჭიშკრის ზღურბლისთვის გადაებიჯებინა. იაშას გამოსაჯავრებლად, თანაც თავისი ჩამოსვლა რომ „ქვეყნიერებისათვის“ ემცნო, გოჭს ერთი მაგრად უჩქმიტა კანზე. გოჭმა წამოიქყვირა, მაგრამ უმაღლ გაუჩრდა. სულიკომ იფიქრა — აგრე არ უნდა გაჩუმებო და ერთხელ კიდევ უფრო მეტად უჩქმიტა. გოჭი ახლა ისე უეცრად და დონიერად შეხვანხვალდა, სულიკოს ჯერ წინა, მერე უკანა ფეხებზე უნებლიედ შეეშვა ხელი...

წუთით გამტერებული სულიკო გონს მოვიდა თუ არა, „ახია ჩემუო“ — გაიფიქრა და გოჭს გამოენთო, გოჭი შორი-ახლოს, ღობის ძირას ჩრდილში შეფარებულიყო და სულიკოსაკენ თითქო არც იყურებოდა, მაგრამ პატრონის მიპარვით მიახლოვების უმაღლ მოსწყედა ადგილიდან და ჯერ მაღალ ბალახში

გაუჩინარდა, მერე ბუჩქებში. ბოლოს შორს, ღობის კუთხეში ერთხელ კიდევ გამოჩნდა მისი თეთრი, ქათქათა ჯაგრიანი ზურგი. ამის მეტად იგი სულიკოს თვალს აღარ უხილავს. ის არემარე სულიკომ ძეხნით შეაწრიალა. როცა იმედი გადაუწყდა — ასე რას გავხდებო, — ასმათი ხევეწნით, თხოვნით და ბოდიშებით მეზობლებში გავზავნა — თუ ასეთი და ასეთი გოჭი სადმე გამოჩნდეს, იცოდეთ სულიკოსია და არ გაუშვათო. მაგრამ ამ საქმეს ვერც მეზობლების გაფრთხილებამ უშველა.

რახან ლუკას მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, ლეონტიმ გადაწყვიტა — მისი დღეები დათვლილიყო და, თუ მას სურდა, შახტის უფროსის სავარძლის დაქვრია სხვას არ დაეწყო, საჭირო იყო გაბედული ნაბიჯის გადადგმა, აქტიური მოქმედება.

ღამით, მესამე ცვლის გასტუმრების შემდეგ, ელიზბართან და ნიკოსთან ერთად ბუზალაძემ კვლავ ინახულა საავადმყოფოში ექიმები, ავადმყოფის ოთახშიაც ერთი-ორი წუთი მდუმარებაში დაჰყვეს. ლეონტიმ ლუკას სასოწარკვეთილი მეუღლეც გაამხნევა და მერე უბედურ ქალს ყველა ისე დაემშვიდრება, თითქოს პანაშვილზე ყოფილიყვნენ.

ნიკო ისევ შახტისაკენ გაეშურა; ლამის ცელაში გადაწყვეტილი ჰქონდა უბნის მონახულება. ლეონტი და ელიზბარი კი შინ წავიდნენ; გზაში ლუკას უნუგეშო მდგომარეობაზე ლაპარაკობდნენ. როცა წუთით ელიზბარის სახლის წინ შეჩერდნენ. ლეონტისთან გამომშვიდობების წინ პარტკომის მდივანმა ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— ვინ იქნება აწი შახტის უფროსი? ეს დაუფიქრებელი კითხვა მწვევედ მოხვდა გულში ბუზალაძეს მაგრამ არა შეიმჩნია-რა. თვითონაც „მიამიტად“ მიუგო პარტკომის მდივანს:

— ჯერ რა დროს მაგზე ლაპარაკია... იქნებ წამოდგეს კაცნი ფეხზე!

— ისე წამოდგა, ლეონტი, შენი მტერი! — სინანულით შენიშნა ელიზბარმა და ხელიც უნუგეშოდ ჩაიჭინა. მის იმედგადაწყვეტილ სიტყვებში უფრო იგრძნობოდა გულისტკივილიც და ლუკას გადარჩენის წადილიც, ვიდრე ლეონტის ვითომდა სანუგეშო ვარაუდში.

ბუზალაძეს სიტყვა აღარ გაუვრძობებია. ხელი სწრაფად გაუწოდა ელიზბარს და თავისი გზა განაგრძო. „ახლა მართლაც ყოველ დღეს და საათს კი არა, ყოველ წუთსაც მნიშვნელობა აქვს“ — გაიფიქრა და შესდგა. სახლამდე დიდი მანძილი აღარ იყო დარჩენილი. მისი ორსართულიანი სახლის ზედა სართული ახლა მთვარის სინათლეზე, ხელის გულივით ჩანდა. დახურული ფანჯრის შუშები მკრთალად ლაპლაპებდნენ. ღია ფანჯრების სწორკუთხედები კი ამოღამებული იყო. ერთ-ერთი ღია ფანჯრის სწორკუთხედში მან ძლივს გააჩნია ადამიანის სილუეტით.

მიხვედრა არ უნდოდა, მეუღლე ელოდა. ლეონტის არ უყვარდა, თუ ცოლი დაძინებული დახედებოდა, რადგან სულ უმნიშვნელო თვით მომსახურებასაც კი კაცის ღირსების შელახვად თვლიდა. მორჩილებასა და მომსახურებას არა მარტო სამსახურში, ხელქვეითებისაგან, არამედ, ოჯახში შინაურებისგანაც, მოითხოვდა. შინაური იქნება, თუ გარეული, როგორც კი გაანებვირებ, მერე მისი იმედი ნულარ გექნებაო, — ხშირად უფიქრია ბუზალაძეს. თავისუფლება სიტყვაში უფრო სწამდა, ვიდრე საქმეში; და თუ უფროსებთან თავს მონურად ხრიდა. ამასვე მოითხოვდა ხელქვეითებისგანაც. ბოროტი მას უფრო უფლების სხით ჰქონდა წარმოდგენილი, ვიდრე რკინის რგოლებისა; და ამ „უფლებრივ“ ბოროტს

უყოყმანოდ უყრიდა ყველას, ვინც ზედმეტი სიტყვის თქმას შეებდავდა, ან ზედმეტად თითს შეარხევდა. ლეონტიმ შახტში თავისი სიმკაცრით უფრო გაითქვა სახელი, ვიდრე უნარიანი ხელმძღვანელობით; ფანტიკურად სწამდა, თუ ასე არ მოიქცეოდა არავინ მისი მორჩილი და პატივისცემელი არ იქნებოდა; უკმეზობა მისთვის მკრეხელობა იყო, და ამიტომაც წესიერ ადამიანებად მართო მლიქვნელები მიაჩნდა.

წამით ასე, ჩაფიქრებული იდგა ლეონტი. მერე კიდევ გახედა მთავრით განათებულ სახლის ფანჯრებს, მოუთმენლად მომლოდინე ცოლის სილუეტს; ვინ იცის, როგორ ეძინებოდა ახლა, ასე, წლითი წლობამდე მოლოდინში გატანჯულ ქალს, მაგრამ ბუზხალაძეს ასეთი „წერილმანებისათვის“ არ ეცალა. ერთი კი ინატრა — რა აჯობებდა ახლა ამ მოშვიებულ კუჭზე შინ მისვლას, ერთ კარგ ვახშამს და მოსვენებასო, — მაგრამ უმალ უკუავდო ეს „მაცდური“ აზრი. მან ერთბაშად იბრუნა პირი შახტისაკენ. კომპინატის შენობის მისასვლელს რომ უახლოვდებოდა, შორიხლოს თვალი მოკრა ნიკოს, მას უკვე გადაეცვა სპეცსამოსი და შტოლისაკენ მიიბიჯებდა.

ლეონტი კიბეზე წელა ადიოდა, მაგრამ გული ისე უძვევრდა, იძულებული იყო, დროდადრო შეჩერებულიყო და სული მოეთქვა. მეორე სართულზე რომ ავიდა, ხმაშალალი ლაპარაკი შემოესმა; დერეფნის ბოლოში საერთო საგანრიგოს ღია კარიდან მოპირდაპირე კედლამდე შუქი აბრეშუმისით ეფინა იატაკს. ლეონტი იქით გაეშურა. ხმაზე იცნო მთავარი ინჟინერი ლევანი, რომელიც გაცხარებით ლაპარაკობდა. ლეონტის ახლა სულაც არ აინტერესებდა, ვისთან, რის თაობაზე ჰქონდა დავა მთავარ ინჟინერს. ნახევრად ბნელ დერეფანში ბუზხალაძემ სწრაფად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და თავისი კაბინეტის წინ შეჩერდა. ვერ გადაეწყვიტა

შესულიყო თუ არა. ერთი წუთი იდგა ასე და ფიქრობდა. მერე ფეხბრუნებით გამობრუნდა უკან, თითქმის მძინარეს წაწყდომოდეს და მორიდებოდეს — არ გავადვიძოო.

მესამე სართულზე დერეფანში სინათლე აანთო და ახლა უფრო თამამად განაგრძო გზა. ლუკას კაბინეტის წინ მოსაცდელი ოთახის კარი ღია დახედა. დამლაგებელს უთუოდ დაეჩვენებოდა მისი დაკეტვა, რახან კაბინეტის კარის საკეტში გასაღები ვერ შენიშნა, მემანქანის მაგიდაზე, ჰაპიროსის კოლოფში ქინძისთავებსა, მავთულის სამაგრებსა, ლილაკებსა, კარადების გასაღებებსა და სხვა წერილმანში დაუწყო ძებნა... ბოლოს მაგიდის გადასაფარებელი მაუდის ქვეშ იპოვნა, კაბინეტის კარი ერთბაშად ფართოდ გააღო და ზღურბლზე ისე შედგა, თითქო სურათს უღებენო. ნათურა რომ აანთო, დაინახა: კაბინეტში ყველაფერი წესრიგზე იყო. რამდენიმე დღეა აქ აღარავინ შემოსულა.

რგოლზე აცმული გასაღებები მაგიდაზე ისევ ისე ხელუხლებლად იდგა, როგორც ლუკას დაეტოვებინა იმ დღეს, აქედან უკანასკნელად და საბედისწეროდ გასვლის წინ. ეტყობა, ლეონტის გარდა ჯერ კიდევ არავინ სჯეროდა, თუ ნიორაძე აღარ დაბრუნდებოდა.

შუა უჯრაში უწესრიგოდ ეწყო ქალაღების დასტა. უჯრის ერთ კუთხეში ქალაღებზე ზემოდან იდო ლუკას ვაგის ფოტოსურათი სამხედრო ფორმაში, ფრონტიდან გამოგზავნილი წერილი თავმოხეულ წითელ კონვერტში. ლეონტიმ ფოტოს დახედა, მერე წერილი გაშალა და თუმცა კითხვას შეუდგა, მაგრამ ფიქრით სულ სხვაგან იყო, ერთი სიტყვაც არ გაუგია ამოკითხულიდან. როცა უჯრები რიგიანად მოჩხრიკა, ყველაფერს გულდასმით „გაეცნო“, კვლავ წამოდგა და ახლა უკან ხელეშემოწყობილი კაბინეტში ბოლ-

თის ცემას მოჰყვა. კაბინეთიდან მხოლოდ ერთხელ გამოვიდა მოსაცდელ ოთახში, როცა ტელეფონის გადაყვანა დასჭირდა. ღამის პირველ საათზე დაურეკა ქარქაშაძეს. თუ ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა ახალჩამიწებული კოსტა, ლეონტის ხმამ ისე გამოაფხიზლა, ამაღამ მას ძილი აღარ მიეკარებოდა.

ქარქაშაძე მყის ეახლა ბუზალაძეს. კოსტა ჯერ მეორე სართულზე, შახტის უფროსის მოადგილის კაბინეტს ეცა და გაოცდა, დაკეტილი რომ დაუხვდა. იფიქრა — თუ იხუმრა ლეონტიმ და სახლიდან დამირეკა, რა ხუმრობაა, ამ მოხუცებულ კაცს ძილი რომ დამიფრთხო. მაგრამ ამგვარ ვარაუდში თავი ვერ დააჯერა. ეპემა მესამე სართულზე აიყვანა. როცა შახტის უფროსის კაბინეთის კარს უბიძგა, მოულოდნელად შეაღო და სავარძელში წამოკიმეული ლეონტი დაინახა, სიხარული ველარ დაფარა, მივიარა და გადაეხვია. ლეონტიმ ჯერ აცალა, მერე უცებ მოიშორა და ღიად დარჩენილ კარზე ანიშნა, ლობიერი უფროსის განზრახ მწყურალი კილოთი მიამახა:

— შენს სახლს კარი არა აქვს?

— როგორ გავიგო ლეონტი, შენი აქ ყოფნა?! — აღელვებით იკითხა კოსტამ, როცა კარი საგულდაგულოდ მიპკეტა. მაგიდის ნაპირზე ორივე ხელით დაყრდნობილი ქარქაშაძე უცებ წელში გასწორდა, მიიხედ-მოიხედა...

ლეონტი მიხედა, რომ კოსტა თვალთ სკამს ეძებდა, და როცა დაინახა, ახლა დაჯდომის „ნებართვა“ იყო საპირო... ქარქაშაძემ ზოგი რამ კარგად იცოდა... თუ უფროსს თავიდანვე გაუთამამდი, მის ნდობას ვერ დაიმსახურებ.

— ჰო, დაჯექი ბარემ. ასე, ფეხზე როდემდის უნდა იდგე! — ლეონტი წამოდგა. გაიარ-გამოიარა და ნათქვამს

მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა, ამაღამ სალაპარაკო ბევრი გვექნება!

ბიზლიმთხა

მესამე ცვლის გასტუმრების შემდეგ შინისაკენ მიმავალმა კოსტამ გვიან მიაქცია ყურადღება... ერთი ხანია მას ვილაც თითქო ფეხაკრეფით მიჰყევბოდა. შუალაშე ახლოვდებოდა და კოსტა ამ ღროსათვის ჩვეულებრივ უკვე კისერმოწყვეტილი გამოიყურებოდა; ეს მართო მისი სიბერის ბრალი არ იყო; ახალგაზრდობაშიაც, მოგეკლათ და შუალამეს ნუ გადააცილებინებდით. მოჩვენებასავით აღევნებული უცნობის ფეხის ხმამ ის „ცოტა“ გამოაფხიზლა; მთელი გულსყური ახლა მისკენ ჰქონდა მიჰყრობილი.

სახლამდე ჯერ საკმაო მანძილი იყო. კოსტამ სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა ერთი მოსახლის კიშკრისაკენ გადაუხვია და ეზოში შესვლა სცადა. თუმცა კიშკარი დაკეტილი დაუხვდა, მაგრამ მაინც არ მოეშვა, ჯაჯგური დაუწყო, ხმაურზე ნაგაზი ფეთხით მოაწყდა კიშკარს. მისმა ბრაზიანმა ღრენამ და ყეფამ კოსტა იქაურობას მაინც ვერ მოაშორა, ფხიზლად კი იყო — ამ წყევულმა უცაბედად თავი სადმე არ გამოჰყოს და არ დამკბინოსო. ძაღლის ყეფა იქაურობას აყრუებდა და ამ ალიაქოთში კოსტამ სულ დაკარგა უცხოის ფეხის ხმის „კვალი“. როცა გზისაკენ მოიხედა — იმ უცხომ ჩაიარა თუ არაო, უცებ შიშისაგან თვალთ დაუხვებდა, ხმაც ჩაუწყდა, თუმცა დასაყვირებლად პირი ფართოდ ჰქონდა გაღებული... შუატანის, თმაგაჩეჩილი უცნობი, მის წინ აჩრდილივით ატუხულიყო; ამ აჩრდილს დროზე რომ ხმა არ ამოედო, კოსტას, ვინ იცის, რა დაემართებოდა.

— კოსტა, ბიჭო! ამ შუალამეზე შენი სტუმრობა...

კოსტამ აღარ აცალა.

— გადაგრეოს ჩემმა გამჩენმა... ბე-
ჟან-ბუ, კაცო?!!

— სამაგისოდ რას მერჩი?! — ბეჟან-
ბუმ სწრაფად იბრუნა კოსტასაგან პი-
რი, გარედან რომ შეუწყრა და დატუქსა
ძალი, მერე კიშკრის ხერელში ხელი
გაჰყო, გააღო და სტუმარს ეზოში შე-
უძღვა, — მობრძანდი კოსტა, მარა,
ჯერ გამოტეხილად მითხარი, ამ შუალა-
მეზე თუ კაცი ხარ, რა გესაქმებოდა...

— ყველაფერს გეტყვი ბეჟან, ოღონდ
ერთი პეშვი წყალი დამალევიწე!

— რამ შეგაშინა შე კაცო!.. — ბეჟან-
ბუმ შუაგულ ეზომდე წელი ნაბიჯით
მკლავში ხელგაყრილი მიიყვანა კოსტა,
სიბნელეში მოზიდა ოწინარზე ჩამოკი-
დებული ჯაჭვი და თუნუქის სათლი
ხმაურით ჭაში ჩაუშვა. ცივი წყლით
სავეს სათლს კოსტა ხარივით დაეწაფა.
სიბნელეში მკაფიოდ ისმოდა როგორ
ხერებდა წყალს. წყალი დროდადრო
ძირსაც იქცეოდა და ფეხს უსველებდა,
მაგრამ კოსტა ყურადღებას არ აქცევდა.

— იცოცხლე! — დაიძახა ქარქაშა-
ძემ სიბნელეში, როცა წყლით გული
იჯერა. — აშენდი! — დაუმატა ნათქვამს
და პირი ხელისგულით შეიმშრალა. —
კაცო, ბეჟან, სად გაჩნდი, ამ ღამეში
საიდან გამომეცხადე?! რახანია წასუ-
ლი იყავი...

— რა ვიცი... სად არ ვიყავი — დინ-
ჯად შენიშნა ბეჟან-ბუმ. — კოსტა, ხომ
იცი... ტყეში რომ ცეცხლი გაჩნდება,
ნადირი ალლოთი პირს იქით იზამს,
საითაც გამოსავალი ეგულვება. მეც... —
სიტყვა აღარ დაასრულა, ოღნავ გასა-
გონად ჩაიკინა და სათლი სიბნელეში
მოიქნია. გადაქცეული წყლის თქემისე-
ბური ზმა და ძაღლის შეწყვეტვლება
ერთი იყო. უნებლიეთ გაწუწული ნა-
გაზი იქაურობას მოშორდა.

— კოსტა, პო, რაო? — დაიძახა სიბ-
ნელეში ბეჟან-ბუმ, როცა სათლი თავის
აღგილას დადგა. — რას აკეთებდი „ამ-
ხანაგო“ ამ ჩემი კიშკრის წინ?..

— ძალიან გაინტერესებს? იმ ღამე-
ში ფეხდაფეხ რომ მომყებოდო, ვი-
ფიქრე, ვინ ოხერია, რა უნდა ჩემგან-
თქო. ხომ იცი, თუ კაცად ითვლები,
მტერიც გყავს!.. პო-და, რა ვიციდი,
ვინ იყავი. რომ მოვიხედე და, ჩემს
ზურგს უკან ატუზულს თვალი შეგავ-
ლე... ქაჯი მეგონე.

— რაკი ასე მოხდა, შენც, მოდი,
ამდამ იმ ქაჯის სტუმარი იყავი!..
მართალია, დაუპატიებელი სტუმარი
მტერს ჰქვია. მაგრამ... ნეტავი ბეჟან-
ბუს ერთი ათიოდე მინც ჰყავდეს შე-
ნისთანა „მტერი“.

ქარქაშაძეს გუნებაში მინცდამინც
არ სიამოვნებდა ბეჟან-ბუ რომ მას
თავის მეგობრად სახავდა, მაგრამ რა
ექნა ძალაუნებურად იფერებდა და
იზიარებდა მეზობლის ამგვარ შეხე-
დულებას.

— ბეჟან, შენი ჭის წყალმა მართა-
ლია, ცოტა გამომაფხიზლა, მაგრამ
შუალამე გადავა თუ არა, ძილს მინც
ვერ მოვერგევი., აჯობებს გამიშვა,
დროზე მივასწრო სახლში... ესეც რომ
არ იყოს, რა დროს სტუმრობაა შე
დალოცვილო! ერთი კაცის გულისთვის
სახლი უნდა აწრიალდეს...

— აწრიალდესო?! ვიზე ამბობ მა-
გას?.. დაგავიწყდა ჩემი სახელი!... ბეჟან-
ბუც და მისი სახლობაც სწორედ ახლა
იღვიძებს... ქვეყნიერება სწორედ ამ
დროს მგონია ჩემი... შენ კი, რას მელო-
პარაკები!

— არა ბეჟან ჩემო! სულ რომ არა-
ფერი იყოს... ცოლი მელოდება...

ამის გაგონება და ბეჟან-ბუს დამცი-
ნავად ჩახოხითება ერთი იყო.

— კი თუ კაცი ხარ! — ბეჟან-ბუმ
მკლავში უფრო ღონიერად ჩასვიდა
ხელი კოსტას და თითქმის ძალით დაით-
რია ადგილიდან. შუატანის, მაგრამ
ბუღასავით მკერავ ბეჟან-ბუს კოსტას-
თანა სამიცი ვერ გაუძლიანდებოდა:

გაიარეს ეზო და ერთსართულიან სახლს მიუახლოვდნენ. ღამეში ეს სახლი ისეთი შესახებდავი იყო, შიგ შესვლას მაინც და მაინც არ მოისურვებდით. მიწიდან ნახევარი ადლით ამაღლებულ ქვის საძირკველზე სახლი ვებერთელა კოლოფივით „საეჭვოდ“ იდო. სახურავის წინა ნახევარი ჰაერში გამოკიდებული გვეგონებოდათ. ის სამი ბოძი, რომელიც სახურავის აქეთ-იქით და შუაში იყო შეყენებული, თვალში არ გეცემოდათ, დაუჯერებლადაც მოგჩვენებოდათ. რომ იმ ჰივოსავით წვრილ სვეტებს სახურავი ეჭირა. სახურავის უკანა ნახევარი გრძელ, ორ ოთახად გაყოფილ სახლის ფიცრულ კედლებს ფარავდა. ყაერის სახურავში ამოყოფილ ბუხრის მილს თავი ირიბად ჰქონდა გადანგრეული. ამას ყველაფერს ღამეში გარკვევით ვერ არჩევდა კოსტა, მაგრამ მის მცხსიერებაში ერთხელ და სამუდამოდ აღბეჭდილი ყოველი წვრილმანის ვახსენება ადვილი საქმე იყო. ორმოცი წლის განმავლობაში ისეთი დილა და საღამო არ ახსოვს, თუ სხვაგან არ იყო, რომ ეს სახლი გზად მიმავალს, თვალში არ სცემოდა.

ბეჟან-ბუმ ხელით რაღაც ანიშნა კოსტას. კოსტა სამ საფეხურიან, ქვის კიბესთან შეჩერდა, მასპინძელი კი დაწინაურდა, მარტო დარჩენილი კოსტასათვის ლოდინში გატარებული ხუთი წამება იყო. ახლა მას სწორედ ემკვლელებოდა, მით უმეტეს ასეთ დროს, ბეჟან-ბუმს სახლში შესვლა. ერთი პირობა, გაპარვაც დააპირა, მაგრამ ჰიშკრისაკენ რომ გაიხედა და ნაბიჯის გადადგმაც დააპირა, მის ფეხებთან რაღაც გაფაჩუნდა. ძალი ჩუმად მიპარვოდა კოსტას და აქამდე კანკებზე ისე ყნოსავდა, თითქო ეწადა შეერთ-

ყო, ვინ, არის, რა კაცია ეს ქარქაშაძეო. უეცრად კარმა გაიჭრა და ქალის ხმაც გაისმა.

— მობრძანდით, კოსტა-ბატონო. რა უცხოსავით გაჩერებულხართ გარეთი!..

— არ წვიმს და რა მიშავს! ისე... რა დროს სტუმრობაა, მაგრამ არ მეშვება ეს შენი ქმარი და... — ამ სიტყვებით კოსტა წელმოწყვეტილივით ავიდა კიბეზე. — საღამო მშვიდობისა ჩემო მამო! დიასახლისის ხელი ჩამოართვა. — ერთი კითხე შენს ქმარს, რას მემართლებს, გამიშვას ჩემს გზაზე!

— კოსტა-ბატონო, მართალი ბრძანდები, მაგრამ... ამ ჩემს გადაკარგულ კაცსაც ისე მოენატრეთ, აღარ კითხულობს დღეა თუ ღამე, ოღონდ ვინმეს ხმა გასცეს...

მამოს ბეჟან-ბუმც გამოეგება. ცოლ-ქმარმა, მკლავში ხელგაყრილი ქარქაშაძე მოწინებით შინ შეიწვია.

— ახლა, გამოტეხილი რომ ითქვას ჩემო ბეჟან, ამ პატროსან კაცს ისე ეპატიები, ვითამ შესაფერი დახვედრის თავი გქონდეს!..

— ნუ გეშინია, თავიც მაქვს, გულიც! შე ქალო, ჭორწილს და დღეობას არ ვიხდი და, ისე... რაც ორ კაცს ეყოფა, იმდენი, მგონია, ამ ჰერქვეშ ჯერ არც ცხელი ჰადი გამოლეულა, არა ჰყინტი ყველი და მგონია, არც საბარჯო ღვინო!

კოსტა აქამდე ვითომ კიდევ ითრევდა ფეხს, მაგრამ, როგორც კი ღვინის სახელი და მერე ღვინის ჰიჭების წყარუნი მოესმა, უმაღ დაჰყვა მასპინძლის ნებას.

— ბეჟან, მაინც რა იყო, წელან გზაში რომ არც დამეწიე, არც გამასწარი... რაზე მომდევდი მაინც ისე ფეხაკრეფით, საიდუმლოდ?!

— ღამეში ვერ გიცანი. ისე... გამოტეხილი თუ გინდა, ყველასთან შეხვედრაც არ მესიამოვნება!.. კაცი, ორი

დღეა ჩამოვედი. რა დროა... იქცევა ქვეყანა... რამდენი ძალი-მამაძალია... რა იცი, ვინ რა თვალთ შემოგებდავს... ისიც ლამეში!

— შე კაცო, ხომ არაფერი დაგიშავე-ბია და...

— როცა რამე დაგიშავებია, მაშინ... გამოსავალსაც ეძებ და მფარველსაც პოულობ!.. უღანაშაულო რომ ხარ, მაშინაა საქმე. თავის დაცვაში უღანაშაულო დამნაშავეზე უფრო სუსტია!

— რაც აქ არ იყავი, ვაფილასოფოსებულხარ!. არა ძმაო, მაგისტანა ლაპარაკი, რაღაც არ შესმის.

— მგელს, კაცო, მარტო მეცხვარე და მისი ნაგაზი გამოევიდებოდა, რაკი ცხერის ცოდოში უნდა ჩამდგარიყო ის წყეული, ცხვარს კი არაჟვის ცოდვა არ ჰკილია და ყველა მის გატყავებას ცდილობს. მოდი და ამის შემდეგ მგლობა დაგმე და ცხვარობა ისურვე!

— რას იზამ! — მრავალმნიშვნელოვნად მიუგო კოსტამ, თუმცა კარგად არც გაუგია რის ახსნა ეწადა, მგელივით წანწალს მიჩვეულ ბეჟან-ბუს.

სუფრას რომ შემოუსხდნენ, კოსტამ ლელა იკითხა.

— კინოში დაპატივა ბარდლა-ბიძინამ! — უბრალოდ სთქვა მაშომ.

— კინოში? — გაკვირვებით გაიმეორა ბეჟან-ბუმ. დუმილის შემდეგ ნათქვამს დაცინვით დაუმატა, — ამ ლამეში კაი კინოს უჩვენებს ის... ყაჩაღი!

კოსტასაც ასე ენიშნა და გუნებაში დასტურითაც გამოეხმაურა ბეჟან-ბუს საგულისხმო სიტყვას. მასპინძლის გასამხნეველად კი სხვა რამ სთქვა.

— არა მგონია ბეჟან, იმ ბიჭმა ლელას შენი ხათრით და შიშით რამე გაუბედოს!

დამცინავე ლიმილში ბეჟანს შესამჩნევად მოეღრცია სახე.

— ყმაწვილი გოგო რომ ყმაწვილ

კაცს უმთვარო ლამეში ბეჟანის ფოტოლივით მხარზე მიეკერებოდა, მოთხოვე მერე შიში და ხათრი!

კოსტამ მაშოს გადახედა, „გამხნევა“:

— მართალია შენი ქმარი!

— მართალია, მაგრამ კუღში რომ სდიო, რა გამოვია? ყველამ უნდა იცოდეს თავის ფასიც და თავის დაცვაც!.. ბეჟანს კითხე — სხვაზე ნაკლები „მგელი“ არც ეგ გახლდა, მაგრამ... ქალიშვილი რომ ვიყავი, თუ გაუბედია რამე...

— ვითამ, რომ გეუბნებოდა...

— თვალებს არ ამოვკარკვავდი ჩემო კოსტა?... —

— მაგაში არ ტყუის — შენიშნა ბეჟან-ბუმ, — ნამდვილი ტყის კატა იყო.

ბეჟანმა ჭიქა ასწია, ვიღრე სადღეგრძელოს ამბობდა, კოსტას მისთვის თვალი არ მოუშორებია; რაკი ერთხელ შეხედავდით, მერე თვალის მოცილება აღარ იყო ადვილი საქმე. ბეჟან-ბუს გარეგნობაში ყველაფერი კიდევ გეუცხოვებოდათ, რაღაც უხილავი ძალით კიდევ გიზიდავდათ.

მოპირდაპირე კედლის თაროზე სანთელი მალა იღვა და ბეჟანბუს ვებერთელა მორგვივით თავს ქანდაკებასავით ანათებდა, ამ კაცს ნახევარი საუკუნე შეესრულებინა, მაგრამ ჯერ ერთი ღერი თეთრიც არ ერია რკინის ბურბუშელასავით ჩახვეულ თმაში. შორიდან მისი თმა ისე ჩანდა, გეგონებოდათ თავზე ცხერის ტყავის ქუდი ხურავსო. თმების ზღვარსა და წარბებს შორის ორი თითის დადება შუბლის ვიწრო ზოლი სამ ნაოქს გადაესერა. წარბები თითქმის არც აჩნდა; მის მაგივრობას სწევდა საწარბეს მკაფიოდ გამოკვეთილი ბორცვები. ბორცვებს ქვემოლ,

თვალბუდის სიღრმეში კი, ვეებერთელა ხარისთვის ოდენა შავი გუგა ისე ჩანდა, როგორც საშიში, უძირო ზერელი. წვერი ისე უხვად მოსდებოდა სახეს, რომ ბეჯან-ბუს ტყიურს ამსგავსებდა. წვერის ამ გაუვალ სიხშირეში მარტო მსუქანი ცხვირი და ტუჩები უჩნდა. მოღუშულობისა და ვეებრთელა გუგების მიზეზით მას ბავშვობაშივე ბუ შეარქვეს; თუ ბავშვობაში მარტო მისი გარეგნობა სტოვებდა ასეთ შთაბეჭდილებას, დიდობაში უკვე მისმა საქმიანობამაც გაამართლა და განუმტკიცა ეს მეტსახელი.

კოსტას ახლა ცალკე ძილი მორეოდა ცალკე ღვინო, ენას ძლივს აბრუნებდა, მაგრამ თავს მაინც ძალას ატანდა და მასპინძლებზე მეტს ლაპარაკობდა. შინაურ სჯა-ბაასში, ამასწინად დაშავებული ნიორაძეც მოიგონეს. მაშოს კითხვაზე — რა ეშველება იმ კაცსო, კოსტამ მთვრალი კაცისათვის ჩვეული უდარდლობით ხელი ჩაიჭნია და ასევე უდარდლად შენიშნა.

— რა ეშველება... გასულია ტირაფიდან!

— აჰა! — ეპვით წამოიძახა მაშომ, თითქოს სულაც არ არის დარწმუნებული კოსტას ვარაუდშიო.

— „აჰა“ თქვი შენ.

— არ იყო გასამეტებელი კაცი. — უფრო თავისთვის შენიშნა ბეჯან-ბუმ და ნათქვამს დუმილის შემდეგ კოსტას გასაგონად დაუმატა: — ნეტა ვინ იქნება მის მაგიერ?..

— ვინც იყო, ის იქნება! — ბეჯითად შენიშნა კოსტამ. — ლეონტი ბუზალაძე! — ამ სიტყვებზე მარჯვენა ხელი რომ ჰერისაკენ აიშვირა, მარცხენათი ბოთლსა სწვდა და ჰიქები შეეასო. — ეს, ყველა საქმეში გამარჯვებული ამყოფოს ჩვენი ლეონტი! მაგის ფასი კაცი წიფის გვირაბს აქეთ, რაც მართალია, მართალია არც შეგულვებოდა, არც შეგულვება! — ბეჯან-ბუმაც ასწია ჰიქა, მაგრამ შეყოყმანდა.

— ბიჭო, კოსტა რაფერ დაელიო ბუზალაძის სადღეგრძელო... მუცლის გეარში რომ მთავარი სადღეგრძელოს ეკირება... არა ძაო შენ ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, და მე რაღაც არ მგონია, თუ აქამდე არ მჯდარა, ახლა შეგჯდეს მწყერი ბეზე, ისიც ქარქაშაძის მითითებით!

— შე კაცო, დრომ მაგისთანა ანდაზები კი არა რომანოვების დინასტია გაასწორა მიწასთან. აბა! ბუზი თქვი შენ... ამასწინათ ჩემი უფროსი შვილიშვილი გაკვეთილს რომ სწავლობდა, იცი რა ამოიკითხა წიგნში? აფრიკაში ერთი ბუზი ყოფილა, რა ეშმაკი ჰქვია, ცეცოო, თუ ცაცოო, ერთი რომ უკბინოს თურმე მეტი არ უნდა, კამბეჩს გააგორებს! იმ ბუზს გავს ლეონტი სევასტიევიჩიც!

— აბა კაი რამეს კი არ ეშველება! — საიდანაც კი მიუდგა, ბეჯან-ბუმ ყოველმხრივ სცადა კოსტას მოგერიება. — ნეტა თუ იცის, ამისთანა უფასო ვეჭილი რომ ყავს?

— შე კაცო, ვითომ რატომ გგონივარ უფასო... კაცი კაცივით, ღობე ქაცვივით!

— შენ აგაშენა კოსტა, მაგ გულახდილობისათვის. კაცი პირდაპირი უნდა იყოს!

— საღაც მოიგებს პირდაპირობით, კი, საღაც არა...

— კოსტა, შენ რომ იყო რაიკომში, კი დანიშნავდი, მაგრამ, ბეგლარი მიართმევს ვითამ შახტის უფროსის „ტახტს“ მაგ ბუზალაძეს?

— თუ არ მიართმევს, უნდა ვეცადოთ.. მიართვას! რაღა ბევრი გავაგრძელო, რა მაქვს თქვენთან დასამალი... გეტყვით მართალს. თუ ახლა გამოვადგებით ჩემო ბეჯან, ჩვენც მერე ისე გამოგვადგება ვგ ლეონტი ბუზალაძე. რომ რა გითხრათ!... გუშინ, ღამის ორ საათზე დამირეკა. მივედი. ღამე ერთად გავათიეთ. შევადგინეთ გეგმა. რა და როგორ უნდა გავაკეთოთ, შახტში მუშაობა რომ უკე-

თესად მოეწყოს. მე... მოადგილეთ მიპირებს გადაყენას, ნიკო არაბიძეს კი ჩემს უბანში უნდა უყრას თავი. მაგასთან ძველი ანგარიშები აქვს და მე მგონია არ „ჩამოაწერს“, გადახდევინებს. ლეონტისთვის ახლა მთავარია საიმედო ხალხის შემოკრება, დასაყრდენი! სანამღი ლეონტი დანიშნული არ არის შახტის უფროსად, სხვა კანდიდატის გამოჩენამდე რაც შეგვიძლია უნდა გეაჩალოთ კამპანია... ერთმა რაიკომის მდივანს აწვევთოს ყურში — რომ ბუზალაძეზე უკეთესი ხელმძღვანელი არ გამოიხატება, მეორემ ტრესტის მმართველს, თუ სხვა ამხანაგებს, ვისაც კი რამის გაკეთება და გადაწყვეტა შეუძლია.

— ასე მართლა მოაჩვენებთ ხალხს თქვე შეჩვენებულებო, იმ ბუზს სპილოთ!..

— აბა რავე!

— მეც გეთანხმებით! — უეცრად მოისმა გარედან, და თითქო ღამემ შობო, ამ სიტყვებზე ღია კარის ზღურბლზე ბარდლა-ბიძინა გამოიქიმა.

სტუმარ-მასპინძელი წამოიშალა. ბარდლამ კოსტას ხელი ჩამოართვა, ყველანი დასხდნენ.

— ბარდლა, ლელა სადღა? — უმალ იკითხა მაშომ.

— არ მოსულა? — გაკვირვებით, გამომცდელის თვალთ შეხედა ბარდლამ.

— კაი, თუ კაცი ხარ, რა მემასხრება! ეზოშია, მოდის?

— რა მოდისო!.. აქედან კი წამყვა, მაგრამ წამოსვლისას... დამეკარგა. სად შექმნა ამ ღამეში? — ბარდლამ ახლა კი ირწმუნა, ლელა მართლა არ მოსულიყო და გაუტყვირდა. — რა ვიცი, იქნება ყავს ბიჭი და, ის მოაცილებს... ნელნელა!

მაშოს უმალ მოაგონდა ქმრის წყლანდელი შენიშვნა, ამ ღამეში ბარდლას ამარა ლელას გაშვების თაობაზე და შიშისაგან ფერი დაკარგა. რა არ იფი-

ქრა... მაშო ანგარიშშიუცემლად წამოიქრა ზეზე: მოსასხამისათვის, მეორეოთახს მიამურა. არც კი იცოდა, სად უნდა ექმნა ამ ღამეში, დაკარგული ქალიშვილი. ის იყო, სწრაფად გაალოთახის შუა კარი, რომ უცებ შეკიე-ლა... ყველანი წამოიშალნენ. მაშო არ ელოდა, თუ კართან ვინმე იდგებოდა.

კინოსეანის და მთავრებამდე ლელა ნახევარი საათით აღრე ბარდლას უჩუმრად გამოპარულიყო. შინ დაბრუნებულს ლაპარაკი გაეგონა. სტუმართან შეხვედრას მორიდებოდა, გვერდითოთახში ფანჯრიდან გადასულიყო და სულგანაბული, მოუთმენლად ელოდა სტუმრის წასვლას. მართალია, დალილი იყო, მაგრამ ისე შიოდა, როგორ არ სცადა, მაგრამ უკმელად ვერასგზით ვერ დაიძინა.

რახან დედამ „აღმოაჩინა“, ახლა კი ლელა იძულებული გახდა, სტუმართან გამოსულიყო, მისალმებოდა და სადღეგრძელო ფეხზე მოესმინა. კოსტამ გვერდით მოისვა ბეჟან-ბუზს ქალიშვილი; ლელა უხერხულად გრძობდა თავს. მთერალი კაცი არც არეულ მხერას აცილებდა, არც მაჯაში ჩაჭიდებული ხელის გაშვებას აპირებდა. ქარქამაძე ერთბაშად გონს მოიყვანა უეცრად გაფიქრებულმა — „რაც აქ ეროშე, ვაი თუ ამ გოგომ ყველაფერი მოისმინა და ხვალ ამხანაგებთან, ან ნიკო არაბიძესთან გამამხილოსო“. წასასვლელად ეზოში გამოსულმა კოსტამ, როცა დრო იხელთა, ბარდლა განზე გაიხმო და თავისი შიში გაუმხილა.

ლელა მეორე დღეს სამუშაოდან შინ აღარ დაბრუნებულა. ხელმეორედ გაიქცა სახლიდან და ისევ ის ამხანაგები მონახა საერთო საცხოვრებელში, რო-

მელთაც პირველი გაქცევის დროს შეეკედლა.

იმ ღამეს კოსტას და ბარდლას იერში რალაც არა სასიკეთო ამოიკითხა და კვლავ გაცლა ამჯობინა. ლელას ხელმეორედ გაქცევის შეტყობისას ბეჯანბუ დოქით წყალსა სვამდა. გაბრაზებულმა სხვა რომ ველარაფერი მოახერხა, დოქი ისე დაანარცხა იატაკს, სულ დაფშენა.

წუხელ შინ გვიან დაბრუნებულ ლეონტის სამი საათიც არ სძინებია. დილით პირველი ცვლის გასტუმრებამდე გაჩნდა კომბინატში. წუთით მოცლა არა ჰქონდა, მაგრამ რალაც განგებით მაინც ახერხებდა ყველასთვის პასუხი გაეცა, კაბინეტში მოიხელთებდნენ, დერეფანში, კომბინატის ეზოში, თუ შახტში. ამან პირველი წარმატება მოუპოვა ბუზალაძეს, პირველად გაისმა მისი ქება.

კომბინატის ეზოში გამოსვლისთანავე ლეონტიმ შენიშნა რომ შემანქანეს, დაუდევრობით ელმავალი ლიანდაგიდან გადასცდნოდა, ბუნჯერსა და შტოლნას შორის მოძრაობა შეფერხებულიყო. ვაგონეტები გრძელ მწყრივად იდგა ორივე ლიანდაგზე. ლეონტი უმალ მიიქრა ელმავალთან შეკრებილ მუშების ჯგუფთან; ერთი, ერთს ამბობდა, მეორე, მეორეს, გადაწყვეტით კი ვერ გადაწყვიტათ, როგორ შეეგორებინათ ლიანდაგზე ელმავალი.

— აქდენს რას ფიქრობთ?! — ლეონტიმ იდაყვით გასწი-გამოსწია მუშები, გახედ-გამოხედა ელმავალს, ლიანდაგს: დამცინავად მოლიმარმა, მზერა შემანქანებზე შეაჩერა: — ძაღვი-ან გიმარჯუნია, ბიჭო!

— შემთხვევაა, ამხანაგო ლეონტი! — შენიშნა ხნიერმა მუშამ, მოძრაობის ცვლის უფროსმა.

— ეს შემთხვევა, გეტყობა, ძალიან... მოგწონს!

რალა უნდა ეპასუხნათ უფროსის ასეთ ახირებულ შენიშვნაზე.

— მოატანიე შიო, სამი-ოთხი სანტიმეტრის სისქე რამდენიმე მოკლე ლარტყი. — ბრძანა ბუზალაძემ. ხელად მოარბენინეს ექვსიოდენ ნაჭერი ლარტყი.

მანქანის სიმძიმემ მიწაში ღრმად ჩასკულიტა პირველად დაწყობილი ლარტყები. ელმავალი ისევ უკან დააწევიანეს შემანქანეს, ჩაქყლეთილის ადგილას ისევ დაუდეს მეორე წყება ლარტყები, ისევ გადაატარეს ელმავალი. ასე გაიმეორეს სამჯერ. ლარტყები კვლავ მოარბენინა მუშამ და მეოთხე წყების დაღაგებისას, როცა გათელილი ლარტყები ლიანდაგის პირს ვაუსწორდა, ბორბლები მსწრაფლ გადასრიოდნენ ლიანდაგზე.

ცალ მუხლზე წამოჩოქილი ლეონტი წამოდგა, ხელები გაიბერტყა და კპაყოფილმა მედიდურად გადახედა იქ მყოფთ.

ის ახლა ბუნჯერისაკენ გაეშურა. ერთი მუშა თან გაყვა, დანარჩენებმა თვალი გააყოლეს. თუ წინათ ორიოდეს გამოკლებით უსიამოვნებას გვირდათ ბუზალაძის დანახვა, ახლა ყველას მოსწონდა იგი.

— თქვენი არ ვიცი და მე სწორედ მივირის მაგ კაცის ასე გამოცვლა! — სთქვა ქანგისფერ, ხუჭუქთმიანმა ახალგაზრდამ, რომელსაც შახტში ყველა „რიკას“ ეძახდა. ეს იყო მისი გვარიც, სახელიც და მამის სახელიც. — გახსოვთ, ამ რამდენიმე დღის წინ რა იყო ლეონტი ბუზალაძე?

— რაღა არ გვახსოვს. — გაბმით ჩაურთო სიტყვა შიომ. — რომ შეხედავდი, ისე ჰქონდა წარბები შეკრული, ნაცემივით აჯდა ცერის ხელა კოპები!

ამასობაში საყირაოდან ცარიელი ვაგონეტებიც მიაწოდეს. „რიკა“ საყირაოსთან მომუშავე გოგონებს „მიეშველა“, გაეხუმრა, რისთვისაც „ხუმრობითვე“ მაგარი მუშტი იგემა ბეჭებში. დასაახლოვებლად ასეთი გამოწვევა

ზოგჯერ უებარი საშუალებათა. არც მაგათ წყენით, არც მე შტკენით, როგორც ეს ერთი შეხედვით კაცს შეიძლებოდა მოსჩვენებოდა, კმაყოფილებით გაიფიქრა „რიჟამ“.

ლეონტი ისე მოულოდნელად გაჩნდა საყირაოსთან, დროზე ვერაფერს შენიშნა მისი მოახლოვება.

— აქეთ როგორ არის საქმე?

— რა უშვას, ამხანაგო ლეონტი! — უბრალოდ, ცოტა გაკვირვებით მიუგო ლელამ.

— ხელი როგორ გაქვს?

ლელამ ახლა მორცხვი ღიმილით შეაგლო თვალი ბუზალაძეს.

— მირჩება.

— მეც იმიტომ გარეთა სამუშაოზე გაემწყესებინე შენი თავი. სანამ კარგათ არ მოვირჩება, იცოდე შახტაში არ შეგიშვებ!

— მერე რას იტყვიან ჩემი ტოლები, ამხანაგო უფროსო?!

— შენ საქმე გამიკეთე და ვინ რას ლაპარაკობს, მაგას ნუ ჩივი! მართო ცარიელ სიტყვას რომ ჭკუა ჰქონდეს, რომელი ვაჯობებდით აფრასიონ უკლებას? ამბობენ — ძილშიაც ლაპარაკობსო!

ჯერ ლელას, შემდეგ ულიას, გამხნეების ნიშნად ლეონტი ხელით ბეჭზე შეეხო, „რიჟამ“ კი ისე გადახედა, თითქო აფრთხილებდა — შენი ცუდლუბობის ამბავიც ვიცო, ქალებს ნუ მიცდენ, საქმეს მოკიდე ხელით, და იქაურობას გაშორდა. ვინც ხედებოდა, იმათ ბუზალაძე ერთი-ორი სიტყვით თუ გამოელაპარაკებოდა და ჩქარი ნაბიჯით განაგრძობდა გზას.

ქალიშვილებმა თვალი გააყოლეს ბუზალაძეს. ლელამ საყირაოზე მორიგი ვაგონეტი გასცალა, მისი ფერდების გასაბერტყვი ღრუიანი რკინის კეტი კი იქვე მდგომ „რიჟამ“ შეაჩეჩა.

— მომეხმარე, ხომ ხედავ! — და ბტკივან მკლავზე ანიშნა. მერე ულიას მიუბრუნდა.

— როგორ მოგწონს?

ორივემ ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ლეონტისაკენ გაიხედა.

— კაციც, მაჭისთანა უნდა, ხელძღვანელიც!..

— უნდა და... გეყოლებათ!.. — ამოიხვრით ჩაურთო შიომ. მან სწორედ ახლა ჩამოიარა და ულიას სიტყვებიც გაიგონა; ვერ მოითმინა, არ ეპასუხნა.

— რა იცი, შიო ბიძია? — იცითხა ლელამ.

— დამესიზმრა! — იხუმრა შიომ — კოსტა ქარქაშაძეს უთქვამს — რაიკომის მდივანს, შახტის უფროსად ბუზალაძე უნდაო!

— კიი?! — სასაცილოდ იცითხა „რიჟამ“.

— არ გამცეთ და... ისიც ყოფილა ჭკუის კოლოფი, არა?

— თუ ბეგლარს უნდა... — ისე წამოიწყო „რიჟამ“, დანარჩენის თქმა — საქმე ვთავებულები ყოფილათ, — აღარ იყო საჭირო.

— მაგას რაღა სჯობია! — ბავშვური სიხარულით წამოიძახა ულიამ.

ლელას ხმა ერთხელაც არ გაუღია, ლაპარაკში რომ უნებლიეთ არ ჩარეულიყო, განზე გადაგა; თითქო მართლა საქმით იყო გართული და რას ბუზადნენ, რას ვარაუდობდნენ დანარჩენებში, სულაც არ აინტერესებდა.

— ისე... ჩვენს შორის რომ ითქვას, ლეონტის ფაცი-ფუციით ბევრი თავბრუდახვეულია, მაგრამ... ვაგრძელებდეთ ვითომ დიდხანს ეს ამბავი?

— რა ვიცი... — ულიამ თავი დახარა. შიოს „მკრებელური“ მოსაზრებები ამ გოგონას აშკარად არ მოსწონდა. — მამა კი ამბობს — შახტი გამოაცოცხლო, ხალხი გამოაფხიზლო!

— ბუზალაძის გამოფხიზლებული და გამოცოცხლებული... — შიოს აღარ უთქვამს „შევირცხვინეო“, მაგრამ განზე გესლიანად განერწყვა სწორედ ამას ნიშნავდა. — ვინაა გოგო მამაშენი?

— გონტას ქალიშვილია! — დაიძახა „რიჟამ“.

შიომ თავი განზე გადასწია და ულიას ცნობისმოყვარეობით ირიბად გახედა.

— გონტასი?! გონტა ამბობს გამო-
აფხიზლათ? თუ ბიჭი ხარ ნუ გამოფ-
ხიზლდები, ომში ვართ, ქორწილში ხომ
არაა ისე... კაცმა რომ თქვას, ბუზალაძის
გამოსაფხიზლებელი რა გვქირდა...
შტერი აღრეც შტერი იყო და ახლაც!..
თუ კაი სულია, აქამდე სად იყო, მაგ
„დალოცვილი“!.. — შიომ თან ლაპარა-
კობდა, თან აქეთ იქით იყურებოდა —
ისეთ ყურს არ ჩაეწვეთოს ჩემი ნათ-
ქვამი, რომ... ლეონტის ყურამდეც არ
მიადწიოს, რასაც ვამბობდიო.

ლეონტის ყურამდე, მართლაც ვინ
იცის, რამდენი გადაბრუნებული სი-
ტყუა აღწევდა; ვისაც რა უნდა ეფიქრა,
ეთქვა, სხვისი ფიქრი, ეკვი და ვარაუ-
დი ბუზალაძეს ხელს ვერ უშლიდა
მარჯვედ დაწყებული საქმე განეგრძო.
ეს კია, გული ვერ უთმენდა, ხანდახან
გუნებაში არ გაეელო — ყველასათვის
მოეცილო. ლეონტი გრძნობდა — თუ
წინედ მისი გაღიმებაც კი არ სიამოვ-
ნებდათ, ახლა, ზოგჯერ შეწყრომაც
არა სწყყინდათ.

ვინც ლეონტის კარგად იცნობდა, მის
ამგვარ ფერიცვალებას ნაკლებად ენ-
დობოდა; ყველაფერი მოჩვენებააო. თუ
ერთი მხრით ლუკა ენანებოდათ, მეო-
რე მხრით ეშინოდით, მისი ადგილი ბუ-
ზალაძეს არ ჩაეგდო ხელში. ამ შიშს
ჭკონდა საფუძველი.

ლეონტის საკვირველად უყვარდა შახ-
ტის უფროსის კაბინეტის აივანზე გა-
მოსვლა და კომპინატის ეზოსათვის
დიდკაცურად თვალის მოვლება. აქე-
დან ხელისგულივით ჩანდა ყველაფერი.
ახლაც ბუზალაძემ ლითონის ფურც-
ლებით დაგებულ, მოაჯირმორყეულ
აივნიდან თვალი დინჯად გადაავლო
ეზოს; კომპინატის სადარბაზო კარიდან
გამოსულმა ნიკო არაბიძემ აივნიდანაც
გამოიხედა, მაგრამ ისე ჩაიარა, უფრო-
სისათვის სალამი არ მიუცია. „ვერ შე-

მამჩნია“, თვალში „ვეპატარავე“ — გაი-
ფიქრა ბუზალაძემ. სხვა ასეთ წერილ-
მანს ყურადღებას არ მიუქცევდა, ბუზა-
ლაძისათვის კი ეს ის ნასკევი იყო, რო-
მელიც ნაკერში არ გაატანს, თუ არ გა-
მოხსნი, ან იმ ადგილას ძაფს არ გაწ-
ყვეტ. მაგრამ ლეონტი ასეთ „ნასკეებს“
ჯერ არა წყვეტდა.

რა თქმა უნდა, იმ სიშორიდან მი-
სალმება იქნებ საპიროც არ იყო, აივან-
ზე მდგომს შეიძლება ვერც შეენიშნა
სალამი, მაგრამ კაცსაც გააჩნია; თქვენ
ოღონდ მისალმებოდიო და ლეონტის
ძერასებურ მზერას არაფერი გამოეპა-
რობდა. ბუზალაძე უმაღ კაბინეტში
შებრუნდა. ზარის ხმაზე ცოტა მოგვი-
ნებით ეახლა ტექნიკური მდივანი.

— მერი! თუ მოსაცდელში არავეინაა,
დერეფანში მონახე ვინმე დადავალე—
ნიკო არაბიძეს დაუძახოს... ეს-ეს არის
შინისაკენ ეშურებოდა, ჯერ ეზოდანაც
არ იქნება გასული.

რახან მერის დერეფანში ორი ხნი-
ერი მუშის გარდა არავეინ დახვდა, არა-
ბიძეს თვითონ გამოუღდა.

ნიკო ჩაფიქრებული მიდიოდა და
პირველი დაძახება გამოეპარა. მერის
შორიდან ხელმოკრედ აღარ უხშია,
სირბილით, გულამოხეტქილი მიეჭრა
არაბიძეს და მკლავში ხელი მორიდ-
ებით ჩაავლო. მოულოდნელობისაგან
ნიკო ერთი შეტოკდა, მოიხედა და სახე
წამოწითლებული, თვალზე ანთებული,
თანაც აქოშინებული გოგონა რომ დაი-
ნახა, გაოცებით შესძახა:

— რა იყო, მერიკო, რა მოხდა?!..

მერიმ მხიარულად შემოსცინა, სუ-
ლიც მოითქვა და სხაპასხუბით აუწყა:

— ნიკო ბიძია, ბუზალაძე გიბარებს.
ერთხელ შორიდანაც დაგიძახე, მაგ-
რამ... ვერ გაგავიწყებ.

— რა იყო, თავს რაზე იკლავდი?
ღირდა მაინც...

— ნიკო ბიძია, ღირდა თუ არა, რო-
ცა უფროსი მიბრძანებს...

— თვითონ ვერ ჩამომძახა ერთი
სიტყვა? მე რომ ჩავიარე, მაგ დალო-

ცელი ივიანზე არ ბრძანდებოდა?

ნიკო და მერი ჩქარი ნაბიჯით ერთად გამოეშურნენ კომბინატის შენობისაკენ. გზაში არცერთს აღარ გაუღია ხმა. მერიმ არ იცოდა რა ეთქვა, ნიკოს კი ახლა სალაპარაკოდ აღარ ეცალა. უთხრა თუ არა მერიმ, ბუზალაძე გიბარებსო, მაშინვე გაიფიქრა: — ალბათ უკვე მოახსენეს ყველაფერიო და, გაახსენდა ქარქაშაძესთან გუშინდელი საუბარი.

ქათათა ქსოვილის დალაქავებასავით ადვილია კაცს რამე ცილი დასწამო, მაგრამ იმ ლაქას მოცილებასავით ძნელია დაწამებული ცილის ისე მოშორება, ოდნავ შესამჩნევი კვალი მაინც არ შერჩეს. რაც უფრო მეტად იყო დარწმუნებული ამაში ნიკო, მით უფრო ფრთხილობდა.

კოსტა და ნიკო გუშინ საგარდერო-ბოში შეხვდნენ ერთმანეთს. სპეცსამოსი რომ ჩაიცვეს, ლამფებიც ერთად აიღეს და შახტისაკენაც ერთად გაეშურნენ. ვიდრე შტოლის ბოლოში გავიდოდნენ, შახტის ახლანდელი მდგომარეობისა და შახტის უფროსის დანიშვნის თაობაზე კიდევ მოასწრეს ერთმანეთისათვის თავისი აზრების გაზიარება. კოსტამ, ვინ იცის, მერამდენედ გაიმეორა სხვებთანაც და ნიკოსთანაც — ვითომ რაიკომის მდივნის აზრი — ბეგლარს შახტის უფროსად ლეონტი ჰყავს შერჩეული და ახლა ჩვენს საჯარო მხარდაჭერასა ელოდებაო.

ნიკომ წყნარად მოუსმინა და ბეჯითად შენიშნა:

— მე არ ვიცი ბეგლარს ვინ ჰყავს შერჩეული... დიდი ხალხი თავის აზრებს არ მიზიარებს ხოლმე, ის კი ვიცი, მაგ ლეონტი ბუზალაძე შახტის უფროსად... არ ივარგებს!

ამის გაგონებაზე კოსტამ ჯერ შიშით მიიხედ-მოიხედა, მერე ისეთი განწირულის ხმით წამოიყვირა: რატომ ბიჭოო, — ფიქრებლით — კეტი მოხვდა თავშიო.

— რალას მეკითხები, ჩემზე უფრო არ იცნობ, რა შეილიცაა ეგ ლეონტი?

დარწმუნებული ვარ, რასაც უარტყლებენ, ბეგლარს არც დასინჯრებია...
— რაეა...

— ... ეგ ან შენი მოგონილია, კოსტა, ან... ბუზალაძის დავალებული... იცით, ბიძია, ვინ გაუბედავს, რაიკომის მდივანს კითხოს — მართლა ასე თქვა თუ არაო და, სარგებლობთ...

— ნიკო! იცი რას გეტყვი? — არა-ბიძეს კოსტა კატასავით შეაკეჭრდა, გაფრთხილების, კეთილისმსურველის კილოთი უთხრა, — არ დაგლუპოს ბიძია, მაგ გულახდილობამ!

ნიკომ ხმაშაღლა გაიცინა, თუმცა ახლა სულ არ ეციენებოდა და არც თვითონ გრძნობდა, რომ იცინოდა...

— ბიჭო, ამხანაგი ხარ, მტერი ხომ არა... ვილასთან ვიყო გულახდილი?! ნიკოლოზის დროს გენდობოდი, და ახლა ამ ჩვენს დროში ვინდა დავკარგო...

— საერთოდ გუბუნები... ჩემთან ნათქვამს სხვასაც ეტყვი და მორჩა!.. ხომ გავიგონია: ორმა თუ იცის, ღორმაც იცისო! ღორი კი ნიკოლოზის დროსაც ღორი იყო და ახლაც...

— თუ ჩვენს შორის ვინმე ისეთი ღორია, კაცი კაცს გადაკიდოს და თვითონ შორიდან სეირს უყუროს...

ერთ-ორ წუთს ხმა არცერთს არ გაუღია. სიარულში მკაფიოდ ესმოდათ, ლიანდაგის გასწვრივ დაყრილ ხრეშისა და ნახშირის ნამტვრევების ხრაშაბრუში. მკაფიოდ გაისმა კოსტას ამოოხვრაც.

— რა იყო? — როდის, როდის, მაგრამ თანაგრძნობით ჰკითხა ნიკომ.

— რა იყო და შენ თუ კიდევ ჩემგან რამე გესწავლება, აღარ ყოფილა სამველი... ერთი, გახედე — რამხელა გზა გამოვიარეთ ცხოვრებაში მე და შენი.

— დიღია, მერე?

— მერე ის... ძალიან მწყინს აქეთ-იქით რომ არ იყურები!... მართო ჩვენ ხომ არ დაეაბიჯებთ ამ ქვეყანაზე! სხვაც რამდენია დიდი, პატარა... ჩვენზე უკეთესიც და უარესიც!..

— იყოს, ვინ უშლის!

— უშლი, აბა არ უშლი? ზოგი... დიდიც პატივს გცემს, შენ კი მგელივით მაინც „ტყისკენ“ იყურები.

— თუ პატივს მცემს, ალბათ... და-მიმსახურებია.

— შენ რომ გულისხმობ იმ დამსახურებას მაინც და მაინც ფასი არა აქვს ზოგი დიდი კაცის თვალში!.. საზოგადო საქმეს ყველა აკეთებს, შენ ის თქვი, პირადად რას უკეთებ...

ნიკომ სწრაფად გადახედა კოსტას, მკაცრად შეაეღო თვალი.

— მაგისტანა... უკაცრავი პასუხია, დიდისათვის სწორედ შემთვრთხებია თვალბში!

— ასეთი ფიცები რომ არ იყავი?.. არ ვარგა ნიკო, მედიდურობა! რის იმედით, თუ არა, კი!

— კაცს ჩემო კოსტა უსინდისობა გააფიცებებს თორემ, როდის ყოფილა სინდისიერებას გამოყვანოს ვინმე მოთმინებდან!

— რატომ, შე კაცო! უსინდისო სწორედ სინდისიერს გამოყავს მოთმინებდან თავისი... — მაგას თავი დავანებოთ... ერთი ეს მითხარი: იმ ლეონტი ბუზალაძეს ასე აღმაცვრად რომ უყუჩებ, რა დაგიშავა? შენთვის სულ კარგი უნდა, შენ კი...

— პირადად ჩემთვის რომ კარგი სურთ, მაგისტვის ნათესავეებიც და ძმაცაცებიც მეყოფა!.. მე ჩემი სიცოცხლეც, ჯანიც, უნარიც სახალხო საქმისათვის შემიწირავს და... პატივსაც იმას ვცემ, ვინც საზოგადო საქმეს...

— რათ გინდა მაგის ახსნა გლახა აგიტატორივით... არ ვიცი თუ, რაც ლამეები თეთრად ვითენებია და ოფლი გიღვრია!.. მაგრამ რას აპირობ ახლა, მაგ შენი შრომის შემფასებლად ბუზალაძეს რომ გინიშნავენ?.. მის ხელშია სასწორი და...

— მაგის სასწორიც და მაგის... არა ბიძა, ჩემს სინდისზე ბუზალაძეს ხელს ვერ შევხებინებ, მაგასთან ძმობიობა

არ შემიძლია. ძმობიობა და საზოგადო საქმე, როგორც ნათი და წყალი ისეა!

— ნამეტანი მალლა ფრინველ... შენ ლექსებს უნდა წერდე ჩემო ნიკო, შახტში რა გინდა!

— ძალიან დაბლა რომ ხოხავს, იმისთანა უსინდისოს დაწერილი ლექსიც ბევრი მინახავს!..

— თუ სიტყვაში ვერ მოგიგო, მაინც ნუ იფიქრებ, თითქოს შენ ცამდი მართალი ხარ, — მე — მტყუანის მაცალე ერთი. — უცებ გაცხარებით დიძახა კოსტამ, — აღარ მათქმევინო, რაც მთავარია ნეტა იცოდე, რა მითხრა გუშინწინ ბუზალაძემ!.. ბეწვზე გადაურჩენიხარ კაცი! ლუჯა ნიორაძის დაშვებაში მთავარ დამნაშავედ თურმე შენ გამოყავდი ბეგლარს, აბა! უბანი რომ წესრიგში ჰქონოდა, ცვლის უფროსი ხეირიანი ჰყოლოდა, უსაფრთხოების წესებს რომ იცავდეს თქვენი სახელგანთქმული არაბიძე, ეს უბედურებაც არ მოხდებოდა... ჩავარდნია ფეხებში ბეგლარს ბუზალაძე, შენი მუხლების ჰირიმე, ამ გაჭირვების დროს არ დაგვლუპო, ისიც გვეყოფა, ნიორაძე გამოგვეცალა ხელიდან, ახლა არაბიძეს მაინც გაუფრთხილდეთ, მისი ბრალი არ არის, რაც მოხდა, თვითონ ლუჯას დაუდევრობას გამოუწვევია ის მარცხიო... ძლივს დაუჯერებია კაცი! შენ კი იძახი — სად ლეონტი ბუზალაძე და სად შახტის უფროსობაო!.. მოგიტომენს ამას?!

— დაბრალებით ყველაფერი შეეძლოთ დაებრალებიათ ჩემთვის, მაგრამ საბუთი? ან, შენ გჯერა, დამნაშავე რომ იყოს, ნიკო არაბიძეს თავზე ხელს გადაუსვამს ვინდ ბუზალაძე და ვინდ სხვა?...

— ეს მაინც თავისას ლაპარაკობს!..

— არა, კოსტა, რაიკომის მდივანს შეიძლება ეცვი ჰქონდა, და თუ ეს ეცვი ლეონტიმ გაუფანტა, მაგისტვის — მადლობა! დაუჯერებელი არ არის, თუ მხარი დამიჭირა, „დამიფარა“. წახლე-

ნით რას გამომჩინებოდა?

— რა თქმა უნდა, ეგეც არის, მაგრამ... არც ისეა ურიგო ბიჭი ლეონტი! თუ მხარს დაუჭერ, ვალში არ დაგჩენება!

— გაანჩნია. ყველაფერში, ბუზალაძეს კიარა, იმ ჩემს ერთადერთ ბიჭს არ დაუჭერ ალბათ მხარს, არა, ღმერთმანი!

ეს „არა“ მაინც ისე მკაცრად დააყოლა არაბიძემ, შეუძლებელი იყო მისი ნათქვამი არ გერწმუნებინათ.

ამ ფიქრებში ნიკო შატბის კომბინატის შესასვლელსაც მიადგა. მერის ყურადღებას აღარც აქცევდა, თავს ისე გრძნობდა, თითქო მარტო იყო.

შევიდა თუ არა კაბინეტში, გული როგორღაც შეუქანდა, როცა გაიფიქრა — „ყველაფერი იცის ლეონტომ — რაც გუშინ კოსტასთან ვილაპარაკე“, მაგრამ ასწია თუ არა ლეონტომ თავი და ნიკოს ღიმილით შეავლო თვალი, არაბიძემ ახლა ერთბაშად უარყო, რაც ერთი წამის წინ გაიფიქრა; თავიც იღუშალ დაიტუქსა — „კაცი არ უნდა აჩქარდეს“. ცოტა გულს მოეშვა, კმაყოფილებით განაგრძო ფიქრი: „ეტყობა, არაფერი არ იცის, არაფერი არ უთქვამთ, მართლა რა ღორბობა იქნებოდა“. კარიდან ორ ნაბიჯზე შეჩერებული ნიკო ადგილიდან აღარ იძვროდა.

— მოდი, კაცო, რას გაჩერდი?... აგერ რაღაც ცირკულარს ვკითხულობდი, დროზე ვერ მოგაქციე ყურადღება...

— რა საბოდიშოა. — ხმადაბლა, უბრალოდ შენიშნა ნიკომ.

ლეონტიმ თუმცა ყველაფერი იცოდა, მაგრამ თავაზიანი სიტყვით და წმვიდი გამომეტყველებით ეჭვი ადვილად გაუფანტა არაბიძეს. ფეხზედაც რომ წამოუდგა, შუა ოთახში შეეგება და ბოლოს ბეჭედაც ხელი მოხვია. არაბიძეს. ცოტა შერცხვა — „გუშინ როგორ ვიხსენიებდი და ახლა კი მისი ხელის მოხვევას ასე ვიფერებო“.

ლეონტიმ მაგიდის კუთხეში, გვერ-

დით მოისვა არაბიძე. ზარით ტექნიკური მდივანი გამოიძახა.

— მერი, სად იქნება ახლა მერიცი, ელიზბარი? დღეს რომელ ცვლაში მუშაობს?

— მესამეში. — მერის მაგივრად უპასუხა ნიკომ.

— მაშ, იქნებ სადმე, ახლო-მახლო იყოს. მოძებნე და სთხოვე.

მერი გავიდა.

— ნიკო! ეს ორი დღეა, აქეთ აღარ გამოჩენილხარ! ხომ არაფერზე გვემდურა, კაცო!

— რაზე უნდა გემდუროდე ლეონტი სევასტიევიჩი?! არ შეგაწუხე... რაც უნდა გვაკეთო ვიცი და...

— იცი! — სიცილით სთქვა ბუზალაძემ და ეშმაკურადაც გაუსწორა თვალი ნიკოს.

ეს კილო, ეს გამოხედვა ცუდად ენიშნა ნიკოს.

— დასწყევლოს ეშმაკმა! მინდა რაღაც გითხრა და ვერ დამიწყია...

„რა უნდა მითხრას ამ წყეულმა, რა ამბავია ჩემს თავს?“ — გაიფიქრა ნიკომ და კიდევ უფრო განაბა. ლეონტისათვის თვალებში ველარც კი შეეხედა. თავდახრილი, მოუთმენლად ელოდა, რას იტყოდა უფროსი.

— ნიკო! მე მგონია, უკვე დადგა დრო, ავად იქნება, თუ კარგად, გადაწვევით ის საკითხი...

ნიკომ თავი ასწია. ამ დროს კარმაც გაიჭრიალა და ლეონტის მაგივრად მან ახალშემოსულს მიაპყრო მზერა. მხედრულად გამართული, ბეჭებში გაშლილი ელიზბარი შორიდანვე მიესალმა ნიკოს და ლეონტის. მტკიცე ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან და ნიკოს მოპირდაპირე მხარეს დაჯდა.

— ელიზბარ, მე და შენ რომ ვლაპარაკობდით, იმ საკითხზე წუხანდელს აქეთ ხომ არ შეგიცვლია... შეხედულე-ბა?

— რაზე უნდა შემეცვალა?!

— მაშ, შენი აზრითაც ერთადერთი კანდიდატი მაინც ნიკოა, არა?

— ასე ვფიქრობდი და, ახლაც ასე მგონია!

— რაზე ლაპარაკი? — ველარ მოითმინა, ცნობისმოყვარეობით იკითხა ნიკომ.

— რაზე და... — ლეონტიმ ელიზბარს გადახედა. — იმ მეხუთე უბანს ბოლოს და ბოლოს უნდა გამოუჩნდეს თუ არა ხეირიანი პატრონი? ის ჩერჩეტი ქარქაშაძე იქ როდემდის უნდა ვაფორხილოთ? ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ოპერატიულობაზე, სხვადასხვა ღონისძიებებზე, საქმე კი გაუქვთებელი რჩება...!

ნიკომ ერთი გაშალა ხელები, თქმით არაფერი უთქვამს. ლეონტის კი ეგონა, როგორც იქნა გამოვიყვანე მოთმინებიდანო, მაგრამ გაწბილდა.

— ნიკო! თუ გახსოვს, მეხუთე უბანში შენი გადაყვანის თაობაზე ომამდეც გვქონდა ლაპარაკი, ომის დაწყების შემდეგაც, მაგრამ როგორც იცი... ძალა არ დაგვიტანებია! ახლაც, როცა ფრონტელებზე ნაკლები გასაჭირი არც ჩვენ გვადგას, რას იზამ, ძალიანაც რომ არ გვინდოდეს, საქმე მოითხოვს...

— რასაც საქმე მოითხოვს, იმას ვაკეთებ, აბა, რასა?..

— კაცო, მაგას ვინ გისაყვედურებს? აქ სულ სხვა ამბავია! ყველამ იცის, უბნის უფროსებში შენა ხარ ყველაზე გამოცდილი, ნამდვილი მიწისქვეშა ფრონტის სარდალი და ამიტომაც გვინდა შენ გავამწესოთ იმ ძნელ...!

ნიკომ ამ ერთხელაც გაშალა უსიტყვოდ ხელები.

ლეონტი არაბიძისაყენ გადმოიხარა, ბევრზე რამდენჯერმე მოფერებით დაპყრა ხელი, მაგრამ ეტყობოდა, ნიკო ვერც ამ „მოფერებამ“ გაამხნევა.

— ნიკო, დღე-დღეზე კი არა, წუთი-წუთს რაიკომში დამახების მოლოდინში ვარ და პირველი, რის შესახებაც მოვახსენებ...!

ვიდრე ლეონტი სათქმელს დაასრულებდა, ერთბაშად გაიღო კარი და

ზღურბლზე გამოჩნდა რაიკომის მდივანი.

— ამხანაგო ბეგლარ!... დღეზე ბიჭივით წამომხტარი ლეონტის შემახილი ამოყენსასავით გაისმა, ნიკო და ელიზბარიც წამოდგნენ, თუმც ბეგლარმა შემოსვლისთანავე ანიშნა ხელით — იჯექითო. ლეონტიმ აღარ იცოდა, რით გამოეხატა თავისი პატივისცემა და მორჩილება ამ კაცისადმი.

— აგერ ჩემს სკამზე დაბრძანდი, ამხანაგო ბეგლარ! — ლეონტიმ შახტის უფროსის საგარძელზე მოწიწებით ანიშნა.

ბეგლარმა ლეონტის აღმაცერად გადახედა და ღიმილით შენიშნა:

— მაგ სკამს უკვე შენად თვლი?!

ლეონტიმ უმაღ ენაზე იკბინა, — ამგვარი პასუხით გამასპინძლების საბაბი როგორ მივეცი მე სულელმაო, მაგრამ გვიანდა იყო სინანული.

ნიკოსა და ელიზბარს ბეგლარის გადაკრული სიტყვაც მოეწონათ, გონებაშიმხვილობდაც. ნიკოს ახლა საბაბი ჰქონდა, ეფექტა — „ეტყობა ისე არ უნდა იყოს საქმე, როგორც ქარქაშაძე, ბიწაძე და ბუზალაძის სხვა ძმაკაცები გაპყვირიან — შახტის უფროსად ბეგლარს ლეონტი უნდაო“.

ბეგლარს არ შეუნიშნავს, თუ რა მოჰყვა მის შენიშვნას, როგორ გააცია და მერე გააცხელა ბუზალაძეს.

— შე კაცო, ასე ყველას თუ დაუთმე, ბოლოს უადგილოდ დარჩები! — წასათამამებლად ბეგლარმა უბიძვა კიდევ ლეონტის შახტის უფროსის სკამისაკენ.

ლეონტის იმედი მოეცა, ფერი მოუვიდა. იღუმალმა სიხარულმა შეიპყრო — ბეგლარს გასამეტებლად არ ელომებღივარო.

— ამხანაგო ბეგლარ, თქვენთვის სკამს კი არა, სიცოცხლეს არ დავიშურებ!

— მაგისტანა ფუყე სიტყვები მარტო სცენაზე თუ ეპატიება კაცს. ხომ იცი, სცენაზე სიკვდილიც კი ტყუილია. შახ-

ტის უფროსის კაბინეტში, აუკობებს, საქმეზე ვილაპარაკოთ!

— რაზედაც გვიბრძანებ, იმაზე ვილაპარაკებთ, ოღონდ დაბრძანდით — მლიქვნელური ღიმილით გაიმეორა ბუზალაძემ თავისი თხოვნა.

— დასაჯდომად არა მცალია. — ბეგლარმა იქ მყოფთ თვალი ცნობისმოყვარეობით მოაეღო, თავისი გამომწვევი მზერა უცებ ნიკოზე შეაჩერა.

— ამხანაგო არაბიძე, როგორ არის ხეტყის საქმე? — ბეგლარს გაახსენდა — ამ ცოტა ხნის წინ, როცა უბანში ხეტყე შემოაგლდა, არაბიძემ თავის ეზოში გადაჭრა ხეები.

ნიკო არ აჩქარებულა. უცებ არაფერი უპასუხია, კითხვაზე მან მხოლოდ ლეონტისა და ელიზბარს გადახედა.

ბეგლარისათვის ადვილი მისახედარი იყო, რაც ნიკომ ანიშნა: — მაგის შესახებ, სჯობს ხელმძღვანელ ამხანაგებს ჰკითხოთო.

— მაგათი აზრი ვიცი! — მოკლედ მოუჭრა ბეგლარმა.

— რა ჩემი თქმა გინდათ, ისედაც გეცოდინებათ, ამხანაგო ბეგლარ, რომ... ხეტყე კლებულობს, მაგრამ... თავგანწირვა მატულობს!

წამით დუმილი ჩამოვარდა, ნიკოს სიტყვებმა ყველას მწარე ღიმილი მოკვარა.

— თავგანწირვა... გამოდგება ვითომ ბაგად?! — იკითხა ბეგლარმა. რაიკომის მდიენის შენიშვნა ყველამ თავისებურად გაიგო, ლეონტიმ მის კილოში საყვედური ამოიკითხა, ელიზბარმა შემფოთება, ნიკომ კი დაცინვა.

— ამხანაგო ლეონტი, კოლმეურნეთა ბრიგადები, მართალია ტყეში მუშაობას განაგრძობენ, ცოტ-ცოტა საბიგე ხეტყეს კიდევ გაწვდიან, მაგრამ ეს ხომ... წვეთია ზღვაში? საჭიროა მეტრ ყურადღება და იმ ხალხის გამხნეება. ეს შენ უკეთ იცი, მით უმეტეს, აქამდისაც უნდა გეზრუნა, შენს მაგიერ ვინმე გაგეზრუნა და... უარესი რაღა

იქნება, მაგრამ ვიდრე ნამდვილად არის, თქვენი გასაქირი უარესად აგეწერათ.

— მართალი ბრძანებაა, ამხანაგო ბეგლარ. ვეცდები, დღესვე გამოვინახო კაცი და ვაფრინო საბიგე ხეტყის დამზადების რაიონში.

— სხვა გზა არ არის და... შენ იცი ლეონტიმ ბეგლარის წინაშე თავი მორჩილად დახარა, თანაც მკერდზე ისე დაიდო ხელი, თითქო რჩევისათვის მადლობას უხდისო.

ბეგლარი ელიზბარს მიუბრუნდა, — ამხანაგებმა განაგრძონ თავიანთი საქმე, შენ კი წამომყევით. ლეონტი და ნიკო კარებამდე მიჰყვენენ რაიკომის ჳდიენს. ბეგლარმა წინ ელიზბარი გაუშვა და როცა თვითონ გავიდა კარიც გაიხურა.

ბეგლარმა ელიზბარის თანხლებით შახტის ზოგიერთი უბნის მონახულება მოისურვა. ისინი საგარდერობოსაკენ გაეშურენ სპეცსამოსის ჩასაცემლად. გზაში ბეგლარმა ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— აქამდე არა ჩანდა ეგ კაცი და... მართლა ისეთი უნარიანი ხელმძღვანელი გამოდგა, როგორც ახლა ლაპარაკობენ?

ელიზბარს ცოტა გაუჭირდა ამ მოულოდნელ კითხვაზე პასუხის გაცემა.

— ჯერ იქნებ სჯობდეს, ამხანაგო ბეგლარ, „საბოლოო დასკვნისაგან“ თავი შევიკავოთ. ისე კი, წარმოიდგინეთ, უნარიანი ხელმძღვანელის შთაბეჭდილებას სტოვებს!

— ეგ არ არის გასაქირი. როდესაც აღამიანი პირად პასუხისმგებლობას გრძნობს, მასში საარსებო ძალებიც უფრო მეტად იღვიძებენ. აქამდე ბუზალაძე ნიორაძის „ჩრდილს“ იყო შეფარებული, ახლა ეს ჩრდილი რომ აღარ ფარავს, და აშკარად ჩანს მისი „პიროვ-

ნება“; იძულებულია... ერთ სიტყვით
ხველაფერი გასაგებია!

ბეგლარს გაახსენდა — ამ დღით
პარიკმახერი რომ პარსაღდა, იმანაც კი
სთქვა — იღბალია, ნიორაძის შემდეგ
შახტს ასეთი უნარიანი ხელმძღვანელი
რომ გამოუჩნდაო. წუხელი თათბირე-
ბსა და მოქალაქეთა მიღებას მორჩნენ
თუ არა, თანაშემწე ერთი საათი ელა-
პარაკა — მართალია, ზოგი ნაკლი ბუ-
ზალაძესაც აქვს, მაგრამ... სულ რამ-
დენიმე დღეში ისე გამოიჩინა თავი,
ხალხის ყურადღებაც მიიქცია და შახ-
ტის უფროსადაც რომ დაინიშნოს, წი-
ნალმდებელი არავინ იქნებაო. ბეგლარმა
ფიქრი შესწყვიტა და ელიზბარს მიუბ-
რუნდა:

— ხალხი რა აზრისაა?

— ხალხს, ამხანაგო ბეგლარ, მოგეხ-
სენებათ, ისეთი მოსწონს, ვინც მუშაო-
ბაში ხელს შეუწყობს, საქმესაც მარჯ-
ვედ გაუძღვება!.. ჯერჯერობით, ბუზა-
ლაძე, შეიძლება ითქვას, ამართლებს...

— მოკლედ, ხალხს მოსწონს!

ელიზბარმა ღიმილით გადახედა ბეგ-
ლარს, ყოყმანით შენიშნა:

— ყველას... არ მოსწონს იქნება...

— ყველას მოსაწონი სადაა!.. მაგრამ
გაიჩნია, ვის მოსწონს და რატომ...

— თქვენ ეგ თქვით!

— თუ ზოგს ბუზალაძე იმიტომ არ
მოსწონს, წარმატება აქვსო, ასეთების
აზრს ანგარიშს ვერ გავუწევთ!

— ამხანაგო ბეგლარ! წარმატების,
თუ წარუმატებლობის გარეშეც... უბ-
რალოდ, არა სჯერათ, თუ ეგ კაცი შახ-
ტის უფროსად გამოდგება!

— მაგისტანა ახირებული ბევრია?!

— არც ისე...

— ვნახოთ, ვნახოთ!.. თუ ბუზალაძე
სიძინელებს ვადალახავს, ხომ კარგი,
თუ არა და... გამოიჩინება კაცი!

— ამხანაგო ბეგლარ, წარმოიდგინეთ,
ბუზალაძე საქმაო ორგანიზატორულ
ნიქსაც იჩენს, დისციპლინაც უყვარს
და ახლა ომის პირობებში სწორედ ასე-
თია საქირო.

— მაგისტანა ყოველთვის სჯიროა.
საქმე ისაა — დიდხანს ეყუდებოდა ნიქი,
დიდხანს გაყუდება ხალხსი, ყოველთვის
ეყვარება დისციპლინა?...
ელიზბარს უნდოდა, მოფიქრებულ
პასუხი გაეცა ბეგლარისათვის. ამასო-
ბაში საგარდერობოსაც მიადგინა. ბეგ-
ლარი შეუპატიებლად პირველი შევი-
და კარებში, ელიზბარს პასუხი უთქმე-
ლი დარჩა.

აივანზე გამოსულ ლეონტის ბეგლა-
რისთვის თვალი არ მოუშორებია
ვიდრე ის ელიზბართან ერთად საგან-
რიგოს შენობაში არ შევიდა. ბუზალაძე
დაფიქრებული შემობრუნდა კაბინეთ-
ში. ერთ-ორ წუთს კრინტი არ დაუ-
ძრავს, ისე იჯდა იმ სავარძელში,
რომლის შესახებაც ენამწარედ შენიშნა
რაიკომის მდივანმა. ნიკოს მოსწყინდა
ასე ყოფნა და წასასვლელად რომ მოემ-
ზადა, მხოლოდ მაშინ „გამოერკვა“
ბუზალაძე. სავარძელში შეინძრა, თით-
ქო უფრო მოხერხებულად მოკალათე-
ბას აპირებდნო და არაბიძესაც დიდკა-
ცურად გადახედა.

— ნიკო, დაჯექი, დაჯექი!..

— წავალ, ლეონ... ტი.

— რა გეჩქარება!.. ჰო, კარგი წადი
და იფიქრე, თუ კაცი ხარ! იცოდე,
რაცა გთხოვე, ჩემი უსაფუძვლო მოხა-
სიათება კი არ არის... საზოგადო საქმე,
ვითარება მოითხოვს ამას!.. რა გაეწყო-
ბა... თუ გინდა, თანაშემწედ დაგიტო-
ვებ, თუ გინდა, სულ მოგაშორებ იმ
ქარქაშაძეს...

— ჯერჯერობით, ამხანაგო ლეონ-
ტი, ვერაფერს ვერ გეტყვი, ვიფიქრებ
და თუ დაეატყობ, საქმისათვის აჯო-
ბებს...

— აჯობებს, გარწმუნებ, აჯობებს!
ამას ბევრი ფიქრი აღარ სჭირდება!

— ჩემი უბანი ახლა ისეა აწყობილი
და იმდენ ნახშირს იძლევა, მაინც და
მაინც არაფერი გვესაყვედურება! ჩემი
გადაყვანის შემდეგ კი ვიი თუ ეგვიც

ჩამორჩეს და, ვერც იმ ქარქაშაძის უბანში გავაწყო რამე...

მაგას რომ მოვესწრებოდე... — მზაკვრულად გაიფიქრა ბუხალაძემ და წამოდგა, ცბიერის ღიმილით რომ შეხედა, მხარზედაც წასათამამებლად დაკრა ხელი არაბიძეს.

— შენ და ვერაფერი გააწყო? ნიკო! ქარქაშაძის უბანში რომ ვადაწყვეხარ, ამით, იცოდე, გაწინაურები! თავის კიდევ უფრო მეტად გამოჩენის საშუალებას გაძლევ! — ლეონტიმ ეს სიტყვები ხელის მალდა შემართვით და საზეიმო კილოთი წარმოსთქვა.

არაბიძემ უკმაყოფილოდ გაიფიქრა — ნეტავი ჩემთვის დამაყენებდეთო, — ბუხალაძეს კი ცოტა არ იყოს გაკვირვებულის კილოთი მიუგო:

— ამხანაგო ლეონტი, ქარქაშაძის უბანში გადაყვანა ჩემთვის ვერაფერი დაწინაურებაა!.. ნიკოს სიტყვებსა და ნაძალადეგ ღიმილში აშკარად გამოიხატა ამ კაცის უკმაყოფილება, უნუგეშო მდგომარეობაც.

— სიძნელეების ხსენებაზე რაღაც ისე იხევ უკან... ივარგებს ახლა, ამხანაგო ნიკო?..

— ეგ რა შეაშია... რაც დაკისრებული მაქვს, ის ცოტაა? პირნათლად არ ვასრულებ?

— შენი უბნის წარმატებებს არავინ არ ჩქმალავს, ის კი არა, ძალიანაც მოგვაქვს თავი და ეს შენც კარგად იცი, მაგრამ...

„თუ კარგად მუშაობ, მოსვენება არა გაქვს, თუ ცუდად მუშაობ, მაშინ ზომ არა გაქვს და არა... — პირველ შემთხვევაში ცუდები გემტერებიან, მეორე შემთხვევაში — კარგები“ — გულისტკივილით გაიფიქრა ნიკომ.

ახლა ორივენი სდუმდნენ და ელოდნენ, ვინ დაარღვევდა ამ დუმილს. აღარც ნიკომ იცოდა რა ეთქვა თავის გასამართლებლად და დასაცავად, აღარც ლეონტიმ იცოდა, როგორ გადაეჯერებინა არაბიძე.

ნიკო ჩაფიქრებული მიაბიჯებდა, თან გუნებაში კამათობდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ამ „კამათის“ მოსმენა, ერთხელ კიდევ დარწმუნდებოდიო, არასოდეს ისე გულწრფელი და თანაც გულუბრყვილო არ არის ადამიანი, როგორც ამ დროს.

ნიკომ „როგორც იყო, დააჯერა“ თავი, არასგზით არ შეიძლებოდა ლეონტის „რჩევის“ გაზიარება, არასგზით არ შეიძლებოდა ქარქაშაძის ნახევრად დაქცეულ უბანში გადასვლა; მის აღდგენას სულ ცოტა ორი კვირა მაინც დასჭირდებოდა. ხალხი ნახშირის მოსანგრევედაც არ კმაროდა და ვინ მოადუნდა ახლა მუშახელს უბნის რემონტისათვის. „ესეც რომ არ იყოს, თუ ქარქაშაძე ჩემს უბანში გადაიყვანეს, იმასაც ისე დააქცევს ის ბედოვლათი, როგორც თავის უბანს და, უყარე მერე კაკალი რა ენაღვლებათ ქარქაშაძეებს და ბუხალაძეებს!..“ ამ ფიქრებში ნიკო თავის ეზოს გაუსწორდა. გზატკეცილიდან ღობურად ჩარიგებული ბროწეულის ხეების სიხშირეში არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. რაღაც გაურკვეველი ხმები, ჯერ კიდევ მანამდე ესმოდა შარავნაზე ბროწეულის ხეთა მწკრივების გასწვრივ მიმავალ ნიკოს, სანამ ჭიშკარს მიაღებოდა. ეზოში, სახლის წინ თავმოყრილ, აღელვებულ ხალხს რომ მოჰკრა თვალი, არ მოეწონა. მართალია მხნეობა არასოდეს არ ღალატობდა, მაგრამ ახლა რატომღაც შატბია მოაგონდა და გაიფიქრა: „იმ ბიჭის შესახებ ხომ არაფერი ამბავი მოსულაო“. ამის გაფიქრება და მუხლების მოკვეთა ერთი იყო. ჭიშკარის ვიწრო კარის შემადღებაზე მარჯვენა ფეხი უკვე გადმოდგმული ჰქონდა და როცა მიწაზე დააბიჯა, თავი ძლივს შეიმავრა: კინალამ ჩაიჩოქა.

ამ დაუსრულებელ შიშისფეთებაში ნიკოც, ასმათიცი ღამენათევით ვალახული ჩანდნენ. ცალკე, ომში წასულზე და, ცალკე ოჯახზე ფიქრა, შინაურებზე თუ გარეშე მოკეთებებზე ზრუნ-

ვა შესამჩნევ დაღს აჩენდა ადამიანის სულსაც და ხორცსაც.

ნიკოს უთუოდ მოუთმენლად ელოდნენ, რაკი გამოჩენისთანავე ყველამ მას მიაშურა. დაუახლოვდა თუ არა, ნიკომ დაკვირვებით შეათვალიერა ისინი და რახან არცერთის იერში ცუდი ამბის მამხილებელი არაფერი ენიშნა, ცოტა გულს მოეშვა, მანამდე კი რა ფერმა არ გადაუარა სახეზე. მოდიო, და ნიკო არაბიძეს ვაქცაცობა, მხნეობა, ჭირში გაძლება დაუწყუნეთ!.. ასეთ წუთებში გმირთა-გმირიც რომ იყოს კაცი, გული გულია და მისი ისე «გამაგრება» შეუძლებელია, რომ მშვიდად განაგრძოს ძგერა. ასმათის ხელში წერილს მოჰკრა თუ არა თვალი, ნიკომ ის კი იფიქრა შატბიასაგან მიუღიათო, მაგრამ ვერასგზით ვერ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა შინაურების გაოცება.

— წერილია? — უბრალოდ, თითქოს ამ ამბავს სულაც არ აუღელვებიაო, იკითხა ნიკომ, — შატბიასი იქნება, რაღა თქმა უნდა. — ამ სიტყვებზე დადლილი კაცის სახეს ღიმილი მოეფინა.

— არა, ნიკო, — გულდაწყვეტილის კილოთი მიუგო ასმათმა, ერთი შენი ძმაკაცი გწერს!.. ზოგი სიტყვა გაეარჩიეთ, ზოგი ვერა...

ნიკო ცნობისმოყვარეობით შეუდგა ბარათის კითხვას. სიტყვას ზოგჯერ

პირველკლასელივით მარცვლავდა. დონბასელი ძმაკაცი პობეგაი ნიკოს წერდა — «გადაეწყვიტე საქართველოში გავატარო ჩემი წლები და დელი შევებულე: მცირე ხნით შენი სტუმარიც ვიქნები. ვფიქრობ, წყალტუბოსაც ვეწვით. ბოლოხანებში ცოტა მუხლების ტკივილი შემომეჩვია. თვის ბოლოსათვის შეგიძლია მელოდო...» და სხვა.

ხელი, რომლითაც წერილი ეჭირაკითხვის დროს, ნიკომ მოწყვეტით დაუშვა და ამოიხზრა.

— რა მწყინს, რა მწყინს!..

— რა იყო ნიკო!

— რა იყო და, ხედავ როდის ყოფილა ასმათ, გამოგზავნილი? — ნიკომ ბართი ასმათს გადასცა...

წერილის ბოლოში ეწერა — «დონბასი, ოცდაერთი ივნისი 1941 წელი» იგივე თარიღი იყო აღნიშნული კონვერტის ერთ მხარეს, ფოსტის შტამპზე.

— თითქმის ორი თვე გასულა — კვლავ სინანულით შენიშნა ნიკომ.

— არ გიკვირს რომ არ დაიკარგა!

— ან ეგ რა გასაკვირი იქნებოდა... ომის დაწყების მერე ვიღას ეცალა, შექალო, მოკითხვის ბარათების დასარიგებლად!..

— კიდევ კარგი, წერილს მოუსწრო გზაში ომმა და არა იმ შენს ძმაკაცს!..

(გაგრძელება იქნება)

კობე ნარიკაძე



როცა მარტო ხარ

როცა მარტო ხარ, როცა მარტო ხარ,
სულ მარტოდ-მარტო
და შენ გულს იცნობ,
ახედვ ზეცას —
დიდ საეარსკვლავეთს —
და ამას იგრძნობ!...
რა სიამეა, რა ნეტარება,
რომ სულ მარტო ხარ
და შენ გულს იცნობ.
სულს წარმავალი არ ეკარება!
რა სიამეა, რა ნეტარება...
და როცა იმ დროს
აბიბინებულს
გაივლი მინდორს, —
ტყისკენ წაგიყვანს
ბილიკი ვიწრო...
შედიხარ ტყეში.
იქ მდუმარებას
არღვევს ფრინველთა გალობა ქართო.
რაზე ფიქრობენ ათასწლოვანა?
რას ჩურჩულებენ ჩრდილები ფართო?

რაზე ფიქრობენ,
რას ჩურჩულებენ
ცანდე აწვდილი გოლიათები?
ვინ გაუმხილა მათ უწმინდესი
ჩემი ფიქრი და გულისნადები?
დღისით თუ ღამით
ვინ ჩაახედათ
მათ ჩემი სულის უძირო ტბაში?
როგორ გაიგეს, შიგ რა მარხია,
რა იმალება ჩემს სულისთქმაში?
როგორ მიმიხვდნენ,
რომ ამ ტაძარში,
სადაც ცეცხლი მწვავს ჩაუქრობელი,
თან მომაქვს ჩემი ჩუმი ლოცვები,
ჩემი ღვთაების საგალობელი?
როცა მარტო ხარ, როცა მარტო ხარ,
სულ მარტოდ-მარტო
და შენ გულს იცნობ,
სულს წარმავალი არ ეკარება!
რა სიამეა, რა ნეტარება...

რზია იოსელიანი



ხედი მოცარული

ბიქტორა ჩემი მეზობელია, ახლო მეზობელი. მას ჩვენი სოფლის გარეთაც ცალხელა ბიქტორად იცნობენ. იგი არც სამოქალაქო ომის გმირია და არც სამამულო ომის მონაწილე. ხელი აქვე, სოფლის განაპირა მდინარესთან მოიწყვიტა თევზაობის დროს. სადღაც მალაროში ამონიტი ეშოვა და ხელში აუფეთქდა. ნასვამი გახლდათ ალბათ. სმით თავი ვერ მოაქვს, მაგრამ სამაგიეროდ სუფრაზე იმღერებს, ვიღაც მეწისქვილე დათიკას გაიხსენებს, საწყალი თურმე მეტად ჩიჩია და წყალწალეზული ვინმე ყოფილა. ბიქტორა მას დადიანის საყვარელ მეგობრად წარმოადგენს. თურმე დადიანთან სტუმრობის დროს ოთხი წლის მოზვერისთვის თავი ხმლის ერთი დაქნევით წაუტლია და მიწაში იმდენზე წასულა მოქნეული მახვილი, რომ მთელი დღე ეხვია თავადიშვილები და ვერცერთმა ვერ შეძლო ადგილიდან დაძვრა. ერთხელ თურმე წისქვილის წინ კვეცი გაუჯრავს დათიკას და გორმალაზე მუხნარს ცეცხლი გაჩენოდა. (გორმალა ორი დღის სავალზე იყო დათიკას წისქვილიდან).

ცეკვა?

ცეკვა ხომ ბიქტორას მოგონილი იყო. ერთ დროს თურმე ცეკვის მასწავლებლობასაც ჩემობდა. სოფელში ბევრი მსურველიც გამოუჩნდა. სასყიდელიც შეაძლიეს. „რავა გეკადრებათო — გაწყრა ბიქტორა, — ჩემი ცოდნა ხალხისაა, ჩემი ნიჭი ისე შეგიძლიათ მოიხმაროთ, როგორც მემკვიდრეობით დატოვებული მამათქვენის საფულე“.

მოწაფეებმა თავისი მაინც არ დაი-

შალეს. მეცადინეობის შემდეგ სასადილოში შეიპატიეს მასწავლებელი. აღარ უთქვამს უარი ბიქტორას. იმხიარულეს, ილხინეს და ცეკვაში იქაც გაივარჯიშეს.

ერთხანს კარგად წავიდა საქმე. რაც მასწავლებელს გააჩნდა უნაკლოდ ჩაიბარეს, მაგრამ მაღა ჰამაშიაო, ახლა საბალო ცეკვაც მოთხოვეს ბიქტორას.

— გადირია თქვენი მტერი?! — გოცდა ბიქტორა, — მე რაც ვიცოდი, ესაა და...

— ეგ რაა, მაგდენი ჩვენც ვიცოდით! — უკმაყოფილოდ განაცხადეს მოწაფეებმა.

— ტყუილად გეწვალა, — ბუზღუნებდნენ ბიჭები სოფელში, — რაღაც მგლური ძუნძული გეასწავლა და ეს იყო და ესო.

ბიქტორას მაინც თავი მოქონდა თავისი ცეკვით და არცერთ პურის ჰამას ისე არ გაუშვებდა, ჩვეულებრივად სქელლანჩიანი უხეში ჩექმებით არ ჩაებუქნა.

სმით თავი არ მოქონდა-თქო, ასე, არა ვთქვი? დალევდა, იმხიარულებდა, ხალხს ასიამოვნებდა და, როგორც კი თავს შეატყობდა, აქ აღარ ვივარგებო, სუფრიდან შეუმჩნევლად აიძურწებოდა და დაბალი ლიღინით სახლს მიაშურებდა.

მის ლიღინში კი ყოველთვის ერთნაირ სიტყვებს გააჩნევდა:

მიწის შვილი ვართ, მიწა ვართ, ყველა მოვეკვდებით, იქ წავალთ, კარგი სახელი აქ გვრჩება ადამიანი ვინცა ვართ.

— გაძვრა ბიქტორა. გამოთვრა და უშველა თავს.

— კაი მოლხენა იცის მეუტ პურ-მარილზე.

ჩურჩულელებდენ, საყვედურობდენ და არავის აგონდებოდა ბიქტორას ოციოდ ფუთი ღვინო რომ მაქრობაზე გამოსევს.

ცეკვის მასწავლებლობიდან ბიქტორა ქვის მჭრელად გადახალისდა. თვითონვე გამოძებნა კარიერი სოფლის ბოლოს. ქვის მჭრელებიც აიყვანა, მხოლოდ გათლაში არ მოიშველა არავინ, — ქვას თუ სწორი კუთხე არ გამოუვიდა და გვერდი კოხტად არ გამოეთალა, რა სახლი უნდა აშენდესო. სახლი კი ჩემო ძმაო, იცი როგორი საქმეა? კაცმა მთელი ცხოვრება შიგ უნდა გაატაროს, შვილს და მომავალს შემკვიდრებოდ უნდა დაუტოვოს. ეს არაა უბრალო საქმე.

ქვას თვითონ თლიდა და ღიღინებდა:

...კარგი სახელი დაგვრჩება

კარგი მოხელე ვინცა ვართ...

გამოჩნდა მუშტარაი.

— ამ ოც დღეში დაქირდებათ.

— სახლია ეს, ბიქტორ, სახლი, შენი მლოცველი ვიქნებით. ორ კვირაში უნდა მომხებრხო, — შეეხვეწა მეორე. დაპირდა.

— შენი იმედი მქონდა, ჩემო ბიქტორ, ბავშვები გარე მიყრია, სიცივით დამიწყდება, უნდა გამაძანო ეს რაცა გაქვს, — ერთ კვირაზე წამოადგა თავს მობიძაშვილუ და მეზობელი.

ბიქტორა გაჯანჯლდა. დღეს თუ ხვალ კაცი მომადგება, რა ვუთხრა, სიტყვა მაქვს მიცემულიო, მაგრამ თოთო ბავშვებმა თავისი მალე გაიტანეს.

აჩქარდა ბიქტორა. ქვას გვერდი ჩამოსკდა, ერთს აიტანსო, — თქვა ბიქტორამ და სწორი გვერდი დაუდო ვამოსაჩენში. მეორეს არა უშავდა, არც შესამეს, მეოთხეს მრუდი კუთხე გამოჰყვა, არ მოადგება ხეირიანად, მაგრამ ბათქაში მოილესება; შეიძლება, არც დაემჩნეს შენობასო და გამრუდებულ კუთხეს მეზუთე ქვა წაათარა, მეექვსეს

და მეშვიდეს გათლამდე არ დაჰკვირვებია, გათალა და არცერთი ნომაში არ მოუვიდა, ვანში ორი სანტიმეტრი აკლდა.

— გარე პირი გაუსწოროს იმ მამაც-ხოვებულმა, — გაუჯავრდა ვილაცას ბიქტორა, — მესამედზე არ დააკლოს, შიგნით ზომ გასაღესია მაინც და არ დააჩნდება, — ალაგა ბიქტორამ ქვები. იმრავლა მუშტარამ.

ვილაც მეორე სოფლიდან გამოჩნდა.

— გაწბილებული არ გამიშვაო, — გააფრთხილა, სანამ რაიმეს ეტყოდა.

— კაცო, მეორე სოფლიდან მოსულხარ, უარს როგორ გეტყვი, — შესერა ბიქტორამ.

— აქებენ შენს ქვას და...უნდა მიშოვო ერთი ხუთასი ცალი მაინც, მუშები მიყენია, ვითომ დაბალზე ვაპირებდი, მაგრამ თუ ახლავე მიშოვი ბარემ მეორეზე, პალატზე დადგამ.

— ამას რომ უყურებ... — გააგრძელა ბიქტორამ, — სხვისია, თუ მომიცდი...

— როგორ მოგიცდი, კაცო, — შეიკვირვა მეორე სოფელმა, — ნაჭირავები ხელსანი დავაჯინო? მეტს მოგცემ თუ მაინცდამაინც...

— აჰ, მეტი რას ჰქვია!. — გაწყრა ბიქტორა.

— აბა, რა ვქნა, ჩემო ძმაო, ჩემი ცოლის ძმაც ჩამოვიდა ამ საკითხზე, კაცმა ორი რაიონი გადმოიარა და ახლა სახლში მიცდის, რა ვუბასუხო? არ გეხებრება, არა?

— კაცო, იქაც გაუგიათ ჩემი ქვის შესახებ?

— მე ვუთხარი, ამასწინეთ ქორწინში ვიყავი მასთან და...

— წაიღე თუ კაცი ხარ, წაიღე, მაგრამ არ გამამზილო... ასე თქვი ფული ექვსი თვის წინ მქონდა მიცემულიო.

— ორ წელიწადს ვიტყვი, დარდი ნუ გაქვს.

გაცეცხლდა ბიქტორა, ერთ საღამოს მოეპირიანშიც წაიმუშავა. მეორე დღეს

უთენია ჩავიდა კარიერში, ბიჭებს ცეცხლი მოუკიდა, არიქა, მუსტარი არ გამიქციოთ, სახელი არ გამიფუკოთ.

დატრიალდნენ ბიჭებიც, ვინ ხუთით მეტი მოჭრა გუშინდელზე, ვინ შვილით.

— არ ჩამჯდარა ბიქტორა არც სახაზავი უხმარია, არც სწორკუთხედი. მაინც არ მოესწრო. ნაწყენი წავიდა ერთი მეორე მანქანით მოვიდა და რაც ნახა არც უკითხავს ისე გადაუშვა ძარაში. მეორე გზობაზე ერთი ამბავი დააწია — ხელოსნები გადამირიე, — შეუტია ბიქტორას, — შენი ქვა სანახევროდ ხელახლა გასათლელო.

— აარჩიეთო. — სხვა რა ეთქმოდა ბიქტორას.

მესამე მოვიდა და სახლში არ დაბრუნებულა, საბჭოში წავიდა საჩივრელად. ბე წაიღო და სახალხოდ გამოლანძღა კაცი.

ქვის მჭრელებმა თავისი ანგარიში გაისწორეს და თავს უშველეს.

ბიქტორა ისევ უსაქმოდ დარჩა.

იმ დღეებში ხშირად ჩაივლიდა ჩემს ქიშკარზე ჩვეული ღიღინით:

კარგი სახელი აქ გვრჩება,

ადამიანი ვინცა ვართ.

ამ ბოლო დროს კალატობა დაიწყო...

— მივაგენი ჩემს საქმეს, — მეუბნება ერთ დღეს. აი კაცო, დიდი საქმე! რა უნდა გააკეთოს კაცმა ამაზე უკეთესი. სახლს უშენებ კაცს, ეს იმას ნიშნავს ოჯახს უქმნი ადამიანს, მოშავალს აძლევ, ვინ დაგკარგავს, ვის დაავიწყდები, შევა გაახსენდები, გამოვა, ახსოვხარ, კედელს შეხედავს, მარჯვენას დაგილოცავს, თვალებს ჭერს მიაპყრობს და რა ყავს შენი ფასი! არა, არა, კაი საქმე კია, სახალხო საქმეა!

დატრიალდა ბიქტორა, ჯერ ქვის საღორეებისა და საქათმეების შენებით გაითქვა სახელი, მერე ოდა სახლებზე მიდგმული ქვის მოხურულები ამოიყვანა. ბოლოს თვითონ ორსართულიან

სახლებსაც გადაწვდა. პირველ ორ შემთხვევაში არ უქამარს სარკმელი. გახედეს, გამოხედეს და დასაკვენეს: შეიღებია ბიქტორას შენებაო.

მოუხმეს ერთგან. დიდი ვაჭრობა არ უყვარდა. კაცო ფულში მაქვს საქმეო, — გაუწყებოდა მეპატრონეს, — როცა გექნეს, როგორც შეიძლოო. ეს უნდოდა ისედაც ნახარჯ კაცს, მეორე დილით უნდა ჩაეყარა ბალავერი.

გზაზე სარდიონის შეათავსაფრიანი ქვრივი გადაეღობა.

— ერთ წუთს ჩამობრძანდი, ბიქტორას ვენაცვალე!

არაყი გამოუბრუნინეს, თბილი მიაწოდეს ლამბაქით. არაყი მსხლის აყო. კარგი გემო დაიჭირა პირში, მიიხედნოიხედა, ეზო სააღმშენებლო ქვით, კირით და ხე-ტყით იყო ავსებული.

— ეს რაა, მშენებლობას აპირებთ?

...ვაპირებთ კი არა, ბიქტორას ჭირის სანაცვლოდ ვიყო, შენი იმედი გვაქვს.

— ჯერჯერობით ჩემი იმედი... — შორს დაიჭირა ბიქტორამ — ჩემი იმედი... ერთხანს...

მეორე სასმისი შეაჩჩეს ხელში, სარდიონის მეგობრობა და სიყვარული გაახსენეს.

— არა, მე ამიტომ არ მითქვამს უარი... — ისევ მაგრად დახვდა ბიქტორა.

ისევ არ მოეშვა ქვრივი, სარდიონის ღვიძლი ძმობაც დასწამა და ქვრივობის გაკითხვა მოითხოვა.

შეირყა ბიქტორა, მაგრამ საბოლოო სიტყვის თქმას მაინც არ აპირებდა.

— სხვასაც ვიშოვიდით, — ჩამოუკრა შევოსანმა, მაგრამ შენისთანა სასახელო ვინ მეგულება.

გატყდა ციხე. ბიქტორა სახელოვან კაცად მიაჩნდათ აქ და ამას იქით სად წავიდოდა.

მეორე თუ მესამე საღამოს სახლში ბიქტორას ცოლის მკვიდრი ბიძაშვილი დახვდა, ხანში შესული, ლამაზი

ცოლი ახლდა. გატეხეს პური, კეცსა და კეცს შუა შემწვარ ქათმის ბარკალს გაუსინჯეს გემო, მოსვეს ნუნუა და ბიქტორას სიტყვა ჩამოუგდეს ჯერ ახლო ნათესაობაზე, მოჭარბებულ სიყვარულზე, აქ სტუმარმა ქალმა ყელზე ორი თითი წაივლო, ცოლის ბიძაშვილმა დაშინავეით გაირკო საჩვენებელი თითი ხორხში. — „ბიჭი ცოლის შერთვას აპირებს, აქვე დაგვაჭერი თავები ოღონდ უარი არ თქვაო“. ბიქტორამ მოკლედ მოკრა, ერთ თვეზე ადრე, ეს ცალი ხელი გამიხმეს, თუ რაიმე შემეძლოს და უარი ვთქვაო.

ცოლის ბიძაშვილმა მავიდას ხელი დაკრა და წამოდგომა დააპირა.

— თუ ამდენ პატივს არ მცემდი!.. — და აღარ დაამთავრა, სკამიდან წამოიწია. დროზე ეძგერა ცოლი, ადგილზე დასვა და სკამი ბიქტორას გვერდით გადაიტანა, ილიაში ამოუტარა ბექდებით შეკედილი ფუნთულა თითები და ყურთან თითქოს საიდუმლოდ უჩურჩულა ბიქტორას:

— მე მეცი პატივი... მე... ჩვენო საამაყო სიძევ. — შერე ბიქტორას საღ ხელს დაუწყო ხელით ალერსი, — ვიცი მე არ მეტყვი უარს.

ბიქტორამ ცდუნების ასაშორებლად ცოლს მოუხმო:

— ფოსინე, დაჯექი, აყურებინე შენთვის ამ შენი სისხლისა და ხორცის თანაზიარო, მავრამ აქ მოხდა რაც მოხდა.

ფოსინეს გაცეცხლებულმა ბიძაშვილმა მიახალა ქმრის უარი და იწინასწარმეტყველა: ამას ჩვენს შორის საბოლოო ანგარიშის სწორება მოყვებაო.

აქ კი ფოსინე ამხედრდა ქმრის წინააღმდეგ. აბა მე მაგის შვილების დედა კი არა, გადიაც არ ვყოფილვარო.. და აიჩუყა გული. იმლაერა ბახუსისა და სტუმარი ლამაზი ქალის ცდუნებამ და ბიქტორა იმ ლამესვე გაიტაცეს „პობედით“.

მეორე დღით უთენია ეცა საქმეს

ბიქტორა, ბალავერს სიმაღლე ეკლდა, რომ ქვა ჩაყარა და თნელი დღეები მიუშვა. თარაზომაც უმტყუნა თუ სიჩქარეში მოუვიდა, უკანა ვედელის მარცხენა კუთხე თავიდანვე გარე გაქცა.

მაღე კირის ნაკლებობა შეატყო მასპინძელს და სილა მიუძალა. ერთგან კარებიც გადახარა, თვალი მოქუტა ბიქტორამ. ხელოსნის თვალი მჭრელია, სხვა ძვირად შეატყობსო და საქმე განაგრძო.

შუამღე იყო შენობა მისული, რომ ინეინრებმა პატრონს ხელახლა დაწყება უჩიეს.

ფეხით დაბრუნდა ბიქტორა უკან.

სახლში მისვლამღე დაიჭირეს სოფლის შესასვლელშივე „მოათავეო?!“ გაიოცეს, ესაა ჩვენი საქმეო, გვიქვნი სიკეთე, სამარადეამო ვალი დაგვდეო.

ბიქტორამ არაფერი უთხრა. ნაჯახი მოატანინა ბავშვს, ხელში შეაჩეჩა მოსაუბრეს და თავიდან ქუდი მოიშვლიკა, „დამკარიო“ შეეხვეწა.

„შეიშალა ეს ოჯახქორიო“ — იფიქრეს.

— მირტყამ თუ არაო? — ისევ იკითხა ბიქტორამ.

— რატო იკადრებთო! — გაიოცა მასპინძელმა.

— აბა რა ვქნა, ჯერ არაფერი არ შემიძლია სხვა საქმე მაქვსო.

ჩამოუარა პირველ გარიგებულს, უიშვართან რომ მივიდა, ეუცხოვა, იქნებ გზას ავცდიო. დააკვირდა, ახალი შენობა წამოზრდილიყო. კიდევ კარგი არ დაუძახია, გუნებაში მაინც არ წყენდა ბიქტორას, — სარდიონის ქვრივს ჯაუღიმა ბედმაო.

ქვრივისთვის მართლაც გაეღიმა ბედს, ხელოსნებს ჩამოველოთ მეორე დღესვე, და ბიქტორას სახლი გალახურული დაუხვდა.

მეორე დღით გაიქცა სოფლის თავში წუხანდელ მუშტართან. ახლა მასპინძელმა მოატანინა ბავშვს ნაჯახი, ბიქტორას მიცა ხელში და მულაირით უთხრა: „დამიშვიო“. მხრები შე-

ყარა ბიქტორამ, „შეიშალა ე ოჯახქორიო“, გაიკვირვა.

— ჩემი ქალიშვილია გათხოვილი იქ შენს ცოლოურს... დეკვით დაიწყო მასპინძელმა, — ჰოდა, გუშინ საღამოს როგორც შენ წადი ისიც მოვიდა.

— ვიცი, ვიცი!.. — შემობრუნდა ბიქტორა.

— არ გეწყინოს, ბიქტორ ჩემო, — მობოდიშა პატრონმა, — თვითონ იცი, სახლის აშენება ერთჯერაც არაა აღვილი, თორემ...

— ძნელია, ძნელი!..

იმ დღეებში ისევ მთვრალი შემხვდა ბიქტორა.

— მიწის შვილი ვართ მიწა ვართ... — დიდინებდა.

— შე რომ დამინახა ესიამოვნა, გამიცინა.

— გამარჯობა, ბიძია შენი!

— იცოცხლე, ჩემო ბიქტორ, იცოცხლე!

— რავე ვიკითხთ, ხომ კარგად?

— გმადლობ, ჩემო ბატონო?

ერთხანს უსიტყვოდ იდგა, ეტყობოდა რაღაცის თქმას აპირებდა და ვერ გაებდა.

— ხო არაფერი გიჭირს, ბიქტორ ბატონო.

— ჰე, ჰე! — ჩაიციინა მან, — მე უსწავლელი კაცი ვარ.

— მერე ეს ვისაყვედურა ვინმემ?

— არა, ამიტომ არ ვამბობ... მაგრამ შე მაინც ვიცი... შე ცოტაცოტა ყველაფერი ვიცი...

— შე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ...

უცებ მომიბრუნდა და პირდაპირ მითხრა:

— შენ მწერალი ხარ!

იმ ხანებში მართლაც გამოქვეყნდა ჩემი ორიოდ პატარა მოთხრობა, მაგრამ ასეთ განცხადებას მაინც არ მოველოდი ბიქტორასაგან.

— მწერალი ეს უფრო დიდი ამბავია... — დავიწყე მე, მაგრამ როდი მაცალა.

— ხომ გეუბნები, უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ ვიცი, შენ მწერალი ხარ.

— ეთქვათ, ეს ასეა, მერე შე რა შემიძლია?

— ჰოდა, — ისევ არ თქვა ბიქტორამ სათქმელი.

— რაშია საქმე არ მეტყვი? ერთობ დამაინტერესა ამ მუდამ სახელისა და უკვდავების მაძიებელ კაცს რაში დაეჭირდი.

— რა და... — ისევ შეჩერდა ბიქტორა, არ მორცხვობდა, მაგრამ ეტყობოდა ისე უნდოდა ეთქვა, არ გამეწბილებინა. მან ხმაში მართლაც უჩვეულო მუდარა გაურია და თქვა:

— დაწერე ჩემზე...

— შენზე დაწერო! — გამიკვირდა მე და უცებ დაფიქრდი, რა უნდა დამეწერა ბიქტორაზე.

— ჰო, დაწერე... მე ერთი უბრალო, უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ დღეს ბევრი რამ იწერება უბრალო ადამიანებზე.

— რასაკვირველია, ახლა თითქმის ყველაფერი ხალხზე იწერება.

— ჰოდა, ჩემზეც დაწერე, წიგითხონ, გაიგოს ქვეყანამ... მერე უცებ რაღაც მოაგონდა და დაუმატა... — ბიძაშვილობას, სახელი არ შეცვალა, კი არ მრცხვენია, ან რა მაქვს დასამალი, კი საქმე მინდოდა ყოველთვის.

— კი მაგრამ — საქმის ცოდნით დავიწყე მე, — ეთქვათ შენ წაიკითხე წიგნი, სადაც ლაპარაკია კაცზე, რომელმაც ხელი თევზაობისას დაკარგა, ცეკვის მასწავლებლობა დაიწყო და ვერ გაუმართლა იმედი ცეკვის მოყვარულებს, ქვის ჭრა...

— ვიცი, ვიცი... მერე რა ვინდა თქვა? — გამაწყვეტინა ბიქტორამ.

— რა და აქ საწყენად კი არ ვამბობ და... არაფერი ბოლომდე არ გამოუვიდა. ასეთი გმირი ვის რაში ჰირდება? რითაა სამაგალითო და მისაბაძი შენი ცხოვრება. ასეთ ამბავს შენ თვითონ მოიწონებ?

— მეე? — დაფიქრდა იგი — არა, არ მოვიწონებ... ეგ მართლაც არ ივარგებს... მაგრამ...

გაჩერდა. გაყუჩდა, წასვლა მაინც ვერ გადაეწყვიტა, ერთხანს ტყეზნა ჩექმით მიწა, მერე ისევ მუდარით მითხრა.

— მართალია, არ ივარგებს... მარა ისე, მაინც რო ეცდებოდე, იქნებ გამოინახო ჩემში ისეთი...

ამის შემდეგ ბიქტორამ სოფლის სიმღერის გუნდი შეკრა. მთელი საღამო კლუბში ტრიალებდა, სიმღერებს არჩევდა, ერთი ორად ახალი სიმღერაც შექმნა ხალხურ მოტივზე, სმენად გადაქცეულ გუნდის წინაშე მკლავების დაცვენამდე იქნევდა საღ და მაჯაში მოწყვეტილ ხელებს.

— სიმღერა... სიმღერა, ძმაო, არაა პატარა საქმე. ერთი კაი სიმღერა... არა, არა, სიმღერა და მუსიკა უკვდავი საქმეა.

მაგრამ როცა სარაიონო ოლიმპიადაზე გუნდი მერვე ადგილზე გამოვიდა მე ისევ მალე შევხვდი ღვინო მოჭარბებულ ბიქტორას.

მომესალმა. მომიკითხა. მერე მომაგონა, რომ ის უსწავლელი კაცია, მაგრამ ცოტ-ცოტა ყველაფერი იცის და ისიც იცის რომ ყველა საქმეს შემოევლება თავს და ბოლოს მკითხა:

— რა ჰქენი, ჩემში ვერაფერი გამოინახე ისეთი?

— ვერაფერი. — თავი გავაქნიე მე.

მერე კახიძე



მუდამ კალმახი ვიყო
ფაცერით დასაქერი.
მუდამ სიმღერა ვიყო
შენს გულში დასამღერი.

მალული კოცნა ვიყო
არვისთვის გასამხელი

შენს გულზე ვჩხრიალებდე,
როგორც ღურჯულის ხევი:

მიუწვდომელი ვიყო,
როგორც ლავვარდის ჭერი.
მუდამ კალმახი ვიყო
ფაცერით დასაქერი!

შენი სახლი ცარიელი,
ცივი ცისდასაღიერი,
ტვერის ბალი ერთი ციდა,
მზე რომ არ ჩანს არასოდეს,
როგორც არ ჩანს ღმერთი ციდან.

შენი ერთი გაღიმება, —
სევდის ფიქრად გაღივება,
პაპიროსის მუქი კვამლი
წასულა და დაკარგულა,
ვით ნამქერში კურდღლის კვალი.

ოღნავ მაინც რომ

ოღნავ მაინც რომ ვიყო ლამაზი
და ნაწნაეები მცემდეს კოჭამდე,
ოღნავ მაინც რომ ვიყო თამამი
და სათნოება მე არ მბოჭავდეს.

გავგიყდებოდი, როგორც არაგვი,
როგორც ქვევრებში ღვინო ყვარული.
ვით ლოკოკინა თავის კარავში, —
ჩავსახლდებოდი შენს სიყვარულში.

დარდს თუთუნით გულში ჩაეიხვევ,
დავდგები, როგორც კერპი არმაზის,
ოღნავ მაინც რომ ვგავდე ალვისხეს,
ოღნავ მაინც რომ ვიყო ლამაზი.

შენ მოხვიდოდი ჩემთან ხსნასავით
არ ინანებდი მოსვლას სრულებათ,
და გაფიცებულ დაირასავით
აბორგდებოდნენ ჩვენი გულები.

შავ კატასავით ღამე გაირბენს
და დღე გასცურავს, როგორც ბორანი,
დავემსგავსები ალბათ ცალ ირემს,
ჩამოვლამდები, როგორც ყორანი.

ოღნავ მაინც რომ ვიყო ლამაზი
და ნაწნაეები მცემდეს კოჭამდე,
გავგიყდებოდი შენს სიყვარულში
მე სათნოება რომ არ მბოჭავდეს!



საქართველოს
წიგლისწამყვანთა
კავშირი

კარუჩი, ძმაო! ცრემლები მთუთქავენ,
აპრილი ბალახებში ფშვინავს,
კაკბების კაბები მოედო რუსთაველს,
შენ როგორ ჩერდები შინა?!

კადარზე ჩამომხრჩვალ ლოლუას
ნაცვლად.

კვირტი ახამხამებს თვალებს,
უშენოდ არ მახარებს ქუჩაში გასვლა,
ჰე, ბიჭო, გამოდი ვარეთ!

ვინ შემოგახია შენ ტანზე სიცოცხლე,
ვით დაძველებული ჩოხა,
და საყვედურივით რად შემოგვატოვე
ჩემი ცრემლები და ოხერა.

ჩვენთან სიცილსა და ამ მზიან
სიცოცხლეს

ნუთუ ეგ დუმილი გიჯობს?
ო, როგორ მაყლიხარ თვალში, რომ
იყოდე,
ჩემო ზბოსთვალემა ბიჭო!



ნამსაღური

ბარემ გაიარა ყურე და უხმაუროდ გავიდა გაშლილ ზღვაში. მან დატოვა ვიწრო ზოლი, რომელიც მერე გაიშალა ყოველი მხრივ და ჩუმი ტყლაშუნით მიაწყდა სანაპიროს ქვის კედელს. სამგზავრო სადგურის მისაღვომთან იდგა დიდი, თეთრი გემი. გემის ირგვლივ წყალი ქუქყიანი იყო. მოშორებით, ნავსადგურის სიღრმეში ვეებერთელა ამწეები ტვირთავდნენ ტანკერებს. დაბალი და გრძელი ტანკერები საკვამლე მიღებიდან თეთრ ბოლს უშვებდნენ. სანაპიროსთან, ბეტონის დიდრონ ფილაქნებზე, ისხდნენ მზეზე გარუჯული ბიჭები და თევზაობდნენ. ერთი ბიჭი იჯდა მოაჯირზე და უყურებდა, როგორ თევზაობდნენ სხვები. ღრუბლიანი დღე იყო და ამიტომ ზღვას ღია მომწვანო ფერი გადაჰკრავდა. პორიზონტზე, სადღაც შორს წყალი მზეზე ლივლივებდა, მაგრამ იმ დღეს ზღვა ღია მომწვანო ფერისა იყო. ბეტონის ფილაქნებზე მოკალათებულ ბიჭებს შამბუკის გრძელი ჯოხები ეჭირათ და მოთმინებით უცდიდნენ, როდის მოედებოდა ანკესს თევზი.

სანაპიროზე გამოიარა ჭილის ქუდიანმა კაცმა და მეთევზეების დანახვაზე გაჩერდა. მან შეხედა ბიჭებს და ცარიელ ვედროებს, მერე შეხედა წყალს. იგი უცქერდა, როგორ დაცურავდნენ ქარსალეები თავთხელ წყალში. ჭილის ქუდიანმა მოაჯირზე ჩამომჯდარ ბიჭსა ჰკითხა:

— დაიჭირეთ რამე?

— ჯერ არა, — უპასუხა ბიჭმა.

კაცი ცოტა ხანს კიდევ იდგა და უყურებდა წყლის ზედაპირს. მერე წავიდა. ქუჩაში ყუთებით დატვირთულმა „ლი-

ნიკამ“ ბაზრისაკენ ჩაიარა. მანქანებიც დადიოდნენ ზოგჯერ, მოაჯირზე ჩამომჯდარ ბიჭს მოწყინდა ჯდომა და ძირს ჩამოხტა.

— ეი, დაიძახა მან, — წავიდი...

— აღარ მოხვალ, ზურია? — კითხავილაცამ ქვემოდან.

— არ ვიცი, — უპასუხა ზურია.

მან გადაჭრა ქუჩა და მოკირწყულულ შესახვევს გაყვა მეორე ქუჩისკენ. მერე გადაჭრა ის ქუჩაც და ჩიხში შევიდა. სიარულის დროს უშნოდ მიათრევადა ფეხებს მთვრალი კაცივით და მტერს ხედავდა ვიწრო ტროტუარზე. წვივები და ბეჭები მზისგან დამწვარი ქონდა. ტანზე ეცვა გახუნებული მაისური, მოკლე ტრუსები და სანდლები. დიდი ხნის გაუკრეკავი თმა ზღარბივით აბურძგნოდა კეფაზე. ბიჭი მივიდა ეკლესიასთან და გაჩერდა. გზაჯვარედინთან იდგა უპატრონო ეკლესია, რომლის კრამიტთან სახურავზე ახლა გარეული ლეღვის ბუჩქები ხარობდნენ. ეკლესიიდან ზურია დაინახა თავისი სახლი. უფრო სწორად მან დაინახა თავისი სახლის ერთი კედელი, რომელზედაც თავიდან ბოლომდე თუნუქის ნაჭრები აეკრათ, რათა სახლი წვიმებისა და სინესტისაგან დაეცვათ. თუნუქის ნაჭრები უკვე დაჟანგებულიყო.

ზურია მგზა განაგრძო.

— რანაირად მოდიხარ, ბიჭო? — დაუყვირა მეორე სართულის ფანჯრიდან მეზობლის ქალმა, ერთ დღეში გინდა დახიო მამ სანდლები?

ზურია მგზა არ გასცა და ეზოში შევიდა. პატარა ეზოში იდგა წყლის ონკანი. ერთი კედლიდან მეორე კედლამდე გაჭიმულ თოვებზე ეკიდა საბნებო

გამოსამზერებლად. მიწაზე გაფენილ ფარდაზე, კუთხეში, ეწყო გრძელ ზოლებიანი ლეიბები, რომლებსაც ჯოხით ბერტყავდა სქელი ქალი. ზურია გამჭრა ლეიბებს შორის და მეორე სართულზე რკინის კიბეებს აყვა. მან შეაღო თავისი ოთახის კარი და მივიდა ფანჯარასთან. ბაბუა ფანჯარასთან იწვა. ბაბუა ავად იყო და უკვე მეთექვსმეტე დღეა, რაც ფანჯარასთან წევს თავის საწოლში. როცა ზურიას დედა სამსახურში მიდიოდა, ბაბუა შვილიშვილის მხრუხრუხობის ამარა რჩებოდა მთელი დღე.

— ახლა როგორ ხარ, ბაბუა? — კითხა ზურია და თავზე დაადგა.

— გვედები... — უპასუხა ბაბუამ, — არა ვარ კარგად... დღეს მოგვედები.

— რა მოგვლავს, კაცო? — გაეცინა ზურიას.

ბაბუა ჩვეულებრივად გამოიყურებოდა და რატომღაც სწორედ ამხე ეცინებოდა ზურიას.

— თუ დედაშენის მოსვლამდე მოგვეკვდი, არ შეგეშინდეს — უთხრა ბაბუამ.

— ნუ გეშინია.

— მკვდარი კაცი არ არის, შვილო, საშიში...

— ცოცხალი კაცია საშიში, თორემ მკვდარი კაცი...

— ნუ გეშინია, ბაბუა — გაიმეორა ზურია.

— დღეს მოგვედები, ვატყობ მე... არ შეშინდე. და არ დაიბნე, როცა მოგვედები... მეზობლებს უთხარი ბაბუა მოკვდა-თქო... მოგეხმარებიან. დედაშენს შეატყობინებენ სამსახურში... საშიში ცოცხალი კაცია, თორემ მკვდარი კაცი არაფერი არ არის.

— ნუ გეშინია, კაცო, რა მოგვლავს, — თქვა ზურია.

— ასეა ეს...

ბაბუა გადაბრუნდა კედლისკენ და დაიძინა. ზურია გამოვიდა ოთახიდან და კიბეებზე ჩამოჯდა. იგი დასცქეროდა როგორ ბერტყავდა სქელი ქალი ეზოში ლეიბებს. ნაგვის ყუთს თავი ახდოდა ქონდა და ზურია ხედავდა საზამთროს ნარჩენებს ნაგვის ყუთში. ბუზები ბზუ-

მერე მოწყინდა ჯდომა, ადგა და ჩამოყვარკინის კიბეებს ეზოში. კიბეებს ჩახრახი და ქრიალი გაჰქონდა. ჩამოსვლეს დროს, სანამ ქუჩაში გავიდოდა, ქალმა შეწყვიტა ლეიბების ბერტყვა და კითხა ზურიას:

— რას შეგება ბაბუაშენი, როგორია დღეს?

— ძინავს, — უპასუხა ზურია.

ქუჩა იყო ვიწრო, სახლები ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ქვაფენილზე მწვანე ბალახი ამოსულიყო ტროტუარიდან — ტროტუარამდე.

— ზური, მოდი, ბიძია, აქ ერთი წამით, — დაუძახა ზურიას მელოტმა კაცმა და გაზეთის კითხვა შეწყვიტა. იგი იჯდა დასაყვეს სავარძელში, რომელიც გამოეტანა ოთახიდან და დაედგა ტროტუარზე.

ზურია მივიდა ახლოს. ოთახის კარები ღია იყო და იქიდან გამოდიოდა რალაცნაირი, დამახასიათებელი სუნი, რომელიც ყველა ოჯახს გააჩნია. „ყველა ოჯახს თავისი სუნი აქვს“ — გაიფიქრა ზურია, როცა იხედებოდა ოთახში.

— გამარჯობა, ბიძია ლავრენტი — თქვა მან, მერე.

— როგორაა ბაბუაშენი, არ აპირებს ჯერ ადგომას? — ჰკითხა ლავრენტი.

— არა, ჯერ არა...

ლავრენტის ტილოს თეთრი შარვალი და თეთრი მაისური ეცვა, შიშველი ფხეები ფოსტლებში ჩაეყო.

— ხომ დაეტყო ცოტა უკეთესობა, არ მოუხდა ის ჩემი მოტანილი წამალი?

— კი, კარგადაა, — უპასუხა ზურია — ახლა არა უშავს.

— კარგი აბა, ამ საღამოს ვნახავ; ასე უთხარი ამ საღამოს ვნახავს-თქო... ახლა, თუ არ გეზარება, ერთი პაპიროსი მომიბრუნებინე კუთხიდან, აბა, შენ ორი მანეთი...

— კარგი — გამოართვა ზურია ფული.

— „პრიმა“ გამოართვი... თუ „პრიმა“ არ ქონდეს აბა, კიდევ აბაზინი და „ბელამორ-კანალი“ გამოართვი.

— კარგი — თქვა ზურია.

— გაიქეცი აბა, გიცდი...

ზურია წაეიდა. იგი მივიდა ეკლესიასთან და მერე ჩაუხვია სანაპიროსაკენ. ბაღთან მოხუც გამყიდველს ფული გაუწოდა და პაპიროსი თხოვა.

— „პრიმა“ მომეცი.

— რა გინდა? — კითხა მეპაპიროსემ წყნარად.

— „პრიმა“ — გაუმეორა ზურია.

მეპაპიროსემ მისცა „პრიმა“ და მერე ხურდას დაუწყო ძებნა „ყაზბეგის“ კოლოფში. ზურია ხედავდა აქედან ნავსადგურს. ხედავდა სანაპიროს მოაჯირს და იმის იქით ზღვას. ზღვა ისევ ბაცი და წყნარი იყო. ვერ გაარჩევდი სად თავდებოდა მისი კიდე და სად იწყებოდა ცა. ზურიას ძალიან მოუნდა ზღვაზე წასვლა. მან გამოართვა მეპაპიროსეს ხურდა და შინ დაბრუნდა.

— ოო, გაიზარდე, — უთხრა ლაერენტიმ, — ჰქონდა, კაცო, „პრიმა“?

— კი, ჰქონდა.

ხანდახან არა აქვს მაგ ოხერს... არ მინდა ხურდა... არ მინდა, ბიძია, ეგ ხურდა შენ გქონდეს, მაგით ნაყინი იყიდე...

ზურია მინც დაყარა ხურდა ფულეში სავარძელში. როგორ შეიძლებოდა ნაყინის ყიდვა სამ აბაზად.

ლაერენტიმ სიგარეტი მუნდშტუტში ჩაღო.

— უთხარი ბაბუაშენს, არ დაგაეიწყედეს, საღამოს გნახავს-თქო.

— ვეტყვი.

ზურია ძალიან უნდოდა ზღვაზე წასვლა, იგი შევიდა ეზოში, გაძვრა საბნებს შორის და რკინის ქრიალა კიბეებით ავიდა მეორე სართულზე. მეზობლის ქალს ლეიბები შინ შეეტანა და ახლა საბნებს ბერტყავდა გრძელი ჯოხით. ეზოში მტკერი იდგა. ბამბისა და ბუმბულის ბუსუსები დაფრინავდნენ პაერში.

ზურია შევიდა ოთახში და დაინახა, რომ ბაბუა მომკვდარიყო. მან კარებშივე იგრძნო ეს. მან იგრძნო ეს, როგორც-კი დაინახა ძირს ჩამოცურებული

საბანი, არა ბუნებრივად გაშლილი ხელები მოხუცისა და ღიწმინდი ზურია ადგილზე გაშეშდა. მერე ნელა მიუახლოვდა საწოლს, ნელა მოვიდა მოხუცხელი მაჯაზე და დარწმუნდა, რომ მკვდარი იყო. საშინლად გაუკვირდა. არაფრით არ ელოდა, რომ ასე ჩუმათ, ასე უხმაუროდ, სრულებით უბრალოდ, ყოველგვარი წივილ-კივილისა და აურზაურის გარეშე შეიძლებოდა მომკვდარიყო კაცი. ზურიას მოაგონდა ბაბუას დღევანდელი სიტყვები, როცა ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, და იგრძნო, რომ არ ეშინოდა. არ ეშინოდა მაგრამ საშინლად უკვირდა. საშინლად უკვირდა, რომ ბაბუა მოკვდა ისე, რომ ვერაფერ ვერ გაიგო მისი სიკვდილი. როცა ზურია ფიქრობდა სიკვდილზე, იგი ამავე დროს ფიქრობდა კივილზე და ხმაურზე, ეხლა-კი წინ იდო მიცვალებული და ოთახში იყო სრული სიჩუმე. ყურებში ზუზუნებდა რაღაცა. ზურია გრძნობდა სიმარტოვეს, მაგრამ არ ეშინოდა. ზურიას ეშინოდა სიკვდილის სწორედ იმ გამყინავი კივილისა და ხმაურის გამო, ახლა კი სრული სიჩუმე იყო „მკვდარი კაცი არ არის“ საშიში... მკვდარი კაცი არაფერი არ არის... სინამდვილეში სულ სხვანაირი ყოფილა სიკვდილი, როცა ტრიან მამინ სულ სხვაა“. ფიქრობდა ზურია. მან მიხურა ფანჯრები, მერე ხელები გაუსწორა მიცვალებულს. პირი აუკრა, გადააფარა საბანი თავიდან ფეხებამდე და გამოვიდა გარეთ.

გარეთ დატუბლიანი დღე იყო. სქელი ქალი საბნებს ბერტყავდა გრძელი ჯოხით. აივანზე ბუხები ბზუოდნენ. ზურია ჩამოჯდა კიბეებზე და ჩაფიქრდა. მთელი ამ ხნის განმელობაში მას არ შეშინებია არც ერთი წუთით, მაგრამ უკვირდა, რომ ბაბუა მოკვდა და ეს არავინ არ ეცოდა. თითქოს არაფერი არ მომხდარა. ახლა ზურია იჯდა და ისევ ფიქრობდა. იგი ფიქრობდა იმაზე, თუ რა ამბავი ატყდებოდა საღამოს, როცა დაბრუნდებოდა სამსახურიდან დედა. აივანზე ბზუოდნენ ბუხები. ზურია ჩამოვიდა ეზოში და ხელები ონ-

კანთან დაიბანა. მერე ქუჩაში გავიდა. ქუჩის მეორე მხარეს, ზურიას ამხანაგის დედა, ბერძნის ქალი, პირველ სართულზე ფანჯრებს რეცხავდა. ლავრენტი გაზეთს აღარ კითხულობდა, ნარდს ეთამაშებოდა სეროიყას, რომელიც აქვე ახლოს ცხოვრობდა შუშაბანდიან სახლში. სეროიყა ქალბა, გამხდარი კაცი იყო და თეთრი შარვალი და ცისფერი მაისური ეცვა ლავრენტის ვით. გულისპირიდან მას უჩანდა ქალბრა ბანჯგვლები მკერდზე.

— მერე როგორ დამთავრდა საქმე? — კითხა სეროიყას ლავრენტის ცოლმა ფანჯრიდან.

ფანჯარას რკინის ბადე ჰქონდა აკრული გარედან და იქედან იხედებოდა ლავრენტის ცოლი.

— ჯერ არ დამთავრებულა, ჩემო ბატონო, — უპასუხა სეროიყამ, — ისე აღმასკომში ყოფილა, — სეროიყა ლაბარაკობდა და თან ნარდს უყურებდა, — იქ უთქვამს ყველაფერი, როგორც იყო.. ყველაფერი მოუყოლია დაწვრილებით... და შეპირებიან... — სეროიყამ ფანჯრისკენ გაიხედა, — შეპირებიან მაგ საქმეს გამოვიყვლევთ და პასუხსაც მოგახსენებთო.

— თუ თავმჯდომარესთან არ მივიდა, არაფერი არ გამოვა...

— კი, იყო თავმჯდომარესთანაც.

— ეგება ეშველოს საწყალს რამე...

— რა ვიცი, რა ვიცი, მაგის იმედით არის, ბატონო კაცი... ვნახოთ რა იქნება.

ზურია გაუარა მოთამაშეებს გვერდით და სეროიყას მიესალმა.

— გამარჯობა სეროიყა ბიძია.

— გაგიმარჯოს, ბიძიკო, როგორ ხარ?

— კარგად — უპასუხა ზურია.

— თითონ კი კარგად, მაგრამ ბაბუა ყავს ავად, — თქვა ლავრენტი.

— მართლა? — სეროიყამ კამათელი გააგორა, — რა დაემართა ცაცი?

— არ გაგიგია შენ?

— მე მივეუტანე წამალი, ვნახოთ თუ მოუხდა.

— არაფერი არ ვიცოდი თორენ... — სეროიყამ ისევ გააგორა წამათელი, — ახლა როგორაა? — კითხა ზურის.

— რა ვიცი? — უპასუხა ზურია მხრების აჩეჩით.

— არ ვიცოდი, თორემ, როგორ არ ვნახავდი... — თქვა სეროიყამ.

ზურია ნავსადგურისკენ წავიდა. როგორც-კი მოშორდა ვიწრო ქუჩებს და გავიდა ფართო სანაპიროზე, სადაც ტროტუარის გასწვრივ ჩამწკრივებულიყვნენ მაგნოლები და მოჩანდა ზღვა, ზურიათ თავისუფლება იგრძნო. უცბად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მძიმე ტვირთი მოიცილა მხრებიდან და განთავისუფლდა რალაციასგან. ზურიათ სწრაფად გასწია იმ ადგილისაკენ, სადაც მისი ამხანაგები თევზაობდნენ საათნახვერის წინ. სათევზაოდ მხოლოდ ერთი რუსის ბიჭი-ლა დარჩენილიყო.

— სად არიან სხვები? — კითხა ზურიათ.

— წაიღინენ...

ზურია ჩამოჯდა მოაჯირზე და გული დაწყდა. მას უნდოდა ყოფილიყო ამხანაგებთან ერთად და ელაპარაკა. ნაპირთან ოდნავ შუოლდნენ პატარა ტალღები. მთები ჩუმად იღგნენ ზღვის ირგვლივ. ზურია უყურებდა ნავსადგურს და სიამოვნებდა ზღვის სუნი. მაინც ბედნიერი იყო. შუქურასთან ვილაც კაცი მიიბიჯებდა ჯებირზე. ზურია უყურებდა შუქურას, უყურებდა ტანკერებს ნავსადგურის სიღრმეში და ამწეებს იმათ უკან. შორს მოჩანდა მწვანე მთები. მთების ძირში მოჩანდა პატარა, თეთრი სახლები. ზურია უყურებდა საწყობებს საბარგო სადგურში, რკინის ბურთებზე მიბმულ კატერებს, რომლებიც ნელა ირხეოდნენ ზღვასთან ერთად და ვეებერთელა, თეთრ გემს, რომლის ირგვლივ წყალი ჭუჭყიანი იყო და რომლის უკან მოჩანდა ზღვა — უსახდვროდ დიდი და ცისფერი. ზურია მაინც თავისუფლად და ბედნიერად გრძნობდა თავს.

სკვერში ხის სკამებზე ისხდნენ უსა-

ქმურები. მწვანე კონცხისკენ მომავალ კატერზე ჯაზი უკრავდა. თეთრ კიტე-ლიანი მელღეაური ეზმარებოდა ახალ-გაზრდა ქალებს კატერზე გადასვლაში. კატერი ქანაობდა ერთ ადგილზე. ღრუ-ბლიანი დღე იყო და ზურციას მოუნდა გაშლილ ზღვაში კატერით გასეირნება. მერე მოუნდა ვინმესთვის ეთქვა ეს. ზურციას გული დაწყდა, რომ ბიჭები წასულიყვნენ.

— სად წავიდნენ ბიჭები? არ იცი? — კითხა მოთევზავეს.

— რა ვიცი, ზოგნი საბანაოდ წა-ვიდნენ. ზოგიც — სახლებში. უკვე სა-დილის დროა.

— ჯერ რა დროს სადილია, ჯერ ად-რეა. — თქვა ზურციამ.

მას შიოდა, მაგრამ სახლის მოგონება არ სიამოვნებდა.

მელღეაურთა კლუბიდან მოისმა მუ-სიკა და ისევ შეწყდა; ეტყობა გამოთი-შეს რადიო. ზურცია უყურებდა ზღვას. ნაპირის სიახლოვეს დაცურავდნენ ბა-ტარა ქარსალები. წყალი იყო მწვანე და მახუთიანი. ზურცია იჯდა დიხანს და გული წყდებოდა, რომ არ შეეძლო გასვლა ამ ნავსადგურიდან შორს, შორს ზღვის სიღრმეში, სადაც ეხლა ნისლი

იყო, საიდანაც ალბათ არ ჩანდა არა-ფერი.

საღამოს ზურცია შინ დაბრუნდა და ტროტუარზე ჩამოჯდა. იგი ელოდებოდა დედის მოსვლას სამსახურიდან. ჯერ არ ბნელოდა. საარფანიანი ქალები ისხდნენ თავთავიანთი ოთახების კიბე-ებზე და საუბრობდნენ ოჯახის საქმეებზე. კაცები ეთამაშებოდნენ ბავშვებს ან ისხდნენ დაბალ სკამებზე პირდაპირ ქუ-ჩაში. კაცებს ისევე ეცვათ როგორც ლაერენტის—თხლად და საშინაოდ. სა-დილობის დრო დიდიხანია გავიდა. ისი-ნი, ვინც მსახურობდნენ, დაბრუნდნენ სამსახურიდან და ახლა ისვენებდნენ ოჯახებში. ყველანი დაბრუნდნენ ზუ-რციას დედის გარდა. ბოლოს ისიც გა-მოჩნდა. ქუჩის ბოლოს, ზურციამ დაინა-ხა ჩქარი ნაბიჯით მომავალი დედა. ზანტად წამოდგა და აიტუზა კედელ-თან. იგი შიშით ელოდა რაღაცას. მას არ უნდოდა აქ დახვედროდა დედას. „ახლა იტყდება კივილი, ყველანი და-ფაცურდებიან... საწყალი ბაბუა, რამ-დენი ხანია მოკვდა“ — ფიქრობდა ზუ-რცია. მას არ უნდოდა დაენახა, როგორ შეიცვლებოდა მთელი ქუჩა, როგორ შემფოთლებოდნენ მეზობლები.

ღარო სულაბერიძე



გეგერი იქნება ჭადარი

ეს გაზაფხული ამალამ კიდევ
რამდენს დააფენს ხეებზე კვირტებს.
აგერ ჩიტები წამოაფრინა,
და აგერ მხრებზე გამოაფინა
ატმებს წითელა-ბატონებივით.

ყალყზე ატოტდა ფრუტუნ-ფრუტუნით
ცხენი იმ გორთან მინაჰენები...
წელში გასწორდა მუხლდაკუთული...
ამოფუსფუსდენ ჰიანჰველები
მზით გაფიცებულ მიწის გულზედა.

სადღაც ახლოს ხარ, შორსა ხარ სადღაც,
ჩემი ხორცის და სულის ნაწილო.
მე სად მაქვს ღონე, როგორც ამ ჭადარს,
შენამდე როგორ ჩამოვალწიო!..
ეს გაზაფხული მოჰყვება ჭადარს.

სადღაც ახლოს ხარ, შორსა ხარ სადღაც,
ერთხელაც არის, შენც გამოჩნდები.
ჯერ ახალგაზრდა ამ ლამაზ ჭადარს
მაშინ შეხედები შენ გაოცებით,
დააჩერდები მის მაგარ ფესვებს.

გრიგოლ იმედაძეს

სტრიქონთა ჯვარზე გაეყარ, გრიგოლ,
და ეს წამება იყო სიამე.
ბავშვობიდანვე გაჰყვევი გრიგალს,
წერილ-წერილი საქმე გაანიავე.

შენი ობოლი ბავშვობის ლანდი
შეფარებია ბაგრატის ნანგრევს.
შენ საქართველოს მზის შუქში გადნი
და დაასრულე სიცოცხლე აჭრე.

გეპატარავა გულისთვის მკერდი,
მკერდი ლექსებით გაიფართოვე,
განიერ ჰქვეყნის შესახებ სწერდი
და ხელს უშვერდი მაღლა მნათობებს.

ბებერი იქნება ჭადარი ესე,
მაშინაც დასწერენ ჭადარზე ლექსებს,
მაშინაც დადგება მასთან ქალ-ვაჟი,
მაშინაც ჩიტთა გუნდი გვალვაში
თავს შეაფარებს ამ ჭადრის ფოთლებს.

შენც შეჩერდები და შრიალ-შრიალ
ფოთლები ჩრდილებს შემოგაშლიან.
მაშინაც ჩაივლის თეთრკაბა ქალი
და როგორც ჭადარს ძლიერი ქარი,
შეგარბევს მისი კაბის ნიავი.

მაშინაც დასცვივა ფოთლები ჭადარს,
და ლამით ქარი გაჰფანტავს ცადა
ვარსკვლავებივით იმ ფოთლებს
ყვითელთ,
მე მინდა მაშინ ჭადართან იდგე
შენ გაზაფხულის დიდი სიმღერით.

ამ ლექსმა იქნებ ვერ მოაღწიოს
შენამდე, ჩემი სულის ნაწილო,
მაგრამ დაუგდე ყური ამ ჭადარს,
ის გეტყვის, ნატერა მე როგორ მწვავედა
ამ ჰქვეყნად შენი გაცხადებისა.

ბოლოს არ ეყოთ პერიც ფილტვებს,
როგორ გაუძელ მაინც სარეცელს?!..
მთის ჩანჩქერივით ჩამოიწრიტე
და ყველა ხავსი კლდიდან ჩარეცხე.

შენზე ცრემლებით ვარ გაწუწული
და სიკვდილამდე ვეღარც გაგშრები,
შენ არ გიყვარდა ჰქვეყნად წუწუნი, —
შემომჰქვირიან შენი ბავშვები.

სიცოცხლე შენი ლექსებად იქცა,
სულ გახარებდა მზე და ზაფხული...
შენი საფლავი არ არის მიწა,
შენსავე ლექსში ხარ დამარბული.



დღესაც გრძელდება, დღესაც ასეა
ქარი, სიჩუმე და ფოთოლცვენა...
და მე ვგრძნობ, როგორ მიცვლის
ხასიათს
ქარი, სიჩუმე და ფოთოლცვენა.

მე, შეიძლება, დღეს დამეწერა
ეს, რაც მაწვალებს გაჩენის დღიდან,
მაგრამ ჩემს თვალწინ მოტყუდა კენწერო,
რომელსაც გუშინ ქარი ვერ ხრიდა.

გზა მიდის მთებში თეთრი და მრუდე
და გზას კვილით მისდევს იელი...
მე შენთვის მხოლოდ სიკეთე მსურდა
და ამ სურვილით ვიყავ ძლიერი

თვრამეტი მარტი, თვრამეტი მარტი.
თვრამეტი უკვე გასული წელი,
თვრამეტი უკვე გამქრალი ლანდი
და წელზე ახალ მეგობრის ხელი.
თვრამეტი მარტი, თვრამეტი მარტი —
ერთად ატანა მზისა და თოვლის
და, როგორც ბეწვი და სუნთქვა კატის,
ქუჩაც საგსეა დენით და თრთოლვით.
თვრამეტი მარტი, თვრამეტი მარტი...
დრო როგორ გარბის, რა სწრაფად
გარბის...
და ვილაც გიხსნის გულსა და კარტებს,
დროს თითქოს სცივა და საღლაც
გარბის.
და შენს კაბაში ირბევა ქალი
და ნაზი ბინდი ედება თვალებს

გალაქიონ ტაბიძის ხსოვნას
და ისევ ქუჩებს ეუბრუნებ თვალებს,
თითქოს მდინარეს ეუბრუნებ თევზებს
და ვიცი, რადგან ვიცი, რომ მალე
ამტკივლებიან ფიქრები შენზე.

დღესაც ასეა, დღესაც ასეა,
ქარი, სიჩუმე და ფოთოლცვენა
და მე ვგრძნობ, როგორ მიცვლის
ხასიათს
ქარი, სიჩუმე და ფოთოლცვენა.

მე შენ მეგონე ყველაზე კარგი,
ყველაზე თბილი და მშვიდი ბუდე.
გზა მიდის მთებში და ჩრდილებს კარგავს
და მიდის მთებში თეთრი და მრუდე.

და სულში ვილაც ჩურჩულებს:
მალე,
დალიე, სანამ სხვა ვინმე დალევს.
და როგორც ღვინო და როგორც
ბროლი
ქუჩაც საგსეა თრთოლვით და დენით
და, როგორც ღამე უეცარ სროლით,
ჩემი ცხოვრება შემქრთალა შენით.
და მეჩვენება: გაშლილ აფრები
მოვიდა ვილაც და გიციდის კართან.
ეს სიზმრებია და არაფერი,
სხვა არაფერი, სიზმრების გარდა
თვრამეტი მარტი, თვრამეტი მარტი...
თვრამეტი უკვე გასული წელი.
თვრამეტი უკვე გამქრალი ლანდი
და წელზე ახალ მეგობრის ხელი.



მომზადების თვალთ

ძველთაძველი სალამური,
სულ რომ მღერის ტბილი ხმით,
სასიამო, საამური —
აი, რაა თბილისი.

იფურცლება იგი, როგორც
საბინაო დაეთარი,
თხუთმეტრევე საუკუნე,
ისე ვით ბინადარი,
ამ დაეთარში გაწერილა,
აქ თბილისში ბინადრობს...
თხუთმეტრევე რალაც ზღაპრულ
საოცრებას გვიამბობს.

დიდი ქვეერი ღვინით სავსე,
სავსე ტბილის თილისმით,
სულ რომ დულს და შეფებს ისერის—
აი, რაა თბილისი.

მიყვარს ძველი ქალაქები
ძველთაძველი ქუჩებით,
ამ ქუჩებში დღენიადაგ
ჯალალებით მივლია,
ძველ ქუჩებში მცხოვრებლები
უფრო ახალგაზრდობენ,
კერაც უფრო თბილი აქვთ,
გულიც უფრო თბილი აქვთ.
ბუნებაშიც ასე ხდება,
როცა ხეხილს შეეცქერი —
ხეც ხომ უფრო მწვანე არის,
რაც ღრმად აქვს ფესვები.

ძმებო, ჩვენი სიჭაბუკე,
რწმენა და ხალისი,
მაგრამ როცა ოთხივ მხრიდან
წინაპართა ხმა ისმის,
როცა გრძნობ, რომ
გვერდში გიდგას
წელი ათას ხუთასი,
როგორც გმირთა ლაშქარი და
გულთა გასხივოსნება,

უფრო მეტად შეგვიძლია
ბრძოლა და ოცნება.

ვღვაჯარ, ვუმზერ
მუხას მაღალს,
ვუმზერ გულგანახარი,
ვეგრძნობ,
რარიგად შრიალებენ
მუხის მწვანე ფოთლები,
შრიალებენ,
შრიალებენ,
რა ხანია,
რა ხანი...
შრიალებენ,
რომ ეს მუხა
იყოს უფრო მაღალი.

შრიალებენ, შრიალებენ
და თანდათან
ჰკნებიან,
თითო-თითოდ
მუხის შტოებს
უხმოდ დასცივდებიან,
მათ სანაცვლოდ
ამ ტოტებზე
სხვა ფოთლები ჩნდებიან...
უფრო მეტად
ნორჩები და
უფრო ახალ-ახალნი,
რომ ეს მუხა,
მუხათ-მუხა
იყოს უფრო მაღალი.

შრიალებენ და თანდათან
ეს ფოთლებიც ჰკნებიან
თითო-თითოდ
მუხის შტოებს
უხმოდ დასცივდებიან.
მერე
იმთ სანაცვლოდ



სხვა ფოთლები ჩნდებიან.
მუხა კი დგას დეკადაციით
და იზრდება ნიადაგ...
ო, თბილისო,
შენი ბედი
ამ მუხის ბედს მიაგავს.

შენი მკვიდრნიც
აგრერივად
შრიალებდნენ რიხითა,
გესმის
მათი სიმღერები
საუკუნეთ სიღრმიდან.

ვით გაფრენილ ბედაურთა
უცნაური თქარუნთ,
ხან სულ შორს და
ხან სულ ახლოს
ისმის მათი ხმაური.

შენს სიღრმეში
წრიალებენ
ედრებიან
ქარ-ნიავს,
არიან თუ არ არიან,
მაინც შენთან არიან.

საქართველოს სიამაყევ,
მუხავ დიდო,
დიადო,
ცეცხლში გზრდიდნენ ქართველები
ციხკრად,
საგანთიადოდ.

შვილთა შენთა
დაგიფარეს
და მწუხრს გადაგარჩინეს...
ო, რა ხროვად გეხვეოდნენ,
ო, რამდენჯერ დაგჩრჩილეს.

ვით უმსგავსი
თავის სახელს
ხეზე სჭრის და ხარხარებს,
შენს სხეულსაც
მტრის ხელები
აგრერივად ლახვრავდნენ .

მაგრამ გასძელ,
როგორც გასძლო
ქვეყნად დედაბუნებამ
და მდინარებ ხალხში, როგორც
უკედავების თქმულება.

ხარბად ვისმენ.
თბილისელთა
ხმას — საოცრად ახლობელს,
ხმას, რომელიც
ჩემს ათენსა
და ჩემს ხალხს მიახლოებს.

მაგონდება, ყველაფერი
მაგონდება ელინელს,
მაგონდება კერა ჩემი,
მე რომ ვერ შეველიე.

მაგონდება მიწა, სადაც
ჩავეკიდე ხელით ხელს,
სადაც ჩემმა წინაპრებმა
ფეხი ამაღმევეინეს.

მათ მასწავლეს სიარული
კაცთა შორის კაცურად,
მიცხოვრია, მაგრამ მათს ვზას
არსად არ გადავსულვარ.

მე ათენი მაგონდება
როს თბილისში შევდივარ,
მე თბილისის ენა მესმის,
მე ხომ ათენელი ვარ.

ათენელი აღრიდანვე
მეგობრობდა ქართველთან,
თბილისიც ხომ
ჩემზე უკეთ,
უკეთ იცნობს ათენას.
იცნობს, როგორც
დედას
უკეთ
ცნობს მისივე დობილი,
ამიტომაც დავალ ახლა
ვით ამ მხარეს შობილი.

აქ ჩემს წარსულს მიყვებიან,
აქ მხედებიან უხვად,
აქ მე მშვიდალ შემიძლია

ჩავიმუხლო ბუხართან.
ჩავიმუხლო,
უცებ გავთბე
ცეცხლით პაპისეულით,
ტყბილქართულით
გაიყვინთოს
გულიცა და სხეულიც.

ვიგრძნო,
როგორ შეეთვისა
ორი ძმა თუ ორი და,
ორთა შორის
როგორ იქცა
ძმობის ხიდად
კოლხიდა...

ვიგრძნო,
ერთურთს
როგორ შეხვდა
ორი ერის ორი მზე,
აქ თბილისში
იმ ძველ ამბებს
სიყვარულით მოვისმენ.

მე მოვისმენ
იმ ძველ ამბებს,
ამოფრქვეულთ მკერდიდან,
როგორ იქცა
ჯვარი ჩვენი
ძმობის გზაჯვარედინად.

ჯვარი ჩვენი...
მაგრამ, ძმებო,
ამ ჯვარს ჯვარი არც ჰქვია.
ეს ხომ
ერთურთს
ჩახვეული
ორი ჯარისკაცია.

ერთი ქართლის
შეილი არი,
ერთი ელადელია.
ერთურთს გადაჰდობილები
ერთურთს ელამპრებიან.

ერთურთს გადაჰდობილები
შუბით, ხმალ-მუხარადით,
იდგნენ ერთად,

რომ დაეცვათ
ეს გზა ჯვარი მარადის,
დიდი აღმოსავლეთიდან
დასავლეთის კარამდი.

ო, თბილისო,
როცა უხმოდ
შენს ძველ ქუჩებს ჩავეუვლი,
აკენის კრიალს
მომავონებს
მაშინ შენი ხმაური.

მაგრამ თუკი დაგჭირდება,
შეგიძლია ყივილიც,
შენს მომავალს შენვე იცავ,
იცავ შენი შვილივით.
ხარ აყვანი სილამაზის,

სიყვარულის, სიწრფელის...
თუ დაგჭირდა,
აღსდგები და
ბარიკადად იქცევი.

აი, ვღგავარ მთაწმინდაზე,
არის ხეთა შრიალი.
ზევით — ზეცა უნაპირო,
ზეცაც ვარსკვლავიანი
სულ შრიალებს,
ვით ვაშლის შტო
თეთრად აყვავებული,
აქანავებს თითქოს ამ შტოს
თვითონ დედათბილისი
უხილავი ხელებით
და სცვივიან ვარსკვლავები,
ისე, ვით ფანტელები,
ისე, როგორც ყვავილები
დასცვივიან მიწაზე,
დგას თბილისი და ვარსკვლავებს
იტაცებს და იტაცებს.
რა ექნა, მიყვარს
ეს ქალაქი,
ვით ღამეში მიმავალს —
შუქმფინარი ფანჯარა,
მიყვარს, როგორც
მწყურვალს უყვარს
წყარო ცივი ანკარა
მიყვარს, როგორც
სახლის ჭერი,

სადაც წვიმა არ ატანს,
მიყვარს, როგორც
მეზობელი,
გულს და სულს რომ გაგატანს.
მიყვარს, როგორც
ლტოლელი უყვარს
სამშობლოზე ოცნება,
როცა გულში მშობლიური
სიმღერები ცოცხლდება.
მსურს, მშვიდობა ამ ქალაქში
სადგურობდეს მარადის,
აქ იციან ძმობა, მაგრამ
არ იციან ღალატი.

აქ ასეთი ადამი აქვთ,
აქ ასეთი ხალხია.
ღვინო რაა —
სულ უბრალოდ,
აქ ღვინოსაც არ ღვრიან.

აქ მშვიდობას,
როგორც ჩვილ ბავშვს,
თავზე დასტრიალებენ,
სამშვიდობო სალამურებს
ტკბილად აწკრიალებენ.

აქ მშვიდობას ცხელი პურით
მუდამ დააბურებენ,
მიყვებს გულით მიიღებენ,
მომხდურს გააბრუნებენ.

აქ მშვიდობის დიად დროშას
არასდროს არ დახრიან.
დასჭირდებათ, მშვიდობისთვის
სისხლს წყალივით დაღვრიან.

...

აქ ასეთი ადამი აქვთ,
აქ ასეთი ხალხია.

ერთი რამე მინატრია,
ვმაღავ და ვერ ვისვენებ...
მსურს ვესტუმრო
თბილის-ქალაქს
მოკლე ხანში ისევე.

მოვალ, მაგრამ
მსურს თან მქონდეს
ამ ცასავით ნათელი

ვიზა ერთი წარწერით
თბილისი და ათენი.

მსურს ხელთ მქონდეს
ჩვენი ღვინოთ
ავსებული მათარა,
გული სავსე სიმღერებით,
ჩვენი ტკბილი პანგებით.
აბა, ისე თბილის-ქალაქს
როგორ გავეკარები.

მოვალ, როგორც
მშენებელი,
აღმდგენელი იმ ხიდის,
რომელ ხიდზეც
თქვენთან ერთად
ლხინს და ხადილს ვიხდიდით.
მოვალ, როგორც
კალატოზი,
კედლებს ცად რომ აზიდავს,
ეგეოსის ზღვის ტალღებში
ბერძნულ მიწას ავზილავ,
ავზილავ და
ათენამდე
დაეფენ ისეთ აყალოს,
რომ ამ ხიდზე
გადიოდეს
შემდეგ მთელი სამყარო.

მოვალ, მოერთავ მოაჯირებს,
ჩვენი ზეცის ფერებით,
რომ ამ ფერებს
შენატროდნენ
ქვეყნად ყველა ერები.

მოვალ, გვერდში დაუდგები,
ყველა ქართველ მშენებელს...
მჯერა — თქვენი მზე და ზეცა
თქვენებრ დამამშვენებენ.

ვიცი, ძლიერ აირია
აბლა ჩვენი დროება,
ქვეყნად შექმნეს
სასიკვდილო
მანქანების ზოგანი,
რომ შეგობრებს
დაგვირღვიონ
ლხინი და მყუდროება.



ვიცი, ძლიერ აირია
 ახლა ჩვენი დროება.
 უფრო მეტად,
 ვიდრე წინათ,
 გველის საშიშროება.
 კაცოც უფრო
 მოკვდავია,
 უფრო,
 ვიდრე ოდესმე
 უფრო, მეტად
 ვიდრე წინათ
 გველის საშიშროება,
 მაგრამ ხალხის ნება არის
 უფრო მტკიცე, ძლიერი
 და ღრმად მწამს,
 რომ ამ ქვეყნად
 ისევ არ ავირევით.

დაეცემა ერთი, მაგრამ
 იმ ერთს შეცვლის მეორე,
 ის მეორე იოცნებებს,
 შემოიკრებს მეგობრებს,
 მას სხვა შეცვლის და
 ამ ქვეყნად
 სულ ვიქნებით ძმურად;
 ვართ მოკვდავნი, მაგრამ ხალხში
 კვლავ მოვდივართ გულადად.
 დიახ. მოვალ აქ, თბილისში,
 მოვალ ყოველ ციმარე

სინამ გული მიდგას მკერდში,
 მოვალ გულს გავიხარებ
 ხოლო, როცა არ ვიქნები,
 მომიყვანენ აქ სხვები,
 მოყვრები და მეზობლები,
 მეგობარი ხალხები.

მომიყვანენ, რადგან მეც ვარ
 წმენებელი იმ ხიდის,
 რომელ ხიდზეც, ძმებო, ძველად
 ლხინს და ხადილს ვიხდიდით.

რადგან მეც ვარ იმ ფოთლებში,
 ვინც თავისი ღაღანით
 შრიალებდა, რომ აქ მუხა
 ყოფილიყო მალაღი.

მტრებმა გზაც რომ ჩამოხერგონ,
 აღმიმართონ ზღუდენი,
 მაინც მოვალ,
 თბილის-ქალაქს,
 მაინც ჩაგებუტები.
 ვერასოდეს შეგულები,
 რა გქნა, ვერ გიღალატებ...
 ასჯერ მოვალ,
 ასჯერ გეტყვი —
 ხვალაც გნახავ,
 ხვალამდე.

თარგმანი მორის ფოსტიშვილისა

მიხილ რაქიანი



გარსონ, პრენე!

საქართველოდან პარიზში წასული ორი სტუდენტი მონტე-კარლოში მოხვდნენ. ქვეყნად ცნობილია ამ ქალაქის სილამაზე, — იგი ხმელთაშუა ზღვის ნაპირზეა გაშენებული. ეს ქალაქი აგრეთვე განთქმულია ქალაქის სათამაშო სახლით — კაზინოთი.

ერთ ღამეს, ბაღებში სეირნობის დროს, ისინი, მოულოდნელად აღმოჩნდნენ სათამაშო სახლის წინ, რომელიც ქვეყნიერების ყველა კუთხიდან იზიდავს ადვილად ფულის მშოვნელებს. ერთი სტუდენტთაგანი აფხაზი თავადი გიორგი შერვაშიძე იყო. ახალგაზრდები შენობაში შევიდნენ და იმ დარბაზში მოხვდნენ, სადაც „შენ დე ფერს“ თამაშობენ. სტუდენტები გაანცვიფრა დარბაზთა მდიდარმა მორთულობამ და ფულისმოყვარულ ადამიანების შურიანი სახეებმა. ისინი ჯგუფებად შემოსხდომოდნენ ქალაქის სათამაშო მაგიდებს. ზოგიერთი უკვე თამაშობდა, ზოგიერთი სხვის თამაშს აღელვებული შესცქეროდა. მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებსაც ერთ ღამეს ზღაპრული სიმდიდრე შეუძენიათ და იყვნენ ისეთები, რომლებიც ერთ ღამეს სრულიად გაკოტრებულან. როცა ყმაწვილები დარბაზში შევიდნენ, კრუპიე დიდ თანხას აცხადებდა. მაგიდაზე ქალაქის ფულის უზარმაზარი გროვა ეყარა, მინის ქვეშ კი თვალის მომკრელად ბზინავდა ოქროს ფულის გორაკები.

ვერცერთმა დამსწრემ ვერ გაბედა ამდენი თანხის დაძახება. გიორგი შერვაშიძე თეთრ ჩოხა ახალუხში იყო გამოწყობილი. ფეხებზე რბილი და მსუბუქი ტყავისგან შეკერილი წულა-მესტი

ეცვა. მისი ღამაში ტანი მომჯაღოებლად ირხეოდა ამ ღამაზე და თავისებურ ტანსაცმელში. იგი მაგიდას მიუახლოვდა.

— შეიძლება? — ისე უბრალოდ იკითხა მან, ვითომ ეს თანხა არაფერს ნიშნავდა.

მოთამაშე ახალგაზრდა კაცმა თავის ამხანაგს გადახედა, ჯიბიდან ასდოლარიანი ამოიღო და მაგიდაზე დააგდო.

კრუპიემ ქალაქი დაარიგა.

— წავაგეთ, — უბრალოდ სთქვა გიორგიმ და წაგებული ფული ბანკისაკენ მისწია. მოთამაშე ახალგაზრდამ თავით აჩვენა გიორგის ფულზე და ხშირად გასძახა მსახურს:

— გარსონ, პრენე!

ლივრში გამოწყობილი მსახური მაგიდას მიეარდა და ფულს ხელი მოხვია. გიორგის სახეზე სისხლი მოაწვა. თავი მაინც შეიკავა.

წრეში თამაში გაგრძელდა. აფხაზი თავადის რიგი ისევ მოვიდა.

— გნებაეთ? იკითხა კრუპიემ.

— დამირიგეთ! — სწრაფად უპასუხა გიორგიმ და ასდოლარიანი მაგიდაზე დააგდო.

— შეიძლება, არც კი ღირდეს, — ამჟარა დაციწვით თქვა ბანკის მეპატრონემ. გამოგადგებათ.

— გთხოვთ, ქალაქი დაარიგოთ, მკვახელ მიამაზა თავადმა გიორგიმ. კრუპიემ ქალაქი ჩამოარიგა. ახალგაზრდა თავადმა ისევ წააგო.

— ბედი არ გწყალობთ, კავკასიელი! დაციწვით უთხრა ბანკის მეპატრონემ და თვლებში შეხედა გიორგის. ნუ ჩქარობთ, ასე შეიძლება უცებ გაკოტრდეთ. იგი ისევ მიუბრუნდა ლაქიას

და ყველას გასაგონად დაიძახა:

— გარსონ, პრენე!

მსახური ეცა ფულს, ხელად მოხვეტა, მადლობა გადაუხადა და გახარებული გადგა განზე.

გიორგის თითქოს ყველაფერი დაავიწყდა.

— კმარა, წაეიდეთ, ეხვეწებოდა თანამემამულე. მაგრამ გიორგი ადგილიდან არ იძროდა. ახალგაზრდებს არაერთხელ გაეგონათ ბედიღბლიან ადამიანების შესახებ, რომლებიც ერთ დამეს გამდიდრებულან, მაგრამ ახლა მათ თვალწინ ხდებოდა ეს საოცარი ამბავი. მათ ცხოვრებაში ასეთი არაფერი არ ენახათ. ათჯერ ჩაუჭრა მოთამაშეებს ხელი ბანკის მეპატრონემ და როცა მეთერთმეტეჯერ მოიგო, ალბათ იფიქრა ამდენი თანხა აღარავის ექნებაო, ზევით წამოდგა და განაცხადა:

— თამაშს ვასრულებ! — ცოტა ხანს გაჩერდა, მერე უღიმღამოდ მოავლო ყველას თვალები და დაუმატა, ვისაც ნებავეს კიდევ ვეთამაშები, მხოლოდ ერთი პირობით, მცირე თანხაზე არ შემოიძლია.

— თქვენი ნება იყო, ხურდაზე ნუ ვითამაშებთ, აღვზნებით წამოიძახა გიორგიმ.

— რამდენი? — თვალების ზევით აუწვევლად იკითხა ბანკის მეპატრონემ.

— მთელი თანხა! — ისევ გაისმა თავადის ხმა.

იგი ოდნავ თრთოდა კიდევ.

— თქვენი თავდები? — ისევ იკითხა მოზანჯავემ.

იმ დღეს სოფელში მამაკაცები არ იყვნენ. ზაფხულის ცხელი დღეები იდგა და ყველანი მთებში იყვნენ წასულნი. ზოგი საქონელს ვაჰყვა საბალახოებზე, ზოგი შეშას ამზადებდა საზამთროდ, ზოგი კიდევ სანადიროდ იყო წასული.

სწორედ ამით ისარგებლეს ყარაჩაელთა მცირერიცხოვანმა თავდამსხმე-

სტუდენტმა კრუპიეს წინ თავისი სადარბაზო ბარათი დაუგდო „კრუპიენ-ვალესი თავადი გიორგი შერვაშიძე“ — სმამალლა წაიკითხა მან.

— პრენე! პრენე! დაიყვირეს გარშემო.

ბედიღბლიანი მოზანჯე ოდნავ გაფითრდა. მან შეამჩნია ის შური, რომელიც ზისმა დღევანდელმა მოგებამ დაბადა მაყურებლებში. კრუპიემ ქალაღი დაარიგა. ყველანი მოლოდინში გაინაბნენ.

მოზანჯევემ სწრაფად და დაჯერებით ისროლა მაგიდაზე ქალაღი.

— რვა!

— ნუ ჩქარობთ ბატონო ჩემო, — წყნარად და სიღარბისილით წარმოსთქვა გიორგიმ და თავისი ქალაღი ექვსიანი და სამიანი მაგიდაზე დააწყო.

— ცხრა! — გაოცებით და სიხარულით წამოიძახა ვიღაცამ ხალხიდან.

— მოიგო! — ათეული ხელები მოეპოტინა გიორგის ახლა.

— თქვენია, — გაყვითლდა ბანკის პატრონი.

— ინებეთ. წარმოსთქვა კრუპიემ და ფულზე უჩვენა გიორგის.

— წაეიდეთ, კონსტანტინე! — ქართულად უთხრა მეგობარს გიორგიმ. შემდეგ იგი ოდნავ მიუბრუნდა ლივრში გამოწყობილ მსახურს და ამყად გასძახა: — „გარსონ, პრენე!“

ორივე სტუდენტმა სწრაფად დასტოვეს ერთ ადგილზე გაყინული და გაოცებული ადამიანები.

დანაკბი

ლებმა და მოულოდნელად დაატყდნენ თავზე უმცველოდ დარჩენილ სოფელს. ცეცხლს მისცეს ყველაფერი. ტყეები წაასხეს, ცხენის რემა გადენეს და ორწოხებით მიამურეს მთის გადასასვლელებს.

ცაღაზიდული ალვისხის შრილა გრილ ტოტების ქვეშ ეძინა ახალგაზრდა აფხაზს დანაკის. იგი მთაში

სანადიროდ იყო წასული, დაქრილ ირემს მთელი დღე სდია კვალდაკვალ და ახლა დაღლილს მაგრად ეძინა. კბატი მონადირე განთქმული ვაჟაკი იყო. უშიშარს, გონიერს და დარბაისელ ახალგაზრდას მეხის გაეარდნასავით ხმაე ჰქონდა თურმე. თავდამსხმელები მძინარეს წააწყდნენ დანაკაი, იგი ვერ იცნეს, იარაღი წაართვეს და ხელგაყო-ქილი ტყვეებში შეურიეს.

დანაკაი მორჩილად მისდევდა დატყვევებულებს. ბოღმა ახრჩობდა ქაბუქს. მისი თანამემამულენი ცრემლებით და მწუხარებით სტოვებდნენ თავის მიწა-წყალს. ყარაჩაელები მირეკავდნენ ბე-დაურთა რემას, საპალნეებით მიჰქონდათ სოფლის დოვლათი, მათრახის ცე-ნით აჩქარებდნენ მოხუცებს და ქალებს. ჩუმად მისდევდა მათ დანაკაი. მთელი დღე მიძვრებოდნენ მომხვედურები მთე-ბის ვიწროებში და ცერად დაკიდებულ ბილიკებზე. როდესაც დაბნელდა, და-მისსათევად მიწნენ. ცხენების ჯოგი და ხელშეკრული ტყვეები კონჭყო დაბლობში ჩარეკეს, თვითონ კი გან-

ცალკედნენ და დაიძინეს. ღამით და-ნაკაიმ კბილებით გადაკენიტა ბაწარი, ჩუმად მოპარა თოფ-იარაღი მომხდუ-რებს და იქვე კლდის ახლოს ორმოში გადამალა, თითონაც ფრიალო კლდეს მიეთარა. თოფის ლულა ყარაჩაელებს მიუშვირა და თავისი ძლიერი მეხვიით ხმით დასძახათ:

— ადექით არამზადებო, ხელები ზე-ვით!

კურდღლის ბოცვრებზე თუ წამოხტნენ ნამძინარევი და შეშინებული თავდამ-სხმელები.

— პირველი, რომელიც ჩემს ბრძა-ნებას არ დაემორჩილება ტყვიით გა-ფუხერებ გულისფიცარს. დაგრგვინა ისევ დანაკაიმ.

გვიან იცნეს დამპყრობლებმა დანაკაი. წეროების გუნდით გაამწყრივა ისინი აფხაზმა ქაბუქმა და ბილიკებით წამოიყვანა უკან თავის სოფლისკენ.

შიშისგან გაფითრებული, თავჩაქინ-დრული ყარაჩაელები ლასლასით მორ-ჩილად მიყვებოდნენ აფხაზ ვაჟაკს.

ღაშვა მარშანი

დალის ხეობაში, სოფელ ლატაში, ცხოვრობდა ღაშვა მარშანია. მეტად ულამაზო კაცი ვახლდათ მარშანია. დაბალი და ჯარგვალა, ცალი თვალით ბრუციანი იყო. მაგრამ ლაჩარი როდი იყო. გულადი და ძლიერი ვაჟაკი მთელ სოფელში ტოლს არავის უღებდა. ჩერქეზეთში ძმადნაფიცი ყავდა სახელგანთქმული ატაყუხ მამათგერი. ოც-დაათი წლის იყო ღაშვა, როცა ქალის თხოვა გადასწყვიტა. წინად აფხაზეთში ყოველთვის მწიფე კაცი ირთავდა ქალს. ღაშვა მარშანიას მზეთუნახავი მარონა შეუყვარდა და ორი წელია უკვე მის საქმროდ ითვლებოდა. ქორწინების დღეც დანიშნეს, მაგრამ მოხდა მოუ-ლოდნელი ამბავი. ქორწინების წინ მარონამ სხვა შეიყვარა და მასთან ერ-თად გაიქცა სოფლიდან. ყველაზე საო-ცარი ის იყო, რომ მარონას ქმარი

ჩერქეზი მამათგერი აღმოჩნდა. მარო-ნას ასეთი ვერაგული საქციელი მართო ღაშვა მარშანიას როდი უკლავდა გულს, ეს დარდი მთელმა მისმა გვარმა გაინაწილა, მთელი ნათესაობა დამგ-ლოვიარდა. ისინი შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს და ღაშვასგან სის-ხლის აღებას მოითხოვდნენ. სოფელში მას უკვე „მიტოვებული სასიძო“ და-არქვეს. ეს სამარცხვინო სახელი ერთი პირიდან მეორეს გადაჰქონდა და დამ-წუხრებული ვაჟაკი ყველას ემაღე-ბოდა, ხალხში გამოჩენას ერიდებოდა.

ერთი ღამით არავისათვის არ გაუმ-ხელია, ისე მოულოდნელად გაქრა სოფ-ლიდან.

ატაყუხ მამათგერიმ კარგად იცოდა, რომ ღაშვა სამაგიეროს გადაუხდიდა. ცოლის წართმევა სიკვდილზე უარესია მთაში. ფრთხილმა ჩერქეზმა ქვის მა-

ღალი გალავანით შემორაგვა ეზო, მცველები დაიჭირა და ისე ცხოვრობდა.

ფხიზელი ბიჭები იცადენენ მამათგერის სახლობას, მაგრამ ლაშვა უფრო ფხიზელი აღმოჩნდა. იგი შეუმჩნეველად გადაეპარა მცველებს მაღალ გალავანზე და მოწინააღმდეგეს პირისპირ მიადგა. გველივით მისრიალდა ის მამათგერის საწოლ ოთახთან და დააკუნა. კარები გაიღო. ნამძინარევი, ყოფილი ქმადნაფიცი, ამქამად კი მოსისხლე საცვლების ამარა დახვდა ლაშვას.

მამათგერს იცნო ლაშვა და აკანკალბულმა უკან დაიხია. ლაშვა კვალდაკვალ შეჰყვია საწოლ ოთახში ატაყუხს. ლოგინზე მარონაც იწევა.

— მობრძანდით, — დაბნევით და შიშით წამოიძახა მამათგერიმ.

— ვინმეო საკადრისი საყეთე მოგიზლო. — დამციანვი ღიმილით უბასუხა ლაშვამ. — პატიებას გთხოვთ სიმშვიდის დარღვევისათვის, — მიუბრუნდა იგი მარონას, — შენ კი სწრაფად ჩაიციე, დაუბრიალა თვალები მოსისხლეს. მე არ შემოდირა ტიტველ კაცთან საუბარი.

მამათგერი შეიმოსა და შეიარაღდა.

— გამიგონე, — უთხრა ლაშვამ მას. — ამ ჭაღმა შენი თავი იმიტომ ამჯობინა ჩემს თავს, რომ შენ უფრო ლამაზი ხარ, ახლა მან თავისი თვალით ნახოს ჩვენ შორის ვინ უფრო მამაცი და ძლიერია. ჩემი პირობა ასეთია. თუ მე დამჯაბნი, რაც გინდა ის მიყავი, თუ მოგერიე, იცოდე, ყურს მოგაჭრი!

დაიწყო ორთა ბრძოლა.

ღიღახანს ებრძოდა ტანწერწერტა მამათგერი, ფოცხვერივით მოჭნილსა და მკლავმაგარ მარშანიას და ბოლოს მაინც დაეცა იგი. მუხლმოდრეკილი შეჰყურებდა იგი ყოფილ ქმადნაფიცს. ლაშვამ ზანჯლის ერთი მოჭნევით ჩამოსხიბა ყური და წყნარად სთქვა.

— მშვიდობით, ამის შემდეგ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია. თქვენთან სხვა არაფერი მესაქმება.

ლაშვა მარშანია ღამის სიბნელეს შეერია.

რამდენიმე დღის შემდეგ იგი თავის სოფელში დაბრუნდა. ნათესაეები ისევ ძველებურად დასცინოდნენ მას. ისევ „მიტოვებულ სასიძოს“ ეძახდნენ.

ლაშვა მარშანია თავშეკავებით, აუღელვებლად იტანდა დაცივნას და შეურაცხყოფას. იგი ჩუმად და მოკრძალებით ცხოვრობდა. მამათგერის კი სირცხვილის ბოღმა აღრჩობდა. იგი ფიქრობდა, რომ ლაშვა ალბად ქვეყანას შესძრავდა ტრაბახით და სოფელ ლატაში ჩუმად მეგზურებს აგზავნიდა ამბის გასაგებად.

— გამოგეთ, გენაცვალე, იკეხნის თუ არა რაიმეს ლაშვა, ეხვეწებოდა იგი მის მიერ ნამალავად წარგზავნილ ჩერქეზებს. ჩამოდიოდნენ ჩერქეზები ლატაში თითქოს და ნათესაე-აზლობლების მოსაკითხავად. ფარულად კი ლაშვას ცხოვრებას უკვირდებოდნენ, მისი საქციელის შესახებ კითხულობდნენ. გოცებულნი ბრუნდებოდნენ ჩერქეზეთში და მამათგერის უყვებოდნენ გაგონილს.

— ის ისევ წყნარად ცხოვრობს; ისევ დასცინიან მას, ისევ „მიტოვებულ სასიძოს“ ეძახიან, ის კი არავის არაფერს უშხელს, არავის ეუბნება შენთან შერკინების ამბავსო. — ეუბნებოდნენ მამათგერის.

ერთ დღით სოფელ ლატაში ჩერქეზებმა ცხენები შემოაგველვეს. მათ წინ მამათგერი მიუძლოდა. სოფელმა ეს დიდ თავხედობად, დაცივნათ და აბუჩად აგდებად მიიღო. ყველანი ფიქრობდნენ მოსალოდნელ აუცილებელ სისხლის ღვრის შესახებ და ამისთვის ემზადებოდნენ. მამათგერის მხედრები ერთ დარბაისელ მოხუცის ოჯახში ჩამოხდნენ. ყველას გასაოცრად სოფლის მამაკაცები სადარბაზო ვახშამზე მიიწვიეს მოხუცთან. მთელი სოფელი შეიყარა მცოვან ტაპაზაკ აიბის ეზოში. მამათგერი შემოეგებათ მიწვეულ სტუმრებს.

— მე მოგიწვიეთ თქვენ, — დაიწყო

მან, — რათა ნამდვილი ამბავი მოგახსენოთ. იცოდეთ თუ როგორ მოიხრეცხა ჩემგან მიყენებული შეურაცხყოფა და სირცხვილი ლაშვა მარშანიამ. მან ვაქაცურად გადამიხადა სამაგიერო. სხვას კი არაფერი გაუმხილა. მან ზოგიერთივით არ დაიწყო ტრაბახი და ისევ მოთმინებით იტანდა სოფლისგან მიყენებულ შეურაცხყოფას და დამცირებას. ამიტომ გვახელით დღეს აქ და მინდა დაგიმტკიცოთ, თუ როგორი

ვაქაცია ლაშვა მარშანიად, რთგორ მოხრეცხა თავის ვეარსე მან ჩემგან მიყენებული შეურაცხყოფა.

ჩერქეზმა ხელით მოიძრო თავზე შემოხვეული ყაბალახი და ყველას გაოცების გმინვა აღმოხდა. მთელმა სოფელმა ნათლად დაინახა მამათგერის მარჯვენა ყურის მაგივრად ჯერ კიდევ შეუხორცებული საშინლად დამახინჯებული ნაჭრილობევი.

მასრა

ძველად მასრები არ იცოდნენ. თოფის წაშალი, საფანტი, ფინთიხი, ჩანთით დაქონდათ. დიდი დრო სჭირდებოდა თოფის გატენას. წარმოგიდგინათ! ჯერ ჩანთიდან თოფის წაშალი უნდა გადმოგეყარათ ხელისგულზე, მერმე თვლით მოგეზომათ და კაციან თოფის გრძელ ლულაში ჩაგეყარათ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ლულის საფანტით თუ დაკეპილი ტყვიით გატენა. დიდი სიმარღე იყო საჭირო, რომ სწრაფად გემოქმედათ. აი, გამოიგონეს მასრა-გაზირი. ავი აფხაზურად სიტყვა „გაზირი“ მზამზარეულს ნიშნავს. მართლაც, მასში წინასწარ მოზომილ თოფის წაშალს და საფანტს ჩაყრიან ხოლმე, ჩოხაზე მასრის ზომის წერილ-წერილ ჯიბეებს ორივე მხარეს მიაკერებენ და ოცამდე მასრებს ჩააწყობენ. აფხაზი კაცი მასრებს თვალისჩინივით უვლიდა, ფუქად არ ხარჯავდა. მასრით მხოლოდ მაშინ გატენიდნენ თოფს, როცა ეს გარდაუვლად საჭირო იყო. თვითული მებრძოლი თვითონ სწყევტდა: დრო იყო თუ არა ახლა განიოყენებინა მასრა. მასრების უმიზნოდ დახარჯვა ცუდ ჩვეულებად ითვლებოდა, ვადაზე ადრე მისი გასროლა კი ჩამოურეცხავ სირცხვილად იყო მიჩნეულთხელ უღელტეხილის გადაღმა მცხოვრებნი — მეზობლები თავს დაესხნენ მრამბას ხეობას. თავდასხმა მოუ-

ლოდნელი იყო. მომხდურნი ბევრნი იყვნენ და სიფრთხილით მოქმედებდნენ. მრამბოელები არ ელოდნენ ასე ვერაგულად თავდასხმას, მაგრამ მტერს ვაქაცურად შეერკინენ. ცხელი ბრძოლები გაიმართა კლდოვან კალთებს შუა. მრამბაში მიმავალ გველივით დაკლაკნილ ბილიზე მძიმედ დასკრეს ახალგაზრდა აფხაზი სეიდი. დაჭრილი მაინც არ შედრკა. იგი რამდენიმე ამხანაგთან ერთად კლდოვან მისასვლელებს მოსერხებით ამოეფარა და იერიშზე გადმოსულ მტერს ფიცილად შეუტია. მტერი თანდათან სოფელს უახლოვდებოდა. სეიდის მეგობრები თავდადებული იბრძოდნენ, მაგრამ მაინც მტკაველ-მტკავლობით სტოვებდნენ გამაგრებულ ადგილებს. სეიდს არ დაუტოვებია ამოჩემებული ადგილი და ერთი ნაბიჯითაც უკან არ დაუხვევია. იგი სისხლიდან იცლებოდა, მაგრამ ტყვიას ტყვიანზე უგზავნიდა მტერს. მისი ფრთხილი და დაკვირვებული გამართა მტერს დიდ ზიანს აყენებდა. ცხვირწაწვდილი კლდის ახლოს, ვიწრო მისასვლელთან სეიდის მეგობარი ქერიმი იყო ჩააფრებული. იგი გაოცებული უყურებდა მამაკაცს, რომელიც სისხლში ცურავდა, მაგრამ ჩანთიდან საკვირველი სიმარდიით ამოაბნევდა ხელისგულზე თოფის წაშალს, თვლით გაზომავდა, თოფის ლულაში ჩააყრიდა, მერმე საფანტით

გატენიდა და დამინუნებით ესროდა მტერს.

— რას შერები, — აღელდა ქერიმი, — მასრებს რისთვის არ ხმარობ?!

— ჯერ მაგის დრო არ არის, მასრების დახარჯვასაც მოვასწრებ, — აუჩქარებლად უპასუხა სეიდმა.

მტრები მოფარებულ კლდეებიდან თანდათან უშინარად წინ გადმობრუნდნენ.

— სეიდ! — გამწარებით დაიყვირა ქერიმმა. იგი შეაძრწუნა მეგობრის ბედმა, — მასრები იხმარე, მე რე გვიან იქნება, რატომ აყოვნებ?

— ტყუილად ლეღავ, ქერიმ, — დინჯად უთხრა სეიდმა, — მასე რომ მოვიქცე ყველაფერი დაიღუპება.

— მტრები გვიახლოვდებიან, — ისევ იყვირა ქერიმმა. — ხომ ხედავ რკალი გაარღვიეს და წინ იწევენ. შენც ჩვენსკენ დაიხიე, აქეთ გადაძოდი, მასრებით დასტენე თოფი.

ქერიმის ხმა ფრიალო კლდეთა კალთებს მიასკდა. და კლდეებმაც ისე გაიმეორა, რომ სეიდს მოეჩვენა, მრამბოს მშობლიური მიდამოებიც ეძახდნენ „მასრიდან გაისროლე, უკვე დრო არისო“.

— ჯერ კიდევ არ არის ამის დრო! — მტკიცედ იმეორებდა თავისთვის და გარემოს მიმინოსავით ათვალეობდა, ეშინოდა მტერი არ მოჰპარვოდა, უცებ ერთ წერტილს დააჩერდა, სუნთქვა შეკრულმა თოფი დაახალა და ქერიმს გასძახა: ნახე!

ქერიმმა გაიხედა და დაინახა, რომ მტრების წინამძღოლი ხატხუა თავისი თეთრი ბოზოხის ქუდიანად ერთი შეტრიალდა კლდის ნაპირზე, ხელები ზევით აიქნია და უფსკრულში გადაიჩეხა.

ერთი მხრივ წყევლა და გინება, მეორე მხრივ ტაში და გამარჯვების შეძახილები გაისმა მაშინ, სწორედ ამის შემდეგ ხშირ-ხშირი თოფის ხმამ გააყრუა გარემო. ეს სეიდმა დაიწყო მასრებით თოფის დატენა. ტყვიას ტყვიაზე აჯენდა. ბოლოს წამოდგა და შესძახა:

— წინ, ჩემთან ერთად. ხატხუა მკვდარია. აბა, ბიჭებო იგი ლომივით ეკვეთა მტერს.

მრამბოველები გამარჯვებული ბრუნდებოდნენ შინ. სეიდი მოწინებით ხელით მოჰყავდათ. იგი მძიმეთ იყო დაჭრილი, თექვსმეტ ტყვიას გაეგლო მის სხეულში და თექვსმეტი ხერელი გაეკეთებინა. სულ მთლად დაცხრილული იყო ეაყკაცხ.

მადლიერი ხალხი ზემით შეხვდა თავის დამცველებს. ყველანი გამარჯვების სიმღერებს მღეროდნენ და სეიდის გმირობას აქებდნენ.

სეიდის მამამ მასრებს დახედა, გონებაში რაღაც ასწონ-დასწონა და შვილს ჰკითხა:

— ეს მითხარი შვილო, რატომ ასე ცოტა დაგიხარჯავს მასრები. ისინი უმრავლესობა შენ ჩოხაზეა ქილებივით ჩარიგებული.

— არ დამჭირვებია, მამაჩემო, — უპასუხა სეიდმა.

ყოველთვის თავდაჭერილი, დარბაისელი და მოფერებზე სიტყვა ძუნწი მამა შვილს მოეხვია და წარმოსთქვა:

— დიად, შენ ნამდვილად დაიმსახურე მთელ აფხაზეთში აფხიარკაზე მღეროდნენ შენი გმირობის ამბავსო.

თარგმანი მამია ახათიანიძე

ნიკოლოზ ზინოზიანი



სერგო მთავრი*

II

კავკასიის მთებზე ცვივა
მზის ელვარე ნაპერწკალი.
მყინვარების სითეთრესაც
ვეღარ უძლებს კაცის თვალი!

მაგრამ შორი ცის კაშკაში
შებლს ვერ უხსნის ახლა მთიელს,
და უსუბის გულში ღამე
შეღრუბლებმა გაათიეს...

ზამთარს მიჰყვა გაზაფხული
ომს კი ბოლო აღარ უჩანს, —
ჩვენი გმინვით დღე დაიწვა
ღამეს თვალი დაუხუჭავს!

ხალხს სიკვდილი უწერია
თუ სიცოცხლე სასურველი,
სერგო, უნდა მიპასუხო,
ამ სიმართლეს შენგან ველი...

თქვი და თავზე ხელს ავიღებ,
ან იმედით ავიყვებ,
საით მიღის ხანჯლის წვერით
გაკაფული ჩვენი გზები?!

სიმართლისთვის იბრძვის ახლა
ყველა ერი მთა და ბარად,
ყველას უნდა დიდს თუ მცირეს
სამართალი თანაბარად!

და ის ერი გაიმარჯვებს
ის დიდი და ის პატარა,
ვინც თავისი თავი მუდამ
წინ სიმართლის გზით ატარა.

შენ უთუოდ გეხსომება,
ხმალზე როგორ დაეფიცეთ,
ჩვენს პატარა ერს ერთობა
და უფლება უნდა მიეცეთ!
მძიმე არის მისთვის ბრძოლა
მაგრამ ბრძოლით არ იღლება...

ღიახადაც, ქისტი ჩვენი
ძმა არი და ძმა იქნება!
იცის ქისტმა ბილიყები,
სადაც უქირთ ასვლა არჩევს,
იცის ბრძოლა, იცის ძმობა
და ამიტომ გაიმარჯვებს!

ხედავთ, აგერ გადაუხნაეთ
მთის ფერდობი ნისლიანი,
ვინც სიკეთეს იქ დასთესავს
მოსავალიც მისი არი!

გახსოვს, სიტყვა ლენინისა
ხალხს რომ ერთხელ გავაცანი,
ის სიტყვა და ის სიმართლე
როგორც ყველგან — აქაც არი!
და ნუ გვეკრთობს, ბრძოლის ველზე
როცა ტყვიით ვინმე კვდება,
ხალხი თვითონ უკვდავია,
ხალხს დღე როდი უმოკლდება!
თავზე ისევ დაგვერიალებს
შეფოთილილი მწვანე ღერო,
გადამხვიე ხელი, უსუბ,
ახლა მინდა მეც ვიმღერო!

საქართველოს მთავორები
უსუბ, შენც ხომ ბევრჯერ ნახე,
ჩემს სიმღერას შენებური
მოდახილი შემოსძახე!

და უსუბნა წყაროს წყალით
ყელი ჩუმიად ჩაიღამა,
და ორთავემ მხიარულად
შემოსძახეს „ჩაირიამა“

სერგომ თითქოს ჩაუარა
სოფლის ღობე-ყორესაო,
თითქოს სადღაც აქვე არი
უბისი და ღორეშაო...

ვით სიმღერა ჩანჩქერებიც
ამ მთებიდან არ ეშვება?
ქისტეთიდან ხმა მშობლიურ
იმერეთსაც დაეშხვება!

* გაგრძელება. იხ. „მნათობა“ № 12, 1958 წ.,
№ 1, 2, 1959 წ.

და რა უშავს თუ შორსაა,
სადაც მაღალ მყინვარებთან,
ამ სიმღერით მივა ყველგან
მტერი სადაც მშენებარებდა!

და უზანგზე წამომდგარი
უსუბს სერგო ეუბნება:
— მღერით ჩვენ რომ გაგვაჯავროს
ხევე ვინ მისცა ამის ნება?!

ხედავ, ასა როგორ მოგვედევს
ხევისაც დაუღია ხახა,
უსუბ გიცნობ როგორც გულადს
მაგრამ მაინც მშინშარა ხარ!

— მშინშარა ვარ! რატომ სერგო? —
მთიელს თვალი დაუბნელდა.
სერგომ მისი ხასიათი
გაიგო და დრო უხელთა:

— აბა, თვალი გააყოლე
ქამანდივით ნასროლ ბილიცს.
ამ ბილიკით დაქრილები
გადავგზავნოთ უნდა თბილისს.

— დაღესტანზე გზა არაა,
ჩრდილოეთით ჩაიკეტა....
— და ამიტომ ჩვენი გზაა
ასა, თუ წინ გაიხედავ!

— არა, სერგო, ქედს ვერ გავქრით,
და ამოდ ეშურები,
იქ ხომ საღი კლდეებია
და მოსისხლე ხევესურები!

მათ ვერაფრით შეაგონებ,
ჩვენი მტრობა მოსდგამთ ოდით,
ჩვენ იმ ვიწრო ბილიცს მუდამ
სასიკვდილოს ვეძახოდით!

მე მშინშარა არ გახლავართ,
მაგრამ მომკლან არ ვიჩქარო,
აქაც ისე, როგორც სხვაგან
ჩაკეტილი არის კარი!

ხევესურს ჯიხვიც ვერ წაუფა,
შორი ფეხის ხმას გაიგებს
და შენც ქისტა ეგონები
შენც ნიშანში ამოგიღებს!

მე არ ვიცი, დამნაშავე
ქისტია თუ ხევესურია,
მაგრამ თქვენი მტრობა, შუღლი
უსათუოდ მხეტყრია!

როცა ხევესურს ნიაღვარი
ემუქრება შიშის მგერელთა
საგანგებოდ ტომრში ჰყვანს
ბაყაყი და შავი გველი!

შეულოცავს და გადმოღმა
გადმოისერის ჩვენსკენ ღამით,
რომ თავიდან აიცილოს
ნიაღვრების რისხეა ამით...

— ვაი, როგორ შეგაძულათ
მტერმა ძმა და ნათესავი,
მათ ხომ, უსუბ, სიღარიბე
და სიმშვილი სპობს თქვენსავეთ!

სხვა ვინა ჰყავს ხევესურს მთაში
ქისტზე უფრო ახლობელი,
თქვენს მტრობას და ველურობას
ჰქმნის აქ რუსი მეფის ხელი!

ხევესურეთში არ ვყოფილვარ,
მათი სისხლი მე არ მმართებს,
მაგრამ ხევესურს რომ ვუყვარდე
სიყვარული მეც ამათებს!

— ამ სიყვარულს სპობდა მუდამ
სწორედ მეფის ბილწი ხროვა,
მტრობას შევეცვლით სიყვარულით,
შეიცვლება ღზინით გლოვა!

— შენი მჯერა, სერგო, მაგრამ
აქ არ კმარა შენი ღონე,
ამ გზას ხალხი არ ენდობა,
ვერც ხალხს ანდობ. გამიგონე.

— შენ აქ იცი სხვა ბილიკი?
— არა.

— ერთადერთი არის!
— ჰოდა გითხრა შემიძლია
ასაც საით მიიჩქარის.

ვით სიმღერას ორი ხმა აქვს,
წყალს ორხევი მატებს ხალისს,
რბის არხოტის-წყალი მარჯვნივ
ხოლო მარცხნივ — ქოლოთანის...

იქვე ხევესურთ სოფელია
ძველთაგანვე ამა ქვია.
იქ სიკვდილი არ ავცდება,
არ ავცდება თოფის ტყვია!

— გეშინია ვატყობ, უსუბ!
— მე არ ვიცი რაა შიში...

- უკვე ბრაზიც მოგერია.
 — არ მსურს მოხედვე გასაქირში!
 — მაშ მივანდოთ ბილიკს...
 — რაო!
 — შიშმა თვალი დაგიბინდა?
 — დაგვბოცავენ დათვებივით...
 — ჩვენ სიკვდილი როდი გვინდა!
 ჩვენ მათ ბელადს გამოვიხმობთ,
 იცი? გვარი ან სახელი?
 — ვიცი. მკაცრი მოხუცია,
 არ დაგვინდობს საძაგელი!

- არ გინახავს?
 — არასოდეს.
 — მაშ თუ იცი თქვი რა ქვიან.
 — ბეწვია თუ ბეწვა, მგონი,
 ჩვენში ასე ეძახიან.
 — ხვალ იქ მივალთ. მე შენს გარდა
 მსურს არავინ გავიყოლო.
 — მესმის, მაგრამ...
 — გაფრთხილება
 კმარა. აღარ გავიგონო!

III


ცა სინათლით იცრიცება
 ხეობებში ისევ ბნელა,
 სიჩუმეში მხოლოდ ორნი
 მიიკვლევენ ბილიკს ნელა.

ღრმა უფსკრულებს მყინვარები
 დაჰყურებენ თავდახრილი
 და ცხენების სუნთქვას, ერთვის
 ჩანჩქერების სუნთქვა გრილი.

ნისლ-გადახდილ შიშველ კლდეებს
 აუშართავთ მკერდი ცალკე, —
 ასად ქვებზე დამსხვრეული
 ასა არის მათი სარკე!

ქვეშ ღვართქაფით მირბის ტალღა,
 შეგუბდება ზოგან ლურჯად.
 წყალ-ასხლეტილ ქვებზე ცხენებს
 ღონიერი მუხლი უჩანთ.

ჯურღმულეებში ღმუის წყალი
 როგორც ბოღმა ნაგუბარი,
 მიდის ორი. მიდის ფრთხილად,
 იმის ფრთხილი საუბარი.

აღაგ მარჯვედ იწევს ცხენი,
 აღაგ დგება აღაგმული, 
 ლოდებსა და ლოდებს შერბილიყოთა
 ხატანგივით მოსჩანს ღრმული.

მზე ორწოხებს ველარ აღწევს,
 გაყინვით ნეკნის ძვალი...
 ბილიკს მარჯვედ უდარაჯებს
 დღეს უსუბის შავი თვალი!

ეს უსიტყვო გამოცდა
 მოთმინების და სიმწარის,
 გზა თოკივით დაწყვეტილი
 მაინც მოჩანს, მაინც არის!

აქ ხომ გულის შესაერთომად
 ხეცურებზე ფიქრიც კმარა.
 მაგრამ სერგოს კვლავ რომ ჰკითხო:
 ტყვიას გზიდან ელის? — არა!

თუმცა ფრთხილად მიჰყავს ცხენი,
 მოლოდინი გულში ჩაკლა.
 კლდეთა მრავალსართულები
 აგონებენ მოსკოვს ახლა!

იქ, მოსკოვში ვინ ფიქრებს,
 რომ ასეთი წამი წამად
 არის მართლაც, როცა სერგო
 ცამ ჩაყლაპა და მიწამაცა..

აღმათ ციმბირს და ალტაის
 სხვა მიარღვევს ვიღაც ასე
 პარტიზანის ალალ გულით
 იმედით და რწმენით სავსე!

მომთაბარე თვალს არც ახსოვს
 სად ინათა, სად ღამდება.
 მიდის სერგო, მიდის მთებში,
 და ბილიკი არ თავდება!

ცამდე აწვდილ ამ ორწოხებს
 სადღაც თითქოს გახსნის ქარი
 და მეორე დედა-მიწის
 გაიღება ვიწრო კარი!

მაგრამ როდის... ამა მთა და
 გადასულან თუ ეს არი, —
 შორს არხოტის მთა გამოჩნდა
 უღრუბლო და უეცარი.

შედგა ორივე ცხენოსანი,
 თვალწინ ორი ნაკადია

აქ ზვირთები ხედება ზვირთებს
და ზვირთებზე გადადიან!

ასე იქცა ხევის-წყალი
ბროლისა და ვერცხლის ჩქერად,
ღელვით ასე მიჰქრის ასა
თავისუფალ მთის სიმღერად!

ბილიკს ახლა ნახატევით
დაეფინა მზე და ჩრდილი,
სულღამულივით სუნთქავს ტვერი
საიდუმლოდ რტოაშლილი.

ნეტავ ასე უცნაურად
შრიალებენ მართლა ხენი,
თუ ეს უცხო ფეხის ხმაა,
გზაზე უცებ შედგა ცხენი.

სიტყვა-სწრაფი ლაპარაკი
ყრულ ბუჩქებში გახმაურდა
და უსუპის თოფიც ამდროს
შეიმართა რა თქმა უნდა!

უყურებდა იმავ ბუჩქებს
და შეასწრო სერგომ თვალი,
განზე როგორ გაურბოდა
უცხო მხედრებს სამი ქალი.

გადასძახა. და ქალებმაც
ფეხს მეტადრე აუჩქარეს,
მოხვეტილი ფიჩხი უმაღ
შიშით იქვე დაუყარეს...

გადასძახა ისევ. საფრთხეს
აუქციეს სწრაფად გვერდი...
მხოლოდ ერთი არ გაიქცა,
არ გაიქცა მხოლოდ ერთი!

ხშირ ტოტებში გაინაბა
კაკაბივით ასაფრენად,
შუბლზე თმები ჩამოშლია
და უელავს ოქროსფერად!

გაინაბა, მაგრამ სუნთქვა
უთამაშებს მკერდზე მძივებს,
ახალ ამბის მოყვარული
თვალი მწვანედ უციმციმებს!

ერთი წამით მაინც ნეტავ
რა ნახა და რა გაიგო!?
წამი კიდევ და ფოთლებში
სურათივით აღარ იყო.

გაჰქრა, როგორც მოჩვენება
და უსუპიც დაუნდობი

ილიმება, ძირს დაუშვა
ფეხზე შემართული თოფი.
ხევსურ ქალის ერთი ხელვით
საფრთხე თითქოს წაიშალა,
სულ სხვა ფერით აფერადდა
ის ხეობა და ის ქალი.

— ყველაფერი, — ამბობს სერგო, —
ისე ხდება როგორც მე მსურს,
ტყეში აგერ, ხეებს შორის,
მეგობარო, ხედავ ხევსურს?

ტყიდან მართლაც გამოვიდა
ძველებური ცულით კაცი
და გაქვავდა შუა-გზაზე
შავ-კლდესავით სახე-მკაცრი!

მხედრებს თუმც არ შეეგება,
არც დამფრთხალი არ გაბრუნდა,
წარბ-აწვევით გაიკვირვა
მხოლოდ: — ქისტებს აქ რა უნდა!

იდგა სახე-შეუცვლელი,
შუბლს ნახმლევი აჩნდა სამჯან.
შორიახლო შედგა სერგოც,
ჰკითხა: — ახლო არის ამლა?

— არა! — მოკლედ უპასუხა
ხევსურმა და განერიდა,
კვლავ განაგრძო შეშის ჩეხვა
სახით გაუხარელითა.

ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს
დაადევნა მხოლოდ თვალი, —
უნდო გულით დაიხსომა
უცხო მგზავრის გზადაკვალი.

ცხენებს უკვე ტყის ბილიკით
სიარული უხაროდათ,
მიდიოდნენ, ფეხაწყობით
ფაფარს შლიდნენ უქაროდაც!

მხედრებს ლალად მიაფრენდა
მათი მუხლი, მათი ძალა
და არხოტის სილამაზეც
მალე თვალწინ გადიშალა!

თეთრი მთების ლურჯ კალთებზე
შეფენილა ტყე ორმხრივად,
პაწაწინა წისქვილები
არხოტის-წყალს მოსდევს მწკრივად!

გაახსენდა სერგოს შორი
იმერეთის მთადამდლო,

ესეც მისი სამშობლოა —
საყვარელი საქართველო!

სადაც არის მთაზე თითქოს
გაღმოდგება მისი ოდა...
და ბილიკით, აჰა, აჰლას
უკვე ხელი გაუწოდა!

სოფლად კაცის ლანდი არ ჩანს,
კაცმა ვის რა უნდა ჰკითხოს.
ქარიშხალმა გადახვეტა
ღედამიწის პირი თითქოს!

მხოლოდ ცხენთა ფეხის ხმაზე
თუ მოაწყდა ბავშვი კარებს,
გულდამფრთხალი ისიც უცხოს
ახლო როდი მიიკარებს!

თუმც შორიდან ხეესურთ ქალის
თვალი მზერით არ იღლება,
მაინც ახლო როცა მიხვალ,
სწორედ თვალწინ გაგიჭრება!

ჯერ ბეწიკას ეძებს სერგო,
ეძებს, მაგრამ როგორც უცხოს
სოფლად ყველა ერიდება,
გამოკითხვა ვის დაუწყოს!?

ადგა ბოლოს და ძაბილით
გაღმოდგა სოფლის მაღლობს:
— ჩვენ ბიწიკას სტუმრები ვართ,
თქვით, ბიწიკა სადა სახლობს?

ვიდაც გაჩნდა უმაღ ბანზე,
ზე ამართა ფარი მჯილით
და მხედრულად უპასუხა:
— ა იმ მთაზე კოშკის იქით!

ახლა ორმა ცხენოსანმა
ის მთაც უხმოდ აირბინა,
მათ წინ ძველი კოშკი იდგა,
და ბიწიკას ძველი ბინა.

სტუმრებს უკებ გამოხედეს,
გამოვიდა დინჯად ქალი,
გულმკერდს ოჭრო უმშვენებდა,
სადაფი და ლალის-თვალი!

ეცვა ლურჯი ტანსაცმელი
ფერად ჯვრებით მოხატული
და ხეესურულ ზღაპარს ჰგავდა
ხეესურების მზე-ხათუნი!

სტუმრებს კეთილ სიტყვით დახვდა
და ადათით ძველთა-ძველით, —
მასპინძელზე მოახსენა:
— ნადირობს და მოსვლას ველით...

ზე ამართა მძიმე ხელი
და ორთავეს დართო ნება —
თქვა: — კეთილი იყოს თქვენი
ამ ოჯახში მობრძანება!

სხვა ვინ არი სიცივეს და
სითბოს ერთად ასე ფლობდეს!
ასე უნდა ღმერთები და
ღვეგმირები საუბრობდნენ.

და გადმოსხდნენ ცხენოსნები,
ილასრულეს ნება მთისა:
წრფელი გულის ხმით დალოცეს
სახლი ხეესურთ ბელადისა!

თარგმანი კარლო კალაძისა

(გაგრძელება იქნება)



მემობრობით შობილი

ძველსა და ახალ გზაზე

ვინმემ რომ თქვას — ერთიმეორისაგან მრავალი საუკუნით დაშორებულ ისტორიულ ეპოქათა შეხვედრა ცხადად, საკუთარი თვალთ შეგვიძლია ვიხილოთო, ამგვარა რამ იქნებ პარადოქსიადაც მივიჩნიოთ. მაგრამ ეს შეხვედრა ჩვენი დღეების სინამდვილე გახლავთ და არა ფურნალისტის წარმოსახვის ნაყოფი ან ლატერატურული ქიპერბოლა. თანაც იგი ხაღვალ შიშველ მთებში ეს არ ხდება, არამედ აქვე, ჩვენს თვალწინ, თითქმის თბილისის ცენტრში, მეტეხისა და ნარიყალის ძველთაძველ კედლებთან, იმ ადგილას, რომელსაც ქალაქის ოდინდელ კარიბჭეს უწოდებენ.

სად ნახავთ სხვაგან ასეთ უჩვეულო კონტრასტს, ამგვარ შერწყმას ძველისა და ახლისა? იმას, რაც ჩვენამდე საუკუნეთა წილიდან მოღწეულა, გვერდში ამოსდგომია ჩვენი დიდებული დროის ნაყოფს, საბჭოთა ადამიანის ნაღვას და ნამაგარს.

ათასეულ წელთა მიმთვლეელი ნანგრევები და უახლეს საწარმოთა კორპუსები, საუკუნოვანი მტვერით დაფარული ქეები და ჩვენი ცხოვრების მძაფრი დღილი — იმ რა ქმნის ადგილების ინტერესარ თავისებურებას.

ოდესდაც ნარიყალისა და მეტეხის ქალაქი კედლებთან, მტკვრის ვიწროებში, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიემართებოდა ძველისძველი სავაჭრო გზა, რომლის ნაკვალევზეც დღეს საბჭოთა ადამიანების მიერ გაშენებული მაგისტრალი გადჰქიშულა. მას მიეყვავათ ინდუსტრიული რუსეთისაგან. აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებისაგან.

ეს არის ხალხთა ძმობა-მეგობრობის ნამდვილი გზა. იგი ღირსია იმისა, რომ შთავიწინებულად უმღეროდნენ პოეტები და მწერლები. ხალხთა ძმობამ და თანამშრომლობამ აქ სოკო მკათარი მატერიალური განსახიერება. განა ამაზე არ მეტყველებს. ფართე გზატკეცილის გასწვრივ ჩამწკრივებული მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემის ყელუარყარა სვეტები, რომლებითაც ჩვენს რესპუბლიკაში აზერბაიჯანიდან ინტეგრირების კესში წარმოქმნილი მძლავრი ელექტროენერჯის მოედნებზე? განა ამასვე არ მოწოდებს ყარაღაღ-თბილისის გაზსადენი, რომელიც დღითიდღე უფროდაუფრო უახლოვდება ჩვენს დედაქალაქს და თან ნანატრი აზერბაიჯანული გაზი მოაქვს?

ეს მეგობრობის გზა თბილისელთათვის იმპორტოვანა განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელი, რომ მას დღენადაც ვალერსებთან, უმღერთან კასპიისაგან მსარბოლავი მტკვრის ტალღები.

რას ჩურჩულებენ ისინი? იმას ხომ არა, რომ მდინარის ნაპირებზე აგრე საოცრად გარდაიქმნა ცხოვრება, იმას ხომ არა, რომ საბჭოთა ადამიანების დაუმრეტელი ენერჯისა და შემოქმედებითი შრომის მეშვეობით აქ დიდებული საქმე კეთდება?

დაურევებული წყალი

მტკვრის ათასკლომეტრიან დინებას რომ დაჰყევთ, აღბათ ვერსად ნახავთ ისეთ უჩვეულო გარდაქმნებს, როგორც მომხდარა იქ, სადაც აღმოცენდა აზერბაიჯანის უმრწემესი ქალაქი შინგეჩაურია.

ხუთწუდელების წლებში ვოლგასა და დნებრზე, აზურსა და ანგარაზე, დონსა და მტკვარზე აგებული ახალი სამრეწველო ცენტრების ჩირაღდნთა თანაერსკვლავედში აჩახახდა მინგეჩაურის, რომლის სახელი ჩვენთვის უკვე ესოდენ მახლობელია: ჩვენი რესპუბლიკა ხომ აქედან იღებს ელექტროენერჯის მრავალათეულ მილიონ კილოვატსაათს. აქ არის საფუძველი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთიანი ენერგეტიკული სისტემისა, რომლის შექმნაც გათვალისწინებულია შეიღწეიანი გეგმით.

ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა დაბადა აზრი მტკვრისა და ალაზნის შესაყართან ახლოს ელექტროსადგურისა და ქალაქის გაშენებისა. აქ, ეგრეთწოდებულ მინგეჩაურის ქორიოთან, გრანდიოზული კაშხალის აგებით მოხერხდებოდა ბუნებრივი წყალსაცავის ვეება ქვაბულში მომწყვდეულიყო მდინარე. მშენებელთა გმირულმა შრომამ შესაძლო გახადა ინჟინერთა კადნიერი აზრის განხორციელება. მტკვარს გზა გადაუღობა კაშხალმა, რომელმაც 17 მილიონი კუბმეტრი მიწა დაიტია. ასე განხდა მინგეჩაურის ვეებერთელა აზღვი.

ჩვენ მის ნაპირას ვდგავართ და თვალთ ვერ მოგვიცილებია ბუნების გარდაქმნის ჩვენს წინ გადაშლილი ჰემმარტად გრანდიოზული



სურათებისათვის, ვერ გავმძლავრებთ ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ზღვის სიღამაზისა და სიერის ცეკრით. ბინდში ინთქმება მეორე ნაპირი, რომელსაც კავკასიონის მთები შემოსაჯარვია, ხოლო მტკვრის სადინარს აღმათუ ავხედათ, იქ ნაპირი სულაც არა ჩანს. კამკამებს ჰერკვალი წყალი. მის მშვიდ ზედაპირზე, მოციფრა-მოწყინარი ფერი რომ გალაკრავს, ციციბო ნაპირები და ღრუბელთა ჯადოსნურად მიმოქროლავი ფთილები ირეკლებია.

ძნელი დასაჯერებელია, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ეს სანახები სამხრეთის შრის მწველი სხივებით გადარუჯულ ნახევრადუდაბნოს წარმოადგენდა.

მინგჩაურის ვრცელი ზღვა 17 მილიარდ კუბურ მეტრ წყალს იტევს. მან შესაძლო ვახადა არა მხოლოდ მძლავრი ჰესი აეგოთ, არამედ მთელი აზერბაიჯანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რივი პრობლემების გადაჭრასაც შესდგომოდნენ.

მინგჩაური თანაბრად ნიშნავს ენერგეტიკასაც და მორწყვასაც. აქ მტკვარი მკვება ტურბინებსაც აბრუნებს და წყალაც აწვდის ორ დიდ სარწყავ არსს — ზემო ურბაბისას და ზემო შირვანისას. ეს ორი არხი თითქმის მილიონამდე ჰექტარს მორწყავს დაწვულ-ბული მიწა კი უხვად დაასარუქრებს ადამიანს. ამ მიდამოებში ახალი სოფლები და ქალაქები გაშენდება, ბაღები აფრიალდება, ბამბის პლანტაციები ამობინდება.

ასე გადაშლია ზვეს თვალწინ კიდევ ერთი შესანიშნავი სურათი მიწის განახლებისა, რისთვისაც ერთმანეთის გვერდგვერდ უშრომიით და უღუაფით აზერბაიჯანელებსა და რუსებს, ქართველებსა და სომხებს, უახავებსა და უკრიანელებს.

ჩვენს წინაშე გადაშლილ დიდებულ პანორამას რომ გავუხრებდით, ამ მხარის ზეაღონდელ დღეზე საუბარს რომ ვისმენდით, უნებურად მოგვაგონდა ორი დიდი პოეტი — აზერბაიჯანელი და ქართველ ხალხთა შეილები — ნიზამი და ბაათაშვილი. მათი სახელები ხომ ვანურყარება დააკვირებელი ამ აღვლიდებოდა. აქ უცხოვრიათ, აქ მომკვდარან. ისინი შავნელსა და მძიმე დროს. ორივენი ადამიანთა მოდგმისათვის გათენებულ ნათელ დღეებზე ოცნებობდნენ, ორთავეს სწამდა ხალხთა შეგობრობა, ბუნების მძლველი გონების გამარჯვება. მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში იქცა სინამდვილედ მომძე ხალხების ამ სახელოვან შეილთა ნაოცნებარია...

მინგჩაურის ჰესის ასაგებად საჭირო შეიქნა ვშირული შრომა შრავალი ათასი მშენებლისა. მათ მძიმე ბრძოლების გადატანა მიუხდით: ბუნებას არ სურდა ადამიანთა ნებას დაჰყოლოდა, შევრამ ბოლოს მანინ დამარცხდა

დღესაც ნახათ ამ ბრძოლების კვალს — ნათხარი მიწის ვეება ზვინებსა და მთადად ქამრულარულ კალთებს.

გარემო სანახების ყომრალ ღონზე ნათელ წერტილად გამოირჩევა ჰესის შენობა, რომელიც კამხალს ცოტა ქვემოთაა აგებული. მასთან მიახლოებისას თქვენს უფრადლებას უწინარეს ყოვლისა მიიხვრობს რალაცნაირად უჩვეულო სიწყნარე, რომელიც ვერაფრით ვერ ვგუება თქვენს წარმოდგენას აქ მომუშავე მანქანების გიგანტურ ძალაზე.

ჰესის შენობის შესასვლელი მეტრის სადგურის ჩიმიოგავს. აქაც ისეთივე თანაბარი სინათლეა, თვალს რომ არა ღლის, აქაც მარმარილოთი მოპირკეთებული კედლებია და ფართე კიბეები, რომლებიც სადღაც დაბლა, მდინარის ფსკერქვეშ ეშვება. ჩვეუებით ამ კიბეს და როგორღაც მოულოდნელად აღმოჩნდებით ვრცელ, ომსსართულიანი სახლის სიმალე სავერატორთ დარბაზში.

— იი ეს ვახლათ ჩვენი სადგურის გული, — გვეუბნება ელექტრომექანიკური საამქროს უფროსი ინჟინერი მამავეი და გოლიათურ გენერატორებზე მიგვიითთებს. სიუვარული ეღერს მის ხმაში ამ სიტყვების წარმოთქმისას. ეტყობა, გახარებულია.

ან კი როგორ არ უნდა უხაროდეს ამ ჩამოკრეველული მანქანების შემყურეს. ყოველი მათგანი 60 ათას კილოვატს იძლევა. ჩვენ ვგრძნობთ, როგორ რითმულად და შეუსყუენებლად მუშაობს მინგჩაურის ჰესის მძლავრი გული.

ტურბოგენერატორებიდან დაგვბული გუგუნე მოისმის და ტალღებად ეფიჩება მთელ სანაქანე დარბაზს. არსგზით არ უნდა შენელდეს ამ გენერატორთა მოძრაობა, რადგან ეს შესუსტებდა, შეაჩერებდა აქ წარმოქმნილ ელექტროღვარს, შეიცოცლებელ ნაყადება რომ მიემართება ამიერკავკასიის მშერ რესპუბლიკათა ქალაქებისა და სამარყველო ცენტრებისაკენ.

ამას ერთი წუთითაც არ იფიწყებს ჰესის შეხატკბილებული კოლექტივი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აგრევატები სინამუშოდ მუშაობდეს, რათა მიღწეულ იქნას მათი ექსპლოატაციის უყუთესი რევიში.

— ჩვენ გვიჩნდა ჩვენი შრომით, ღარსეული წელითა შევიტანით შეიღწილიანი გვემის შესრულებაში, ღაბარაკობენ მინგჩაურელები.

შეიღწილდის პირველივე დღეებიდან ელსინამუშოდ მუშაობდეს, რათა მიღწეულ იქნას ტური შეჯამბრება მაღალი მანგენებლებსათვის, კომუნისტური შრომის კოლექტივთა სახელეს მომავებისათვის.

მინგჩაურელ ენერგეტიკოსთა საქმეებშიც განხორციელდა ხალხთა შეგობრობის მაიცოც-

ლებელი ძალა. გვერდიგვერდ, მხარდამხარ, ძმურად შეწყობილი შრომობენ აქ აზერბაიჯანელები და რუსები, ქართველები და სომხები. ისინი მიღწეულით არ ეწყაფილდებიან, გულდასმით ეძებენ ახალ გზებს, ცდილობენ რაკ შეიძლება მეტად გამოიყენონ ტექნიკა.

წარმოების მუშები მაგალითს იღებენ კომუნისტებისაგან, რომლებიც სოციალისტურა შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებში დგანან. აქ ამჟამობს იმათი სახელებით, ვინც შემოქმედებითს თაოსნობასა და ინიციატივის იჩენს.

ყველაზე თვალაწინო ადგილას, სამანქანო დარბაზის შესასვლელთან, აქილია წარმოების რაციონალიზატორთა დანა, გულდასმით მორთული და დამშვენებული. ამ დანაზე დანიხეთ სურათი კომუნისტი ოსტატის მაზანაშვილისა, რომელსაც 15 შესანიშნავი წინადადება მოჰყოყნებია.

მაზანაშვილს ხელმობით აქიძის უწოდებენ. აღბათ იმითომ, რომ კარგი მეტრნალევით თავს დასტრიალებს თავის „პაციენტებს“ — რთულ მექანიზმებს და ყოველთვის შეუძლებარ გზას პოულობს ხოლმე „აჯადყოფობის“ მოსარჩენად. მან მიაკვლია გენერატორებს საკისართა ავტომატური დაზეთვის ხერხს, მარტოვად გადამტრა გენერატორების ვასაგრილებულად წყლის ავტომატური მიწოდების ამოცანა.

დაფაზე სხვებთან ერთად მოთავსებულია ოსტატ ნასიბოვის სურათი, ისიც დაუტბრომული რაციონალიზატორია. ერთ-ერთი მისი წინადადების — განათების დისტანციური მართვის — განხორციელებაშ შესაძლო გახდა დროისა და სახსრების მნიშვნელოვანი დაზოგვა.

შეგარმ მაზანაშვილი და ნასიბოვი გამოხელების როდი წარმოადგენენ. აქ ბევრია მათი მსგავსი.

— რაციონალიზატორთა რაოდენობა ჩვენთან განუწყვეტლავ იზრდება, — გვეუბნება პეისის პარტიკრგანიზაციის მდივანი საბაგვი და დაფაზე მიგვითითებს: — ამ დაფაზე ყველა რაციონალიზატორის სურათი ვეღარც კი ეტევა, მისი გაფართოება მოგვიბდება.

დაუშრეტელია წარმოების მუშათა შემოქმედებითი ინიციატივა. ამას მხოლოდ რაციონალიზატორთა დანა როდი მოწმობს. ამანე მოგვითხრობს აგრეთვე ყოველდღორი კედლის გაზოთი „ენერგეტიკოსი“. რა საკითხები არ წამოუტრია ამ გაზოთს წერდნენ წარმოების გამოუყენებელ რეზერვებზე, საკრეიტო სამუშაოთა დანიარებასა და მრავალ სხვა საკრეიტო საკითხზე. კედლის გაზოთი გადაიტა თავისებურ ტრიბუნად, რომელიც გ-

მობატავს ენერგეტიკოსთა აზრებს და თავს უურის ცოცხალ, საქმიან წინადადებებს. ...ყველგან იგრძნობა ის დანი. მასტატები, რომლებიც მეტყველებენ ჩვენს ტექნიკის — საბჭოთა კონსტრუქტორთა და ინჟინერთა შემოქმედებითი ნიჭით, მუშათა ოსტატური მარჯვენით შექმნილი ტექნიკის ძალმობილებაზე. აგრეგატი — ტურბინი და გენერატორი — 300 ტონას იწონის. მათთან მივევანილია 15,3 მეტრი დიამეტრის მქონე მალემა, რომელთაგან თვითუდი ერთი წამის მანძილზე 126 კუბურ მეტრ წყალს ატარებს. ეს წყალი ამუშავების 360.000 კილოვატი საერთო სიმძლავრის 6 ტურბოგენერატორს.

დიდი და რთული სადგურის ორგანიზში. მას მართავენ ზუსტად, შეუცდომლად და რაც მთავარია, მაქსიმალურად სწრაფი ტემპით. დაურევბელი წყლის მანძილზე ძალი, ელექტროლვარების ფინტასტიკური სინქარე კრიტიკულ მომენტში ხანგრძლივი ფიჭრისა და აწონდაწონვის საშუალებას არავის მისცემს.

მარტოვად აღამიანის თვალი და ხელი უძლური იქნებოდა მაზანაშვილისა და მექანიზმების რთული ანსამბლის სამართავად. შეგარმ აღამიანს ავტომატიკა და ტელემექანიკა ეშველებიან. ამიტომია, რომ მინგეჩაურის პეისი ავტომატურ ხელსაწყოთა ნამდვილ სამეფოს წარმოადგენს.

ამ ხელსაწყოთა უხილავი ძაფებით, შეგარმობიარე ნერვული სისტემის მსგავსად, დაქსეულია სადგურის ყოველი კუბზე და კუნძული. ისინი თავს იყრიან ერთ ცენტრში — მთავარ სამართავ პულტთან. ის შენობა, სადაც სამართავი პულტა მოთავსებულია, სამეცნიერო ლაბორატორიას ან კიდევ საოპერაციოსაც მოგვითხნებს. ერთი შეუდვით ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ შენობიდან — რომელსაც არც ბერკეტები, არც პედალები და არც არაფერი ისეთი, რაც ჩვენს ცნობიერებაში მართვის პროცესს უჯამირდება ხოლმე, აწესრიგებენ უზარმაზარი პილარკვანძის მუშაობის რეჟიმსა და სელას.

იჩვევლი ჩანს გაბრილებული მარმარლოს პანელზე, ცივად მნათი სისიგნალო ნათურები, მგრძნობიარე ხელსაწყოთა ნერვულად მერხევი ისრები.

რაც უნდა მოხდეს სადგურის რომელსამე პუნქტზე თუ გადამცემ ხაზზე, ყოველივეს უმაღლე მაქსიმალური სიზუსტით ასახავს მთავარი პულტი. ია, აინთო წითელი ნათურები. ეს იმას ნიშნავს, რომ დატვირთვა ჩაურთავთ. მშვანე ფერი გარკვეული ხაზების გამორთვის გვაუწყებს, ყოითელი — ასამუშავებლად აგრევატების მშობას.

ცალკეულ პანელებზე განლაგებულია ხელსაწყოთა მთელი ბატარეები. ამათვან ერთნ-



განუწყობილი და დაუდასტურებელი აღნიშნავენ თვითონ უხილავ პრინციპებს, ჭაღალდზე ხაზი-კენ რთულ გრაფიკებს, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორია უოველი აგრეგატის დატვირთვა და მუშაობის რეჟიმი. სხვა ზედსაწყოთა შეკლებზე აისახება გამოუმუშავებელი ელექტროენერჯის ხარისხის მაჩვენებლები.

პეიზაჟის ხატვა ახალგაზრდა პოეტისათვის თვითმიზანი ვი არ არის. იდამიანის ფიქრებს, ცხოვრების სახეს ორგანულად ერწყმის ბუნების ხასიათი, პოეტი თანამედროვე ცხოვრების თვალთ ხედავს ბუნების მოვლენებს, ზუსტად და დამაჯერებლად აღიქვამს მათ.

დროდადრო ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებში ნაცნობი ინტონაცია ვერს. ეს ინტონაცია მით უმეტეს უზარზულად ისმის, როცა ნაცნობი ლექსიკაც ერთვის:

შენ ჰგავდი დასველებულ წეროს,
და ბურუსში ზეტაილი შესიქელ

• • • • •
არ გელოდი ისე, უცებ მოდი,
ასე უცებ წვამამ
იციის მოსვლა.

• • • • •
ტირიფები გაწურული თმებით
შენა ჰგავდა იმ თმავაშლილ ტირიფს.

შეიძლება ამ სტრიქონებში საგნების ავტორისეული ხილვა იყოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ასეთი ძლიერი და ენერგიული ინტონაცია, რომელიც მკითხველმა უკვე სხვა პოეტის შემოქმედებლან შეისისლხორცა, ყოველად შეუძლებელია დამიმორჩილო და დამისგავსო, საბედნიეროდ ასეთი შემთხვევები იშვიათია ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიაში.

ტარიელ ქანტარია გულწრფელი, მართალი ლირიკოსია. მას უყვარს აზრიანი, მშვიდი და ცხადი მერყველება. ახალგაზრდა პოეტი ხედავს ცხოვრების ყოველ პატარა დეტალს რომელიც ხშირად ლექსის დაწერის საბაბი ხდება. პატარა დეტალის მიგნება და მისი პოეზიაში გაეოტხლება, მხოლოდ დაკვირვებელი თვალის საქმეა.

ოთარ კილაძის პოეზიის ორიგინალობის მკვეთრი ნიშანი აზის. ახალგაზრდა პოეტი ცდილობს, რომ მისი ყოველი სტრიქონი იყოს ხატვა. მხატვრული სახეებით აზროვნება ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება კარგი პოეზიის ერთადერთი გზა. აქ იმალება კვშმარიტი ლექსის მაღლი, ის იდუმალი სული, რომელიც ვრწმანდელივით დაუვლის ხოლმე მკითხველს, გაახარებს, დაარწმუნებს, დამშოვლებს, ააღულებს; ერთი სიტყვით, მისდაუნებურად ჩაითრევს და დამისგავსებს მის სულიერ სამყაროს.

ოთარ კილაძის ლექსების ფორმა მოჭრილია აზრისა და განცდის ყალიბზე:

მე თოელს ყოველთვის და ყველგან ველი,
რადგან ის ჩემთვის შენს მოსვლას ნიშნავს.

მე შეგვენება: ვილაციის ხელი იღებს შენს ხელებს, გითბობს და გვირობს, და სიბნელიდან გამოდის ბავშვი, რომელსაც ბევრი სინათლე უნდა, რომელმაც უცებ იპოვა ქარში დიდი მსგავსება საკუთარ სულთან.

ასეთ სტრაქონებზე ხშირად იტყვიან-ბუნდოვანიაო, პირაქით — სიბნელე ახლავს იმ „გაზირალდებულ“, მომეტებულად განათებულ სტრაქონებს, რომელთაც უაზრო ლაპარაკის შტეტი არა რა შეუძლიათ. „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“, — ეს სიბნელე არის უაზრობა და სქემატუზმი. ასეთ სტრაქონებს ეს ყოველთვის აზრისმიერი სინათლე ახლავს.

თთარ ჭილაძის მეორე ლექსს „ფედერიკო გარსია ლორკას“ უდავოდ ატყვია გამოცდილი ხელი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ლექსის ტექნიკურად სრულყოფილ სახეში შედარდება და ასევე მხატვრული სახეებით მეტყველების ცდაში.

გზიდან გადაუხვევს მაღალი ბოჰა, ცხენს გამოხსნის და მოიფხანს ძეშას, ჭრიალებს კარი, ძაღლები ყუფენ და შორს გრენადის სამრეკლო მოხანს.

თთარ ჭილაძის პოეზიაში ყველაზე მეტად იგრძნობა ლექსის აზრით დატვირთვის ცდა, რაც ხანდახან ბორკავს ახალგაზრდა ავტორის პოეტური აღმადრენას.

ვახტანგ ჯავახიძე კრებულში წარმოდგენილია თერთმეტი ლექსით. „გაზაფხული ვარაზის ხეთან“. ასე დარქმევია ავტორს ცულისათვის, რომელიც ხუთ ლექსს აერთიანებს. ახალგაზრდა პოეტი გატაცებით გვიამბობს სტუდენტობის წლებზე. მკითხველის თვალი აცოცხლებს იმ დიდ სიხარულს, რომელიც სტუდენტობის დროს განუცდია.

შემარავალი ლაქვარდა,
დღემ ნათელი შეიმატა,
ფიქრთა ზემთა ქარავანი
დგას ვარაზის ხეივანთან.

„ზღვაზე ვასვლა“ მიწის სიყვარულის იდეით არის შთაგონებული. ამ ლექსის თემა არ არის ახალი, მაგრამ ახალგაზრდა პოეტმა მთინე შეძლო რაღაც თავისი ფთქვა. სადაც არ უნდა იყო, მიწას მთინე ვერ გავეტყვი, — ასეთია ლექსის ლოგიკური დასასრული.

ვახტანგ ჯავახიძეს უნდა ენსაყვედუროთ მსჯელობით გატაცება; ხანდახან მომეტებულად გაუბრალოებელი მეყველეება, რაც შორს არ არის პრიორიტეტის ნიშნებიდან.

ალაზა ზაიაძის ლექსებს ხალხური უშუალობა ახასიათებს. მასი პოეზიის ლექსიცა ხალხური შემოქმედებით სუნთქავს.

ხან სხვანიირი ჭრითან სიონი,
სტეპი სასუა ველურ მისნობით,
შორსაა ზეუნი კავასიონი
თუთრი საზღვარი მარადისობას.

ლექსის ტექნიკის მომავალი სრულყოფისათვის ახალგაზრდა პოეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ქართულ კლასიკურ პოეზიას. მართალია, ხალხური ლექსის კონსტრუქცია ახალგაზრდა პოეტს შექანიერად არ გადმოაქვს, მაგრამ პროფესიონალიზმისათვის უფრო მეტი დამოუკიდებელი ხმა არის საჭირო.

ელასტიური ფრესა საგნებისა და მოვლენების თავისებური აღქმა განასხვავებს სხვებისაგან ეშვარ კვიტიშვილს.

მას საგნისა და მოვლენის შინაარსი უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი გარეგნული მხარე. ახალგაზრდა პოეტის სიხარული და აღტაცება არ არის შეპლონური. ამ გრძნობას მის ლექსებში (ჩა თქმა უნდა, ყოველთვის არა) კონკრეტული საფუძველი აქვს. მის ლექსებში ერთმანეთს ცელის ხან ბუნების მოვლენათა მშვილდი, აუქარებელი ხედვა, ხანაც ბუნების უცარი მრისხანებას აუილილი ვნება.

გურამ გოგიაშვილის სვანური ბალადები ყურადღებას იქცევენ როგორც სიუჟეტის, ისე მხატვრულობის მხრივ. ავტორს განზრახული აქვს სვანეთის ძველი, დუხპირი ცხოვრება ასახოს. ბალადებს უდავოდ უხდება სვანური სათვის დამახასიათებელი ფიცი მეტყველება; ხანდახან ბალადების რიტმი ყარავს ბუნებრიობას და ხელყოფერ ესპეკიუმენტაფე დადის.

არლი თაყაიშვილის და ვახუშტი კობეტიშვილის ლექსებს, მართალია, ბუნებრივი, უშუალო დინება ახასიათებს, მაგრამ მათ ჯერ კიდევ აყლიათ მხატვრული აზროვნების ძალა.

კრებულში დაბეჭდილია სხვა თოთხმეტი დამწვეტი პოეტის ლექსები, რომელთა პირველი ნაბიჯი არის მეტნაკლებად საიმედო ცდა მომავალი წარმატებისათვის. ეს არის ევრეთ-წოდებული ვარჯიშის პერიოდი, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს ისეთი ნაკვეთი, რომ მსჯელობის საშუალება მოგვეცეს.

ცნობილია — მწერლობაში აყრძალული თემა არ არსებობს. რამდენადაც ორგანულია თემა შემოქმედისათვის იმდენად უფრო ცხადი და დამაჯერებელია ნაწარმოები. კუშპარიტად ხალხს ტალანტს არასოდეს არ აწვალებს კითხვარაზე წერის?

ზემით განხილული ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში აშკარად შეიმჩნევა ერთი ახორებული ტენდენცია — თითქმის ლირიკის თემა იყოს წუხილი, ცრემლი და სინანული.

თემის ხელოვნური შერჩევა, ყოველთვის მარცხს მოასწავებს. დასამალი არ არის ის ფაქტი, რომ მათს პოეზიაში თითქმის თემების ერთი და იგივე ციკლი ბრუნავს. უმრავლეს

შემთხვევაში არც ლექსის ტექნიკით არიან ისინი შორაშორს. ეს ერთდგომი აღუნეს მკითხველის ინტერესს და საფრთხეს უქმნას პოეზიის მომავალ პერსპექტივას. ორი კაცი ყოველად შეედრებულა ერთმანეთს ხედავდეს რომელიმე საგანს ან მოვლენას. მკითხველს სწორედ ეს სხვადასხვაიანი ხედვა აინტერესებს. ზოგიერთ ახალგაზრდა პოეტს შინა იყრობს — ვითოდ არ ღირდეს იმის გამჟღავნება რაც მან შეამჩნია, თავისი თვლით დანახა. იმდენდელი უხვდებულაყოს ეს ინდივიდუალური აღქმა და ხსენს მერ ნათქვამი გადაღწევის. აღვირვებელი თვლი ცხოვრებაში ყოველთვის ახალს და ჯერეთ უხილავს ეძებს, ეს ძიება სხვას არაყის მოთხოვნება, თუ არა და ახალგაზრდას.

კრებულში დაბეჭდილია ნახი კილასონიას, არჩილ სულაყურის, მუხრან მაჭავარიანის, თამაზ კილაძის, შოთა ლომსაძის, შორის ფოცხიშვილის, ოთარ შალამბერიძის, ნოდარ გურგენიძის, ჯანსუღ ნაჭაბაძის და აკაკი გეგუაძის თითო ოროლა ლექსი. მათი პოეზიის ავტორები უკვე ცნობილია მკითხველთა ფართო მასებისათვის. მათ საიუბილეო კრებულშიც მებრწყალბად თავიანთი პოეზიის საყადრისი სტრიქონები გამოქვეყნებიათ.

ბოლო წლებში ქართულ ლიტერატურაში ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსები გამოჩნდნენ. მათ არა ერთი და ორი კარგი მოთხრობა გამოაქვეყნეს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, გამოსცეს საინტერესო წიგნები. ზოგიერთმა მათგანმა ლირსულად დამისახურა შიდალი შეფასება. სასიხარულოა, რომ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა პროზაიკოსებს. მუშაობს და ზრუნავს მათი მომავალი დაოსტატებისათვის. საიუბილეო კრებულის პროზის განყოფილება იწყება გულბათთ ანგლიშვილის კინო-მოთხრობით — „ჩვენი კორესპოდენტი“, ავტორის მიზანია ასახოს ახალგაზრდა ჟურნალისტის ცხოვრება და მოღვაწეობა.

კინო-მოთხრობა, როგორც თანრი, ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენილი უბანია. ჟურნალისტის ცხოვრება და მოღვაწეობა აქტუალური, ახალი თემაა. ამ მხრივ ახალგაზრდა პროზაიკოსის ნაბიჯი მართლაც რომ მისასალმებელია. ნაწარმოების სიუჟეტი ბუნებრივად და საინტერესოდ ვითარდება, — დეტალების ლოგიკური კავშირი, პერსონაჟთა ხასიათების გახსნა, მკარამ კინო-მოთხრობის სპეციფიკის თვალსაზრისით ნაწარმოებს აყლია დინამიურობა, ზოგიერთი კადრის სიკბადა, დიალოგის დახვეწა. თუ ავტორი ერთხელ კიდევ გულდასმით გადახედავს მას, მივიღებთ საინტერესო კინოსცენარს.

ოსებ აფციური თავის მოთხრობებში: „ნისლი და ტირიფი“, „მეორედ მისვლა“, და „ფრთხილი მეფე“ აღწერს ბუნების სურათებს. მოთხრობებში ბუნება ასახულია ცხოვრებისაგან ობოლურბულად. ავტორს ავიწყდება, რომ ბუნებაში არსებობენ ადამიანები. მწერალს ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა უნდა ინტერესებდეს; ხშირად მის მიერ „დაბატული“ ბუნების სურათები პრიმიტიული, სქემატური და თვითმზნურია. ახალგაზრდა პროზაიკოსს უნდა შეეახსენოთ, რომ თვითმზნური აზრაცი არ არ ვარაგა. ფერადან ადგილებს შევხვდავ და გულს მოვალამუნება, რაც არ უნდა ხედავ იყო. შორიდან კარგი მასამონუნებელი საყურებელი რამაა მართლაც. ამ თილისმიან სცენას, მარად მოუწყენელსა და შინაგან მღელვარების აღმკერვლს ხდის, აშენებს ამშვენებს ტყის მადლი — ბუნების მიუწვდომელი ხელოვნება, იმ გენიის ძალა, რომელსაც ვერა ხედავ და გრძობ, განიცდი, ყოველღეროსა და ძარღვი რომ ანთია, სხივისნობს, ელვარებს, მართლაც ჯერ დაუნახავ, აწერებელი ელვარებთ. ტყე დიახაც რომ შეუპოვარი და ზეიადია, ქელმალაი“. ასეთი ზოგადი დრამატიზმი არის დაწერილი მისი სამივე მოთხრობა, რომლებშიც გამორიცხულია აშბავი, სიუჟეტი, პერსონაჟთა ხასიათები.

ვათა-ფშაველამ ბუნებას ადამიანის სული ჩაუღდა. ბუნება მისი პოეზიის ერთ-ერთი პერსონაჟია, რომელიც მოქმედებს ლუბუმის, ილუდას, ჯოყოლას, ელას და სხვათა გვერდით.

რევაზ ინანიშვილის კალამს უკვე კარგა ხანია იცნობენ ქართველი მკითხველები. რევაზ ინანიშვილს ჭქეს ადამიანის ხასიათის გახსნა, ლირიკული თხრობის ხალასი ნიჭი. იგი ხანდახან უზრალა, პატარა დეტალით ცხადყოფს ხოლმე პერსონაჟთა თავისებურ ბუნებას. ახალგაზრდა მწერალს ხანდახან ზედმეტად იტაცებს ლამაზად წერის სურვილი და ნაკლებ ყურადღებას აქცევს სიუჟეტს, აშბავს.

მოთხრობებში „ჩემი საყვარელი დეიდა“ და „კახაბერი“ არ არის გამოკვეთილი აშბავი, მკრთალია სიუჟეტი. იო, პირველი მოთხრობა: მწერალი ესტუმრება დეიდას, დეიდას ძალიან უხარია დიდი ხნის უნახავი დისწულის მოსვლა. ორ გვერდზე აღწერილია ეს სიხარული. სიტუარო მადიდაზე გლობუსს შეინიშავს, „გლობუსზე წითელი ფანქით გრძელა მრუდი ხანია გაგლებული ოდესიდან ვლადიკოსტოკამდე. ამ ხანზე მოგზაურობს „ჩვენი ძმა“. „ჩვენი ძმა“ ყოფილა დეიდას საყვარელი მამაკაცი. ეს არის და ეს. მოთხრობაში მკტი არაფერი არ არის ნათქვამი. ლამაზად წერის წყალობით მოთხრობა სიამონუნებით იყითხება, მკარამ აქ არც აშბავია და არც ხასიათი ამ

სიმაღლეზე, რომ თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყარო ჩანდეს.

ჩვენს ინანიშვილში თავისი მოთხოვნების კრებულთ დაამტკიცა, რომ სიუჟეტის შეკერის ძალა, ამბავის მონახვის უნარი აქვს და მითუმეტეს არ ევატიება ლამაზი ფრაზებით განთავსება.

სოსო კორინთელის პროზას აშკარად იტყვიანიკიერი ახალგაზრდა მწერლის ხელი. მისთვის დამახასიათებელია მოულოდნელობა სიუჟეტის განვითარებაში, პერსონაჟების შინაგანი სამყაროს ლამაზად ხატვა, სადა და ლოგიკური მტრუველება.

დროდღერი ახალგაზრდა მწერალი ხელოვნურად აუბრალოებს ან ართულებს დეტალების შინაარსს, რაც გამოხატულებას პოეზებს ჭორმაშიც და მწერალი პრიმიტივიზმამდე მიჰყავს. მწერალს უფლება აქვს რაღაც მოემატოს ან გამოაყლოს საგნის და მოვლენის, მხოლოდ მათი თვისების შესანამისად. მოთხრობა „ის აღარასოდეს შემოვა ჩვეთან“ ასე იწყება: „უკანასკნელ ლექციაზე აღარ დავჩი, რადგან ძალიან მეტყაბუბოდა წიგნის წაითხვა. მწერალი ტაქსით ბრუნდება სახლში. „დედას კარებში, შეეძახე, მაკამე-მეთქი, და წიგნი გავშალე. დედამ გამოიზადა საქმელი და წინ დამიდგა არ მიწოდდა კითხვისთვის თავის დანებება, მაგრამ დედამ აღარ დანაება“ (ხაზი ჩვენია — ფ. ბ.). როგორც იქნა მწერალმა დაიბანა ხელი და ისაილა. ახლა დედის საუბარს ვეღარ იტანს, წიგნის კითხვა უნდა, დედა ხელს უშლის, მაგრამ „შე და მამაშენი კინოში მივღე-ღიერთ „აბეზარი“ ვაღის, კარგია“

— კარგია-ეთქვი და შერე გაებრაზდი: — რა არის კაცს რომ არ მოასვენებენ, ხომ ზედაე ვკითხულობა“.

მწერალი მარტო დარჩა. „მცირე ხნის შემდეგ კარებზე ვილაკამ დააკაენა. არ მესიამოვდა ხანტად წამოვდექი და კარები გავსდე. ჩვენი მეზობელი რუბენი იყო“. მწერალს გონია რომ რუბენი საქმისათვის შოვიდა, შეცდა, რუბენი სამეცნიეროდ შემოსულა. მწერალს წიგნის კითხვა წყურია, მეზობელი „საუბრობს, რომ არ უსმინოს უხერხულია. ხანდახან მკვებედ პასუხობს მეზობლის კითხვებზე. რუბენი გულისხმავს ვერ ჩავარდა. ასე ვითარდება მოთხრობის სიუჟეტი. „ტანჯვით“ და „წამებით“ კითხულობს სოსო კორინთელი წიგნს. ბოლოს როგორც იქნა რუბენი მიხვდა რაშიც იყო საქმე. „დედა და მამა დაბრუნდნენ კინოდან, რუბენი აღარ იჯდა ღემელთან.

— ალბათ, აღარასოდეს შემოვა ჩვეთან, — გვიფიქრებ შე“ — მოთარდება მოთხრობა.

ყველაფერი ეს უკეთეს შემთხვევაში მოთხრობის სიუჟეტის ერთი კარგი დეტალია. მწე-

რალი არ უნდა შეაცდინოს აბირებულმა ვაზრახვამ.

გარკვეული

დღეს ბევრს ლაპარაკობენ, რომ შევინო ახალგაზრდა პროზაიკოსები ევროპული მწერლობის გავლენას განიცდიან, ამ შემთხვევაში აუცილებლად გულისხმობენ ევროპულ მწერალთა ერთ ჯგუფს. ამ ჯგუფის წარმომადგენელთა პროზას ძირითადად ახალთაობის მოთხრობის დეტალებით დატვირთვა (ზოგჯერ გადატვირთვა), ლირიული თხრობა და ადამიანის ხასიათში სოციალური გარემოს თავისებურებათა გახსენის ცდა. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ახალგაზრდის შემოქმედებაში ეს სამი ჩამო არ არის შერწყმული. ხანდახან მათ მექანიკურად გადაჰაქვთ ერთ-ერთი მათგანი. (სოსო კორინთელი ხშირად ვერ აძლევს დეტალს ყალიბს, მის პროზაში არცთუ ისე იშვიათად წაიწყდება მკითხველი ისეთ დეტალს, რომელიც განუვადებს ცხოვრებასაგან, არავითარი კავშირი არ აქვს ადამიანის სულიერ სამყაროსთან ან მის ფიზიკურ მასასთან, ვერ უკავშირებს სიუჟეტს, ვერ იყენებს ადამიანის პორტრეტის ან ხასიათის ცხადსაყოფად. ჩვენს ინანიშვილს მავალი გადააქვს ადამიანის ხასიათზე, ცდილობს ხასიათში აჩვენოს თანამედროვე ადამიანი, ჩვენი სოციალური ყოფა, მაგრამ ხშირად ამ ხასიათს აკლავს განზოგადება, სიმალდე. საბჭოთა ადამიანებს ბევრი რამ საერთო აქვთ ერთმანეთთან, რაც არ გამოირიყებას განმასხვავებელ ნიუანსებს. ეს „განმასხვავებელი“ და „საერთო“ თანაზარი სიძლიერით უნდა გამოყვეთოს მწერალში, რომ მკითხველმა ხასიათში ცხადად დაინახოს ჩვენი სოციალური ყოფის ნიშნები).

ეს გვა ხშირად უფრო მიბაძვას ჰგავს, ვიდრე გავლენას. გავლენა უფრო დღი და ფართო ცნებაა. რამდენადაც კარგად და ღრმად ეს-მის მწერალს მწერალს მხატვრული თავისებურება, იმდენად იყარება მის შემოქმედებაში გავლენა და საგანგებო კვლევის საგნად იქცევა. გავლენა, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლიანად გაგებას მიანიწინებს, თუ მეტს არაფერს.

ადამიანის ხასიათში სოციალური გარემოს ჩვენება უცხო ხილი არ არის ჩვენთვის. თამამად შეიძლება მოქვას, რომ ამ სფეროში ყველაზე მაღალ მწვერვალს ჯერ კიდევ ჩემოვი ფლობს.

ილია ჭავჭავაძის „გლაბის ნაშრობში“ ოსტერტურად არის დხაბტული გაბროსა და დათიკოს საპირისპირო ხასიათები, აქვეა ამბავი, სიუჟეტი, — ორივე ერთად ძირფუძვლიანად აჩვენებს მკითხველს მამინდელი სოციალური ყოფის სიღრმეს. დაოიკოსა და გაბროს ხასიათები ორი დამპირისპირებული კლასის ხასიათია.

მწერალმა ეს ხასიათები ისეთ სიმალღებზე ასწია, საიდანაც ორი კლასის ზნეობრივი და მორალური სახე ჩანს. ასე რომ, ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსები არაფერს არ წააგებენ, თუ უფრო დაცვირვებით ჩაახედავენ ჩვენი ლიტერატურის კლასიკურ ფონდში.

რევან პეიშვილის სტილი უფრო ქართული კლასიკური პროზის ტრადიციებისაკენ იხრება. ახალგაზრდა პროზაიკოსის ნაიაჩი სადღეობად წმინდა წყლის ცდა არის, მაგრამ ეს ცდაც გვაფიქრებინებს, რომ მას გვზი მაინც აქვთ-კენ აქვს აღებული. რევან პეიშვილი ადამიანს ერთა შორისად კი არ ხედავს, არამედ მისი ყველა ურაცოფითის და დადებითის ასახვას ცდილობს. შემთხვევითი როდია კომპაზში მის მოთხრობებში. ავტორის აზრით, ყველა ადამიანს, ყველა ცოცხალ საქმეს ახლავს რაღაც ურაცოფითი აშკარად ან ფარულად. ეს არის საგნებისა და მოვლენების შექმნილი ხილვა. რევან პეიშვილი სიუჟეტს ბუნებრივად, ლოგიკურად აეთვარებს. ერთმანეთს ცელიან მახვილი თვალთ დანახული, ცოცხალი დეტალები. მოთხრობები „ცხვირი“, „ბერისი სათარეულა“, „შაში ბეში“ და „არქიმის დექანი“ ათთქმის თანხარი მხატვრული სიძლიერით არის დაწერილი. პირველ მთავანში მწერალმა დახატა ადამიანი, რომელიც თავისი პროფესიის იქით ვერ იხედება. აქედან გაიბა მოთხრობის კომიკური ეპიზოდების ქსელი. ავტორი ზოგჯერ ვერ იცავს ზომიერების გრძობას. კომპაზის გასაძლიერებლად სიუჟეტს ხშირად მკერავებელი აქვს ზედმეტი დეტალები, რაც საერთოდ ემჩნევა რევან პეიშვილის პროზას. ახალგაზრდა პროზაიკოსს მეტი სიფრთხილე მართებს, ენობრივი სიწმინდისათვის დაუხვეწავი ფრაზები, ჩიქორთული მეტყველება, ქართული სინტაქსის დარღვევა დიდად ენებს რევან პეიშვილას მოთხრობების მხატვრულ ღირსებას. კიდევ ერთი რჩევა: ადამიანში შინადადამინც ურაცოფითის ხილვა და ამ მხრიდან მისი დანახვა თვითმონურ სამუდამოდ არ იქნეს.

ჯერჯერობით ეს არ ჩანს რევან პეიშვილის მოთხრობებში, მაგრამ შინა იყრანობა ამის საშიშროება.

გურამ გუგუშვილს, აკაკი ბრეგვაძის, თეიმურაზ ბოცვაძის, აკაკი ძინძიბაძის, სულხან ქუთელაურის, და თეიმურაზ მაღალაფერიძის მოთხრობებისათვის დამახასიათებელია გამართული ობრობა. მათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პერსონაჟთა ხასიათების გამოკვეთას და, რაც მთავარია, ცარიელი ლამაზი და მსჯელობა უნდა შეცვალონ ხატვით.

„ბავშვის ბუნება“ საიდუმლოთა საიდუმლოა, ბავშვი იგვე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, ძნელი წასაკითხი ქარაგმით და-

წერილი, არ უნდა გავიარდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ეპოულობთ იმას მისი პატარა სათავეშიც ვხედავთ. ბავშვი მართლაც დანაწევრ სია დიდი ადამიანისა — წერდა ილია. ამ სიტყვებით გადავიდეთ კრებულის საბავშვო განყოფილებაზე. ერთი ბასილაშვილის საბავშვო პოეზიაში კარგად ჩანს ბავშვის სუფთა და სამყარო. მისი ღვეშების მორალი ყოველთვის იოლშესაქნობია. ცხადია, მარტივი და დახვეწილი მეტყველებით პოეტი ახვედრებს ბავშვებს თავის ჩანაფიქრს.

ნოდარ ღუმბაძე მშრალი, ზოგადი დიდაქტიკით თი არ ღლის ბავშვის გონებას, მას ყოველთვის კონკრეტულ საფუძველს გამოუნახავს ხოლმე, რაც დამოკიდებულს და ნათელს ხდის პოეტის აზრს.

ნოდარ ღუმბაძე არჩევს მართე რიტმისა და მეტრს, რომ პატარა მკითხველთ ღვეშის დროს არ დაღინდოს.

საბავშვო ლიტერატურის განყოფილება, თუ მეტს არა, ერთ შენიშვნას მაინც იმსახურებს. ყოველთვის ისეთ საგნებზე, მოვლენებზე და ამბებზე წერა, რაც ბავშვის გონებრივი შესაძლებლობის დონეზე დგას (ხშირად უფრო დაბალ) იღრებს ბავშვის აზროვნებას, ბევრს არაფერს ატრებს მის გონებრივ პორიზონტს. ბავშვს თუი თვითონ შეუძლია რაიმეს აღქმა და შეცნობა, რაღა საჭიროა სხვისი ჩარევა „ფისოს“, „თოჯინას“ და „ყვანჩალას“ ცოტა უნდა გასცდეს ჩვენი საბავშვო ლიტერატურა. ბავშვი ხანდახან უნდა „ვათალოთ“, რათა დაძაბოს გონება, გავიყუროთ, ვასწავლოთ, რაც არ იცის და რასაც ეს-ეს არი ეპოტინება, რა თქმა უნდა, ასაკის შესაბამისად.

მრავალფეროვანი და მდიდარია თარგმანების განყოფილება. შესაივლ წერილში, „ფართო პორიზონტისათვის“ თამაზ ჩხენკელი იხილავს მთარგმნელობითი საქმის საერთო სალიტერატურო მნიშვნელობას. ავტორი საესებთ სწორად აღნიშნავს, რომ მთარგმნელობითი მუშაობა წინ სწევს ერის სულიერ კულტურას და ამიღრებს მის ლიტერატურას.

თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილი იაპონური პოეზია საღა და დახვეწილი მეტყველების ნიმუშია:

ერთო სოფელი, საღ გიპოვო თავი და ზოლო!

განველეთ უღბანო, ვერ კი ვცანით გზები უფლისა,

ჩვენი ცხოვრება?... რაა იგი?

— აჩრდილი მხოლოდ, ცის უფსკრულბში დაღუპული კვალ ღრუბლისა. (ფუძიყარა კოსიუე) თამაზ ჩხენკელის თარგმანები თავისუფლია ყოველგვარი ბუნდოვანი გამოთქმებისაგან და, რაც მთავარია, ყოველ თარგმანს ქართული

ლექსის სულ უდგას. მთარგმნელი დიდი სიფრთხილით და სიუყვარულით ეპყრობა ჩინური პოეზიისათვის დამახასიათებელ ინტონაციას. ამ სიუყვარულმა, სიფრთხილემ და ხალასმა ნიჭმა თამაზ ჩხენკელი სასურველ წარმატებამდე მიაყვანა.

ლალად და თავისუფლად ქუერს ნოდარ ლეშაძის თარგმანები. ზოგიერთ მათგანს იმდენად ბუნებრივი და უშუალო დინება აქვს, რომ თარგმანის იერს კარგავს.

ბესიკ ადგიშვილს ესმის გოეთესა და ჰაინეს ლირიკის იდეური და მხატვრული ღირსება. მართალია, დედანის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა უპირველეს პირობაა კარგი თარგმანისათვის, მაგრამ დედანის ცეცხლი რომ არ ჩაგვირეს და მკითხველამდე მიიტანო, პოეტის სული უნდა გუდგას. ბესიკ ადგიშვილის თარგმანებში ერთმანეთს ავსებებს და ერწყმის ეს ორი პირობა.

გივი შანაზარი კარგად თარგმნის ავეტიკ ასაკიანის ლექსებს. დიდი სიმეხი პოეტის ლირიკას მთარგმნელი არ უყარავს დამახასიათებელ ტონს, განწყობილებას და შინაგან მუსიკას. გივი შანაზარზე შეიძლება იგივე ვთქვათ, რაც ბესიკ ადგიშვილზე, მხოლოდ არა ცეცხლი დისონანსებით. (დისონანსი თანამეზობელთან, რომ ორივე ზედმეტად არის გატადროვლ ლექსის ტექნიკამ წამოიწია ესოდენ, მაგრამ მთარგმნელებს არ უნდა დაეეწეოდეთ, ვის რა დობით ახასიათებს იგი. დისონანსს თუ ფრთხილად და დაკვირვებით არ შეუჩივებ ადგილი ამჟამებს და აუხშევს ლექსს).

ჯორჯანელების მიერ თარგმნილ გოეთეს „ეგმონტს“ დროდადრო ხელოვნური ენა ეტყობა. მათ საკმაო გამოცდილება აქვთ გერმანული პროზის თარგმნის საქმეში. კრებულში წარმოდგენილია ნაწყვეტი და ამთავითვე უნდა ეურჩიოთ მთარგმნელებს, რომ ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი მეტყველებისაკენ აიღონ გეზი.

თამარ ერისთავმა უდავოდ იცის რობერტ ბერნისის პოეზიის თავისებურება. მთარგმნელი ინარჩუნებს ამ დიდი პოეზიისათვის დამახასიათებელ ხალხურობას და მსუბუქ იუმორს: ზმირად კი მომეტებულად აურბალოებს ბერნისის სიღრმე ტექნიკას. ახალგაზრდა მთარგმნელი გადაჭრით უნდა მოერიდოს ყრუ, დაზულ ფრაზებს. (რაც სრულიად უტყობა ბერნისის პოეზიისათვის), პრიმიტიულ რითმებს: „ყვდა“, „არწყვდა“, „ავმა“, „შევა“, „ზევა“, „ცეტი“, „ბედი“, „პირად“, „გმირად“.

თამარ ერისთავის რამდენიმე თარგმანი

მართალია რომ საკადრისია ბერნისის პოეზიისათვის. მთარგმნელს მეტი პასუხისმგებლობა მართებს და სხვა არაფერი.

მაგალი თოდუამ კარგი მთარგმნელის სახელი მოიხვევა. მან არა ერთი და ორი საუცხოო თარგმანი უსახსოვრა ქართულ ლიტერატურას. გულწრფელად უნდა ვუთხრათ ჩვენს კარგ მთარგმნელს, რომ კრებულში წარმოდგენილი თარგმანი (მირზა ტურსუნ-ზადეს „ტიარი ჩანდრა“) იგი ვერ მისწედა თავის სიმაღლეს. ბოლოს და ბოლოს ქართულ ხალხურ ლექსსაც თავისი ვრონული სახე აქვს. ვლად მერონგუერ რაღაცას წამოროშავს, იმასაც ხალხურ ეძახიან და ვეფხის და მოყმის ბალადასაც ხალხური ჰქვია. მაგალი თოდუს თარგმანში ზედმიწევნით არის გაუბრალოებული თანამედროვე ქართული ლექსის ტექნიკა. შეიძლება დედანი უფრო უკიდურესობამდე მიდის, მაგრამ თარგმნა ხომ შემოქმედებითი საქმეა. მთარგმნელი უფლებამოსილია „აუჯანყდეს“ ორიგინალს. ერთი რამ მაინც უნდა ახსოვდეს: პატრიოტ სიყვარული დედანის მადლს. სუსტის ძლიერად თარგმნა და პირუტყვ ერთიდაიმავე ლიტერატურულ ცოდვად მიგვიჩინა, მაგრამ პირველ მათგანს უფრო შეუნდობს ლიტერატურა მთარგმნელს.

ლერმონტოვის პოემა „მაჯი აბრაგის“ რთული ტექნიკა ძირითადად დაძლეული აქვს თამაზ ჩხენკელს. მთარგმნელმა შეინარჩუნა ლერმონტოვისათვის დამახასიათებელი ხატვის ძალა და ცოცხალი მეტყველება.

ედიშერ ვიორჯაძისა და არიან ჰანტურაის მიერ თარგმნილი ჯეკ ლონდონის მოთხრობა „ცეცხლის დანთობა“ უშუალო თხრობით, დაზვეწილი სტილით, ქართული ადეკვატური იდიომებით გამოირჩევა, თუმცა სინტაქსური ხასიათის შეცდომებისაგან არც ეს მოთხრობა დაზღვეული.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს გურამ გოგიაშვილის (ნიკოლას ვილინის ლექსები), გივი ციციშვილის (გოეთეს ლექსები), გივი გვაგვიკორის და ტარიელ ჰანტურაის (გარსია ლორკას ლექსები) ნოდარ ჯანაშიას (თმარ სეიფედინის მოთხრობები) და რობერტ კენკაძის (ანტონ ჩეხოვის „ივანე მატვეიჩი“) თარგმანები.

საბუბილეო კრებულს ავსებს და სრულყოფილ სახეს აძლევს ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის განყოფილება, რომელშიც გამოქვეყნებულია საინტერესო წერილები და გამოკვლევები.



წინაპართა ნაკვადეზე

(ს. ბაერელის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო)

ორას წელზე მეტხანს იბრძოდა სამცხე-საა-თაბაგო ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ. მხოლოდ XVII საუკუნის 30-იან წლებში შეიძლო მტერმა მისი დამარცხება. ქართული სამთავროს ნაცვლად ახალციხის საფაშალიყო შეიქმნა. დაიწყო გაოსმალების მიხიმე პროცესი.

ეს პროცესი თავისი შედეგებით უმძიმესა აღმოჩნდა საქართველოს სამხრეთ პროვინციისათვის, რომელიც პირველი შეეჯახა მტრის მოზღვავებულ ტალღებს. XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის არტაანში ქრისტიან ქართველთა მხოლოდ ერთი სოფელია დარჩენილიყო (ს. ველი), რომელიც მტერთა მომძლავრებისაგან შევიწროებულყო და დამარცხებასა და შეწვევას სთხოვდა რომის მისიონის:

„ჩვენ ამის ქვემო ხელის მოშწერი ქართველი რომის კათოლიკები, რომელთაც თითო-თითოდ ყველამ ჩვენს სახელზედ დაუესვით ჯვარი ჩვენის საკეთარის თითით, ვეგდარებთ თქვენს პატრეცემულს მამობრიობას, რათა ჩვენ არ დაგვიყიწოთ, ვერეთ, რომ არაოდეს არ მოაქლოთ ამ ჩვენს სოფელს ველს ერთი პატრი მისიონერი...“

იმედი გვაქვს თქვენი პატრეცემული მამებრები სახიერებისაგან, რომ ეს ჩვენი უდაბლესი სათხოვარი სათნო და შეწყნარებული იქნება.

ეფრემი, ამო, აღუქსან, გიოლგოლი, სავი, ოქროი, პეტრე ანდრიას ოლი, ედორბარი, აოსტოლი, ევეი, მესროფი, იმედი, პაქლე, ოქროი, პეტრე ანდრიას ოლი, ედორბარი, დიო, იგთხანი, შოლილ პეტრეი, თათარი. მე მ. პოლიკარაო მანთიელმა კაპუცინმა საოციქულო მისიონარმა და ველის ბაროხმა ამ ზემოსწენებული ქართველ კათოლიკების თხოვნით... შევადგინე ეს მოხსენება და ვმოწმობ, რომ აქ ხსენებული ქართველების თვითმუღმა თავისი საკეთარის თითით დაუსვა ჯვარი თავის სახელის წინ...

ს. ველი 18 იანვარს 1787 წ. ¹ შემდეგ, როგორც ჩანს, ირგვლივ თურქულენის ამომძლავრებაში და ეკლესიაში სომ-

ხური ტიპიკონით წირვა-ლოცვის აღსრულებამ მშობლიური ენის საჭიროება თითქოს შეასუსტა და მისი გადაიწვევების საშიშროება შექმნა.

1828 წ. ს. ველის ქართველობა არტაანიდან გადაიხვეთს, ახალქალაქის მახრის სოფლებში (ბაერა, კარტიკაში, ხულგუმო და სხვა) დამკვიდრა. ახალმა ბუნებამ მესხიერებიდან ვერ წაშალა არტაანის, ველის, ხელევიანის, ხოდურეთის სახელები და შეილიდან შეილზე გადამოდიოდა პირდაპირი მიწაწყლის სსოვრა და სიყვარული. ამ სსოვრისა და სიყვარულის სიტუაციაში გაიზარდა და ჩამოყალიბდა ცნობილი ქართველი პუბლიცისტი სოლომონ ბაერელი (ასლანიშვილი).

სოლომონ ევლამბის-მე ასლანიშვილი დაიბადა 1851 წ. ახალქალაქის მახრის სოფ. ბაერაში. 1866 წელს დაამთავრა ახალციხის სამაზრო სასწავლებელი და იქვე ქართველ კათოლიკეთა სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. შემდეგ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილზე დიდხანს მუშაობდა ფოსტატელეგრაფის უბრალო მოხელედ. 1876 წლიდან ბაერელმა დაიწყო თანამშრომლობა გაზეთ „ივერიისა“, შემდეგ „დროებაში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ითვლებოდა ქართული პრესის აქტიურ თანამშრომლად.

1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში კავკასიის არმიის წარმატებამ და წინსვლამ ქართველი ხალხის ერთსლოვანი აღფრთოვნება გამოიწვია. ხალხი ამ ომში საქართველოს სამხრეთი პროვინციების ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების რეალურ შესაძლებლობას ხედავდა და გაცხოველებით იღვწებდა თვალყურს კავკასიის ჯარების მოქმედებას. ფრონტის ამბებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა იმდროინდელი ქართული პრესა. „ივერიისა“ და „დროების“ რედაქციები ცდილობდნენ, სრულყოფილად გაეშუქებინათ ახლად შემოგროვებული ქართული პროვინციების უოფთა-ცხოვრება. 1877 წ. ს. ბაერელი თავისი მოწოდებითა და სურვილით, როგორც „ივერიისა“ და „დროების“ კორესპონდენტი, არტაანს ჩაეიდა.

„...ის მიხაროდა, — წერდა შემდეგ ს. ბაერელი, — რომ ვნახავდი იქ ჩემის მამა-პაპის

¹ (მ. თამარაშვილი, „პასუხად სომხის მწერლებს“ 1904 წ. გვ. 209—210).

სამშობლო სოფელს. იმ სოფელზე, საიდანაც ჩსინი არიან გადმოსახლებულნი, ბევრი ქება გამიგონია ჩემთა მოხუცებულთაგან... ისინი იმ სოფელს იგონებდნენ, როგორც თავიანთ საყვარელ სამშობლოს, რაგვარადაც დიდისხნის მოშორებული ყმაწვილი იგონებს თავის საყვარელ დედას" („ივერია“, 1878 წ. № 26).

არტანუჯის ყოფნისას ს. ბაერელმა სხვა სოფლებთან ერთად ნახა და აღწერა ს. ველიცელში მის ახალციხიდან გადმოსახლებული გამაჰმადიანებული ქართველები დახედნენ¹. ამ გამაჰმადიანებულ ქართველთაგან, ს. ბაერელის მოწმობით, მხოლოდ სამი მოხუცელია ლაპარაკობდა ქართულს ერთ მათგანს პასრად შეზინშვილი კიდევ ელაპარაკა და ბევრი საყურადღებო ცნობა ჩაიწერა მისგან.

საინტერესოა ს. ბაერელის მიერ გადმოღებული ველის ეკლესიის კედელზე შემორჩენილი მინაწერები:

„1784 პატრი ფოლაქარჯი (მ) დავსწერე“

„1799-სა მე ხოჯევათ ნიკოლოზმან დავსწერე“.

„ეს მე ბაღამათ რაქმა ვარიანემ დავსწერე ყულად-სიზიანათ ვარიანს ქალმა“.

„1802 პატრი ბასილოსი იყო“

„ბ. თებერვლისა ყოფილა თოვლი“.

ეს მინაწერები ბუერის მიმინშნებელია როგორც ისტორიელის, ისე ენობრივი თვალსაზრისით.

ს. ბაერელი, როგორც ქართული, რუსული, თურქული და სომხური ენების მკვლევარი, კარგად ერკვეოდა არსებულ სიტუაციაში და ცხოვრების შეაგუდიდან ამოღებული მასალებით ამიღებდა ქართულ პრესას, ის, როგორც არტანუჯის მკვიდრთა ცხოვრების ნამდვილი მონაწილე, მათთან იყო ჭირსა თუ ლხინში და გამოცდილი მამიებელის თვალთა მინდევდა და ამოკონდა იქიდან ბევრი საყურადღებო ფაქტობრივი მასალა.

ამ დროს აშელთა ერთ-ერთი პეპრობიას ს. ბაერელს შეხვედრია ახალციხიდან არტანუჯის ჩამოსულ ქართველი პოეტი მეფედნი (?), რომელიც თურქულ ქართულად მღეროდა და ყველაზე მეტი წარმატება ჰქონდა.

არტანუჯის ს. ბაერელი გადავიდა არტანუჯში, არტანუჯიდან — ართვინში, საიდანაც შოთაბა შეეშეთი, იმერტელი, ჩავიდა ბათუმში და კვლავ უკან გაბრუნდა, რათა ართვინიდან ახალციხეზე გადმოვლით 1879 წელს ჩამოსულიყო თბილისში. არტანუჯში მან ნახა სოფ-

ლები: აქქარა, ანჩი, ანაგეთი, ზრდილი, ქარსნია, სამასხრი, უსტკელი, კონთრაბი, სალიანი და სხვა, სადაც ყველა ქართულად ლაპარაკობდა. ასევე ქართულად ლაპარაკობდნენ² შევერთის სოფლებში. ს. ბაერელის თქმით, „იმერტველი ქართველები თითქმის ლიტერატურული ქართულით ლაპარაკობენ და სამავალითონი არაინა“.

ს. ბაერელი ხშირად მოქმედი არმიის ნაწილებთან ერთად მოძრაობდა და ყველაფერს თავისებური მომხიბვლელობით აღწერდა, როგორც თვითმხილველი მეისტორიე. ამ როგორ აღწერს იგი კავკასიის არმიის ართვინში შესვლას:

„ართვინში შესვლა იყო გულის შემადრწენელი სურათი. დიდის საათის შვილზე დღეს ამოვიღენ თოღებში ჯარის უფროსთან ართვინის წინაპირნი თანაგრძნობისა და ერთგულების გამოსაცხადებლად. მზე კარგად ამოვიდა. ჩვენი ჯარი მზათ იყო ართვინში პარადით შესვლასზე. ზარბაზნის პირველმა ხმამ გავცნობა, რომ ჯარის წასვლის დრო მოვიდა. ჯარი დაიძრა. ამისული ხალხი გუგუფ-გუგუფად მისდევდა ჯარს, ივროდა მუხიკა... გავარდა ოცდაერთი ზარბაზანი, ირეკებოდა ზარები“.

ს. ბაერელმა არტანუჯში ყოფნისას გახსნა კერძო სკოლა, სადაც ბავშვებს სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა ქართულად. მას მამინ მფარველობის უწყვედა ართვინის მახრის უფროსი მიხვილ შეფისაშვილი.

შემდეგ, როცა შეფისაშვილის მიავივრად მახრის უფროსად დაინიშნა რვაქციონერი შებინსკოი, ს. ბაერელის მოღვაწეობას ფრთხილ შეეკეცა. შებინსკოიმ ბაერელი დაასმინა ქუთაისის გუბერნატორთან, როგორც არაკეთილსამთრეველი კორესპონდენტი და ცუდი ზრახვების მქონებული პიროვნება. საქმე იქამდე მივიდა, რომ შებინსკოიმ „ივერისია“ და „დროების“ კორესპონდენტს სპეციალური მკვლელობა მოუხინა. ამგვარი დევნისა და შევიწროების მიუხედავად, ს. ბაერელი განაგრძობდა თავის კეთილშობილურ საქმეს ახლად განთავისუფლებულ სამხრეთ საქართველოს რაიონებში.

1879 წ. ს. ბაერელს შეეხდა არტანუჯში ჩამოსული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე.

„სასიამოვნო სანახავია ჩვენი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე — წერდა ს. ბაერელი 1880 წ. გაზ. „დროებაში“, — თითქმის მოხუცებული, მაგრამ მარდი, როგორც თხუთმეტი წლის ახალგაზრდა დარბის კლდეებზე, აუღა ალაგებზე. ყველაფერში ერთობა... რომ თავის

¹ 1828 წ. სამცხე-ჯავახეთიდან ბყრილი გამაჰმადიანებული ქართველები ჩასახლდნენ იმ ადგილებში, საიდანაც სომხები და ბერძნები გადმოსახლდნენ სამცხე-ჯავახეთში.

2. (ივერია“, № 27, 1878 წ.)

საქმის არშეიყო*. როგორც ენობილია, დი-
მიტრი ბაქრაძემ ამ მოგზაურობის შედეგად
დაგვიტოვა მნიშვნელოვანი გამოკვლევა: „არ-
ქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აქა-
რაში“. ამ მოგზაურობის დროს ჩილდირის
მხარეში ერთ-ერთი ეკლესიის კედელზე ბაქ-
რაძეს შეხვედრია მინაწერი: „ვნახე ეს დიდე-
ბული ნაშთი ქართული ცხოვრების გულმდუ-
ლად მტირალი სილომონ ასლანიშვილი“.

ს. ბაგრელის წერილებს საქართველოს XIX
საუკუნის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხალ-
ხური სიტყვიერების შესწავლის დროს ნამდ-
ვილი პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.
ამისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ს. ბაგრელის

დიდი წვლილი სახალხო განათლების საქმეში,
საეზარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ მას თავის
დროზე მოსწავლეთათვის შეუდგენია: ქარ-
თულ-ფრანგული და ქართულ-ოსმალური სა-
ხელმძღვანელოები, აგრეთვე რუსულ-ქართუ-
ლი თვითმასწავლებელი რუსთათვის.

ს. ბაგრელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო
1905 წლის რევოლუციაში, რისთვისაც ის
მეფის მთავრობამ დააპატიმრა და მეტეხის
ციხეში ჩასვა. იგი ყოველთვის ერის მოწინავე
შვილთა რიგებში იდგა, დაულაღიად ემსახუ-
რებოდა მშობლიურ ხალხს, ვიდრე უღმობელ-
მა სიკვდილმა (1926 წელს) არ შეაჩერა მისი
გულისცემა.



გრიგორ ბაკრაძე



სამართაშორისო უკეთიერეთობის გოზიერთი საკითხი

თანამედროვე პირობებში ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი განსაზღვრავს საერთაშორისო მდგომარეობას. ერთი მხრივ იმპერიალიზმი ედილობს შეარყიოს მშვიდობა, შექმნას ომის კერები, იყოიოს მსოფლიო შეშფოთებისა და განგაშის მდგომარეობაში, განახორციელოს ომის ზღვარზე ბლანსირება. მეორე მხრივ, და ეს მთავარია, რეაქციული წრეების ამ ედილების მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობა ჩვენს ეპოქაში ვითარდება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების განმტკიცების მიმართულებით. ამიტომ უკვე აღარ არის ომის ფატალური აუცილებლობა. მშვიდობის შენარჩუნებისა და ომის აღკვეთის მიმართულებით მოქმედებენ მძლავრი ძალები: სოციალიზმის ძველამოცილი მსოფლიო ბანაკი, აზიისა და აფრიკის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, საერთაშორისო მშვიდობის კლასი და მისი ავანგარდი-კომუნისტური პარტიები, კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხალხთა მასობრივი მოძრაობა მშვიდობისათვის, ევროპის იმ ქვეყნების ხალხები, რომლებიც ნეიტრალიტეტის პოზიციაზე დგანან, ლათინური ამერიკის ხალხები. საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანფარდობის ძირეულია შეცვლისა და ომის გარდაღობის აუცილებლობის არარსებობის ნათელყოფილია მშვიდობის ძალების გამარჯვებები. ცნობილია, რომ უკანასკნელ სამ წელში აღნიშნულ იმპერიალიზმზე შექმნა ომის რამდენიმე კერა. მაგრამ ომი თვედან აიცილეს სოციალისტური ქვეყნების, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსა და ხალხების ძალებმა. ინგლისი და საფრანგეთი იზრავდნენ ერთად თავს დაესხნენ ეგვიპტეს, აშშ და ინგლისი თურქეთის შარადკერით აშალებდნენ სამხედრო თავდასხმას სირიაზე, ამერიკის იმპერიალიზმმა და პოლანდიამ, ნატოს წევრი სხვა კოლონიალური სახელმწიფოების მხარდაკერით, არაპირდაპირი აგრესია განახორციელეს ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამერიკელი აგრესორები შეიკრნენ ლიბანში, ინგლისელი აგრესორები კი — იორდანიაში. მაგრამ იმპერიალიზმმა და კოლონიალიზმმა არა ერთი დამარცხება

ხება განიცადა აგრესიისა და ომის განაღების ამ სამარცხვინო გზაზე. ისინი ამ გზაზე შეაჩერეს და უკუაგდეს საბჭოთა კავშირში და სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებში. ახლო აღმოსავლეთში ომის ხანძრის კერა ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი, რომ ამერიკელებმა უკვე დაიწყეს ომის სხვა კერის გაღვივება სახალხო ჩინეთის წინააღმდეგ. აქ ამერიკელი გენერლები და პოლიტიკოსები გადავიდნენ ატომური ომით შექარაზე. მაგრამ სახალხო ჩინეთთან ერთად აგრესორის წინაშე მტკიცედ აღიშრათა ჩვენი სამშობლო. «ეს იყო ცივი წყლის გადასხმა აღიარახსნილი ამერიკელი გენერლებისა და პოლიტიკოსების თავებზე». თუმცა ამერიკის სამხედრო ხროვა ევლავ აქნევს ომის ჩირაღდანს ჩინეთის ნაპირებთან. ფაქტი ისაა, რომ იმპერიალიზმმა ვერ შექლო ომის განაღება. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ზრუნვა მშვიდობისათვის არ ამოიწურება იმპერიალისტების შეჩერებით აგრესიის გზაზე. ის უღიდესი მნიშვნელობის ღონისძიებებს ახორციელებს მშვიდობის განმტკიცებისათვის: ჩვენმა ქვეყანამ ცალმხრივი წესით შეამცირა 1955 წელს თავისი შეარადებული ძალები 2 მილიონ 140 ათასი კაცით, უარი თქვა ბაზუზე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, წლითიწლით ამცირებთ თავის სამხედრო ბიუჯეტს, წამოაყენა განიარადების პრობლემის გადაჭრის გაშლილი პროგრამა, რომელიც განხორციელების შემთხვევაში ბოლოს მოუღებდა დანაშაულობრივ გამაღებულ შეიარადებას. საბჭოთა კავშირი მზადაა დათანხმდეს ნაწილობრივ განიარადებაზეც, მან ცალმხრივ შეწყვიტა ატომური იარადის გამოცდა, ესწრაფვის მის სამუდამოდ აკრძალვას და ამოღებას შეიარადებიდან, მოითხოვს შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე უცხო ქვეყნებში განლაგებული ჯარების შემცირებას ან საესებით შეყენანს მოცემული ქვეყნების ერთნულ საზღვრებში.

საბჭოთა კავშირში დასვა საკითხი ატლანტიკის ბლოკში შემავალ სახელმწიფოებსა და ევროპის პაქტით გაერთიანებულ სახელმწიფოებს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ.

საბჭოთა კავშირი ილწვის უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, დაბეჯითებით მოითხოვს ვერიპოსის ცენტრში საერთაშორისო დამაბულობის კერის მოსპობას, დასავლეთ ბერლინის თავისუფალ, დემოკრატიზებული და დემოკრატიულ ქალაქად გადაქცევის (დაწვრილებით ქვემოთ).

გინ მოთვლის რამდენ და რაოდენ დიდ-მნიშვნელოვან ღონისძიებას ახორციელებს ჩვენი ქვეყანა, მთელი სოციალისტური ბანაკი, მშვიდობის დასაცავად, ომის თავიდან აცილებისათვის. ჩვენი ქვეყანაში შეიდგლიანი გეგმის განხორციელება, რომლის ამოცანები ჩამოყალიბებულია სკე პარტიის XXI ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, კიდევ უფრო ძირფესვიანად შეეცლის ძალთა თანადროლობის საერთაშორისო ასპარეზზე და განამტკიცებს საყოველთაო მშვიდობას.

წლითწლივით უფრო პოპულარული ხდება ჩვენი ქვეყნის ბრძნული საგარეო პოლიტიკა. იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომელნიც ჩვენიან ერთად ესწრაფვიან მშვიდობის განმტკიცებას.

ამ ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ საკუთარ თავზე განიცადა ომის ხაშინელებანი. ისინი ითვალისწინებენ ისტორიის გაყვითლებს და არ აეიწყებთთ რაოდენ დიდი მსხვერპლი გაიღო კაცობრიობამ პირველ და მეორე მსოფლიო ომში. ამ ომების მასშტაბსა და მსხვერპლს უჭრად არ იცებენ ე. წ. „მესამე პენიკერი ომის“ დღევანდელი იდეოლოგები, პოლიტიკოსები და სტრატეგები, რომელთაც ის მიიხედავს გაიხსენონ თუ როგორ გამოვიდა ამ ომებთან კაპიტალისტური სამყარო. ეს მასშტაბი და მსხვერპლი ქვეშაირად სახარელია.

მივსართოთ ფაქტებს. ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომი გაგრძელდა 4 წელს 3 თვესა და 11 დღეს, ხოლო მეორე მსოფლიო ომი სრულ 6 წელს (ერთი დღე დააკლდა). პირველი მსოფლიო ომის დროს საომარი მოქმედება მიმდინარეობდა 4 მილიონ კვ. კილ. ტერიტორიაზე, მეორე მსოფლიო ომის დროს კი 22 მილიონ კვ. კილომეტრზე (ხელების ჩათვლით). პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა 28 სახელმწიფო, მეორეში კი 40. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდენობა 1,5 მილიარდს აღემატებოდა, მეორეში კი 2 მილიარდს. პირველ მსოფლიო ომში მობილიზებული იყო დაახლოებით 70 მილიონი ადამიანი, მეორეში კი 110 მილიონზე მეტი. პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა 10 მილიონი და დასახიჩრდა 20 მილიონზე მეტი ადამიანი, მეორეში 22 მილიონზე მეტი დაიღუპა ან უგზოუკლოდ დაიკარგა და დასახიჩრდა 34 მილიონზე მეტი ადამიანი (ამაში არ შედის ჩინეთში, აგრეთვე სე-

კონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულები და ემიგრაციის მსხვერპლი). პირველი მსოფლიო ომში მარტო საფრანგეთმა დაკარგა 20000000 საწარმოო დაწესებულება, 594 ათასი საცხოვრებელი სახლი, 5 ათასი კილომეტრი რკინიგზა.

მეორე მსოფლიო ომის ძირითადი სამომავლო გადაიტანა ჩვენმა სამშობლომ. ამ ომის წლებში დაიწერა ჩვენი ქვეყნის 1710 ჭალაქი და 70 ათასი დასახლებული პუნქტი, 6 მილიონზე მეტი სახლი, 31,850 საწარმოო დაწესებულება და 65 ათასი კვ. რკინიგზა. 25 მილიონი ადამიანი დარჩა ღია ცის ქვეშ — უსახლკაროდ. შტრის მიერ საბჭოთა კავშირისათვის მიყენებული ზარალი ვამოიხატება ასტრონომიულ ციფრებში. ის შეადგენს 679 მილიარდ მანეთს (1941 წლის სახელმწიფო ფასებში). ყველაზე საზარელი ის არის, რომ დიდმა სამამულო ომმა შეიწია 7 მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანი.

კაცობრიობას პირველი მსოფლიო ომი დაუჯდა 200 მილიარდი დოლარი, ხოლო მეორე 1000 მილიარდი დოლარი. ორი მსოფლიო ომის მიერ შეწირული მსხვერპლის ზოგადი ბალანსირება კი გვიჩვენებს, რაოდენ სამინელებს წარმოადგენს ომი, რომელიც რაღაც 30 წლის მანძილზე ორჯერ გაიჩადა იმპერიალიზმში და ახლაც ამზადებს მას. გავიხსენოთ ისიც, რომ ორივე ომის შედეგად იმპერიალიზმმა თვითონვე მიიღო სასიკვდილო ჭრილობები.

საგულსხმია, რომ ამ ომებში არ იყო ნეტუვისა და მასობრივი ხოცვა-კლვის ისეთი მძალერი საშუალებები, როგორც ახლა არსებობს. ცნობილია, რომ ატომბულის იარაღს აქვს უდიდესი დამანგრეველი ძალა, ხოლო მისი მტარებელი — სტრატეგიული ავიაციის თვითმფრინავები, საკონტინენტთშორისო ბალისტიკური რაკეტები, საშუალო სიშორის რაკეტები, წყალქვეშა ნაეები და წყალზედა ხომალდები, შეიარაღებულნი რაკეტებით, — შესაძლებლობას იძლევა გამანადგურებელი დარტყმები მიაყენო არა მარტო არმიებს, არამედ საომარი მოქმედების თეატრებიდან ათასეული კილომეტრი დაშორებულ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრებს. ამას არ ითვალისწინებენ საერთაშორისო რეაქციის ძალები, რომლებიც ახალ ომს ამზადებენ. პერსტან საუბარში ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: თუ ახლა აშშ-ის აგრესიული წრეები გააჩაღებენ ომს, მისი მიმდინარეობის არენა იქნება არა მარტო ევროპა, აზია და აფრიკა. ეს ომი იმთავითვე გადატრინილი იქნება აშშ-ის ტერიტორიაზე, რის შესაძლებლობასაც იძლევიან საკონტინენტთშორისო ბალისტიკური რაკეტები. ასე განუზომლად ფართოვდება ომის თეატრი და მშ-

ღება საზღვარი ფრონტისა და ზურგს შორის. ყოველივე ამას ითვალისწინებს საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ყველა ქვეყანა, მშვიდობის მდგრადი საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც ურყევ-ციხესიმაგრედ დგანან საყოველთაო უმშვიროების სადარაჯოზე.

სულ სხვა ვითარებაა საწინააღმდეგო პოლიუსზე. საერთაშორისო იმპერიალიზმი განიცდის თავის დაცემის პროცესს.

იმპერიალიზმის ბანაკს, რომლის სითავეშია აშშ ლრდის შინაგანი წინააღმდეგობანი: კლასობრივი ანტაგონიზმი, კოლონიალურ ხალხთა ბრძოლა კოლონიზატორების წინააღმდეგ, მცირე, სატელური სახელმწიფოების ხალხთა ბრძოლა „პირველი რანგის“ კაპიტალისტური სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ექსპანსიის წინააღმდეგ, პირველი რანგის სახელმწიფოებას ურთიერთბრძოლა „პეგემოზონისათვის“ და სხე.

შზარდო ეკონომიური კრიზისის მოწიფების ნიშნები უკვე საბუება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში და თვით აშშ-ში, რომლის ბატონობა ესოდენ მიმე ტერიოდ აწევს თითქმის მთელ კაპიტალისტურ სამყაროს. კრიზისის მოახლოების პარალელურად აშშ ფართოებენ ეკონომიურ და პოლიტიკურ ექსპანსიას თვით კაპიტალისტურ სამყაროში. ასეთ პირობებში, ახალ, უფრო მაღალ სტადიაში შედის ბრძოლა თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. აშშ-ის ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ გაბოლიან ყველა, ან თითქმის ყველა, დიდი და მცირე კაპიტალისტური სახელმწიფოების ხალხები. ამასთან დაკავშირებით ამერიკელი „კრისჩენ საიენს მონიტორ“-ი სინაწლით აღნიშნავს:

აშშ-ის საგარეო პოლიტიკა „ისევე იმყოფება შკატბი, გააფთრებული კრიტიკის ცეცხლქვეშ, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ. ფაქტურად ძნელა იპოვო სადმე ამ პოლიტიკის ადვოკატები თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის, აგრეთვე პენტაგონის გარდა“. აშშ-ის მმართველი წრეები თვითონ გრძნობენ რაოდენ სახელგატბილია მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ესწრაფვიან მის რეაბილიტაციას, ამის ერთ-ერთ უცნაურ ცდას წარმოადგენს ზოგჯერ თი ოფიციალური პირის ცინიკური მტკიცება, რომ თითქოსდა აშშ-ში წარმოადგენს „არა კაპიტალისტურ სახელმწიფოს“ არამედ „ეკონომიური პუმანიზმის ქვეყანას“. ტხაღია ყველას აქვს უფლება ამტკიცოს, რომ ვთქვათ, ყინელი ცხელია ხოლო ცეცხლი კი ცივი.

უფრო და უფრო მწვეტი ფორმებში ვლინდება აშშ-სა და დასავლეთ ევროპის წმყვენი კაპიტალისტური სახელმწიფოების ანტაგონიზმი, აგრეთვე წინააღმდეგობანი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, სახელდობრ ინგლის-

სა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის.

საერთაშორისო იმპერიალიზმის კაპიტალისტური კი აღიარებენ კაპიტალისტურ სამყაროს კრიზისს. მაგრამ ამავე ღრის ცდილობენ დაამშვიდონ თავისი ქვეყნის ხალხები იმით, რომ თითქმის და კრიზისი განიცდის სოციალიზმიც. პუბლიცისტი რ. ლოვენტალი ამერიკულ ჟურნალ „ნიუ რიპაბლიკ“-ში წერს: „შპართალი კაპიტალისტური სამყარო არა მყარ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ საწინააღმდეგო პოლიუსზეც, სოციალისტურ სამყაროშიც, მიმდინარეობს ანალოგიური პროცესები, მგრყეობა და კრიზისები“.

კაპიტალისტური სამყაროს კრიზისის ერთ-ერთი ნიშანია პარლამენტარული დემოკრატიის გადაგვარება და ლიკვიდაცია, რომლის შავალითაც წარმოადგენს 1958 წლის 23 და 30 ნოემბერს საფრანგეთში წინარებული პარლამენტის არჩევნების შედეგები. ამ არჩევნების წინ საფრანგეთში მოეწყო რეფერენდუმი, რომლის შედეგად ხელისუფლების სათავეში დამკვიდრდნ დეპოლუცები. დე გოლის შთაბრძნობის მიერ განუსაზღვრელი და შეუზღუდველი უფლებამოსილების მინიჭებით, ისევე როგორც პარლამენტის დათხოვნით, ახალი კონსტიტუციის მიღებით და ახალი საარჩევნო კანონის დაწესებით რეაქციამ შეამზადა ნიადაგი ახალ არჩევნებში გაპარჯების მოსაპოვებლად. საარჩევნო ოქლები ისე გაიშიჯნა, რომ გაჩნეული იქნა კომუნისტური პარტიის კანდიდატების არჩევა. აღწერა რა, თუ როგორ მიმდინარეობდა აქ ამ ოქლების შედგენა, გაზეთი „პარი-პრეს-ენტრანსიციანი“ აღნიშნავდა: „არჩევნები ფაქტიურად პირველ ტურამდე ერთ თვეზე მერტ ხნის წინათ დაიწყო შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში, და ზოგჯერ პარტიის კანდიდატთა ბუდე ცალკეულ საარჩევნო ოქლებში უკვე წინასწარ გადაწყვეტილია“. ეს გასაგებია: ბურჟუაზიულ რეაქციას თავისი „დემოკრატიული“ არჩევნები ვერ წარმოუდგენია ისე, რომ მისი შედეგები წინასწარ არ იცოდეს. მართლაც მომავალი არჩევნების შედეგი დე გოლს ხელთ პქონდა არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე. არჩევნების შედეგები ასეთია: სუსტელის მომზარება ჯგუფმა („ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირიდან“) ერთწულ კრებაში მიიღო 188 ადგილი, დამოუკლებელ რესპუბლიკელთა და გლეხთა გროუნდში ცენტრში 120 ადგილი, შესამე ადგილზეა კათოლიკური პარტია, რომელმაც მიიღო 44 ადგილი. შესანიშნავად შემოკრდა რადიკალებისა და სოციალისტების წარმომადგენლობა გროუნდულ კრებაში, რადიკალებს იქ ჰყავთ მხოლოდ 13, ხოლო სოციალისტებს — 40 დეპუტატი. საფრანგეთის კომუნისტურმა

პარტიამ ახალ ეროვნულ კრებაში 10 ადგილი მიიღო. ადგილების ასეთი განაწილება პარლამენტში სრულებით არ შეესაბამება საფრანგეთში სხვადასხვა პარტიას შორის ძალთა თანაფარდობას. საქმარისია ითქვას, რომ საფრანგეთის კომპარტიამ პირველი ტურის დროს მიიღო 4 მილიონი ხმა (ეროვნულ კრებაში, ვიმეორებთ, მხოლოდ 10 ადგილი) სუსტელის მომხრეთა ჯგუფმა მიიღო რა 3,6 მილიონი ხმა (ეროვნულ კრებაში ვაიყვანა 188 დეპუტატი) რეაქციის ძალთა დაჯგუფების შედეგად არჩევნების მეორე ტურში სუსტელის დაჯგუფების კანდიდატის ასარჩევად საქმარისი ვაბად 25 ათასი ხმა, ხოლო ერთ კომუნისტ დეპუტატზე კი 388 ათასი ხმა მოდიოდა. აი ასეთი ბურჟუაზიული დემოკრატია!

იმპერიალისტური ბანაკის საგარეო პოლიტიკა, რომელსაც მსოფლიო რეაქციის ეანდარიცა და დასაყრდენი აშშ წარმართავს, არის იმის, ექსპანსიის, კოლონიალიზმისა და ყოველგვარი ავანტურების პოლიტიკა. აშხადებენ რა ახალ ომს ამ ბანაკში შემავალი სახელმწიფოები, აშშ-ის მესვეურობით განახორციელებენ გაშალებული შეიარაღების პოლიტიკას, ქმნიან სამხედრო ბაზების ქსელს ჩვენი ქვეყნისა და მთელი სოციალისტური სისტემის სახელმწიფოების გარშემო, რაც შეიძლება მხოლოდ ახალი ომის მომზადებად ჩაითვალოს.

იმპერიალიზმის ბანაკისა და კერძოდ აშშ-ს მთავრობის აგრესიული პოლიტიკა თავის მთავარ გამოხატულებას პოულობს სხვადასხვაგვარი სამხედრო პოლიტიკური ბლოკებისა აგრესიული დაჯგუფებების შექმნაში. „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის გამტარებლები მილიარდებსა და მილიარდებს ფლანგავენ მისპობის საშუალებათა წარმოებაზე. 1957 წელს სამხედრო მიზნებისათვის განკუთვნილმა ხარჯებმა გადაამტკნა 100 მილიარდი დოლარი, სიღრმად 60 მილიარდი ნატოს წევრის სახელმწიფოების წილად მიდის. 1958 წლის საფინანსო წელი, რომელიც აშშ-ში 1 ივლისს დაიწყო, 74 მილიარდი დოლარიდან 47 მილიარდზე მცირე, ანუ დაახლოებით ბიუჯეტის 64 პროცენტს, ხმარდება გაშალებულ შეიარაღებას და აგრესულ კავშირში პარტიორობისათვის სამხედრო დახმარებას. აღამანის საკურობისათვის მხოლოდ 3 მილიარდი ე. ი. მთელი ბიუჯეტის მხოლოდ ერთი ოცდამეხუთედი ნაწილია გამოხნული. ამავე დროს თეთრი სახლის მესვეური არ უარყოფს იმას, რომ „თვითმული გამოშვებული ქვეყნები, თვითმული წყალში ჩაშვებული ხომალდი, თვითმული გაშვებული რაკეტა ბოლოს და ბოლოს ნაშინავს იმთ გაქურდვას, ვისაც შიდა და სუქმელი არ აქვს, იმთ გაქურდვას, ვისაც სცივა და ტანისამოსი ვერ მიუღია“.

ამერიკელი უგვირგვინო მყფეების კურნალი „უოლსტრიტ ჯორნალი“ ეცნობება: „ცნობება: ომი იწმინავს აღმგულბის ტენდენციის, მშვიდობა კი დაღმავლობისასო. უნდა შევნიშნოთ, რომ აშშ-ს ეკონომიკა გაშალებული შეიარაღებამ არა თუ არ დასაღვია კრიზისისაგან არამეუდ დააჩქარა მისი მოახლოება.“

ამერიკაში უკვე აღიარებენ, რომ შეერთებული შტატების ეკონომიკა, „მთხედავად ოფიციალური ოპტიმიზმისა“ „ვერ გავიდა ორბიტზე“. უკანასკნელი ოფიციალური ცნობით სექტემბერში აშშ-ში საეგებით უმუშევარი იყო 4,100,000. შეერთებული შტატების მმართველი წრეები კი ვაყუერიან, რომ ხალხის ყოფაცხოვრების პირობები ამაღლებას განაცდის. ამასთან დაკავშირებით საგულისხმია პროფკავშირების ლიდერის უ. რეიტნერის განცხადება: „ძნელია მილიონობით უმუშევრების დარწმუნება იმაში, რომ მათი ცხოვრება გაუმჯობესდება“.

ამართლებენ რა გაშალებული შეიარაღების კურსს დასავლეთის რეაქციული წრეები ყოველგვარ მეთოდს მიმართვენ იმისთვის, რომ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპი გასაღონ პოლიტიკურ ლოზუნგად და ამით გაამართლონ თავისი ვერაგული პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას, ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტას და მისი ნაწარმოების ასაკმაღალად ღონისძევათა გატარებას. ისინი ამტკიცებენ, რომ თითქოს და გაშალებული შეიარაღების კურსს გატარებამხოლოდ თავდაცვითი მოსაზრებებით არის ნაგარანხები და არა უფრო შორის შიშავალი მიზნებით. ამ განცხადებების უკან იმალება დასავლეთის სახელმწიფოების აგრესიული წრეების ზრახვები, ამ წრეებს შმარს უკერს აბოლოგეტური პრესა, რომელიც ზოგჯერ თავისი გულანდობით ამფლანგებს დამქარავებელთა მზალდასახლებას. აი შავალით: ვაფეთი „ვაშინგტონ ტაიმს გერალდი“ მოთხოვს, რომ იმ ქვეყნებს, რომლებიც შეერთებულ შტატებს არ დაემორჩილებიან „დაეყაროს ბომბები, იმნიჩრად, რომ შეუბრალებლად გააფლიტოს მამაყაყები, ქალები და ბავშვები, დაიწვას მათი საცხოვრებელი, განადგურდეს ქარხნები, მოიწამლოს წყალი, გადაიბუგოს მისაავალი და თეთი მიწა უსიცოცხლო უდაბნოდ იქცეს“. დასავლეთის სახელმწიფოს აგრესიული წრეები სულს უდგამენ და რეალურად აბორციელებენ აგრესიულ კურსს მსოფლიო პოლიტიკაში. ამ წრეების ხრიკებით გაშალა შეიარაღებული, აგრეთვე ანამარდამირი აგრესია რამდენიმე ქვეყნის მიმართ. მგრამ ძლევამოსილი სასოგადობები იმალება, პირველ რიგში საბჭოთა კავშირი, საიმედოდ მფარველობენ მშვიდობას.

ამიტომ, იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი რამდენიმეჯერ გახდა იძულებული შეჩერებულყო და უკან დაეხია აგრესიის გზიდან.

კახს განიცდის დასავლეთის აგრესიული წრეების „ძალის პოზიციისა“ და „ომის ზღვარზე“ ბალანსირების უზადალებელი პოლიტიკა. „შეკავების“, „უკუხადების“ და „განთავისუფლების“ ყველა ეს დოქტრინა მოწმობს აშშ-ის აგრესიული წრეების მხოლოდ უკიდურეს უჭერებებსა და ავანტიურისს, რომელიც განწირულია ჩსაფუშავად.

იმპერიალიზმისა და ომის ძალებმა საერთაშორისო დაძაბულობის შედეგად წყაროდ გადაქცევი გერმანიის პრობლემა. ეს პრობლემა ასევე ტიტოების თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ზედაპირზე, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების საჭმე ბევრადამ და მოკიდებული იმაზე, შეძლებენ ხალხები თუ ვერა დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმისა და რევანშობის აღორძინების იდეისა. აღნიშნული პრობლემის დადებითად გადაწყვეტა არსებობდა იყო დამოკიდებული გერმანიის მოკუპირებელი ომის სახელმწიფოს პოზიციებზე, რომელიც ცხადად განსაზღვრა სამი დიდი სახელმწიფოს პოტენციის კონფერენციამ. თვალის გადავალთ ამ კონფერენციებზე სოლიდარულად მიღებულ გადაწყვეტილებებს და იმ ორ ერთმანეთსაგან პრინციპულად განსხვავებულ პოლიტიკას გერმანიის საკითხში, რომელსაც ახორციელებდა და ახორციელებს ერთი მხრივ, ამ პრობლემის გერმანული ხალხისა და მშვიდობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტილი დინტერესებული სახეობა კავშირი, ხოლო მეორე მხრივ, გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშობის აღორძინებითა და ომის მომზადებით დინტერესებული დასავლეთის სახელმწიფოები — აშშ, ინგლისი და საფრანგეთი.

სამი დიდი სახელმწიფო პოტენციის კონფერენციის ურთულეების ცენტრში იყო გერმანიისადმი დამოკიდებულების „განოშიშვრი და პოლიტიკური პრინციპები“. კონფერენციებზე შემუშავებული „პოლიტიკური პრინციპი“ ითვალისწინებდა გერმანიის სრულ განიარაღებას, დენაციფიკაციასა და მთელი პოლიტიკური ცხოვრების რეკონსტრუქციის დემოკრატიულ საფუძველზე, ხოლო „განოშიშვრი პრინციპი“ კი გერმანიის სამხედრო-განოშიშვრი პოტენციის მოსპობასა და დეკარტილიზაციას. გაფორმდა აგრეთვე შეთანხმება გერმანიის ოკუპაციის ზონებისა და „დიდი ბერლინის“ მართვის შესახებაც.

პოტენციის დეკარტილიზაციაში საზეიმოდ გამოცხადდა, რომ „გერმანიის მილიტარიზმი და ფაშისმი ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრას და მოსპობს“, რომ მოკავშირეები „მიიღებენ

ზომებს, რათა გერმანიამ ვერასდროს შეძლოს დაემუქროს მეზობელ სახელმწიფოებს ხალხთა უშიშროებასა და მშვიდობის უზღვევად მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: მოკავშირეებმა გერმანია უნდა განიხილონ როგორც ერთიანი მთელი გერმანიის და პოლიტიკურად. ამ შეთანხმებათა შესაბამისად სახეობა კავშირი განახორციელებდა თავის პოლიტიკას გერმანიის საკითხში და იზრძოდა ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის.

მაგრამ აშშ-სა და ინგლისის, აგრეთვე საფრანგეთის პრაქტიკული პოლიტიკა გერმანიაში თავიდანვე წარმოართა პოტენციის შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ. საყოფიერი და საყოველთაო უშიშროების ინტერესების საზიანოდ თავიანთ საოკუპაციო ზონებში ეს სახელმწიფოები განახორციელებდნენ არა გერმანიის დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის პოლიტიკას, არამედ პირიქით, რემილიტარიზაციის და რევანშობის აღორძინების პოლიტიკას. განახორციელებდნენ რა გერმანიის დაყოფისა და გათიშვის დაკანონების პოლიტიკას მათ ნაციონალურ საწყისებზე დაარსებულ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. აშშ-ს, ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციული წრეების მტკიცებითი მილიტარიზტულ და ანტიდემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის აღდგენა ევროპაში პოლიტიკური და გერმანიის ცხოვრების სტაბილიზაციის წინაპირობად იქნა გამოცხადებული. ეს წრეები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ისე როგორც ანტანტის სახელმწიფოების ვიწროშუბლიანი და ხელმოკლე პოლიტიკისევი გერმანიის პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ სერიოზულად ირწმუნებოდნენ: გერმანია ჰგავს საცოდავ ბატკანს, რომელიც თავისი უსუსურობისა და გულუბრყვლობის გამო მზადაა მიუშვიროს კელი გამოსაწრელად“. დასავლეთის სახელმწიფოების თანამედროვე პოლიტიკებმა არ გაითვალისწინეს თავისი წინამორბედების სახელისწერო შეცდომები და ისტორიის გაკვეთილები, ახორციელებდნენ რა გერმანიის ხელახალი დაუცხიზაციისა და რემილიტარიზაცია — რეფაშიზაციის პოლიტიკას. მაშ არ უნდა დაეწყებოდათ, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია, ეს „საცოდავი და გულუბრყული ბატკანი“, რომელიც ითქვის და ხელს დაფიქვდა ვერსალის „რკინის ვალიაში“ დატყვევებული, აშშ-ის და ინგლისის დახმარებით, უმოკლეს ვადებში იმდენად მომძლავრდა, რომ დაამსხვრია ეს „ვალია“ და რაღაც ორსამ წელიწადში, სხვისი მხარდაჭერითა და მის გარეშე, მოკვთა თავი და გამოიწვინა ავსტრია,

ნებისლოცა, პოლონეთი, დანია, ნორვეგია, ბელგია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი და არა მარტო ისინი... გამართლდა საფრანგეთის მთავრობის მესვეურის კლემანსოს მიერ 1919 წელს ვერსალის სამშვიდობო კონფერენციის სწორებაზე დამოკიდებული წარმომქმენი სიტყვები: „ახალი ომის შემთხვევაში გერმანია მთელ თავის არმიებს მიუხედავად არა კებასა და გონდერასს, არამედ საფრანგეთს, საფრანგეთმა ხელახლა უნდა უბასუბოს“. საფრანგეთის მთავრობის მესვეურებს თავის დროს, ვთქვათ, შენდეს-ფრანსს დაეიწყებათ კლემანსოს სიტყვები გერმანიის მხარე ახალი აგრესიის საფრთხის შედარებით არსებობის შესახებ. მაგრამ, მათ არ უნდა დაეიწყებოდათ გერმანელები პარიზში, რეტონდასა და ვერსალის სასახლის ს. რეზიან დარბაზში, სადაც თავის დროს „რკინის კანკალი“ ოტტო ფონ ბისმარკმა გამოაცხადა გერმანიის იმპერიის დაარსება და სხვადასხვა. სამწუხაროდ ინგლისსა და აშშ-ის გარკვეულ წრეებსაც დაეიწყებათ „ანტიკომინტერნის“ სიურპრიზი — დიუნიერკი და კოვენტრი, სინგაპური და პირლ-ხარბორი, დასავლეთის სახელმწიფოების გარკვეული წრეები არ ითვალისწინებდნენ ისტორიის გაკვეთილებს და არა თუ მშვიდად უყურებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რემონტარობასა და რეფორმაციას, არამედ ყოველმხრივ აქტიურად მის სამზადისს რეკონსტრუქციის ომისათვის.

გერმანიის მიმართ ამ სახელმწიფოების პოლიტიკაში მკაფიოდ მოჩანს დავესწავილის უკვე გაკორტრებული პოლიტიკის ვარიანტება, მომავალი აგრესორის შეიარაღების ლეგალიზაციისა და გერმანული აგრესიის სოციალისტური სახელმწიფოებისაკენ „კანალიზაციის“ მიუხედავად პოლიტიკის ჩანასახებიც. დასავლეთის სახელმწიფოების ამ ანაშტრანსპორტირება პოლიტიკაში უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აშუაგად დაუბრუნდა ნაიციზმის პოზიციას და რევანშიზმის გზას. გერმანული ხალხისა და მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ დანაშაულებრივი მოქმედებით დამოქმედებული მრეწველები და ფინანსისტები, რომლებმაც თავის დროს პიტლერი მიიყვანეს ხელისუფლების სათავეში შეაიარაღეს „დრიტტე რაიხი“, ისევე აიარალებენ და ამზადებენ დასავლეთ გერმანიას ახალი ომისათვის. დასავლეთის სახელმწიფოების ხელშეწყობით გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით 1956 წლისათვის მოაწრო პირველი რანგის იმპროდუქტიული სახელმწიფოების რანგში ჩადგომა. მისი მიმომ მრეწველობის მონოპოლისტური საწარმოო აპარატი უფრო უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე გერმანიის იმპერი-

ლიზმის ისტორიაში. 1956 წლის ოფიციალური მონაცემებით დასავლეთ გერმანიის წარმოების დონე აღემატებოდა 1936 წლისას უფრო მეტად ვიდრე ორჯერ. მიმომ მრეწველობის განვითარების ტემპისა და ფორალის წარმოების მხრივ მან გასწრო. საფრანგეთსა და ინგლისს. ექსპორტის დარგში კი მესამე ადგილი დაიკავა კაპიტალისტური მსოფლიოში (აშშ-ისა და ინგლისის შემდეგ), ხოლო პროდუქციის ზოგიერთ დარგში, კერძოდ ქიმიური პროდუქტებისა და ავტომობილების ექსპორტში მეორე ადგილი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სხვადასხვა ფაზისტური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, პიტლერი ოფიციალის („ფოლკსმერ ბეობახტერ“) ინალოგიური სახელწოდებისა და სულისკვეთების გაზუთის გამოცემა ე. წ. „პორტო გენიოსის“ პორტრეტების პოპულარიზაცია და მის დამსახურებაზე მსჯელობა, სახელმწიფო ანარქიზმი ნაციონალური პარტიის ყოფილი წევრებისა და პიტლერი რევიმის მომხრეების მოზღვაება — ბევრ რამეზე ლაღდება. საყმარისია თქვას, რომ ფედერალური მთავრობის 17 მინისტრიდან მ „დრიტტე რაიხის“ ყოფილი ხელმძღვანელები, ან „სს“-ის, მიიერნიშეთა რაზმებისა და ნაციონალური პარტიის აპარატის ყოფილი პასუხისმგებელი თანამშრომლები. მათ შორის არიან მინისტრები მრედერი, შტრაუსი, თებერლენდერი, ფედერაციული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახურში, სავარყო საქმეთა უწყების ჩათვლით, მუშაობენ. უმთავრესად რიბენტროპის ყოფილი სავარყო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. ჯერ კიდევ 1952 წელს ვარკვა, რომ დასავლეთ გერმანიის დიპლომატიური სამსახურის უმაღლესი წინიციები 85 % ნაციონალური პარტიის ყოფილი წევრებია. ფედერაციული რესპუბლიკის სადაზვერეო სამსახურის ხელმძღვანელია ყოფილი პიტლერი გენერალი გელერი.

„ბუნდესვერის“. ეს ახალი არმია მეტად ძველი იღვებოთ. ის განირჩევა ნაიციზმისა და რევანშიზმის სულისკვეთებით. მის აიარალებენ ატომგულს იარაღით და რევანსისტული ლონტეებით.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების აღორძინებას სათავეში ისევე პიტლერი გენერლები და აღმარალები უდგანან.

ბუნდესვერის ყველა 104 გენერალი ჯერ კიდევ პიტლერიზმის დროს მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნებზე თავდასხმის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ისინი ყველაფერს აკეთებენ ომისათვის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იყოს

ძველი პრუსიული სახელმწიფოს ტიპური გენსახიერება, რომ „რესპუბლიკა“ იყოს „არა სახელმწიფო, რომელსაც არმია ჰყავს, არამედ არმია რომელსაც სახელმწიფოც გააჩნია“. ყოველი პიტლერული გენერლები მოქმედებენ თანახმად დევიზისა — „ომი გერმანიის ზედია“, ამტკიცებენ, რომ „საბჭოთა კავშირთან შეჯიბრება ვარდუელია“, რომ „მომავალი ომი იქნება ტრატული“, რომ „გერმანელი ახალგაზრდობისათვის... ისევე უნდა იყოს ღირსების საქმე, აჩვენოს სხვას თუ როგორ უნდა მოკლდე“. ცხელი ეს საპასუხო ტალღას იწვევს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობიან მოსახლეობაში, რომელსაც თავდაიწყებამდე სძულს ომი. ამასთან დაკავშირებით მილიტარისტები ხშირად იმეორებენ პიტლერის გაცვეთილ ფრაზებს: „ომის ნამდვილი გამჩაღებელი ისაა, ვინც ომის საფრთხეზე ღამაჯობს“.

აშკარად ჩანს, რომ ბონის მილიტარისტული და რევანშისტული ძალები მზად არიან დაადგინონ პიტლერელების მიერ 1933 — 1945 წლებში გამოვლილ და გერმანელი ხალხისათვის მომავლდნებელ გზას. ამას მოწმობს ნაიცისტების მაშინდელი და ბონელი მილიტარისტების აღმადგილი ღოზუნგების არსებითი იჯივობა. ვის არ ახსოვს პიტლერის მიერ 1933 წლის თებერვალში წარმოთქმული შევიარალა სიტყვები: „ეაწარმოეთ ხალხისათვის მოხმარების საგნები — კაბები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, რბილი ინვენტარი, სასურსათო საქონელი? დაუბარჯოთ სახელმწიფო ფინანსები სკოლებისა, თეატრებისა და კულტურისათვის? ვაშენოთ სასოფრეუბლო სახლები? არა! ტყვიამფრქვევები კარაქის მაგიერ, ავტობატები, ზარბაზნები, ტანკები, ბომბდამხმენები, ტრუფლების, ჩელქების, პალტოების და სახელმძღვანელოების მაგიერ. ყაზარმები სკოლებისა და უნივერსიტეტების მაგიერ!“.

ეს საზარელი ბოღია ისევ აღსდგა გერმანელობის მაგიერ. ყაზარმები სკოლებისა და ბუნებულების არჩევნების დღეებში აღენაუერის პარტიისაღმე თავდადებულ ძალებს შთელი ხმით გაუვიროდნენ: „შხარი დაუჭიროთ კანკლერ აღენაუერს და დაეხმაროთ მის დიდი ბრძოლისათვის იარაღის გამოკვლევაში“. „დდი გერმანია აღსდგება და ცეცხლითა და მახვილით დაიბრუნებს თავის აღმოსავლეთის მიწებს... ჩვენ გვესაპიროება არა პური, არამედ ყუმბარები, არა კომფორტაბელი ბინები, არამედ ტანკები, არა ნახი კომფორტი არამედ გერმანული მამაკობა და თავდადებამ დიდება იმას რაც ჩვენ გვაძევებს უღრეკად! ჩვენი იდეალია არა მსუყე ყთილდღობა არამედ აღმოსავლეთში ბრძოლა დამ გამარჯვება.

დაე, კანკლერმა მხოლოდ გვიბრძანოს — ჩვენ მას ვაუკუებით გერმანულენისათვის ჩვეულები თავდადებით“.

ყველაზე უცნაური ისაა, რომ მილიტარისტებს და რევანშისტებს დაიწყდათ წარსული.

ნაიცისტი გენერალი — ავანტიურისტები ოდესღაც შეუდგნენ „თავის უმალეს მთავარსარდლის“ ბრძანებით დიდი იმპერიის შექმნას „ურალოდან ატლანტის ოკეანემდე, ტამერფორსიდან პალერომდე“ და უსიტყვოდ დაუარეს იარაღი 1945 წლის მაისში, როცა ბერლინის ბნელ კუთხეებში მოიმაღლა.

ახლა ეს ავანტიურისტები — გენერლები ისევ გაუვიერიან და ესწრაფვიან გერმანიის ხელმძღვანელობის დაწესებას „ლამაშიდან კეკასიამდე, ნორდკამიდან სცილიამდე“. თვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები უკვე აშკარად მოითხოვენ ევროპის საზღვრების გადასინჯვას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ სახმედრო ინსტიტუტების გასაღვივებლად, ისინი ბრუნვაში აქცევენ ყველა საშუალებას. მათ პრეტენზია აქვთ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ცეცხლს ვთამაშებთან, როცა ავიწყდებათ, რომ ბერლინის ხაზი მშვიდობის საზღვარია. მათ უნდა ახსოვდეთ რომ სოციალისტური სახელმწიფოები მტკიცედ იცავენ თავიანთ საზღვრებს და მოქმედებენ თანახმად დევიზისა — ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

ბონის ნაიცისტები — მილიტარისტულ წრეებში დაუბჯითებით და კონკრეტად აცხადებენ: „მართალი ისაა ვინც ძლიერია“, „ძალა ყოველთვის წინ უსწრებს სამართალს-ო“.

დაბა! პიტლერი თავისი „ვერმახით“ წლებს მანძილზე მართლაც რომ წინ უსწრებდა სამართალს. მაგრამ, ვის არ ახსოვს შემდეგ როგორ გაუსწრო პიტლერის „ვერმახტს“ სამართალმა, რომელიც მას წინ დაუხვდა ნიერნბერგში! რევანშისტების დიფლომატიკარ არსენალში საბჭოთა ადგილი ფუქიარეს ომის ჩნ 1 გამჩაღებლის თავანერულ სიტყვებს „სამინელი დასარტული სჯობს დაუსრულებელ სამინელეს“ ამ მისტიკით მათ სურათ შთაავონონ საზოგადოებას, რომ ატომური ომის მოლოდინში ცხოვრებას უცობია დაიწყოს ის და დამთავრდეს თნადღ საშინელი შედეგით. მწელია იმის წარმოდგენა, რომ მილიტარისტებისა და რევანშისტების დაიწყდათ ძლიერებისილი სტალინგრადის და ბერლინის ვრანდიოზული ოპერაცია, ისიც იმ დროს, როცა გერმანიას კლდე არ აქვს მონელეული

პიტლერელების ბოროტების შედეგები.

საგულსხმოა, რომ საბჭოთა კავშირისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ანტიპიტლერული კოალიციის პიტლერობზე გამარჯვების დღეს, რომელსაც გლოვით აღნიშნავენ პიტლერობის შემკვიდრნი, თავისებური კუთხიდან მოიგონებენ გერმანიის იმპერიალიზმის მიერ განაღებული ომების მსხვერპლს.

ვერთუწოდებულ „ტრაუტაგის“ დღეს ფედერალურმა კანცლერმა კონრად ადენაუერმა განაცხადა:

„დღეს გერმანელი ხალხი მოიგონებს მეორე მსოფლიო ომის წლებში დაღუპული და გარდაცვლილი 7 მილიონი გერმანელის ხსოვნას და პირველი მსოფლიო ომის წლებში დაღუპული ორი მილიონი გერმანელის ხსოვნას. ბევრი მსხვერპლი განისვენებს სხვის მიწაზე. 53 სახელმწიფოშია გაბნეული გერმანელთა სასაფლაოები“. მართლაც ომების პერიოდში სიკვდილმა არ ნახელი მოსავალი მოიძოკ, მაგრამ აქ მან არაფერი სთქვა იმზე თუ ვინ მიიწვია და წაიყვანა ეს მილიონობით გერმანელები სხვის მიწაზე. კონონომიერთა კითხვა: „რასთვის აშხადებენ გერმანელი მილიტარისტები ახალ ომს? იმისთვის, რომ კიდევ 53 სახელმწიფოს მიწაზე აღმოჩნდეს გერმანელთა ახალი სასაფლაოები? ან იმისთვის, რომ მათ კიდევ ჰქონდეთ ახალი „ტრაუტაგები“?

სამწუხარო — და ისიც პირველ რიგში გერმანელ ხალხსათვის — ის არის, რომ გერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს დღემდე მოსდევთ სხვა ხალხების მიმართ ზიზღისა და ქედმაღლობის სულისკვეთება, შიშველი ძალისაღმი უგუნური რწმენა, აგრესიულობა, რაც დასაბამიდანვე ახასიათებს გერმანიის იმპერიალიზმს. ბონის მმართველ წრეებს უნდა ახსოვდეთ, რომ შიშველ ძალაზე დაყრდნობით გერმანიის იმპერიალიზმმა, აღამიანთა საზოგადოების ერთი თაობის ცხოვრებაში ორჯერ უკვე გაიჩაღა მსოფლიო ომი და ორჯერვე დაამარცხებული აღმოჩნდა. ამის მუნჯი მოწმებია 53 სახელმწიფოში გაბნეული მილიონი და მილიონი სასაფლაო გერმანელებისა, რომლებითაც არის მოფენილი უკრაინის ველები და ბელორუსიის დაბლობები, მოსკოვის, ლენინგრადისა და სტალინგრადის მისადგომები, კავკასიისა და ვარშატების კალთები...

მით უფრო კურობულობა, რომ ბონის მთავრობა პიტლერობის კვალს მიყვება და ვარაუდობს „ლაშქრობას აღმოსავლეთში“. დღეს ძალთა თანაფარდობა ისეთია, რომ დასავლეთ გერმანიის ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ იქნებოდა ლაშქრობა სიკვდილისაკენ. თანამედროვე ტექნიკის პირობებში რევანშისტებს არ უნდა დაეიწყებინათ დასავლეთ გერმანიის გეო-

გრაფიული მდებარეობა, როცა დღევანდელი სამხედრო ტექნიკის დროს მდებარეობებს თანამედროვე ომის პირობებში უკარგოდ დასაცემას მაშინ ვერ უშველის ვერც ადენაუერისა და შტრაუსის „მაგიური ძალის მქონე სიტყვა“ და ვერც ნაკო.

მილიტარიზმისა და რევანშის მიხედვით აღორძინებითა და აგრესიულ ბლოკში შესვლით ბონის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ შექმნილი ვახადა გერმანიის გაერთიანება დემოკრატიულ, ანტიმილიტარისტულ საფუძველზე. თავისი პოლიტიკის რეაბილიტაციის მიზნით მან წამოაყენა ე. წ. „თავისუფალი არჩევნების“ გზით გერმანიის გაერთიანების იდეა, რომელსაც არ გააჩნია არავითარი საფუძველი და წარმოადგენს ყოველგვარ აზრს მოკლებულ ცარიელ დემოკრატიულ ლოზუნგს ცხადია, როგორც ე. ულბირხტმა მიუთითა, ლაპარაკი კი ზედმეტია თავისფალ არჩევნებზე ატომური შეიარაღების, გერმანიის კომპარტის აჯანყების, მშვიდობისათვის მებრძოლთა დევნისა და სამხედრო მინისტრ შტრაუსის მიერ „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოების პირობებში. რაც შეეხება სრულიად გერმანიის არჩევნებს, ის შეიძლება იყოს მხოლოდ თვით გერმანელების საქმე. ჯერ საჭიროა მიღწეულ იქნას ორივე გერმანული სახელმწიფოს მშვიდობიანი დაახლოება, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა. ამ აზრთა და მნიშვნელობით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენა წინადადება, რომ შეიქმნას გერმანული სახელმწიფოების კონფედერაცია. კონფედერაციის შექმნა ერთიანი, დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს დაარსების საიმედო, რეალური გზაა. კანცლერი ადენაუერის უარყოფის გერმანიის გაერთიანების ამ კონტრუქციულ გეგმას. ეს იმას მოწმობს, რომ ბონის მმართველი წრეები მხოლოდ თვალის ასახვევად ლაპარაკობენ გერმანიის ერთიანობაზე, ხოლო საქმით ისინი ამ ერთიანობის მტრები არიან.

როგორც ვხედავთ პოსტდამის შეთანხმებისას სასვითი უგულვებელყო და დაფლეთი დასავლეთის სამმა სახელმწიფომ, რომელნიც კარგა ხანია ხელმძღვანელებენ არა ამ შეთანხმებით არამედ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებით. აშშ, ინგლისი და საფრანგეთი დასავლეთ გერმანიაში აკეთებენ ყველაფერ იმას, რაც დაგმო პოსტდამის კონფერენციამ. მაგრამ, პოსტდამის შეთანხმებათა დარღვევით და გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინებით, მოატყუებს რა ხალხის იმედები დასავლეთის სახელმწიფოებმა მოკვებეს ის ხე რომლის გამხმარ ტოტზე თვითონ ისხდნენ

ბერლინი. ამ შეთანხმებიდან დარჩა მხოლოდ ბერლინის სტატუსი.

საბჭოთა კავშირი, რომელიც კეთილსინდისიერად და დაბეჯითებით ცდილობდა თავის მოვალეობის შესრულებას შეთანხმებათა საფუძველზე.

მთელი ომისმეშველი პერიოდის მანძილზე მოითხოვდა დასავლეთის სახელმწიფოებისაგან პოტსდამის გადაწყვეტილებათა ცხარეებაში გატარებას, როგორც დასავლეთ გერმანიაში, ისე დასავლეთ ბერლინიში. მაგრამ აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა უხეშად გათელეს პოტსდამის შეთანხმება და დარღვიეს ამ შეთანხმებით აღებული ვალდებულებანი, დაასრულეს გერმანიისა და ბერლინის გათიშვა და აშკარად შეუდგნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მილიტარიზმის აღორძინებას.

ასეთ ვითარებაში გერმანიაში ჩამოყალიბდა ორი სახელმწიფო: გარშენის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც დაარსდა ანტიდემოკრატიულ, ნაციისტურ საწყისებზე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც შეიქმნა დემოკრატიულ და სოციალისტურ საფუძველზე. ამგვარად დასავლეთის სამი მოკუბირეველი სახელმწიფო, რომლებმაც დაასამარეს პოტსდამის გადაწყვეტილებანი, ებღუდებიან ე. წ. ბერლინის ოთხმხრივ სტატუსს და ინარჩუნებენ დასავლეთ ბერლინს, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ცენტრშია. მოკლევანა განვითარებამ იმდენად კუროსული ხარისხი მიიღო, რომ ეს სახელმწიფოები სარგებლობენ დიუბრკოლებივი მიმსვლის უფლებით დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინს შორის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საპარო სივრცის, რკინიგზის, ავტომობილტრალისა და სანაოსნო გზის გამოყენების შემუშავებით. ამავ დროს მათ არც კი სურთ სცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა დასავლეთი ბერლინი გადააქციეს თავისებურ სხელმწიფოდ სახელმწიფოთა (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში) და საარგებლობენ რა ამით ისინი ბერლინის ამ ნაწილთან ეწევიან ძირგამომხრელ საქმიანობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. საქმარისა თქვას, რომ აქ მათ გააჩნიათ დაზღვევის 62-ზე მეტი ორგანო, შპაონთა და დიერსანტთა 83 ორგანიზაცია, 73 მილიტარისტული და ფაშისტური ორგანიზაცია, რომელთა ფრთებქვეშ არსებობს „ფოლდის მუზარადი“, „კუტხოზერბუნდი“ და სხვა. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ დასავლეთ ბერლინიში მიწისქვეშა საწყობები შენდება ატომური იარაღისათვის.

აშშ-ის არმიის შტაბის უფროსის, გენერალ ტელიორის შეფასებით დასავლეთ ბერლინი არის „ნატოს წინ წაყვლილი ბეჭედი“ აღსანიშნავია, რომ ოკუპაციის უკანასკნელ წლებში დასავლეთის სახელმწიფოები დასავლეთ ბერლინს მუდმივ იყენებენ საერთაშორისო დასახლეობის შესაქმნელად და ევროპაში ატომსფეროს მოსაწამლავად. ასეთ პირობებში ანგარიშგასაწევა შემდეგი გარემოებაა:

ბერლინი — ეს არაა მარტო ქალაქია, სადაც არაქანონზომიერი განხეთქილებისა და მუდმივი დამბულობის პირობებში ცხოვრობს სამი მილიონზე მეტი გერმანელი, არამედ ის ტრაველიის საერთობრივი განსახიერებაა, რომელიც ვანაცადა გერმანელმა ხალხმა გერმანიის შიერ ათეული წლების განმავლობაში განხორციელებული აგრესიული პოლიტიკისა და სამხედრო ავანტიურების შედეგად. 13 წელზე მეტია, რაც აქ დასრულდა ყველაზე სასტიკი და სისტიმისმღვრელი ომი, როგორც არ ასსოვდა ისტორიას. ის ახლა განხეთქილების ყველაზე საგრძნობი პუნქტი და სახელმწიფოთა ორი მძლავრი დაჯგუფების სახიფათო კონფლიქტების პუნქტია. ამიტომაც მას ზნირად უწოდებენ მეორე სარაევოს, სადაც შეიძლება იფეთქოს პირველმა ნაპერქალმა, რომლისაგანაც შეიძლება ავარდეს ახალი ომის ხინძარა. ამიტომაც საჭიროა ალიკვეთის დამბულობის ეს კერა. საბჭოთა მთავრობის შეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: თუ დასავლეთ ბერლინიში ალიკვეთება კიბოს სიმსივნე, ეს მხოლოდ გამოაჯანსაღებს ატომსფეროს ბერლინიში და მთელ ევროპაში. დაღვა დრო ბერლინის საკითხი გადაწყვეტს მშვილობის ინტერესების შესაბამისად. საქმე ის არის, რომ ბერლინის სტატუსი ბევრი ხანია უკვე დრომოქმულია. თვით ოკუპატია უკვე ანჭრონიში გახდა. გერმანიაში ორი სახელმწიფო რომ არსებობს ყოველგვარმა მთითებამ რომსაკუპაციო სტატუსზე ბევრი ხანია დაყარა ახრი. მაგრამ თუნდაც არსებითად რომ განვიხილოთ შეთანხმება ოკუპაციის შესახებ, რომელმაც უკვე ძალა დაყარა, უნდა ითქვას, რომ ბერლინი არასდროს არ ითვლება ოკუპაციის განსაკუთრებულ მებუთე ზონად. ყოველივე აღნიშნულს ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირი, როცა მან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ, 1958 წლის 27 ნოემბერს ნოტებში მაშართა დასავლეთის სახელმწიფოებს ბერლინის საკითხთან დაკავშირებით. საბჭოთა მთავრობამ თავის ნოტებში აცნობა აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებს, რომ ძალადგარკუღლად მიიჩნია მოკავშირეთა შეთანხმებანი გერმანიის ოკუპაციის ზონების

შესახებ და „დიდი ბერლინის“ მართვის შესახებ, ესე იგი შეთანხმებანი, რომელთა მოქმედებაც ნაგარედვე იყო გერმანიის კაპიტულების შემდგომი პირველი წლებისათვის.

საბჭოთა კავშირი უკვე ვეღარ მიიჩნევს თავს შემოკლებულ გერმანიის შესახებ მოკავშირეების შეთანხმებათა იმ ნაწილთ, რომელმაც არათანასწორედღებანი ხასიათი მიიღო და გამოყენებულა იმისათვის, რომ საოკუპაციო რეჟიმის შეინარჩუნონ დასავლეთ ბერლინში და ჩაერიონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება, რომ დასავლეთი ბერლინი გადაეციონ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, თავისუფალ ქალაქად.

„დასავლეთი ბერლინი უნდა იყოს თავისუფალი ქალაქი, რომლის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ უნდა ჩაერიოს ვერც ერთი სახელმწიფო, მათ შორის არსებული გერმანული სახელმწიფოებიც. თავისუფალ ქალაქს უნდა ჰქონდეს თავისი კონსტიტუცია, რომელსაც საფუძვლად ექნება დემოკრატიული პრინციპები. საკანონმდებლო ხელისუფლებას განახორციელებს მოსახლეობის მიერ თავისუფლად არჩეული პარლამენტი, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას — მის მიერ დანიშნული მთავრობა. ქალაქს ექნება აგრეთვე თავისი დამოუკიდებელი სამართლისწარმოება. ეკონომიურად იგი უნდა იყოს ერთი მთლიანი, საკუთარი ბუჯეტით, საკუთარი ბანკით, ფულის მიმოქცევით, საკუთარი საგადასახადო სისტემით“.

თუმცა სახელმწიფოს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მონაწილეობდნენ ბერლინის ერთობლივ მართვაში, ისევე როგორც ორ გერმანულსახელმწიფოს, შეეძლება იყოსრონ ვალდებულება პატივი სცენ დასავლეთ ბერლინს, როგორც თავისუფალი ქალაქის სტატუსს. საბჭოთა მთავრობა იმის წინააღმდეგი არ არის, რომ თავისუფალი ქალაქის დასავლეთ ბერლინის-სტატუსის დაცვაში რაიმე ფორმით მონაწილეობა მიიღოს ვაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც.

საბჭოთა კავშირი ითვალისწინებს იმას, რომ საოკუპაციო პირობების ლიკვიდაცია ბერლინში განხორციელდება ნახევარი წლის შემდეგ. თუ დასაბეჭდებული ვადა არ გამოიყენეს დასავლეთის სახელმწიფოებმა საბჭოთა კავშირის დასახულ ღონისძიებებს განახორციელებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეთანხმების გზით. ამასთანავე შეხვედლობაშია მადრიდის ის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთლიანად უნდა განაგებდეს ამ საკითხებს, რომელნიც ეხება მის სივრცეს, ე. ა. განახორციელოს თავისი სუვერენიტეტი

ხმელთზე, წყალსა და ჰაერში. ამივე დროს შეწყდება გერმანიაში საბჭოთა კავშირის შედარებული ძალების წარმომადგენლებსა და სხვა ოფიციალურ პირთა დღემდე არსებული ყველა კონტაქტი აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ყველა კონტაქტი აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა შეიარაღებული ძალების შესაბამის წარმომადგენლებსა და სხვა ოფიციალურ პირებთან იმ საკითხებზე, რომლებიც ბერლინს შეეხება. ამით საბჭოთა კავშირის მხოლოდ ის სურს, რომ ბოლო მოეღოს არანორმალურ და საშიშ მდგომარეობას, რომელიც ბერლინში შეიქმნა იმის გამო, რომ ამ ქალაქის დასავლეთის სექტორები კვლავ ოკუპირებული აქვთ დასავლეთის სახელმწიფოებს.

საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანიზებას გადასცეს ყველა ფუნქცია, რომელთაც ვერც კიდევ ახორციელებდნენ დროებით საბჭოთა ორგანოები მოკავშირეების შეთანხმებათა საფუძველზე და სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1955 წლის 20 სექტემბერის შეთანხმების მიხედვით. დასახული აგრეთვე გაქმნდეს საბჭოთა სამხედრო კომენდანტურა ბერლინში და გამოყვანილ იქნან ქალაქიდან კომენდანტების გაქორციელებაში მყოფი დამცველი ჯარები. ეს გადაწყვეტილება ნაყარანხევია ცხოვრების მიერ და ლოკალურად გამომდინარეობს შექმნილ ვითარებიდან. სსრ კავშირის წინადადება საბავს გონივრულ გზას, რომელიც ბოლოს მოუღებს დასავლეთ ბერლინის ოკუპაციას. დასავლეთ ბერლინის გადაქცევა თავისუფალ და დემოკრატიულ ქალაქად დიდმინიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს დამაბულებების შეწყობას ვეროპაში და ამავე დროს მთლიანად და სავსებით შეესაბამება გერმანიის ეროვნულ ინტერესებს.

საბჭოთა ნოტების შინაარსიდან და პრესკონფერენციაზე კორესპონდენტების კითხვებზე ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხებიდან თვალნათლივ ჩანს საბჭოთა კავშირის კეთილი ნება და მისწრაფება გააერთოს ყველაფერი რაც მისგან დამოკიდებულია, რომ თავისუფალ ქალაქს დასავლეთთან და აღმოსავლეთთან დაუბრკოლებელი კავშირის პირობები შეიქმნას და ასევე უზრუნველყოს მისი ეკონომიური კეთილდღეობა და განვითარება. საბჭოთა მთავრობის დიპლომატიური აქციები ბერლინის საკითხზე სავსებით გარკვეულ მიზანს ისახავს: ლიკვიდირებულ უნდა იქნას დამაბულობის ბერლინის ცერა.

ნატოს მონაწილე დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოების ოფიციალურმა წარმომად-

გენლებმა გაილაშქრეს დასავლეთ ბერლინი საოკუპაციო რეჟიმის გუქმების წინააღმდეგ. ეს ჩანს აშშ-ს პრეზიდენტის ეიზენჰაუერის, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის დაღესის, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლიონდის, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაურის კანცლერ ადენაუერის გამოცხადებებიდან, რომლებიდანაც იჩქევია, რომ არ სურთ ანგარიში გაუწიონ რეალურ ვითარებას და იცავენ საოკუპაციო რეჟიმს, უკვე არასებული „უფლები“ საფუძველზე. ნატოს პარტის სენსიბელ ბერლინის საკითხი დიპლომატიურად ნატოს საბჭოს კომუნდო, საიდანაც ჩანს, რომ დასავლეთის აგრესული სახელმწიფოები ისევე ებღუდებიან დასავლეთ ბერლინის საოკუპაციო სტატუსს და სურთ წინააღმდეგ დასავლეთ ბერლინის თავისუფალ ქალაქად გადაქცევას და მშასაღმდეგ, დამაბულობის ბერლინის ეგრის ლევიდაციას. ეს ბუნებრივია ცხადია აბავინ ელოდა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის რეზიდენციიდან გამოვიდოდა მშვიდობის შემორახდული.

დაღესი წაღებზე ფეხებს იღვამს, რომ საბჭოთა კონსტრუქცია გაასაღოს „ულტრა-ტუმბი“ და იწინურად აცხადებს: ჩვენი სახეობი მოვალეობაა შეინარჩუნოთ დასავლეთი ბერლინი“ ე. ი. გერმანელ ხალხსაც პირდება, რომ ბერლინი დარჩება აგრესული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სახელმწიფო ბაზად დასავლეთ ბერლინში უკვე დრომოქმედი საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნების გასამართლებლად ლიონდსაც ვერ იბოვა ვერაფერი უფრო ორიგინალური მოტივი, ვიდრე მითითება „გერმანიის“ უსიტყვო კამიტულაციებზე“ და „ოკუპაციის უფლებზე“.

კანცლერმა ადენაუერმაც ჩამოიხადა ნიღაბი, თავის გამოცხადებაში ბონის ბუნდესტაგში მან მოუწოდა დასავლეთის აგრესულ სახელმწიფოებს: „შექმნათ ერთიანი ფრონტი... ბერლინის სტატუსისათვის შექმნილი საფრთხის წინააღმდეგ“. ის აშკარად გამოვიდა რევანშიზმის სელისკეთებით. მან პირდაპირ მოითხოვა ევროპის საზღვრების გადამინჯვა. ადენაუერის ძალის მოსწონს ბერლინის ოთხპირი სტატუსი და ყველაზე მეტად აწუხებს ის, რომ ბერლინი არ გადაადგეს გერმანელთა ხელში. იგი პირველი კანცლერია გერმანიის ისტორიაში, რომელიც თავგამოდებით იცავს და მოითხოვს გერმანიის საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნებას. ადენაუერი „იცივს“ პოტსდამის შეთანხმებას იმიტომ ისმის კითხვა: სადაა იყო ადენაუერი მაშინ, როცა დასავლეთის სახელმწიფოებმა ამ შეთანხმების დარღვევით დააარსეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის კანცლერი თვითონ არის, განაზოციელს

მისი შეიარაღების პოლიტიკა და შეიყვანეს ეს ქვეყანი ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესულ ბლოკში? აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბონის პოლიტიკოსები დასავლეთ ბერლინის საკითხში ისე ერევიან, რომ თითქოს ბონის მთავრობა ადენაუერის მეთაურობით ის მხარე კი არაა, რომელმაც თავის თავი გამოცხადა პიტლერული რაიხის შემკვიდრად, არამედ მხარე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ფაშისმის განადგურებაში და დასავლეთ ბერლინის სტატუსის შემდეგებაში.

ბონისა და დასავლეთის სხვა ქვეყანების მთავრობათა შესვეურები სახელმწიფო ფიქოზის ვითარებას ქმნიან ბერლინის საკითხის გარშემო. ისინი ისევე ბრუნებაში აქცევენ დემოკრატიკულ მტკიცებას საბჭოთა კავშირის „აგრესიულობისა“ და „საერთაშორისო კომუნისმის სამშრობის“ შესახებ. დასავლეთის სახელმწიფოების და კერძოდ აშშ-ის გარკვეული წრეები მემართავენ შანტაჟსა და შუქარას.

„ნიუ-იორკ გერალდ ტრიბუნ“-ის მიმომხილველი ჯ. ოლსონი წერს „საბოლოო ანგარიში“, რომ ბერლინი არ ჩავაბაროთ, დასავლეთი მზად უნდა იყოს ბერლინის გამო ომისათვის წყალობის ბოშის გამოყენებით. გერმანელი რევანშიზტები გააკვირიან: „დასავლეთი ბერლინი ღირს მესამე მსოფლიო ომად!“

ისმის ხმები: მივმართოთ ძალას. საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ ტანკები, რომ გზა გავიყვანოთ დასავლეთ ბერლინიში, სადაც უნდა შეინარჩუნოთ ჩვენი პრივილეგია. დი მონიკა, ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ მოაგონა ამ წრეებს, რომ საბჭოთა ჯარები იმისათვის კი არ არიან აღმოსავლეთ გერმანიის, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს გზა აჩვენონ ბერლინისაკენ, რომ სოციალისტური სახელმწიფოები ყოველთვის დაზღვევენ გერმანიის დემოკრატიკულ რესპუბლიკას ყოველგვარი საფრთხისაგან. და ბოლოს ამ წრეებმა უნდა იყო დენი, რომ შუქარა არ არის ის ნა, რომლითაც შეიძლება საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება. დასავლეთის სახელმწიფოების რეაქციული წრეების გამოცხადებას დასავლეთ ბერლინის თავისუფალ ქალაქად გადაქცევის წინააღმდეგ აჩვენებს, რაოდენ დროულად ევროპის ცენტრში პროკოკიებმა, რევანშიზმისა და დამაბულობის ეგრის მოშლა, რაც მალე განზოციელდება. ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, თქვა ნ. ს. ხრუმოვი, რომ ბერლინის შესახებ ჩვენს მიერ დასახულ ღონისძიებათა განზოციელებისათვის არ გვესაჭიროება დასავლეთის სახელმწიფოთა თანამობა და ევროპითარი მათი პრეტენზია ამ მიმართულებით ვერ შეგვიჩვენებს.“



სიმონ ჩიქოვანი



გალაკტიონ ტაბიძის ცხედართან*

დღეს მთელი ქართველი ხალხი, ქართული მწერლობა და, კერძოდ, ქართული პოეზია სამუდამოდ ეთხოვება თავის უსაყვარლეს და უბადლო წარმომადგენელს, ქართული პოეტური კულტურის სიამაყეს, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს.

იგი, ვალმოხდილი, თავისი ნაამაგართ თითქო კმაყოფილი მიეშურება მამადავითზე, მამათა სევენში, სადაც სიჭაბუკის ეამს უნაზესი მთაწმინდის მთვარე გამოეცხადა, მაღლა დარჩეული ცისფერი ლანდები მოეჩვენა და ამ მთის ფერდობზე თავისი უებრო ჩანგის ლარები ჩაფესვა. ჩვენ, პოეტები საქართველოსი, მივტირით უდროოდ დაღუპულ საყვარელ ძმას და ქართული სიტყვის შთაგონებული ოსტატის დაკარგვას ვერ შევირგებებართ, თითქო თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით, ისე დაეცა ქართული პოეზიის დიდი ჰადარი და ქართული სულის მაჩრდილებელი რტოები დაიღეწა. ამღერებული სიცოცხლის დაცემის ხმა სამშობლოს გულის გაბზარვას დაემგვანა. ჩვენმა სატივიარმა დამწოდება ვერ მოასწრო და ჯერ კიდევ მთელი სიმწვავეით ვერ შეგვიგნია, თუ რა ნესტარით ვართ დანხვლეტილა, ან რა განუკურნელი ჰრილობა დასადგურებულა ჩვენს არსებაში. ამ დიდი დანაჯლისის ჯეროვნად შეგნება და მისი შეფასება ისე ძნელია, როგორც საყვარელ პოეტთან განშორება. დღეიდან ჩვენ გალაკტიონს ვერ შევხვდებით, ვერ ვაუღლივით და მთრთოლვარე პოეტური სიტყვით იგი ვერ შეგვხვნიანება. იგი თავის საყვარელი თბილისის ქუჩებს სამუდამოდ შორდება და მოულოდნელად ეთხოვება. ქლიავის ფერი საქართველოს მთები მართლაც იბინდება და გლოვის ზარი რეკავს თვითოეული ქართველის გულში.

ქართული კლასიკური პოეზიის ფესვმაგარი მუხების — აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების შემდეგ ჩვენს პოეზიას თვალნათლივ ამაზე მძიმე გლოვის დღეები არ განუცდია.

გალაკტიონ ტაბიძე თავისი ცხოველმყოფელი, განუმეორებელი პოეტური ხმით საბჭოთა პოეზიის მშვენებას წარმოადგენდა და მისი მადლიანი ტალანტი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ღირსების გამართლება იყო. იგი თითქო მომხიბლობას მატებდა საქართველოს ბუნების დაუქნობელ მშვენებას და თავისი ერის სულის საგანძურში ფასდაუდებელი სიმდიდრე შექპონდა.

„ატმის ყვავილების“ ავტორი ამ საუკუნის თითქმის დასაწყისში შემოიჭრა ქართულ მწერლობაში და მისი მოცახცახე ხმა ადრე შევიდა პოეტურ სიმწიფეში, მოწკრიალე და ფრთებშესხმული სიტყვით ღირსეულად გამოეთხოვა ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს და ახალ პოეტური სამყაროს მქადაგებელი გახდა. თითქო მას წინაპრების მიერ დაევალა იმდროინდელი ქართული ლექსის მესაქეობა, და პოეტმაც ეამთა სვლაში დადგინილ ბრწყინვალე ქართულ პოეზიას საკუთარი ნოვატორული ბუნება სრული ბუნებრივობით შეუთავსა.

* გამოსათხოვარი სიტყვა, თქმული მწერალთა სახლში ამა წლის 21 მარტს.

გალაკტიონ ტაბიძემ ქართული სიტყვის მეშვეობით ახალი პოეტური სამყარო აღმოაჩინა და ამ საუკუნეში ჩვენი ხალხის ესთეტიკურ აღზრდას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო.

იგი იყო დიდი ვაჭანების და მოულოდნელი ხილვების პოეტი. იგი იყო აღუვსებელი და დაუშრეტელი საწყაული ქართული სიტყვისა. იგი იყო ლექსის უბადლო ვირტუოზი და ქართული სიტყვის უცდომელი არტისტი. იცოდა მოლვედილი სტრიქონის მოულოდნელი მოქნევა და პოეზიაში ნამდვილი ქართული საუბარი. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია იყო და დარჩება, როგორც ერთი განუმეორებელი მელოდია ქართული სულისა და ამ სულის უებრო მუსიკალური აღმაფრენა. (დავით გურამიშვილისა და აკაკი წერეთლის შემდეგ ქართულ პოეზიაში ასეთი თავისუფალი სუნთქვით წამოწყებული ლირიკული სიმღერა არავის გაუგონია. გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ პოეზიაში ნიუანსირებული სულიერი ცხოვრება შემოიტანა და ინტიმური ფიქრების უჩვეულო სამყარო შექმნა. „თოვლის“ ავტორმა განგვაცდევინა ლირიკული სულის უნაზესი რხევა და გვაგრძნობინა დაბინდებული ფერების მომხიბლავი ლივლივი.

ორმოცდაათი წლის განმავლობაში ემსახურებოდა იგი ქართველ ხალხს და პოეტური სიტყვის მეშვეობით სულის ჩაუქრობელ კოცონებს ანთებდა. (დგ, როგორც საქართველოს ბუნება, მუდამ მრავალფეროვანი, მდიდარი და მუდამ სიახლის გრძნობის შემცველი იყო. „პოეზია უპირველეს ყოვლისა“-ო, ლაღადმბდა პოეტი და ლირიკული გალობა საკუთარი სულის თანდაყოლილ თვისებად მიაჩნდა. პოეზია მისთვის სულის გასპეტაკების საბრძოლო იარაღი იყო. იგი ყოველდღიურად პოეტურ სიტყვასთან კიდილში და შთაგონების შეუწელებელ ცეცხლში იწოდა. პოეტური შფოთვა და სულის მოუსვენრობა პოეტს არასდროს არ განშორებია. გალაკტიონ ტაბიძე თითქმის არავის უნახავს ოდესმე პოეტური მთრთოლვარე ცხოვრებიდან თუ შთაგონების ცეცხლიდან გამოთიშული, მისი გული მუდამ შფოთავდა, მუდამ წრიალებდა და მუდამ აფორიაქებული გვევლინებოდა. იგი უზინაოს ჰგავდა და პოეტი თითქო ერთ ჰერს არასდროს შეჰკედლებია. გალაკტიონ ტაბიძის ბინა მთელი საქართველო იყო (საქართველო იყო მისი ოჯახი, მისი მშფოთვარე სულის სამყოფელი და მისი სიმღერის საგანი. პოეტი მუდამ ატარებდა გულის სიღრმეში დაბინდული ქლიავისფერი მამულის ხატებას. „მთაწმინდის მთვარის“ ავტორს აბრუებდა ნანგრევებზე შემოხვეულ სუროთა სურნელება, ხიბლავდა საქართველოს გმირული წარსულის მაუწყებელი ციხე-დარბაზები და სათვალთვალო კოშკები, ხიბლავდა ხავსმოდებულ ძველ ტაძრებზე აღბეჭდილი ზუროთმოძღვრული ვაჭანება და საქართველოს ქვებზე მოღალადე თუ ნაზად მოსაუბრე ქართული ჩუქურთმები. პოეტს იტაცებდა ქართული სვეტების აღმაფრენა და თაღებზე საქრეთლით გამოკვეთილი მღუმარე ქვების მელოდია. ყველაფერი ეს პოეტის მთრთოლვარე სულს ენივთებოდა და ლირიკულ ხმას ესალმუნებოდა, იგი თითქო მამულის თვითეული ნაკეთის შეხებას გრძნობდა და მამულის რაობის პოეტური შეგნება ამ ფიზიკური შეხების საფუძველზე ებადებოდა:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი
არ გავიარე, რაა მამული!“

მაგრამ პოეტს ესმოდა, რომ ნანგრევების და დანგრეული ტაძრების მიღმა იყო ნამდვილი საქართველო. (გი საქართველოს წიაღში ამირანის ნაკვალევს ეძებდა და ქართული ხალხის გენიას ამგვარად ეხმაურებოდა:



„შეხავეს კლდეები კლდეებს,
აქ ვილაც კენისის დიდი ხანია,
ამირანია? მიემართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს — ამირანია!“

ამ სტრიქონების ავტორი თავად იყო ქართული პოეზიის ამირანი, იგი მოგვევლინა, როგორც ჩვენი ხალხის პოეტური ხასიათის და ენერჯის გამართლება. გალაკტიონ ტაბიძეს სწამდა, რომ პოეზია არის ვაჟკაცობა და გმირული თავდადება. პოეტის მიერ შექმნილ უფაქიზეს „არტისტულ ყვავილებში“ ცხოვრობდა ეროვნული გმირული სული, რომელიც სამამულო ომის დღეებში უფრო გაძლიერდა და ბრძოლის ველზე გასულ მხედრობას დაემგვანა. პოეტს უპირველესყოვლისა სამშობლო ეძახდა. იგი სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული მღეროდა.

გალაკტიონ ტაბიძე ადრე შევიდა ჩვენი ქვეყნის მებრძოლთა რიგებში და ახალი სამყაროს მშენებელ ხალხს მხარში ამოუდგა. პოეტმა შექმნა რევოლუციის დღეების მუსიკის ნამდვილი განცდა, მას ხიბლავდა დიდი საზოგადოებრივი მოვლენების და ცხოვრების სურათების მუსიკალური აღდგენა თუ მელოდოებით გახმანება. „თოვლის“ ავტორისათვის დამახასიათებელია არა იმდენად ცხოვრების სურათების ფერწერული გადმოცემა, არამედ ამ სურათების მუსიკის დაჭერა, მათი მუსიკალური აღქმა და სინამდვილის მელოდოების მეშვეობით დასურათება: მისთვის მუსიკობა იყო სამყაროს ათვისების საფუძველი.

იგი მღეროდა და პოეზიისათვის იწვოდა სიკვდილის წინა წუთებშიც. ღირიკული სიმღერა მისი გულის მუდმივი, განუყრელი თანამგზავრი იყო. ტრაგიკულად დაღუპული პოეტის უბის წიგნაკში ჩაწერილი აღმოჩნდა წამოწყებული ლექსის რამდენიმე სტრიქონი და ხატოვანი თქმა. ეტყობა, პოეტი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ განშორებია პოეზიას, თითქო გალაკტიონ ტაბიძემ სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიც ლექსის ნატეხებით და რითმებით მოკენილ გზაზე გაიარა.

ორმოცდაოთხი წლის წინათ დაწერილ ლექსში — „მთაწმინდის მთვარე“ ჩვენი პოეტი ამბობდა: „სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა-“, — დიახ, დღეს ამ ვარდისფერი გზით მიეშურება ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტი მთაწმინდაზე, მამათა საეანეში და ჩვენი ხალხის გლოვა და სიყვარული მიაცილებს მას უკანასკნელ სადგომამდე.

გალაკტიონ ტაბიძე დღეიდან ეკუთვნის ისტორიას და მამათა საეანეს, ხოლო მისი ცოცხალი პოეტური სიტყვა წკრიალებს ქართველი ხალხის გულში და უკვდავება მის სახელს განუშორებლად მიჰყვება მომავლის გზაზე. უკვდავება არასდროს არ განშორდება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას და ჩვენ, საქართველოს პოეტები, ვიგონებთ მის განუშორებელ პოეტურ სიცოცხლეს, მის მთრთოლვარე, მოცახცახე ხმას და ვეთხოვებით ჩვენს სიამაყეს, ჩვენს საყვარელ ძმას, ჩვენი ფიქრების მახლობელ ადამიანს მისივე სიტყვებით:

„ქარვათა მორევში ეშვება ფარდები,
სადამო კანკალებს კრძალვით და რილობით,
ქვითინებს მამულა, ტირიან ვარდები,
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“

აკაკი ბალიაშვილი



შალვა ღარიანი

თუკი შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის რომელიმე შვილს სანიმუშო ქართველ უწოდო, იგი, უწინარეს ყოვლისა, აუცილებლად შალვა დადიანი იქნება. მისი აზოვანი თვალტანადობა, მაღალი შუბლი, ხუჭუჭა თმა, ლალი, მზიარული ხასიათი დაამშვენებდა ქართული მიწის პირველ მებრძოლსა და მხედარს. ფენოპენალურა შრომის უნარის მქონე იყო, აგრეთვე, უბადლო თამადა, ნამდვილი დენდი და ჯენტლმენი, თაყვანისმცემელი და მოტრფიალე ადამიანთა მოდგმის მშვენიერი ნახევრებისა, მეგობრებთან ურთიერთობაში უაღრესად თავაზიანი, თავდაპირილი გულუხვი, მკვერამეტყველი, ზედმიწევნით მცოდნე ცხოვრებისა, მწერლობაში ნამდვილი ოქროპირი, — ასეთი იყო შალვა დადიანი მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე.

სად, საქართველოს რომელ კუთხეში არ უნდა გეხსენებინათ შალვა დადიანის სახელი, რომ ამ სახელს მეხვიით არ დაექუხა და ყოველი ქართველის გული სიხარულით არ აეძგერებინა.

ორმოც წელზე მეტია მას შემდეგ, რაც პირადად გავიცანი იგი და ყოველთვის მიაკებდა ამ ადამიანის მუდამ ახალგაზრდული იერი და განსაკვიფრებელი შრომის უნარი. იგი იყო მართლა დაუბერებელი მამაკაცი, უზრუნველი და დარდიმანდი.

მან არ იცოდა, რა იყო დაღლა.

ერთხელ სენაკს ვესტუმრეთ. ლიტერატურული საღამო უნდა გაგვემართა. მოხუცს განსაკუთრებით მოეუსვენეთ და ფეხაკრფით დავდიოდით. მაგრამ მან ყველანი დილაადრიანად წამოგვეყარა და წინ გაგვიძღვა. ქალაქის ბაღში გიორგი ქალაღიდელის საფლავთან მიგვიყვანა. ყველგან თოვლი იდო და ქალაღიდელსაც კისერზე თოვლი ბოასავით ჰქონდა შემოდებული. ქუდმოხდილები შემოვერტყით მეგონის ამ, ცოტა არ იყოს, მოძველებულ ძეგლს. გაშვლენები გაოცებით გვიცქეროდნენ ქუდმოხდილ მამაკაცებს და გაკვირებით შლიდნენ ხელებს: ვინაა, რა ხალხია, რა უნდათო, შალვამ კი, ძველებურად რომ იტყვიან, საფლავში ჩასძახა ქალაღიდელს: აი, შენ რომ აღტაცებით წერდი—მაყვარს ფაცხა მე შეგ, რული მთა კორტოხზე წამოდგმულიო, შეხედე შენს ძველ ყანას, შენს სამეგრელოს, როგორ აშენდა და დამშვენდა, ვეღარც კი იცნობ და, აი, ქართველი მწერლები მოვედით, რომ მოვილოცოთ სამშობლოს ეს გამარჯვებო.

ჩვენ ქუდმოხდილი ვისმენდით ოთხმოცი წლის მოხუცის ამ სიტყვებს და გულაზნდილად უნდა ვთქვა, ყველანი ჩუმჩუმად ვიწმენდით ცრემლებს.

შალვას უყვარდა ასეთი გასაუბრება წინაბრებთან. იგი არასოდეს არ გაუშვებდა ხელიდან ხელსაყრელ შემთხვევას და ასეთი მიმართვებით ყოველთვის ამკობდა წარსულს. როდესაც უკრაინაში დავით გურამიშვილის საფლავი აღმოაჩინეს, ძეგლის გახსნაზე საქართველოდან გაგზავნილი იქნა დელეგაცია შალვა დადიანის მეთაურობით. მან გულისჯიბიდან აკანკალებული ხელებით პატარა პარკი ამოიღო და გურამიშვილის საფლავში ჩასძახა: ჰეი, მოხუცო, შენ ვერ ეღირსე, გულზე მშობლიური მიწა დაგყროდა, მაგრამ ახლა, ორასორმოცდაათი

წლის შემდეგ მოვიდა შენი ქვეყნის შეილი და მოგიტანა მიწა, აკრფილი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავებიდან, და ეს წმინდა მიწა გურამიშვილს გულზე დააყარა.

ჭაბუკობის წლებში როდესაც ლიტერატურაში ფეხს ვადგამდით და ყოველი თბილი სიტყვა ფესვს გვიმაგრებდა, გვაძნეებდა და ბრძოლისათვის ძალას გვაძლავდა, ჩვენ ხშირად ვიკრიბებოდით შალვა დადიანის ოჯახში ქართველი ინტელიგენტის ამ პირველ სალონში, და ვსაუბრობდით ქართული ლიტერატურის საკიბორტო საკითხებზე. შალვა იყო საოცარი ერუდიციის ადამიანი და იცოდა გაცილებით მეტი, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონემ, თუმცა ანკეტებში ყოველთვის იძულებული იყო დაეწერა: განათლება — შინაურიო, მას არასოდეს არ შეუდგამს ფეხი სკოლაში. მამამისი ნიკო უაღრესად განათლებული ადამიანი იყო, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ იმდროინდელი სკოლა ამბიჯებდა ახალგაზრდის სულიერ სამყაროს და ამიტომ შეილი სკოლაში არ მიუცია, სახლში აღზარდა და ასწავლა ყველაფერი ის, რაც შალვას სკოლაში უნდა შეეძინა.

ერთხელ ილია ჭავჭავაძისთან მომიხდა მისვლაო, — წერს ერთ-ერთ თავის მოგონებებში შალვა დადიანი. ილიამ თავის სასტუმრო დიდ დარბაზში მიმიღო (ეს იყო ახლანდელ კალინინის ქუჩაზე № 7. იმ დიდ დარბაზში შემდეგ მე მარგუნა ბედმა მეცხოვრა 25 წელი. ა. ბ.). გამოვიდა, შემომხედა და მკითხა, თუ სად ვსწავლობდი. მე ვუთხარი, არსად-მეთქი. გაუკვირდა და მითხრა: მამათქვენნი ბილიკებით მოსიარულე ადამიანი არ არისო.

დიდმა ილიამ, ცხადია, არ იცოდა, რომ ეს ბილიკებით მოსიარულე ახალგაზრდა კაცი რა მალე გაეიდოდა ეროვნული ცხოვრების დიდ გზაზე, ტრიუმფით გაივიღა თავის ხალხთან ერთად ახალი ცხოვრების შენების აღმართებს და დიდების შარავენდელით შემოსილ მთაწმინდაზე დაიმკვიდრებდა სამარადისო განსასვენებელს.

ათეული წლების მანძილზე მღერის ქართველი ხალხი ერთ შესანიშნავ და მგზნებარე ლექსს:

„...მხოლოდ შენ ერთს,
რაც რომ ჩემთვის
მოუცია მადლიდან ღმერთს,
სიყვარული, სიხარული
მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს...“

რა არ არის ამ სიმღერაში ჩაქსოვილი? იგი შეიძლება მიუძღვნა სამშობლოსაც და სატრფოსაც, დედასაც და საკუთარ შეილსაც. ის ყველას ეკუთვნის, ვისთვისაც შეიძლება ადამიანს გული გიძგერდეს.

ბევრმა როდი იცის, რომ ამ ლექსის ავტორი შალვა დადიანია. მას იგი ჭაბუკობის წლებში დაუწერია და დარდიმანდულად გადაუსვრია ხალხში. ხალხმა კი აიტაცა ეს, მართლაც, გრძნობათა სიწმინდის ლოცვისმაგვარი აღმოკვენესა, სულის განმწმენდი ეს სიმღერა და საგალობელი.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როდესაც ავადმყოფობა მოხუცის ხშირი სტუმარი გახდა, შალვა გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და რამდენჯერმე აიჩემა: ჩემს სოფელ ბერთემში წამიყვანეთ, იქ მინდა მოკვდე და იქვე მინდა დამასაფლავოთ.

მას სულ მუდამ ეძახდა ეს თავისი მშობლიური მიწა, სადაც შალვას უკვე დიდი ხანია, რაც აღარ გააჩნდა არც კარი, არც სახლი არც მიწის ნაკვეთი. ერთხელ მან მაინც მოახერხა თავის უამრავ საქმეთათვის თავი დაედწია და რამდენიმე მეგობარ მწერალთან ერთად ბერთემს ეწვია, თავის ნასახლარზე მოიფრთხ-

ნა და ასე ღია ცის ქვეშ უმასპინძლა სტუმრებს, თუმცა ბერთემის ყოველი მცხოვრები მზად იყო საკუთარი სახლისათვის შალვას სახელი ეწოდებინათ დასაფლავების დღეს მთაწმინდაზე შალვას კუბოსთან მოვიდა ჩოხოსანი თეთრწვერა მოხუცი და შალვასავე წესით ჩასძახა: ვასრულებ შენს თხოვნას და გულზე გაყრი ბერთემის მიწასო!

აი, ეს დიდი, უანგარო სიყვარული თავისი მშობლიური მიწისადმი უანდერძა თავის ხალხს შალვა დადიანმა და ამ სიყვარულით ჩავიდა იგი სამარეში. ეს სიყვარული მუდამ აცოცხლებს მას ქართველი ხალხის გულში. იგი მუდამ იქნება ჩვენს შორის ცოცხალი, ახოვანი, თვალტანადი, შრომისმოყვარე, მხიარული, რაინდულად თავაზიანი, გულისხმიერი და მგზნებარე პატრიოტი. მან განვლო თავისი ცხოვრების დიდი გზა და ამ აღმართზე ერთხელაც არ დაუკუნესია.



პაპე ინგოგოფა



პასუხი

პაპემიკოს კორნედი კეკელიძეს

I

ჩვენი წიგნის — „გიორგი მერჩულეს“ შესახებ რიგი წერილები დაიბეჭდა.

ზოგი დადებითად შეხვდა ჩვენს წიგნს, ზოგი უარყოფითად.

დადებითი წერილებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისი ფართო დიაპაზონით პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილის წერილი, რომელიც სპეციალურად ეხება „გიორგი მერჩულეს“ მეორე ნაწილს (ისტორიულ-ლიტერატურულს¹).

უღარესად მნიშვნელოვანია აგრეთვე ვრცელი წერილი (არსებითად გამოკვლევა), რომელიც უძღვნა „გიორგი მერჩულეს“ და მასში აღძრულ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს გამოჩენილმა მეცნიერმა მიხეილ თარხნიშვილმა, რომლის წერილი გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე საერთაშორისო ფილოლოგიურ ჟურნალში, „Oriens Christianus“ (ტ. 41, 1957, გვ. 76 — 96)².

უღრამესი მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ფილოლოგიურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა მიხეილ თარხნიშვილის უდროოდ

გარდაცვალებით, რის შესახებ ცნობა ამ ახლო ხანში მივიღეთ. მიხეილ თარხნიშვილი ყოველმხრივ მომზადებული და, ამასთან, დიდად ნიჭიერი მეცნიერი იყო, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა ევროპის ფილოლოგიურ მეცნიერებაში და რომლის შრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული კულტურის ფართო პოპულარიზაციისათვის უცხოეთში.

ჩვენ აღარ ვასახელებთ დანარჩენ წერილებს, რომლებიც უძღვნეს „გიორგი მერჩულეს“ სხვა ავტორებმა, რადგან ისინი არ ეხებოდნენ საკითხთა იმ წრეს, რომელიც წინამდებარე წერილის საგანს შეადგენს.

აღვნიშნავთ, რომ იმ ავტორებიდან, რომლებიც შეეხნენ ჩვენ წიგნს, მხოლოდ აკად. კორნელი კეკელიძე უარყოფითად შეხვდა „გიორგი მერჩულეს“ მეორე — ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწილს.

კორნელი კეკელიძის წერილი დაიბეჭდა ამ ახლო ხანში რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის კრებულში „ლიტერატურული ძიებანი“ (ტ. 9, 1958, გვ. 447—461 „ახალი შრომა ქართული პოეზიის შესახებ“).

წინამდებარე ჩვენი წერილი წარმოადგენს პასუხს კ. კეკელიძის წერილისა.

¹ იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1956, № 10, გვ. 109 — 119.

² თარგმანი დაიბეჭდა „მნათობში“, 1958 წ. № 1, გვ. 132—143.

ვიდრე გადავიდოდეთ კ. კეკელიძის ამ წერილის განხილვაზე, საჭიროა აღნიშნოთ შემდეგი.

კ. კეკელიძის მთელ რიგ შეხედულებებს, რომლებიც შემდგარად მოგვანია, ვეხებით „გიორგი მერჩულეს“ პირველ ისტორიულ ნაწილში.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ კ. კეკელიძე, უწინარეს ყოვლისა, პასუხს გავეცემდა სწორედ იმ საკითხებზე, რომელთა გამო მასთან გვაქვს კამათი წიგნში. მაგრამ კ. კეკელიძე ამის გვარდს უვლის, არც ერთს ჩემ მიერ აღძრულ საკამათო საკითხს იგი არ ეხება. კ. კეკელიძე თავის წერილში განიხილავს ჩემი წიგნის მხოლოდ მეორე ნაწილს, ე. ი. ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწილს (იხ. „გიორგი მერჩულე“, 547—588).

შეიძველს, რომელსაც წაკითხული აქვს კ. კეკელიძის წერილი, უპიკველია ვაიოცებდა კ. კეკელიძის ტონი. იგი დაწერილია რაღაც გაბოროტებით, გაბრაზებით (ამას შევალთუვს ქვეშით ვნახავთ). არა მგონია, ეს ქვეშაობიანებს დადგენას ზელს უწყობდეს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ პირადად არ გავკვირვებია კ. კეკელიძის ტონი. ეს მისთვის, როგორც ჩანს, ჩვეულია.

ასე, მაგალითად, ჩემს ახალგაზრდობის შრომას — „რუსთველიანა“, რომელიც ამ შესიმედი საუკუნის წინათ, 1926 წელს, გამ ქვეუნდა, კ. კეკელიძე შეეგება წერილით, რომელსაც იგი ხსნის ისეთი ეპიგრაფით:

რა უთქვამს, რა მოუჩმბახავს,
რა წიგნი მოუწერია!

მეორე ჩემი შრომა — „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“, რომელსაც ჩემმა დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა უწოდა „გზის გამკვლევი მონოგრაფია“ (იხ. ივანე ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 80), კ. კეკელიძემ ასევე ეთომცდა „გაანიავა“.

ახლა რიგშია ჩემი შესამე შრომა — „გიორგი მერჩულე“.

გავეცნოთ ამის შემდეგ კ. კეკელიძის ამ წერილს, რომელიც, როგორც მოეხსენეთ, ჩემი წიგნის მეორე ნაწილს ეხება.

კ. კეკელიძე ასე იწყებს „გიორგი მერჩულის“ მეორე ნაწილის განხილვას (გვ. 447):

„ვიდრე ამ ნაწილის სმეტიალურ განხილვას

შეუდგებოდეთ, საჭიროა აღნიშნოს ზოგიერთი მისი ხასიათი.

1. ავტორს ახასიათებს ზეირდობა სხვისი ნაშრომის თითქმის სრული იგნორირება. ვნახულობთ ამ შრომას და გგონიათ, რომ ძველი ქართული პოეზიის, ვახაყუთრებით სასულიეროს შესახებ, იხვროთყუამდე არავის არ უფიქრა: ამე მოეკვიფე, მე ათეუმიფრე, მე ამოვხსენი, მე ძიევიევი, მე დაეადგინე, მე გამოევილინე. აქ ჩვენ სრულიად მოულოდნელი აღმოჩენა მოგველოდა“ (გვ. 613) და სხვა ამგვარი გამოთქმები დამახასიათებელია ავტორისა.

შეიძველი, რომელსაც წაკითხული აქვს „გიორგი მერჩულე“, ვფიქრობთ, არ ვაიზაირებს კ. კეკელიძის ასეთს გამარტებულ დახასიათებას ჩემი შრომისას.

ათასგვერდიან ნაშრომში, უპიკველია, მე მიქვს სხვადასხვა იდეგისს, სადაც ეს საჭიროა, აღნიშნული, რომ ესა თუ ეს ტექსტი ახლად იქმნა ამოხსნილი ან ამოშიფრული, მაგრამ არა იმ სახით და არა იმ სტილით, როგორც ამას ჩემი აღვლებული ოპონენტი გადმოგვემს. კ. კეკელიძეს უნდა ახსოვდეს, რომ მე მწერალი ვარ, და რაც არ უნდა „ზვიადი“ არ ვიყო, მე ჩემს თავს არ მივეცემ ნებას ისეთი ვულგარული სტილით ეწერო, რასაც კ. კეკელიძე მომიწერს, და რაც ზოგს ახასიათებს.

კ. კეკელიძის წერილის წაკითხვიდან სამწუხაროდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი ვაბარაზა იმდენად არა ჩემმა ეთომცე და „ზვიადობით“ აღბეჭდილმა სტილი — აღმოჩენათა შესახებ, არამედ უფრო თვით ამ აღმოჩენათა ფაქტმა, რომლის შესახებაც სხვები, მაგალითად მიხეილ თარხნიშვილი წერს:

„მა ვლე ინგორო ყვამ მოულოდნელი აღმოჩენა გააკეთა, რომ კეკელიძის მიერ გამოქვეყნებული „წიგნის მიქალე საბაწმიდელისა“ შეთხზულია ქართული ხალხური პოეზიიდან აღებული სალექსო საზომით“ (იხ. M. Tharnischwili und J. Assfalg, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, 1955 წ., გვ. 459); ანდა როდესაც ეურნალი Oriens Christianus ძველ-ქართული პოეზიის ძველთა აღმოჩენასა და ამ პოეზიის მეტრულ-რიტმული სტრუქტურის ამოხსნის გამო წერს:

„საქმით ხანი გაგრძელდა, სანამ იმის მიღწევდნენ, რომ ბიზანტიური საეკლესიო პოეზიის მეტრული ხასიათი საბოლოოდ გაერკვიათ. ისევე მოუვიდა ქართულ სასულიერო პოეზიასაც და მის მეტრიკასაც: მხოლოდ ამ ერთა ხნის წინათ მოახერხა პავლე ინგოროსკვამ გაეფანტა ის ბურუსი, რომელიც ამ საკითხს შემოხვევდა... ეს იყო მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომლისაგან გამომდინარეობს შემდგომი დასკვნა, რომ ქართული ჰიმნები პროზული ნაწარმოებები კი არ არის, როგორც კეკელიძე ფიქრობდა, არამედ ნამდვილი გარკვეული კანონების მიხედვით შეთხზული ლექსები. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო ის, რომ ეს კანონები დადგენილიყო, ჰიმნების უპირავი რაოდენობა ამ მეტრული სტრუქტურის საფუძველზე გაეცრიდელიყო და დალაგებულიყო“ (იხ. ჟურნალი Oriens Christianus, t. 41, გვ. 79).

ასეთია ფაქტები.

*

ბ. კეკელიძე ჩემი „ზევიდობის“ დახასიათების შემდეგ განაგრძობს:

„იმას (პ. ინგოროსკვას) არ უნდა გამოტყდეს, რომ ის ვერ გააკეთებდა იმას, რასაც ახლა გვაწვდის [—შემდეგ კი ბ. კეკელიძე ამტკიცებს, რომ მე არაფერს არ ვაწვდი მკითხველს, რომ არც ერთი ჩემი დებულება მთელი წიგნის მანძილზე არ არის სწორი], — მის ღრმად სხვას რომ არაფერი გაეკეთებია. რა ეცოდინებოდა მას ლიტურგიულ-ჰიმნოგრაფიულ ტერმინოლოგიიდან, რომ ეს ტერმინოლოგია დამუშავებული არ ყოფილიყო წინა მკვლევარების შრომებში? ვინ გაშიფრა და ნათელყო ლიტურგიული „კანონის“ გალობათა ბიბლიურ გალობებთან კავშირი?“ (გვ. 447).

ბ. კეკელიძე არ ასახელებს თავის თავს, მაგრამ ამ პათეტური ტირადით იგი გვანიშნებს, რომ მან „გაშიფრა და ნათელყო ლიტურგიული „კანონის“ გალობათა ბიბლიურ გალობებთან კავშირი“.

მართალია ეს? არა.

ბ. კეკელიძე ერთ თავის ნაშრომში *Грузинский литургический словарь* (რომელიც დართული აქვს მის წიგნს — *Иерусалимский канонарь*) აღნიშნავს, რომ კანონის „გალობანი“ (სულ ცხრა გალობა) დაკავშირებულია ბიბლიურ გალობებთან. მაგრამ განა ეს ბ. კე-

კელიძის აღმოჩენაა? რასაკერძეოდ, არა. იგივე ბ. კეკელიძე დასახელებულ *Иерусалимский канонарь* არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ *Иерусалимский канонарь* და ნათელყო. მართლაც, „კანონის“ გალობანი რომ კავშირშია ბიბლიურ გალობებთან (ამასთან სახელდობრ რომელი გალობა „კანონისა“ ბიბლიის რომელ გალობასთან არის დაკავშირებული) — ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, — ამის შესახებ საუბარია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შეახებებს ყველა ფუნდამენტალურ შრომაში.

ამას ემატება შემდეგი. ჩემს შრომაში მე არსად არ ვეხები სპეციალურად ამ საკითხს, არც „კანონის“ გალობათა სახელწოდებების წარმოშობას, არც „კანონის“ გალობათა კავშირს ბიბლიურ გალობებთან. ამ საკითხებს რომ შეეხებოდნენ, მე სხვა წყაროებთან ერთად ბ. კეკელიძესაც მივეითებდი. თუმცა ეს სახელდებელი არ იყო, ისევე როგორც ცხადსაყოფად საყოველთაოდ ცნობილი ამბავისა — „Волга впадает в Каспийское море [—წიგნის გამოთქმა რომ მოეცინოთ], არაა სახელდებელი გეოგრაფიის სახელმძღვანელოს დამოწმება. ხოლო, მე რომ ამ საკითხებში კარგად ვარ გარკვეული, ამაში ბ. კეკელიძეს ეძვირ არ უნდა შეუვიდეს, რადგან მას კარგად მოეხსენება, თუ ვის ეუთვნის პირველი მეცნიერული გამოცემა იმ ჰიმნებისა, სადაც ეს სახელწოდებანი გვხვდება. (იხ. ჩემი „ძველ-ქართული პოეზია“, წიგნი I).

*

ბ. კეკელიძე იმავე პათეტური ტონით განაგრძობს:

„ვინ გაარკვია ხმათა ორი ფენი: ძირითადი და გუერდნი? ვინ გაარკვია ქართული წელთაღრიცხვის ზედმეტობა 112, 104 და 96 წლით? ვინ ახსნა თვით ტერმინი „იადგარი“, რომელიც მთავარი საგანია კელევაძეებისა? საუბრის იმ აქვს მას (პ. ინგოროსკვას) წარმოდგენილი, თითქოს ყველაფერი ეს მის მიერაა გაკეთებული, ახსნილი და მოპოვებული“ (გვ. 448).

აქ მოხსენებული სამი საკითხიდან უარესად მნიშვნელოვანია მეორე, დადგენა ქართული წელთაღრიცხვის ზედმეტობისა — 112, 104 და 96 წლით — დასავლეთში მიღებულ წელთაღრიცხვებთან შედარებით. ქართული წელთაღრიც-

ხვის ამ მნიშვნელოვანი თავისებურების და-
ზუსტება, როგორც ცნობილია, კორნელი კეკე-
ლიძის ეკუთვნის. ეს არის კორნელი კეკელიძის
მართლაც დიდი დამსახურება.

რაც შეეხება „სმთა თრ ფენს“ — ძირითა-
დნი (ავთენტური) და „გუფრდნი“ (პლაგა-
ლური), ეს უვეე საყოველთაოდ ცნობილი ამ-
ბავია; ასეთი დაყოფა მიღებული იყო ზოგად-
ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიასა და გალობაში,
რომელიც „რეპეზიანობას“ ემყარებოდა. აქ
ახალი და სპეციფიკური ქართულ ჰიმნოგრა-
ფიაში არაფერია და არც მისი აღმოჩენა იყო
საჭირო.

მესამე, რომ „იადგარი“ ეწოდებოდა ჰიმნე-
ზის (საგალობლების) კრებულებს, ეს ირკვევა
თეთი საგალობელთა ანდერძებიდან, რომლებ-
შიაც ჰიმნების კრებულებს პირდაპირ ეწოდება
„იადგარი“ ანუ „იადგარნი“ („ესე იადგარნი“).
ხოლო საიდან მომდინარეობს ეს სახელწო-
დება საგალობელთა კრებულებსა „იადგა-
რი“, — რომ იგი ფაქტური წარმოშობის ტერ-
მინია და რომ „იადგარი“ ამავე დროს ეწოდე-
ბოდა მნიშვნელოვან ჰიმნების კრებულებს, —
ეს პირველად აკადემიკოსმა ნიკო მარმა დაად-
გინა, ავადემიკოს კ. ზალემანის მოპოვებული
მასალების საფუძველზე.

მაგრამ მე განვიფიქრებ ვარ, საიდან მოი-
ტანა კ. კეკელიძემ ეს ფანტასტიკური დასკვნა,
ვითომე „საქმე ისე აქვს წარმოდგენილი მას
(პავლე ინგოროყვას), თითქო ყველაფერი მის
მიერაა გაკეთებული, ახსნილი და მოპოვებუ-
ლი“.

არსად არც ერთ ზემოთხსენებულ საკითხს
მე არ შეეხებია არც „გიორგი მერჩულე-
ში“, არც „ქართული მწერლობის ისტორიის
მოკლე მიმოხილვაში“, არც „არუსთველიანაში“,
არც ერთი ამ საკითხსაჟვის არ მიმიძღვინია
თუნდ ერთი პრაგმატი. ხოლო როდესაც
სხვა პრობლემებთან დაკავშირებით ორ შემთ-
ხვევაში მე მომიხდა მხოლოდ გაკვირთ, ერთ-
ორ ფრაზაში მომხსენებინა ესა თუ ის საკი-
თხი ამრიგად, რომ იგი მოკუმენტაციას: არ
მოითხოვდა (წიგნის უოველ წინადადებას დო-
კუმენტაცია ხომ არ დაეხოვინა), მე მაინც
უოველთვის მითითებული მქვს, რომ ეს შე-
ხედულება მე არ მეკუთვნის, და ხზვასმული
მაქვს: „როგორც ეს გამორკვეულია სპეცია-
ლურ ლიტერატურაში“, „როგორც ცნობილია“
(იხ. „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე
მიმოხილვა“, ჟურნალი „მშობლივი“, 1939 წელი,
№ 4, გვ. 105; „გიორგი მერჩულე“, გვ. 752).
ხოლო ერთ შემთხვევაში, როდესაც მე ვაკე-
თებ აქცენტს ტერმინზე იადგარი და სადაც
საკითხი დოკუმენტაციას მოითხოვდა, მე სა-

განგებოდ მითითებული მაქვს ნ. მარზე (იხ.
„არუსთველიანა“, გვ. 225, შენ 1); კეკელიძის
ამრიგად, კ. კეკელიძის კრებულებსა
მგებლო განცხადება მე, ცოტა არ იყოს,
მაოცებს. სინამდევალში ეს არის არა სერია-
ლური კრიტიკა, არამედ ნამცეცების კრება.

•

საქმე ამაზე არ სარულდება. კ. კეკელიძემ
თანდათან შედის როლში.

ზემომოყვანილი სიტყვების შემდეგ, ვითომც
„საქმე ისე აქვს წარმოდგენილი მას (პავლე
ინგოროყვას) თითქო ყველაფერი მის მიერაა
გაკეთებული, ახსნილი და მოპოვებული“,
კ. კეკელიძე განაგრძობს:

„მოუხსენებლობა სხვების შრომებისა პირ-
დაპირ საზღაპროა; აი ამისი ზოგიერთი მაგა-
ლითი: ა) არსებობს თიანე-ზოსისმეს (X საუკე-
ნაწარმოები, რომელიც იწყება ასე: „გუნდნი
იგი ზეცისანი“ [ანდერძი იადგარისა]. პ. რ. ფ.
პ. ბერაქემ მიავნო ამ ნაწარმოების მეტრს,
დაალგა მისი ტაბეები ამ მეტრის მიხედვით
და მიიღო საყმოდ შესიკალური ლექსი, რვა-
მარცვლიანი სტრიქონებისაგან შემდგარი, ოთხ-
მარცვლიანი კლავზულით. ამ ფაქტის აღნიშ-
ვნა საჭიროდ აღუნახეთ „ბერძნული ლიტერა-
ტურის ისტორიაში“ კ. (ს. უაღზნიშვილი, II,
387). პ. ინგოროყვა კი სპეციალურ გამოკლე-
ვაში ძველი ქართული ლექსის შესახებ, როდე-
საც ის ამ ნაწარმოებს ეხება და თავის მცდარ
წყითხვას იძლევა (579—580), სულაც არ
ახსენებს ამ ფაქტს“ (გვ. 448).

მოკლედ, კ. კეკელიძე მე პლაგიატს მბარ-
ლებს.

ჩემს პლაგიატობას ვითომცდა ამსუბუქებს
ის გარემოება, რომ მე მაინც თითქო არ გავ-
მეორე მთლიანად პ. ბერაძის ნათქვამი, არა-
მედ პ. ბერაძის სწორი წყითხვის ნაცვლად
წარმოვადგინე ჩემი „მცდარი“ წყითხვა. მაგ-
რამ ეს ასე არ არის. ჩემი წყითხვა და პ. ბე-
რაძის წყითხვა სინამდვილეში ერთი და იგი-
ვეა. ამრიგად, ჩემს პლაგიატობას თითქოს არა-
ფერი ედგას წინ.

ჩემი წყითხვა და პ. ბერაძის წყითხვა
არსებითად რომ ერთი და იგივეა, ამის ცხად-
საყოფად მოვიყვანოთ პირველი სტროფი ამ
ლექსისა ა ნ დ ე რ ძ ი ი ა დ გ ა რ ი ს ა .

ჩემს წიგნში — „გიორგი მერჩულე“ პირვე-
ლი სტროფი ამ ლექსისა ა ნ დ ე რ ძ ი ი ა დ-
გ ა რ ი ს ა („გუნდნი იგი ზეცისანი“) ასეა
დაბეჭდილი (მოკვევას ფორტგრაფიული სიზუს-
ტით. იხ. გვ. 579):

ანდერძი იანდგარისა



გარეგნული
(16) 4 4 4 4 4 4

ბუნდნი იგი ზეცისანი შენ წმიდასა განწყობილნი
გიგალობენი
მე უღირსი შევიგრდები, რათა ვიყო მათ თანავე
შენგან უძაგ!

(4)
(16) 4 4 4 4 4
(4)

3. ბერძენს იგივე სტროფი ასე აქვს დაბეჭდილი (იხ. საქ. შეცნ. აკად. „მოამბე“, 1943 წ. ტ. IV, № 6, გვ. 591).

ბუნდნი იგი ზეცისანი
შენ, წმიდასა, განწყობილნი
გიგალობენი:
მე უღირსი შევიგრდები,
რათა ვიყო მათ თანავე
შენგან უძაგ.

განსხვავება 3. ბერძენს წაკითხვისა ჩემი წაკითხვისაგან მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მალაღი შიარის 16-მარცვლელი მეტრი ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი გვაქვს ერთ ტაქტად (4+4+4+4), ხოლო 3. ბერძენს ორ ტაქტად (4+4; 4+4).

მაგრამ ამით ვანა იცვლება ლექსის სტრუქტურა? რასაკვირველია, არა.

შეითხველს კარგად მოეხსენება, რომ თვით „ეფესოს-ტყაოსნის“ გამოცემაში მალაღი შიარის 16-მარცვლელი მეტრი ჩვეულებრივ იბეჭდება ერთ ტაქტად (4+4+4+4), მაგრამ არის გამოცემები (მაგ. გამოცემა 1927 წლისა), სადაც იგივე 16-მარცვლელი მეტრი იბეჭდება ორ ტაქტად (4+4; 4+4).

ანდა: დავით გურამიშვილის „დავითიანის“ გამოცემაში შიარის 16-მარცვლელი ასევე იბეჭდება ზოგჯერ ერთ ტაქტად, ზოგჯერ ორ ტაქტად. ასე, მაგალითად, დავითიანის შესანიშნავ გამოცემაში 1948 წლისა, რომელიც პროფ. ილ. ბარამიძეს ეკუთვნის, შიარის 16-მარცვლელი ყველა შემთხვევაში ორ ტაქტად არის დაბეჭდილი. მაგრამ არაფის დაუბრალებია პატივცემული მეცნიერისათვის, რომ მან დავით გურამიშვილის ლექსის სტრუქტურა შეცვალა და დაამხინჯა.

ამრიგად, როდესაც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ვითომც ჩემი და 3. ბერძენს წაკითხვა სხვადასხვაა, რომ ვითომც ერთი ამოთვანი სწორია და მეორე — „მედარი“, იგი ცდება, რასაკვირველია.

უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძეს, საერთოდ, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ლექსის ბუნებაზე. ამასი ჩემი შემდეგ დაერწმუნებდით.

თუ რამდენად ერკვევა ვერსიდიკაციის საკითხებში კ. კეკელიძე, ამისი მიჩვენებელია თუნდაც მისი „ზემოთ მოყვანილი განმარტება ლექსისა „ანდერძი იანდგარისა“ (აუნდნი იგი

ზეცისანი)“, სადაც იგი „ოთხ მარცვლიან, კლავზულა“-ზე ლაპარაკობს. კ. კეკელიძე, როგორც ვნახეთ, წერს: „პროფ. 3. ბერძენს მივანო ამ ნაწარმოებს მეტრს, დალაგე მისი ტაქტები ამ მეტრის მიხედვით და მიიღო საკმაოდ მუსიკალური ლექსი, რვა-მარცვლიანი სტრიქონებისაგან შემდგარი ოთხ-მარცვლიანი კლავზულით“.

რას ნიშნავს ეს გამოთქმა: „ოთხ-მარცვლიანი კლავზულით“?

კლავზულა, როგორც ცნობილია, აღნიშნავს მარცვალთა რაოდენობას მახვილის შემდეგ. შემოიყვანა ლექსში არც ერთი სიტყვა არ ქმნის ოთხ-მარცვლიან კლავზულას; ქართულ ენაში, როგორც ცნობილია, დაქტალები, ქორეული და ვაჟური მახვილებია, ამიტომ ქართულ ენაში საზოგადოდ არ არსებობს ოთხ-მარცვლიანი კლავზულა.

მაშ, საიდან მოიტანა აეტრომა და რა შეაშია აქ „ოთხმარცვლიანი კლავზულა“? კ. კეკელიძეს, ცხადია, უნდა თქვას: „ლექსი, რვა-მარცვლიანი სტრიქონებისაგან შემდგარი, ოთხ-მარცვლიანი მუხლით“. ეს კი სულ სხვაა. აქ მართლაც ოთხ-მარცვლიანი მუხლებია, კლავზულა აქ არაფერ შეაშია.

საწუხბარია, რომ ასეთ პრიმიტიულ ამბებზე გეობდება აქ საუბარი.



დავუბრუნდეთ ამის შემდეგ „ლაგიატობის“ საკითხს.

როგორც ცნობილია, ლექსი „ანდერძი იანდგარისა“ (აუნდნი იგი ზეცისანი) X საუკუნის ხელნაწერში გაბმით არის დაწერილი, ტაქტებად დაუყოფელია. კ. კეკელიძე, რომელიც შეგვო ამ ლექსს, ვერ გაერკვა ლექსის სტრუქტურაში; თავის „ლიტერატურის ისტორიაში“ იგი მას „იამბიკოს“ უწოდებდა და შეცდომით აღნიშნავდა, რომ აქ „არავითარი საზოგადო, უბრალო მარცვალთა რაოდენობაც დაცული არაა“

(იხ. კ. ყველიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 150).

1934 წელს თბილისის უნივერსიტეტის ენის ლიტერატურის და ხელოვნების ინსტიტუტში ჩვენ წაყვავებულ მოხსენება აგოგრაფიული პოემის „აბუჯურას“ შესახებ, რომელიც X საუკუნის ხელნაწერშია დაცული. ეს პოემაც გაბმით არის გადაწერილი ხელნაწერში, ამიტომ პროზაულ ტექსტად აუცილებელია: სინამდვილეში კი იგი ლექსად დაწერილი აღმოჩნდა. მოხსენებაში, ამ ვრცელი პოემის განხილვის დროს, მე შევეხე აგრეთვე სხვა პატარა ტექსტებსაც, რომლებიც დაცულია X საუკუნის ხელნაწერებში, მათ შორის ტექსტს „ანდერძი იადგარისა“ (აგუნდნი იგი ზეცისანი) და მივეთითე, რომ იგი შალაღი შირის პოლიმეტრის წარმოადგენს და ოთხმარცვლიანი მუხლებით არის დაწერილი (იხ. ამის შესახებ „ავიორგი მერაბული“, გვ. 703 და 579, შენ. I).

როგორც პოემა „აბუჯურა“, ისე ლექსი „ანდერძი იადგარისა“ ჩვენი შრომის „ავიორგი მერაბული“ დაბეჭდვამდე აღარ გამოგვიქვეყნებია. „ავიორგი მერაბული“ კი დაბეჭდვით ნაწილობრივ პოემიდან „აბუჯურა“ და სრულად ლექსი „ანდერძი იადგარისა“ (გვ. 579, შენ. I).

მართალია, ჩვენ არ გამოვიყვეყნებთ „ავიორგი მერაბული“ დაბეჭდვამდე ტექსტები პოემისა „აბუჯურა“, და ლექსისა „ანდერძი იადგარისა“, მაგრამ მათ შესახებ საუბარი გვაქვს ნაშრომში „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, რომელიც დაიბეჭდა ედვარდ „მნათობში“ 1939 წელს (№ № 1, 2, 4, 9, 10-11).

ამ ნაშრომს კ. ყველიძე და პ. ბერაძე, რასაკვირველია, კარგად იცნობენ.

კერძოდ, შესახებ ლექსისა „ანდერძი იადგარისა“ (აგუნდნი იგი ზეცისანი) დასახელებულ ნაშრომში 1939 წელს ჩვენ ვწერდით:

„ძველქართული ჰიმნოგრაფიის მემკვიდრეობაში ცალკეა აღნიშნავი პოეტური ძეგლები,

რომლებშიაც ჩვენ გვაქვს საერო პოეზიის გავლენა...

„საერო პოეზიის „შალაღი შირის“ მერტის გავლენით (შირის ოთხმარცვლიანი მუხლის დაცვის) — დაწერილია მე-10 საუკუნის ავტორის იოანე-ზოსიმეს ანდერძი ჰიმნოგრაფიული კრებულის „იადგარისა“ (იხ. „მნათობი“, 1939 წ. № 9, გვ. 136).

როგორც ვხედავთ, იქ მოცემულია ვასალები ლექსისა, მითითებულაა, რომ იგი „ოთხმარცვლიანი მუხლის დაცვით“ არის დაწერილი. ამის შემდეგ, ცხალა, ყველას შეეძლო მისი ლექსად დაბეჭდვა.

მაგრამ ეს ცოტაა. 1939 წელს დაბეჭდილ ნაშრომში არა მარტო მოცემულია ვასალები, არამედ მოყვანილი გვაქვს ამ ტექსტიდან ციტატა ლექსად.

ვხედავდით რა იოანე-ზოსიმეს ლიტერატურულ მოღვაწეობას, 1939 წელს ჩვენ ვწერდით:

„იოანე-ზოსიმეს ლიტერატურული ინტერესები მრავალმხრივია.

ასე, იოანე-ზოსიმე, როგორც აღნიშნეთ, გამოჩენილი პოეტი ჰიმნოგრაფი იყო...

„ერთ-ერთი ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“ სრულდება იოანეს ანდერძით, რომელიც დაწერილია საერო პოეზიის ტრადიციული მერტის გავლენით, ოთხმარცვლიანი მუხლის დაცვით. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ იოანესთვის საერო პოეზიის ტრადიციებიც არ ყოფილა უცხო.

„იოანე ამავე დროს, ჩანს, მუსიკოსიც ყოფილა. სინას შიის ხელნაწერთა კოლექციონში მოიპოვება საგალობელთა ერთი კრებული, გადაწერილი იოანეს მიერ, სადაც ჰიმნების ტექსტთან ერთად ნაჩვენებია მათი საგალობელთა ხმები, აღნიშნული თავისებულებით ნოტო ნიშნებით (ეგრეთწოდებული ნეემებით). ჰიმნების მეორე კრებულის „იადგარის“ ანდერძში იოანე საგანგებოდ აღნიშნავს კიდევ, რომ ჰიმნების დანიშნულებაა სიტყვებისა და მუსიკის — „გალობისა ხმებისა“ მერთა

„რათა ჩვენცა ვიხარებდეთ — შევიერად დატუბობილინ ბმთა მათთა სიმრავლითა, ვაღობითა ბრწუნივადითა...“

(იხ. „მნათობი“, 1939 წ. № 10-11, გვ. 238).

ეს ციტატა ლექსად მოყვანილი გვაქვს სწორედ ამ ლექსიდან „ანდერძი იადგარისა“ — (აგუნდნი იგი ზეცისანი).

უფრო გვიან, 1943 წელს, პ. ბერაძემ გამოაქვეყნა ლექსი „ანდერძი იადგარისა“ აგუნდნი იგი ზეცისანი“ (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მთაბე“, 1943 წ., ტ. IV, № 6, გვ. 591). მას დაივიწყდა მხოლოდ აღნიშვნა, რომ ეს ლექსი ჩემ მიერ არის ამოხ-

სნილი. მკითხველმა შეადაროს ფოტო 1939 წელს ჩემ მიერ დაბეჭდილი ლექსითი ციტატისა და მისი პარალელური ადგილი პ. ბერაძის 1943 წელს დაბეჭდილში. როგორც მოხსენებული გვექონდა, ტექსტი მერტულად იდენტურია, სხვაობა მხოლოდ გრაფიკული ხასიათისაა: 16-მარცვლოვან ლექსს მე ვბეჭდავ ერთ ტაქვად (4+4+4+4), პ. ბერაძე ბეჭდავს ორ ტაქვად (4+4; 4+4).

ჰიმნების მეორე კრებულის „იადგარი“-ს ანდერძში იოანე საგანგებოდ აღნიშნავს კიდევ, რომ ჰიმნების დანიშნულებაა სიტყვებისა და მუსიკის „გაჯალბებისა ხმებისა“ შერთვა —

„რათა ჩვენცა ვიხარებდეთ — შევნიერად დატბობილინი ხმათა მათთა სიმრავლითა, გალობითა ბრწყინვალითა...“

(ფოტო: ციტატი ლექსიდან „ანდერძი იადგარისა“ პ. ინგოროყვას „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში“, შტრნ. „მნათობი“, 1939 წ., № 10—11, გვ. 238).

**რათა ჩვენცა ვიხარებდეთ
შევნიერად დატბობილინი
ემათა მათთა სიმრავლითა,
გალობითა ბრწყინვალითა,**

(ფოტო: ივანე ტექსტი, პ. ბერაძის მიერ დაბეჭდილი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „შოამბე“, 1943 წ., ტ. IV, № 6, გვ. 591).

ასეთია ამ საკითხის ისტორია.

მე არ მინდა ვიფიქრო, რომ პ. ბერაძემ ეს შეგნებულად ჩაიდინა.

არაა გამორიცხული, რომ პ. ბერაძეს გადაეფიქრა ჩემი მოხსენებაც 1934 წლისა, ჩემი წერილიც 1939 წლისა, და ხსოვნაში ჩაჩვენოლი, მოსმენილი და წაკითხული, შემდეგ თავისად მიიჩნია. ასე ხდება ზოგჯერ.

ყოველ შემთხვევაში, მე ავტორიტეტულად მოგვამეტი პ. ბერაძეს როდესაც მე „გიორგი მერჩულეში“ დაბეჭდულ ლექსი „ანდერძი იადგარისა“, არაფერი მითქვამს პლაგიატზე, არ მიხსენებია პ. ბერაძე, და მხოლოდ ყრულ აღუნიშნე, რომ ამ საგანზე საუბარი მქონდა 1934 წლის მოხსენებაში.

მაგრამ ჩემი დუმილი, როგორც ვნახეთ, ბორკლად იქნა გამოყენებული.

გადავიდეთ ამის შემდეგ მეორე ანალოგიურ ამბავზე.

იგი კიდევ უფრო „სახლამრთა“, — ტ. კამე-ლიძის გამოთქმა, რომ გავიშეორით.

ძველ-ქართული ლექსითწყობის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა მქონდა ომიროსის ილიადადან ლექსად დაწერილი ციტატის აღმოჩენას მე-6—7 საუკუნის ძველ-ქართულ ძეგ-ლში პაროკომის მარტვილობაში.

ვოდრე ამ ფაქტის დადგენამდე ქართული კლასიკური ლექსის ფაქტურს ნიმუშად ითვლე-ბოდა ფილიპე ბეთლემელის ლექსი „ფესვთა მათგან ოჭროვანთა“, რომელიც მე-10 საუკუნეს ეკუთვნის. ხოლო ამ ფაქტის დადგენის შემდეგ ქართული კლასიკური ლექსის თარიღი მთელი ოთხი საუკუნით უკან გადაიწია.

პაროკომის მარტვილობა ჩვენი შესწავლის საგანი იყო 1929 წელს, როდესაც ვმუშაობ-

დით გამოკვლევაზე „ძველ ქართული წარმარ-თული კალენდარი“. ამ გამოკვლევაში ჩვენ სპეციალური ექსტრისი ვუძღვევით პაროკომის მარტვილობის ტექსტის ქრონოლოგიურ საკითხებს (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, „საქართველოს მუზეუმის შოამბე“, ტომი VII, 1931—1932, გვ. 261—274).

ამ დროსვე დაეადგინეთ. რომ პაროკომის მარტვილობაში არის ციტატი ილიადადან, შესრულებული ლექსად, ოც-მარცვლე-ლი მეტრით (ბისტრიკურის საზომით). კერძოდ, ერთ ხელნაწერში (H — 535) ლექსის მეტრი გამოვლენილია მეტრული პენტეტაქთით, ყოველი საღვქმო მუხლის წერტილებით გამოყოფით.

შას შემდეგ, 1937 წელს, ჩვენს გამოკვლევა-ში „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეშვიდრეობა“, რომელიც შოთა რუსთაველის სხელობის ინსტიტუტის საიუბილეო „რუსთა-ველის კრებულში“ დაიბეჭდა (კრებული 1938 წელს გამოქვეყნდა), ჩვენ შემდეგს ეწერლით ომიროსის ილიადადან ლექსით შესრულებულ ციტატებზე მე-11 საუკუნის ქართულ მწე-რალთან ეფრემ მციარესთან და მე-6—7 საუკუნის ძველ-ქართულ ტექსტში — „პაროკომის მარ-ტილობაში“:

„ეფრემ მციარისეულ აელინთა მებ-ლამრეობაში... მე-17 თბრობა პირველი ტექს-ტისა საგანგებოდ არის მიძღვნილი „ცხენისა მისთვის, რომელმან განზექნა საკრეკლი“, სადაც საუბარია დიომიდზე (ილიადის გმირზე). ეფრემ მციარეს აქ მოჰყავს ციტატი ომიროსი-დან ლექსად („მარაცვლელი სიტყვით“). ამ სათანადო ტექსტი:

„უმიროს გამომეტყველსა, ენება რა გამოჩინებამ საძახილისა და მხურვა-

ლებსაჲ, რომელი აქნდა დიოზიდის ბრძოლათა შინა, იგავით მიამსგავსა იგი

იროას და გამოთქვა მისთვის სიტყვა მარცვლდ მარცვლდ მარცვლდ მარცვლდ მარცვლდ

„ამის ვისიმე || დგომა ცხენისა || სასწენელ იქნა || ზავათა ზედა“.

იხ. ხელნაწერი საქ. მუზეუმისა, A — 109. ილიადა VI, 506. ჰექსამეტრი თარგმნილია ოც-მარცვლელი ლექსით (ოთხმუხლოვანი ხუთეულით: 5+5+5+5).

„ასლანიშნავია, რომ არა მარტო ვფრემ მცირის ამ მც-11 საუკუნის ტექსტში, არამედ უძველეს ხანაშიაც, პროკოპის მარტვილობის მე-7 საუკუნის ტექსტ-

ტში, ომბროსის ჰექსამეტრი გადმოცემულია იმავე საზომით, ოც-მარცვლელი ლექსით (ოთხმუხლოვანი ხუთეულით).

მოგვეყავს ციტატი მე-8 საუკუნის ამ ქართული ტექსტიდან:

„და პირველთა მათ ომერთოსისთა წარმოიღებდა სტიქონთა [სტიქონი — სალქსო ტაბი] და თქეთ:

„არა კეთილ არს || მრავალ-უფლებამ, || ერთ უფალ იყავნ || და ერთ მეუფმ“.

ილიადა, II, 204. იხ. ხელნაწერი საქ. მუზეუმისა A—95, გვ. 593, H—535, გვ. 176“.

(იხ. პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეგვიდრეობა, გვ. 52).

კ. კეკელიძე ამ ჩვენს გამოცეცვას კარგად იცნობს, რადგან სათუბილეო „რუსთაველის კრებულში“, სადაც იგი დაიბეჭდა, ჩვენი საერთო რედაქციითაა გამოცემული და ორივეს მიერ ხელმოწერილი.

პროკოპის მარტვილობაში დაცულს ომბროსის ტექსტს, რომელიც ძველ-ქართული სალქსო საზომით — „ბისტიკაურით“ არის შესრულებული, ჩვენ ევხებით აგრეთვე სხვა ნაშრომებში („ძველ-ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მახოხილეა“, „შინათობა“, 1939 წ. № 4, გვ. 99—100, „ვიორე მერწულე“, გვ. 561).

აქ საქობრა მოვიხსენოთ, ამასთან, რომ უძველესი ხანის, მე-6—7 საუკუნის ლექსითი ტექსტის აღმოჩენამ, შით უმეტეს, ომბროსის სახელთან დაკავშირებულმა, ცხოველი ისტერესი გამოიწვიდა მეცნიერებებში და ამ საკითხს შეეხებინათ თავის ნაშრომებში ავად. ავაკი შინაძე („ბისტიკაურის ისტორიისათვის“, ლიტერატურული ძიებანი, II, გვ. 5—14), პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი (ბერძნული ლიტერატურის ისტორია I), ავაკი გაწერილია (ქართული კლასიკური ლექსი).

მოთქმა „სტიქონი“ ანუ „სტიქონი“ ნიშნავს ლექსს, versum¹, და წერს შემდეგს:

„ოთხულება საყურადღებოა ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით ამ მხრივაც, რომ იმაში მოხსენებულია დიდი ჰომბროსი და მოყვანილია შთელი „სტიქონი“ ან „სტიქონი“, ესე იგი ტაბი მისი“.

(იხ. გვ. 111). არსად არაერთაა სხვენება იმის შესახებ, თუ ვის მიერაა ეს ლექსი (versum) აღმოჩენილი პროკოპის მარტვილობაში, ვისმიერაა დადგენილი მისი ლექსითი ხასიათი და მერტული სტრუქტურა!

იქნებ ეს კ. კეკელიძემ არ იცოდო ეს გამოიტყულო. როგორც მოვიხსენეთ, „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეგვიდრეობა“, სადაც ამ საგანზე გვაქვს საუბარი, დაიბეჭდა სათუბილეო „რუსთაველის კრებულში“, რომელიც ჩვენი საერთო რედაქციითაა გამოცემული და ორივეს მიერ ხელმოწერილი. ანდა ავაკი შინაძის „ბისტიკაურის ისტორიისათვის“ დაბეჭდილია „ლიტერატურული ძიებანი“-ს მეორე ტომში, რომელიც კ. კეკელიძისადმი არის მიძღვნილი (ავაკი შინაძის წერალი ხსნის ამ ტომს).

ამრიგად, ჩვენ შეუძლებელია დავთვით არცოდნა...

1946 წელს გამოვიდა კ. კეკელიძის კრებული „ქართული აგიოგრაფიული ძეგლები“ (კოშენი II), სადაც მან დაბეჭდა პროკოპის მარტვილობის ტექსტი. გამოცემისათვის გამოყენებულია ხელნაწერები A—95 და H—535, რომლებიც მე შავს მითითებული (იხ. „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1931 — 1932, გვ. 262 — 264, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეგვიდრეობა, გვ. 52).

კ. კეკელიძე ტექსტის გამოცემის თავში ურთავს მოკლე, ოთხგვერდიან ნარკვევს, სადაც, კერძოდ, განმარტავს პროკოპის მარტვილობის ლექსიკას და აღნიშნავს, რომ ამ ტექსტში გა-

კ. კეკელიძის მიერ გამოცემული პროკოპის მარტვილობის ტექსტი, თარგმანის დართვით, გამოაქვეყნა ცნობილმა ვერაქელმა მეცნიერმა ევარარ გარიბამ ფილილოგიურ ჟურნალში Muséon, 1953 წელს, ტ. 66 (La version géorgienne de passion de S.—Procope, par Eusébe).

ამის შემდეგ პროკოპის მარტვილობის ძველ-ქართულ ტექსტში დაცული ომბროსის ლექ-

1 ე. ი. ისევე, როგორც ეს გვაქვს განმარტებული „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეგვიდრეობაში“: „სტიქონი — სალქსო ტაბი“; იხ. აქვე, ზემოთ.

სითი ციტატი მინწეული ხდება ევროპის მეცნიერებაში, როგორც კ. კეკელიძის მიკვლევა.

ასე, მ. თარხნიშვილასა და იულიუს ალფლავის შრომაში *Geschichte der kirchlichen georgianischen Literatur* (1955 გვ. 459) აღნიშნულია: „უძველესი წერილობითი გადმოცემული ნიმუში ქართული პოეზიისა, რისაკვირველია, შინა-ხულია პროკოპის მარტილოპის მე-6-7 საუკუნის ვერსიაში“ და მითითებულია წყარო: კ. კეკელიძე, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები (კიმენი, II), და კ. კეკელიძის ტექსტის განმეორება ვერარ ვარტის მიერ (*La vers on georgienne de la passion de S. — Procope, Musée t. 66* (1953), 250, n. 50).

თუ როგორი ინტერესი გამოიწვია ომბროსის ძველქართულმა ფრაგმენტმა, ეს ჩანს წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა საერთაშორისო ფილოლოგიურ კერძალში *Muséon t. 68*, 1955 (გვ. 376, შდ):

„ჩვენ საჭიროდ ესთვლით საგანგებოდ გავამახვილოთ ყურადღება ერთ პასაჟზე პროკოპის მარტილოპისა; მხედველობაში გვაქვს ლექსი ილიადან II, 204... უნდა დავეთანხმეთ, რომ ამ ლექსის არსებულ თარგმანათა შორის ქართული ვერსია ყველაზე მეტად უახლოვდება ბერძნულ დედანს. რათა დავრწმუნდეთ ამში, საკმაოა გადავთვლიეროთ კოლაფია, რომელიც წარმოდგენილი აქვს ბნ ვარტის 257 გვერდზე, შენ. 42... ქართველმა (ძველ-ქართულმა მწერალმა) მოგვცა მისი (ილიადის ტექსტის) ვერსიისტიკურება 20-მარცხლელი ლექსით... ეს ლექსი, ასე საუცხოოდ ჩაოქნილი, იყოფა ორ თანაბარ 10-მარცხლიან ნახევარ-ტიკებად, რომელთაგან თითოეული განიცეფება ცეზურით, რაც გრაფიკულად ასე შეიძლება გამოიხატოს: 5/5 || 5/5.“

საქმე ამით არ სრულდება.

კ. კეკელიძემ არა მხოლოდ მიჩქმალა და გათმეორე სტეისი ნარკვევი ქართული ლექსის უძველესი ტექსტის შესახებ, არამედ გაიმეორა ამ ტექსტის დათარიღება, რომ იგი ეკუთვნის ხინას არა უგვიანეს მე-7 საუკუნის დასაწყისისა.

საიდან მომდინარეობს ამ ტექსტის ასეთი მკვიდრი, ურუვეი დათარიღება?

იგი მომდინარეობს ჩვენი შრომიდან — „ძველქართული წარმართული კალენდარი“.

ჩვენი დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს ამ შრომის გამო, რომ იგი იძლევა „უძველესი ძეგლების შეუმდებარად გამოყოფის სრულ შესაძლებლობას“. ივ. ჯავახიშვილი შემდეგ წერს ამ საგანზე:

„ქართული დამწერლობისა და მწერლობის უძველესი, „ხანმეტად“ სახელდებული, ხანის 1923 წელს და შემდეგშიც აღმოჩენილმა

ძეგლებმა, ისევე როგორც „საქმეტმა“ ძეგლებმა, მეცნიერებას ქართული ტენსის მსტარებისათვისაც საყრდნობი შესძინა. მხოლოდ მისი და ინიტორი უაღრესად საინტერესო გზის გამკვლევი მონოგრაფია „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“ (საქ. მეზეუმის მოამბე“. ტომი VI, 1929—1930 წწ., გვ. 373—446, ტომი VII, 1931 — 1932 წწ., გვ. 260 — 336) საშუალებას გვაძლევს დაუთარიღებელ მერმინდელ ხელნაწერებში დაცულ ძეგლთა შორის ქართული მწერლობის უძველესი ხანის ნაწარმოები გამოვყოთ. (ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისა). ცნობილია რომ წინათ მე-10 საუკუნეზე უწინარესი ხინის ქართული ენის ნაშანდობლივი თვისებებს გამოსარკვევად დასაყრდნობი ცოტა გვექონდა და მტკიცე საფუძველიც გვაკლდა, ახლა ხანმეტი პალიმფსესტების წყაიხება, და უძველესი ძეგლების შეუმდებარად გამოყოფის სრული შესაძლებლობა, ქართული სამწერლობო ენის ისტორიული გრამატიკის შედგენასაც საგრძნობლად აადვილებს“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავასიური ენების თაედარიული ზუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 80).

საიუთხავია, რის მიხედვით იქნა მდწეული „უძველესი ძეგლების შეუმდებარად გამოყოფის სრული შესაძლებლობა“?

საქმე შემდეგში მდგომარეობს.

ჩვენი შრომაში — „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“, სხვა საკითხებთან ერთად, კერძოდ დადგენილი გვაქვს ქრონოლოგიური მიჯნები, — თუ როდის იყო ხმარებაში ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, რომელი შემოიღო ხმარებაში რომელი კალენდარი, თუ რა ხნის მანძილზე განავრტობენ ეს ორი კალენდარული აღრიცხვა მარალღებურ არსებობას და რა დროიდან საბილოოდ მკვიდრდება რომელი კალენდარი. ამან მოგვცა საშუალება, კალენდარული მარვენებლების მიხედვით, ზუსტად დაგვეთარიღებინა რამდენიმე ბიბლიური ტექსტი, 16 პავიოგრაფიული მოთხრობა (მათ შორის პროკოპის მარტილოპა) და ორი ეგზეგეტური ტექსტი (იხ. დასახელებული ნაშრომი).

კ. კეკელიძემ იმეორებს პროკოპის მარტილოპის ჩვენს დათარიღებას, და არა მარტოდ თარიღებებს, არამედ იმეორებს თვით სათარილო პრინციპს, ემყარება საკალენდარო მანვენებელს. მაგრამ არავითარი მითითება არა აქვს მის შესახებ, რომ ეს თარიღი, და თარიღთან ერთად თვით სათარილო პრინციპი, ჩვენ მიერა დადგენილი.

მაგრამ არც ამით სრულდება საქმე.

„ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარში“ ჩვენ ვუძღვინით ვრცელი ნარკვევი პროკოპის

მარტილობაში წარმოდგენილ თარიღებსა და კალენდარულ ტერმინოლოგიას.

რომ ნათელი იყო ზოგიერთი ქვემოთ-წარმოდგენილი დასკვნა, ჩვენ აქ მოვიხსენებთ ჯერ მოვიყვანოთ ვრცელი ამონაწერი ამ ნარკვევიდან, რომელიც ეხება ტერმინს „ა მ ი“, (რომელიც, როგორც ირკვევა, უძველესი წარმომავლობის კალენდარული ტერმინია, მთავარის კალენდარიდან მიმდინარე, და უღრის რომაული კალენდარის ტერმინს idus). მკითხველს, ვფიქრობთ, არ დაგვემღერება ამ ვრცელი ამონაწერის მოყვანის გამო, რადგან საკითხი თავისთავად არაა მოკლებული ინტერესს.

იი ეს ამონაწერი ჩვენი შრომიდან „ძველქართული წარმართული კალენდარი, რომელიც პროკოპის მარტილობის თარიღებს ეხება (იხ. გვ. 262 — 269):

„პროკოპის მარტილობის შესავალში ვკითხულობთ:

„წელსა პირველსა დევნულებისა ჩუენისისა, უწინარეს რვისა დღისა ქუელთობისისა.

მოთხრობის ბოლოში ეს თარიღი უფრო სრულად, შემდეგის სახით არის გადმოცემული:

«დღე ოთხშაბათი იყო, მერვე [უწინარეს] ქუელთობისა, უწინარეს რვისა ეამთა იულისისათა — რომელსა პრქვან პრომაებრ, პირველსა წელსა ჩუენისა დევნულებისისა».¹

რომ შესაძლო გახდეს ამ თარიღების განმარტება, საჭიროა შევხებით პროკოპის მარტილობის უცხოურ ვერსიებს.

პროკოპის მარტილობა — ბერძნულს, ლათინურს და აღმოსავლურს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ჩვეულებრივ მიეკუთვნება იულისის თვის (8-ს ან 7-ს რიცხვს) და მხოლოდ ორს ვერსიაში (ერთ ასურულ ტექსტში და ევსები კესარიელის მოთხრობაში) იუნისის თვის, 7 რიცხვს. (იხ. Acta Sanctorum, Iulii II (die octava Iulii). — Bruno Violet, Die Palästinischen Märtyrer des Eusebius von Caesarea, Lpz. 1896. — Сергий, Полный месяцеслов Востока, ნაწილი II, გვ. 259—260).

ფიქრობენ, ზოგიერთ მოსაზრებათა გამო, რომ იუნისის თვე, რომელიც გვხვდება ზემოთ-დასახელებულ ორ ვერსიაში, წარმოდგენს შემდგომგარინდელ გადაწერტა უბრალო შეუღობის იულისის ნაცვლად (იხ. იგივე წყაროები). მაგრამ ამის განხილვაში აქ არ შევდივართ, და ჩვენი საერთოხსათვის ეს არც არის საჭირო; ქართულს დედანში, როგორც ვნახეთ, პირდა-

პირ დასახელებულია იულისის თვე, და მისთანადამე ქართული მოთხრობა, ამ შემთხვევაში უღებება ჰაგიოგრაფიული ძეგლებს, იმ უმრავლესობის, რომლებიც პროკოპის წამების თარიღად იულისის თვის უჩვენებენ.

ამას გარდა, როგორც აღნიშნეთ, მცირეთოდენი შერყუბაბა თვის რიცხვში. ჰაგიოგრაფიული ძეგლების უმრავლესობა აღნიშნავს 8 იულისს, ხოლო უფრო იშვიათად გვხვდება 7 იულისი. (იხ. იგივე წყაროები).

გადავიდეთ ამის შემდეგ, ქართული მოთხრობის თარიღების განმარტებაზე. ქართულ მოთხრობაში, როგორც ვნახეთ, თარიღი თრნაირად არის აღნიშნული:

ქართულის სათვალავით: „უწინარეს რვისა დღისა ქუელთობისისა“ (მოთხრობის შესავალში და მოთხრობის ბოლოს).

რომელის სათვალავით: „უწინარეს რვისა ეამთა იულისისათა, რომელსა პრქვან პრომაებრ“ (მოთხრობის ბოლოს).

ჯერ რომაული თარიღის განმარტებას წარმოვადგენთ.

მკითხველს, რომელიც არაა გაცნობილი ძველ კალენდარის ტერმინებს, შესაძლოა უცნურად ეჩვენოს ეს ფორმულა: „უწინარეს რვისა ეამთა იულისისათა, რომელსა პრქვან პრომაებრ“.

ძველ-რომაულ კალენდარში, როგორც ცნობილია, მიღებული იყო „უწინარესობით“ აღრიცხვა თვის გარკვეული დღეებიდან, რომელთაც ეწოდებოდა: კალენდები, ნონები და იდები.

კალენდები — Calendae (—ეს სიტყვა შემოსულია ქართულშიაც, ფორმით: „კალენდა“) — ნიშნავდა ყოველი თვის 1 რიცხვს.

ნონები — Nonae — უწევდა თვის 5-სა და 7-სა რიცხვებში (სხვადასხვა თვეში სხვადასხვანაირად).

იდები — idus — უწევდა თვის 13-სა და 15 რიცხვებში (სხვადასხვა თვეში სხვადასხვანაირად).

ამ თარიღებიდან სწარმოებდა „უწინარესობით“ აღრიცხვა.

ასე, მაგალითად, რიცხვი 25 იუნისი აღნიშნებოდა ამრიგად: „უწინარეს 7-ისა კალენდათა იულისისათა“;

რიცხვი 9 იუნისი ამ-რიგად აღნიშნებოდა: „უწინარეს 5-ისა იდთა იულისისათა“.

რიცხვი 2 იუნისი აღნიშნებოდა ასე: „უწინარეს 4-ისა ნონათა იულისისათა“.

ეს აღრიცხვა კალენდა — ნონა — იდებით, რომელიც ძველ ეპოქაში იყო მიღებული, თანდათან გამოდის ხმარებიდან საშუალ-საუყენთა დასაწყისში, და მის ნაცვლად ვრცელდება ჩვეულებრივი აღრიცხვა (ე. ი. იმჯვარი, როგორც ეს ხლაა მიღებული: 1 იანვარი, 2 იანვარი და სხვა). ხოლო იმ შემთხვევაში, რო-

¹ სქოლიოში ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ვრცელი სპეციალური ექსკურსი, ტექსტულურთა ანალოზი წაკითხვებისა, რომელთაც შეიცავენ ძველ-ქართული ხელნაწერები H—535 და A—95. — ეს სპეციალური ექსკურსი აქ აღარ მოგვყავს).

დესაც ამ უფრო გვიან ხანაში ხმარობენ ძველებურს კალენდა — ნონა — იღების ფორმულებს, მას ზვეულებრივ უმატებდენ ხოლმე ასეთს სტერეოტიპულ ფრაზას: „რომელსა პრქვიან პრომაებრ“ (ე. ი. როგორც ეს ითქმის რომაულად, ლათინურად); მაგალითად:

„Sep ima Iulii mensis, quae Nonas Actias dicitur apud Latinos“ (იხ. Actia Sanctorum, Iulii, II, გვ. 576).

რომაული კალენდარის ფორმულა „უწინარესობით“ აღრიცხვისა კალენდა — ნონა — იღების ჩვენ გვხვდება ლათინური (პრომაულა) მწერლობის გარეშეც, მაგალითად, ბერძნულ ლიტერატურაში და აქაც ასეთ ფორმულას ზვეულებრივ დაგმატებოდა ხოლმე იგივე სტერეოტიპული ფრაზა: რომელსა პრქვიან პრომაებრ“. მაგალითად: *επι δε των εν μηνι Ιουλιαν λεγειται αν παρ εν Ρωμαϊαις* „უწინარეს 7-ისა იღთა იელისისათა, რომელსა პრქვიან პრომაებრ“.

ახლანდელმა, რომ რომაული ფორმულა „უწინარესობით“ აღრიცხვისა, სტერეოტიპულ ფრაზის დამატებით: „რომელსა პრქვიან პრომაებრ“ ჩვენ გვხვდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებშიც; ასე მაგალითად პავლეს ეპისტოლეთა ძველ-ქართული ტექსტის შესავალში ჩვენ ვკითხულობთ: „მარტივობად პავლე მოქცევისა... რომელსა პრქვიან პრომაებრ — უწინარეს სამთა კალენდათა იელისისათა“ (იხ. ხელნაწერები S—407, გვ. 31, S—1138, გვ. 4).

დაუბრუნდეთ ამის შემდეგ ჩვენ ტექსტს. პროკოპის მარტივობა, როგორც აღნიშნეთ, ასეა დათარიღებული:

„უწინარეს რვისა ეამთა იელისისათა, რომელსა პრქვიან პრომაებრ“.

ტექსტი, როგორც ვხედავთ, ძველი რომაული კალენდარის ზვეულებრივს ფორმულას შეიცავს და მისი საერთო წყობა ვასაგებია. აქ მხოლოდ გამოსარკვევი რჩება, თუ რას ნიშნავს ტერმინი „ეამთა“.

„ეამთა“ მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელი ხდება ქართული მოთხრობის უცხოური პარალელების მიხედვით.

უშუალო დედანი, საიდანაც თარგმნილია პროკოპის მარტივობის ტექსტი, თუმცა ცნობილი არაა, მაგრამ ზოგ უცხოურ ევრსიაში შენახულა თარხის ფორმულის იმნაირი ზესტი შეხვედრა, რაც გვიჩვენებს, რომ ქართული და ზოგიერთი უცხოური ევრსია ერთი და იმავე პირველწყაროსაგან არიან დამოკიდებული, ვესლება კესარიელის მოთხრობაში ჩვენ გვაქვს შემდეგი თარიღი:

...επι δε των εν μηνι Ιουλιαν (-) Ιουλιαν λεγειται, αν παρ εν Ρωμαϊοις, ημαρ εν ετη: ομηροσ των τον επι Καοαρίας ης Ηλαστων... ομαρον“

(ე. ი. „უწინარეს 7-ისა იღთა < იელისისათა — > იელისისათა — რომელსა პრქვიან პრომაებრ, დღესა მეოთხესა შაბათისა, პრქვიან რომელსა ჩვენისა დვეულებისასა, ესე პირველი ნიშანი აღესრულა პალესტინის კესარიასა შინა“ (იხ. Bruno Violet, Die Palästinschen Märtyrer კვრად „იელისის“ და „იელისის თვეების შენაქვების შესახებ იხ. ზემოთ).

შეადარეთ ამ ბერძნულ ორიგინალს ქართული მოთხრობის ტექსტი:

„დღე ოთხშაბათი იყო... უწინარეს რვისა ეამთა იელისისათა — რომელსა პრქვიან პრომაებრ, პირველსა წელსა ჩვენისა დვეულებისასა, ესე პირველად პოეს ტესარისა წამება“.

ამაგაა, რომ ორივე ტექსტი, ბერძნული და ქართული, ერთსა და იმავე პირველწყაროს იმეორებს: ორსავე ტექსტში გვხვდება „ოთხშაბათი“, უწინარესობით აღრიცხვა, გამოთრებულია სტერეოტიპული გამოთქმა — „რომელსა პრქვიან პრომაებრ“ და სხვანი. განსხვავებაა მხოლოდ რიცხვში: ქართულში ნახევნებია 8 რიცხვი, ხოლო ევსების ტექსტში 7; მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და ცხადია ეს სხვაობა გადაწყვირის შეცდომას წარმოადგენს ან ქართულში ან ბერძნულში. (რაც სიტყვამ მოიტანა, აღნიშნავთ, რომ ქართული დედნის რიცხვი 8 საუქარებელია უფრო სწორი უნდა იყოს, რადგან იგი უდგება პაგიოლოგიურ ძველთა უმრავლესობის ზვეუებას).

ამრიგად, ჩვენ მოგვეპოება ქართული ტექსტის უშუალო პირველწყარო, და ამის თანახმად ქართული დედნის ფორმულა — „უწინარეს რვისა ეამთა იელისისათა“ უღრის ბერძნულ — რომელსა: „უწინარეს რვისა იღთა იელისისათა“. „ეამთა“ უღრის „იღებს“.

ისტორია ტერმინისა იდუსი (Idus) ასეთია. Idus, როგორც ირკვევა, ხმარებაში შემოსულა ამ უძველეს ხანაში, როდესაც კერძოდ არ იყო შემოღებული მზის უძრავი კალენდარი და ღრის აღრიცხვა მთვარის მოქცევასთან იყო შეფარებული. Idus თავდაპირველად აღნიშნავდა მთვარის და მთვარის თვის თვის. (იხ. A. Walde, Lat. Etym. Wört. s. v. Idus).

მთვარის კალენდარში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მთვარის გავსებას, რადგან მთვარის თვის შუა რიცხვს ადგენდნენ და ამოწმებდნენ იმის მიხედვით, თუ როდის გაივსებოდა მთვარე. (ღრო მთვარის დაბადებიდან ვიდრე გაესებამდე ეს არის მთვარის თვის პირველი ნახევარი, ხოლო ღრო მთვარის ვაგსებიდან ვიდრე მისი ცხრომის ბოლომდე — ეს არის თვის მეორე ნახევარი). ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელსაც წარმოადგენდა ეს თა-

რლი მთვარის კალენდარის აღრიცხვის წარმოების დროს, Idus სპეციალურად დარქმეულია მთვარის გაკესებას და მთვარის თვის შუა რიცხვს.

შემდეგ, როდესაც მთვარის კალენდარის ნაცულად მზის უძრავი კალენდარი იქნა შემოღებული, ეს ტერმინი Idus ახალ კალენდარსაც შეერა როგორც terminus technicus და აღნიშნავდა ცნებას: თვის შუა რიცხვი.

ამის შემდეგ ჩვენ შევხვებით ისტორიის ქართული ტერმინისა: „ეამი“.

პირველი მნიშვნელობა ტერმინისა „ეამი“ დღემდე გამოერკვეული იყო. ტერმინი „ეამი“ ჩვენ გვხვდება როგორც დედა-ქართულში, ისე ქართულის ენა-კავებში, მეგრულსა და ქანურში¹.

ტერმინი „ეამი“ ქართულში ნიშნავს დროს და ვიწრო მნიშვნელობით — საათს. ასეთი მნიშვნელობა ტერმინისა „ეამი“ („დრო“ და „საათი“) დამოწმებულია ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში — დაბადებაში, სახარებაში, შუშანიკის მარტვილობაში, და მამასადამე მე-5 საუკუნეზე უწინარეს დრომდე აღწევს.

მაგრამ პირველი მნიშვნელობა ტერმინისა „ეამი“, ჩანს, სხვა ყოფილა. იგი თავდაპირველად აღნიშნავდა მთვარის თვეს, ე. ი. 30-დღიან წრეს. ამის შესახებ დატულია მკაფიო საგულისხმო ვადანამთი ძველ-ქართულ კალენდარო ტრაქტატში A—38.

აქ ჩვენ გვხვდება ასეთი ცნობები:

პირველი ცნობა: „მარტისა ოცსა განისწორნიან დღენი და ლამენი... აწ იწყო ჯობნებად დღემან ლამესა ოთხმოც-და-ათერთმეტ დღე, რომელ არს სამ ეამ და ერთ დღე“.

მეორე ცნობა: „იენისსა ათცხრამეტსა... იწყო უეუმოლებად ლამემან დღისაგან ოთხმოც-და-ათერთმეტ დღე, რომელ არს სამ ეამ და ერთ დღე“.

მესამე ცნობა: „სეკდენებრსა ათრამეტსა განისწორნიან დღენი და ლამენი. აწ იწყო ჯობნებად ლამემან დღესა ოთხმოც-და-ათერთმეტ დღე, რომელ არს სამ ეამ და ორ დღე, ვიდრე დეკემბრის ათცხრამეტამდე“.

ამრიგად, 91 დღე უდრდა 3 ეამსა და 1 დღეს, ხოლო 92 დღე სამ ეამსა და 2 დღეს. მამასადამე „ეამი“ აღნიშნავდა ზედმიწევნით 30-დღიან წრეს, ე. ი. მთვარის თვეს.

ცხადია, ტერმინი „ეამი“ ასეთი მნიშვნელო-

ბით, 30-დღიანი წრის აღსანიშნავად, უძველესი ხანის ნაშთი და ეს ტერმინი შეერკვეულია მთვარის კალენდარიდან. ხოლო დღევანდელი მნიშვნელობის მთვარის კალენდარის სათვალავის ერთ-ერთ ძირითადს საფუძველს წარმოადგენდა, როგორც აღენიშნეთ, მთვარის გაკესება, ვასაგებია ამის შემდეგ, რომ „ეამი“ რქმევა როგორც მთვარის თვეს (30-დღიან წრეს), ისე, ვერძოდ, მთვარის საკესების დროს, თვის შუა რიცხვს, ამრიგად, ქართული „ეამი“ უმეტესაგებობს ნიშნავდა იმსვე, რასაც რომაული Idus იიღებოდა.

ეს სრული და ზედმიწევნული პარალელიზმი, რომელსაც იძლევა ისტორია რომაული ტერმინისა Idus და ქართულისა „ეამი“, ბევრნაირად არის საგულისხმო და ამას უკავშირდება ზოგიერთი მნიშვნელოვანი ციხევა არქაული ეკლესიის ისტორიიდან².

(იხ. პ. ინგოროვა, „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“, საქ. მეზეუმის შიამბე, ტომი VII, გვ. 262 — 269).

ჩვენ გავცანით ამონაწერს ჩვენი შრომიდან „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“, რომელიც დაიბეჭდა 1932 წელს, რომელშიაც ვუხვებით „პროკოპის მარტვილობას“, და სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, დადგენილია მნიშვნელობა არქაული კალენდარული ტერმინისა „ეამი“.

დაუბრუნდეთ ამის შემდეგ კ. კეველიძის გამოცემას „პროკოპის მარტვილობის“ ტექსტისას, რომელიც 1946 წელს გამოვიდა.

კ. კეველიძეს, როგორც მოხსენებული გეჰონდა, პროკოპის მარტვილობის ტექსტისათვის დართული აქვს მოკლე ნარკვევი, რომელიც ეხება ქრონოლოგიურ საკითხებს. ამ ნარკვევში კ. კეველიძეს აღნიშნული აქვს, რომ „ს ი ტ კ ე ა ე მ ი თ ა დ რ ა ზ ა მ ა უ წ რ ი ნ რ ე ს რ ე თ ა ე მ ი თ ა“ უდრის ბერძნული ტექსტის Eιδωv-ს³ (იხ. გვ. 110). მეორე ადგილას კ. კეველიძე წერს: „ბ ე რ ძ ნ უ ლ ი მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ი ს მ ო კ ე რ დ ა კ ო ე ა მ ი ე კ ო თ ბ ო ლ ბ ო თ, რ ო მ რ ო მ ა მ ო ლ ი ა ნ გ ა რ ო შ ი თ პ რ ო კ ო პ ი ე ე წ ა მ ო ა რ ი ο ν τ á Eιδωv Ιουσιων, „უწინარეს შვიდთა იდთა იენისისათა“, რაც 7 იენისის უდრის“ (გვ. 110). ამრიგად აქ არა მხოლოდ განმეორებულია ჩვენ მიერ დადგენილი ფაქტი, რომ „ეამი“ უდრის „იდებს“, არამედ მოითხოვულია სწორედ იგივე წყარო, რომლის ქართულ ტექსტთან შეფარდებიდან ჩვენ შევამოწმეთ იდენტოვობა ძველ-ქართული წარმართული კალენდარის ტერმინისა „ეამი“ და რომელიც კალენდარის ტერმინისა „იდები“ (იხ. ზემოთ, გვ. 158).

კ. კეველიძეს არსად მოითხოვული არა აქვს, რომ ყოველივე ეს ჩვენ მიერა დადგენილი, ხოლო მკითხველი, ზემოთმოყვანილი ვრცელი ამონაწერიდან, რომელიც მოვიყვანეთ ჩვენი გამოც-

¹ სხვა კავასიური პარალელებს ამჟამად აქ არ ვუხვებით. ეს სიტყვა, როგორც ცნობილია, გვხვდება სომხურშიც. იგი არ არის ინდოევროპული ძირის სიტყვა და ამის მიხედვით იგი სომხურში ან პირდაპირ ნასესხება ქართულიდან, ანდა ევროპეის ქართულ — კავასიურ ენათა საერთო ძირითად საუბრეს.



ვლევადან „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“, ვფიქრობთ დარწმუნდებოდა, რომ ეს არც ისე უმნიშვნელო ამბავია ქართული კულტურის უძველესი პერიოდის ისტორიის თვალსაზრისით.

ჩვენ ამით დავამთავრებთ საუბარს პრაქოპის მარტივობის ტექსტის გამო.

ამრიგად გამოიარკვას:

ქ. კველიძეს მიერქმულავს, თუ ვის მიერ არის აღმოჩენილი პრაქოპის მარტივობაში უძველესი ნიმუში ქართული ლექსისა, ციტირებომათს ილიადადან, ვის მიერაა დადგენილი მისი ლექსითი ხასიათი და მეტრული სტრუქტურა;

ქ. კველიძე იმეორებს, ასევე ავტორის დაუსახებლად, ჩვენს დათარიღებას პრაქოპის მარტივობისა, და არა მარტო დათარიღებას, არამედ იმეორებს თვით სითარილო პრინციპს, ვფიქრობთ საკალენდარო მარჯვენებულს;

ქ. კველიძე იმავე ძველის, პრაქოპის მარტივობის განხილვის დროს, იმეორებს, ავტორის დაუსახებლად, განმარტებას ძველ-ქართული წარმართული კალენდარის ისეთი მნიშვნელოვანი უძველესი წარმომავლობის

ტერმინისა, როგორც არის იღებო.

ჩვენ აღარ ვუწოდებთ ამ ფაქტებს, რადგან სახელს, მისი კვალიფიკაცია მკითხველისათვის მივივინდვია.

ერთს აღვნიშნავთ მხოლოდ ქ. კველიძემ პრაქოპის მარტივობის ტექსტო გამოაქვეყნა 1946 წელს; ასე რომ ყოველივე ეს ჩვენ ვიცოდით, როდესაც იბეჭდებოდა „გიორგი მერჩულე“ (რომელიც 1954 წელს გამოვიდა). მიუხედავად ამისა, ჩვენ არაფერი გვითქვამს ამ სავანზე ჩვენს წიგნში (თუმცა უნდა გვეთქვას კი, როდესაც პრაქოპის მარტივობაში დატყულებული იმპირიის ციტატას ვუხეზავთ). ჩვენ მოვერიდეთ ასეთი სამწუხარო ფაქტების აღნიშვნას, ჩვენ ახლაც ვწუხვართ, რომ გვიძულეს ასეთ საკითხებზე საუბარი.

ქ. კველიძე ამის შემდეგ ეხება ორ იამბიკონურ ტექსტს, პოეტის ტერმინებს (სტროფი და ანტისტროფი, ძლისპირი და დასდებელი) და პირველის გაგებათა ნებრაციას.

შველა ამ საკითხებს ჩვენ შევხებით წერილის მეორე ნაწილში. ესაა კი გადავივარო მთავარზე.

II

ძირითადი სადაფ ჩვენსა და ქ. კველიძეს შორის არის არა რაიმე ცალკეული საკითხი, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელი შერობა, რომელი ჩვენ წარმოვიდგინეთ „გიორგი მერჩულეს“ მეორე ნაწილში, ე. ი. სპეციალურ ისტორიულ-ლიტერატურული ნაწილში, სადაც განხილული გვაქვს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

რა არის ახალი ჩვენი წიგნის ამ მეორე ნაწილში?

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი წერილში — „ახალი მსალები ძველი ქართული პროზის ისტორიისათვის“ ამ სავანზე შემდეგსა წერს:

„პ. ინგროყვას შრომა („გიორგი მერჩულე“) ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი (გვ. 1—544) განხილულია მე-9-10 საუკუნის საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ხოლო მეორე ნაწილი (გვ. 515 — 888; 01+0125) წმინდა ლიტერატურათმცოდნეობის ხასიათისაა. პირველი ნაწილი ასე თუ ისე ცნობილი იყო მკითხველი საზოგადოებისათვის, რამდენადაც იგი ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა 1930 წელს ჟურნალ „მნათობში“ (თუმცა იგი ავტორის მიერ საგრძნობლად არის შევსებული ამ ახალ გამოცემაში). რაც შეეხება მეორე ნაწილს, იგი არათუ უცნობი იყო აქამდე ჩვენითვის, არამედ იმის წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.

„აღმოჩნდა კი შემდეგი: არსებობდა ძველ-

ქართული ხელნაწერებით მოღწეული საგალობლები სხვადასხვა ავტორისა, საგალობლები როგორც პატარა მოცულობისა, ისე ვრცელი, რომლებიც მინერული იყო პროზაულ ნაწარმოებებად. პ. ინგროყვამ კი ვაქ-მიუტანვლად დაამტკიცა, რომ ეს საგალობლები ლექსით არის დაწერილი და არა პროზით, და კიდევ წარმოადგინა ამ ლექსთა მეტრული სტრუქტურის სახეები. ვარდა ამისა, მან ძველ-ქართულ საგალობელთა ხელნაწერებში გამოავლინა ამ ლექსთა საზომების კრებული, ესე იგი იპოვა ის, რასაც შემდეგ საუკუნეებში ეწოდებოდა „ჰაშნიკი“. (გვ. 108).

ს. ყაუხჩიშვილი, ეხება რა ამის შემდეგ ძველ-ქართული პროზის ახლად გამოვლენილ ერთ-ერთ დარგს, ეგრეთწოდებულ „რბილულ პროზისს“, წერს:

„ამგვარად, პ. ინგროყვამ თავისი უკანასკნელი გამოკვლევით ქართული ჰიმნოგრაფიის შესახებ გამოავლინა ძველ-ქართული პროზის აქამდე სრულიად უცნობი დარგის „რბილული პროზისს“ არსებობა, და ამ დარგის რამდენიმე ათეული აქამდე სრულიად უცნობი ლექსის ტექსტიც დადგინა და დაბეჭდა (ხოლო რამდენიმე ასეული დამზადებული აქვს დასაბეჭდალ).

ეს ლექსები, დღემდე მხოლოდ ნაწილობრივ ცნობილი (ისაუ ცნობილი როგორც პროზაული ნაწარმოებები), ეკუთვნის მე-5—10 კუნთთა პოეტებს“ (იხ. გვ. 115).

აღვნიშნავთ ამასთან, რომ ეს ძველები ძველ-

ქართული პოეზიისა საყურადღებონი არაან არა თავისი სიძველით მხოლოდ, არამედ თავისი მაღალი მხატვრული კულტურით, პოეტურ ფორმათა მრავალსახეობით.

ასეთია იმ ახალი ლიტერატურული ძეგლები, წყაროები და მასალები, რომელთა დადგენა, გამოკვლევა და ანალიზი შეადგენს „გიორგი მერჩულეს“ მეორე ნაწილის საგანს.

ამრავალ ზეგნს წინაშე იხსნება სრულიად ახალი სამყარო ძველ-ქართული პოეზიისა, რომლის სათავეები, უკვე გამოკვნილი ძეგლების მიხედვით, მე-5 საუკუნემდე აღწევს.

ვითვალისწინებდით რა ამას, ზეგნ ვწერდით „გიორგი მერჩულეს“ მეორე ნაწილის შესავალი:

„ასეთია სურათი, რაც ზეგნ წინაშე იშლება ახლად გამოკვნილი სალიტერატურო წყაროების საფუძველზე, ძველი და ახალი მასალების ახლებურად განიხილვის შედეგად.“

„ზეგნ ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ ძველი ქართული ლიტერატურა არის მაღალი რანგის ლიტერატურა, რომელიც, ამავე ხანის ბერძნულ-ბიზანტიურ ლიტერატურასთან ერთად, ღვთა საშუალო საუკუნეებზე ივროპული მსოფლიოს ლიტერატურათა პირველ რიგში.“

„გვსაგებია ამის შედეგად, რომ ქართული ლიტერატურის განვითარება საშუალო საუკუნეებში დაგვირგვინდა ისეთი დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენით, როგორიც არის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 552).

ბუნებრივია, რომ ახალი ბერძნულ-ბიზანტიური გავლენის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ახალი პოეტური სამყაროს აღმოჩენამ, რაც ორგანიზულად აკავშირებს ძველი ქართული მწერლობის განვითარებას მსოფლიო ლიტერატურის დიდ პროცესებთან, გამოიწვია ინტერესი.

რასაკვირველია არა „გიორგი მერჩულეს“ ავტორს, არამედ წიგნში გამოქვეყნებულს ახალ მასალებს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ისტორიიდან შეეხება ის შეფასება, რომელიც მისცა „გიორგი მერჩულეს“ W. E. D. Allen-მა ლონდონის უნივერსიტეტის ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში (1000 გვერდზე მეტი) — გიორგი მერჩულეს შესახებ, რომელიც არის მონუმენტური თანამედროვე ქართული სწავლულებისა“ (cf. Bulletin of the School of Oriental and African Studies University of London, 1957, 88. 181).

რეცენზია მიხილ თარხნიშვილისა „გიორგი მერჩულეს“ შესახებ საერთაშორისო ფილოლოგიურ ჟურნალში Oriens Christianus მთარგმნება დასკვნით, რომ „უაღრესად მდიდარი და მაღალგანვითარებული“ ძველი ქართული პოეზია — არის, თუ პირველწყაროების

მიხედვით ეიმსჯელებთ, რაერთი ძველი როგორც „ბრუნა“, რეცენზენტი იზიარებს „გიორგი მერჩულეს“ ავტორის აზრს, რომ ძველი ქართული პოეზიის სათავეები შეხუთესა უკუნემდე აღწევს, და აღნიშნავს: „საზომის მიხედვით ის ნაწილობრივ მშობლიურია ადგილობრივი, ნაწილობრივ სირიულ-ბიზანტიური ელფერისა. (ბიზანტიური პოეზიის სიღაბრება შეიძლება ახსნილ იქნას მხოლოდ აღმოსავლურ სიღაბრებოვნიასთან დამოკიდებით; ხომ თვით პირველი შემქმნელი საგალობლებისა ბერძნულ ენაზე იყვნენ სირიელები ან ელინიზებული აღმოსავლები“ (Oriens Christianus, ტ. 41 (1957), გვ. 96).

ასეთსავე ფართე ასპექტში, ქართულ და ბიზანტიურ ლიტერატურათა ურთიერთობის ხაზით, განიხილავს საკითხს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, თავის წერილში „ახალი მასალები ძველ ქართული პოეზიის ისტორიისათვის“.

ამრავალ, ახლად გამოკვნილი მასალების-ლიტერატურული ძეგლების საფუძველზე — ძველ-ქართული ლიტერატურა, კერძოდ ძველ-ქართული პოეზია, წარმოგვიდგება როგორც მწერლობა მაღალი რანგისა, რომელსაც აქვს თავისი სახე, რომელსაც უძველესი ტრადიციები მოეპოვება და რომელსაც მიეკუთვნება უაღრესად სამართი ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში.

კ. კეკელიძის კრიტიკა, ყველა ამ საკითხთა გამო, რაც ძველ ქართულ პოეზიის შევსება, — ნეგატიურია.

ვნახოთ, რამდენად საფუძვლიანია კ. კეკელიძის ეს უარყოფითი კრიტიკა.

კ. კეკელიძე პირველ რიგში ეხება ძველ-ქართული პოეზიის ფორმას, ლექსთწყობის საკითხებს.

„გიორგი მერჩულესში“ ზეგნ დადგინილი გვაქვს, რომ ქართული ლექსი, ქართული წუთბილი სიტყვა, ქართული მწერლობის უძველესი პერიოდში, ზეგნი წელთაღრიცხვის პირველ ათასეულში, უაღრესად მდიდარი და მრავალსახეული ყოფილა. ამ ეპოქაში (ე. ი. ზეგნი წელთაღრიცხვის პირველ ათასეულში) ქართულ პოეზიაში არსებულა სამი სახის ლექსთწყობა, რომლებიც თავისი წყობით, შერტულირებულა სტრუქტურით, სხვადასხვა სისტემებს წარმოგვიდგენს.

ეს სამი სახეობა ქართული ლექსისა, რომლებიც მიღებული ყოფილა ძველ-ქართულ პოეზიაში შემდგენია:

1. სილაბური მუხლედოვანი ლექსი (კლასიკური ქართული ლექსი);

2. რიტმული პოეზიის ლექსი ანუ ძველ-ქართული საგალობელთა „მარცვლადი“ (სილაბიკის მეორე სახეობა);

3. „წყობილი სიტყვა რიტმული“ (ანუ მოკლე აღნიშნული „წყობილი სიტყვა“), თავისუფალი უმარცვლადო ლექსი, ტაქსობრივი რიტმიკით (ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახეობას პარალელი აქვს ძველ აღმოსავლურ ლექსთ-წყობებში).

კ. კეკელიძე პირველ რიგში ჩერდება პირველი სახის ლექსთწყობაზე.

კ. კეკელიძე წერს:

„აგრორის აზრით, არსებობს სამი სახე ძველი ქართული ლექსისა:

1) სილაბური მუხლედოვანი ან ძველი ქართული კლასიკური ლექსი. ამ ლექსის ნიმუშები თავს იჩენს V—VIII საუკუნეებდან, უმაღლეს სრულყოფილ სახეს ის ღებულობს ვეფხისტყაოსანში და სტრუქტურულად უცვლელად რჩება XVIII საუკუნემდე. ის გადმო-დის მექსიამეტე — მეოცე საუკუნეშიც (557). აგრორი მიმოიხილავს ამ ლექსის ეტაპებს და წარმომადგენლებს, საილესტრაციო მასალის დართვით, მუხტუთ საუკუნიდან — ბესიკ გაბაშვილის დრომდე (559—589). აგრორი ამ სახეზე უფრო ვრცელად უნდა შეჩერებულიყო, რადგან ქართული ლექსის მკვლევარს დღეს სწორედ ამ სახესთან აქვს საქმე, უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენ ორთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში ბევრი რამაა შესასწორებელი და დანაბუსტებელი, ჩვენ ამზე არ შეჩერდებით, რადგან უკვლავად იმის, რაც აქ ნათქვამია, ქართული ლექსის მკვლევარისათვის ძირითადად აშდენანაც იყო ცნობილი“.

კ. კეკელიძე ამრიგად პიტირობს, რომ ჩემი გამოკვლევის ამ ნაწილში „ბუერი რამაა შესასწორებელი და დასაბუსტებელი“. რა სახელ-ობა? იგი ამის შესახებ არაფერს ამბობს. ამ „ბუერი რამიდან“ დასიკვლია შიინც აღუ-ნიშნა „ცოტა რამ“. კ. კეკელიძის დღილი იმის შესახებ, თუ რა არის „შესასწორებელი და დასაბუსტებელი“ ჩემი გამოკვლევის ამ ნაწილში მათ უფრო გაუგებარია, რომ იგი წერილშია, ყოველგვარ მნიშვნელობას მოკრე-ბული საკითხების გამო მთელ გვერდებს აქრე-ლებს ჩემ გასაბაბებულად, ხოლო როდესაც საქმე საქმეზედ მიდგა, დღილის რჩეობს.

უბრალოდ რომ ვთქვათ, კ. კეკელიძის ჩანს არაფერი აქვს სათქმელი ამ საგანზე, თორემ იგი ასე ურდოდ არ ჩაუვლიდა ამას.

კ. კეკელიძე ამასთან ავტორიტეტულად იუ-ხადებს: „ყველაფერი რაც აქ ნათქვამია, ქართული ლექსის მკვლევარისათვის ძირითა-დად აშდენანაც იყო ცნობილი“.

ვითომ ასეა?

ყოველ შემთხვევაში კ. კეკელიძე იძლე-

ბული ყრდ აღნიშნოს, რომ „აგრორი (პ. ინ-გოროვსკი) მიმოიხილავს ამ ლექსის ეტაპებს და წარმომადგენლებს, საილესტრაციო მასალის დართვით, მუხტუთ საუკუნიდან — ბესიკ გაბაშვილის დრომდე“ (მე-18 საუკუნის დასას-რულამდე). განა ცოტაა თუნდ მარტო ეს? ქართული ლექსთწყობის ისტორიას ხომ მათე საუკუნიდან (ფილიპ ბეთლემეის ლექსიდან) — იწყებდნენ, და თუკი ჩვენ ქართული ლექ-სის ისტორიის დასაწყისი მე-10 საუკუნიდან მე-5 საუკუნეში გადავიტანეთ, და მიმოვიხი-ლავთ „ამ ლექსის ეტაპებს და წარმომადგენ-ლებს, საილესტრაციო მასალის დართვით“ — მუხტუთ საუკუნიდან მოვიდებელი, ეს უკვე არც ისე უბრალო საქმეა, ასე ავღებთ მოსაბ-სენებელი.

ყოველ შემთხვევაში ჩვენი სხვა რეკენზე-ტები საქმეს სხვა რიგად აფასებენ. კერძოდ პროფ. ს. ყუბნიშვილი, რომელიც ერთი უბრა-ყინდალესი სპეციალისტთაგანია შერთვის ის-ტორიის საკითხებს, თავის წერილში „ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორი-ისათვის“, წერს:

„ამჟამად ყველაზედ უფრო საგულისხმოად ჩვენ მივიჩნით შევეჩერებინა მკითხველის ყურადღება ქართული ლექსის იმ სახეობაზე, რომელიც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სრულიად უცნობი იყო (რიტმული პოეზიის ლექსი). დანარჩენი ორი სახეობის შესახებ (კლასიკური ქართული ლექსი და „წყობილი სიტყვა“) — ცოტა რამ უკვე ცნობილი იყო როგორც თვით პ. ინგოროვსკის, ისე სხვა მკ-ვლევართა წინაშეული გამოკვლევებიდან. რაც შეეხება ძველ ქართულ რიტმულ პოეზიას, ეს სრულიად ახალი მოვლოდნელი აღმოჩენაა, პ. ინგოროვსკის გამოკვლევის წყალობით მზის სინათლეზე გამოტანილი. დღემდე რიტმული პოეზიის არსებობა მე-5—11 საუკუნეებისა უცნობი იყო“ (გვ. 117).

ამრიგად ის, რასაც ჩვენ ვამბობთ კლასიკ-ური ქართული ლექსის შესახებ ჩვენს გამოკ-ვლევაში, კ. კეკელიძის დასკვნით „ყველაფერი ძირითადად აშდენ ხანაყ იყო ცნობილი“; ს. ყუბნიშვილის სიტყვით კი პირიქით, იგი ძი-რითადად ახალია და ვიდრე ჩვენ გამოკვლევა-მდე ამ საგანზე „ცოტა რამ“ იყო ცნობილი.

რომელი შეფასებაა სწორი? ვფიქრობთ, ორ-თავეს სჭირია კორექტივი.

ვიდრე ჩემ გამოკვლევაზე კლასიკური ლექ-სის შესწავლისათვის არათუ „ცოტა რამ“, არამედ ბევრი რამ იყო გაკეთებული, (დაწყე-ბული ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან), მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ჩვენს გამოკვლევისათვის შემო-აქვს ახალი შტო: ჩვენ ვიძლევათ ქართული კლასიკური ლექსის სტრუქტურის ახლებერ განსაზღვრას, ვარკვევთ მის ბუნებას (ვფიქ-რობთ ჩვენი განსაზღვრა ქართული კლასიკუ-



რი ლექსის სილაბური წყობისა და მისი სტრუქტურული სპეციფიკისა — ურვევია), ამასთან ჩვენ ვიძლევიტ კლასიფიკაცია — სისტემატიზაციას ყველა მეტრებისა, რომლებიც ექსტრემალ პოეზიაში იმართებოდა მე-5 საუკუნიდან მოყოლებული — ვიღრე მე-18 საუკუნემდე. ჩვენი კრიტიკისა ყოველსავე ამას დემილით ხელარა.

კ. კეკელიძე ამის შემდეგ გადადის ძველქართული ლექსის დანარჩენ ორ სახეობაზე.

ჩვენ ჯერ შევჩერდებით ევრეთოლოდებლი რიტმული პოეზიის ლექსზე. ანუ ძველქართული ჰიმნების ლექსზე და გინეიზილით კ. კეკელიძის კრიტიკულ შენიშვნებს ამ საგანზე.

აქ საჭიროა მოვავლით შეთხველს, რომ ძველქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის შესახებ ის აზრი იყო წინათ მიღებული, ვითომც იგი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 12-მარცვლელ იამბიკონებს, პროზით იწერებოდა, პროზას წარმოადგენდა. კერძოდ, კ. კეკელიძე იმას ამტკიცებდა და ამტკიცებს დღესაც, რომ ძველქართული ჰიმნოგრაფიის ძველად, იამბიკონთა გამოკლებით, ეს არის „უბრალო პროზული ჰიმნები“, რომლებიც, ავტორის დასჯენით, — „არავითარ ზომას და კანონს არ ემორჩილება“ 1.

რამე ეპყარება ეს მტლარი შეხედულება, ვითომც ძველქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ძველები პროზით არის ნაწერია?

ეს შეწყდარი შეხედულება იქადან მომდინარეობს, რომ ძველ ხელნაწერებში ლექსები იწერებოდა არა იმ სახით, როგორც ალა იბეჭდება (ე. ი. ყოველი ტაქტი ცალკე სტრიქონის სახით), არამედ იწერებოდა გაბმით პროზის მსგავსად.

მაშ, როგორღა განარჩევდნენ ლექსსა და პროზას?

განარჩევდნენ მეტრული პუნქტუაციით. არსებული საგანგებო მეტრული პუნქტუაცია, რომელიც ვრათეული მანქანებული იყო საღეჭით ფორმისა.

აი ამ მეტრული პუნქტუაციისათვის არ მოქმედებო უბრალოდ მკვლევარებს და ძველქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის საიდუმლოება მათთვის მიუწვდომელი დარჩა.

ენახოთ ამის შემდეგ, თუ როგორ გააცნობს შეითხველებს კ. კეკელიძე პრობლემას მეტრული პუნქტუაციისა, რაც საფუძვლად დაედო ძველქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ფორმის ამოცნობას.

როგორც ენახავთ, კ. კეკელიძემ სრულიად

დამახინჯებულად წარმოუდგინა შეთხველს საქმის ვითარება.

მოყოყნაოთ ჯერ კ. კეკელიძის კრიტიკისა კ. კეკელიძე წერს:

„როგორ გააჩვენა მკვლევარმა რიტმული ხასიათი ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიისა? პუნქტუაციის საშუალებით. გრძელს, პროზის მსგავსად გაბმულად დაწერილ სტრიქონებში ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებებში ჩვენ გვაქვს წითელი თუ შავი მკვლევარს სიტყვებს შორის დაწერილი წერტილები. აი ეს წერტილები აღმნიშვნელია თურმე იმისა, რომ მათ შუა მოქმედელი სიტყვები შეიადგენენ საღეჭო ტაქსს (გვ. 591). რა გვეთქმის ამის შესახებ? ეს გზა მეტად საყვეოა, რაც ნათლად ჩანს იმ შავალითიდან, რომელიც მკვლევარს მოსყავს და რომლითაც მას სურს დაამტკიცოს თავისი დებულება ეს არის იოანე მინჩხის (X ს.) საგალობელთა ერთი სტროფი, რომელიც გაბმული სტრიქონითაა დაწერილი და წერტილებით შემკული. ეს სტროფი ხელნაწერში ასეა წარმოდგენილი (ინგოროყვა გვ. 592):

„განუკეთელი ც განიკეთა ქვეყანა ც და დავფლა აბელი რომელ მოიყლა ც ძმისა ზელითა ც შეიწყვეა ქვეყანა ც ხოლო იღეს დაეფლა ღმერთი და კაცი ც იყურთხა მის წილ ც აწ და უკუნისამდე ც

„ხელნაწერში ამ საგალობელს მისი ავტორის შენიშვნა ახლავს, რომ ეს არის იამბიკონი, რომელშიაც ყოველსა მებღსა 60 შეტყუებად აქუს, ხუთჯერ 12“. მართლაც იგი იძლევა ზეოტაეპოვან, ტაქტში 12 მარცვლით, ნაშლეილს, ჩვეულებრივი ტაქტის იამბიკოს, რომელიც ასე ლაგდება:

„განუკეთელი განიკეთა ქვეყანა, და დავფლა აბელი, რომელ მოიყლა ძმისა ზელითა; შეიწყვეა ქვეყანა, ხოლო იღეს დაეფლა ღმერთი და კაცი, იყურთხა მის წილ აწ და უკუნისამდე.

„ახლა, თუ ამ სტროფის ჩვენ დავალაგებთ წერტილებს, მიხედვით, შევიღებთ არა ზეოტაეპოვან იამბიკოს, არამედ რვატაეპოვან ნაწარმოებს:

„განუკეთელი განიკეთა ქვეყანა და დავფლა აბელი, რომელ მოიყლა ძმისა ზელითა; შეიწყვეა ქვეყანა; ხოლო იღეს დაეფლა ღმერთი და კაცი, იყურთხა მის წილ აწ და უკუნისამდე.

„ამრიგად წერტილებში ჩვენ მოვეცა არა ზეოტაეპოვანი, თეითეულ ტაქტში 12-მარცვლიანი იამბიკო იოანე მინჩხისა, არამედ ისეთი

1 იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951 წ., გვ. 561.

ნაწარმოები, რომელსაც იამბიკოს ს:ხე დაუკარგავს და სხვა რაიმე ლექსის ვერც ერთი ნიშანი ვერ მოუპოვებია. აქედან, ვამასიადამე, უნდა დავასკვნათ, რომ წერტილებში მოქცეული ნაწილი სტროფისა არ არის სალექსო ტაქტი". (გვ. 454 — 455).

კ. კველიძემ საქმის ვითარება მკითხველს დამახინჯებულად წარმოუდგინა; უფრო მეტი: მან, როგორც დაინახეთ, მკითხველი შეცდომაში შეიყვანა.

კ. კველიძე ორჯერ აღნიშნავს, ვითომც მე ვამტყიცებდი, რომ მეტრული პუნქტუაცია აღნიშნავს მხოლოდ სალექსო ტაქტს (იხ. ზემოთ). მე კი სულ სხვას ვამტყიცებ. მე ჩემს გამოკვლევაში დადგინილი მაქვს: „ლექსის ამ გაბმით დაწერილ ტექსტებში მეტრული პუნქტუაციით — წერტილებით — გამოყოფილი აღმონიშნადა ყოველი ტაქტი (და აგრეთვე ნახევარ-ტაქტი, როდესაც ნახევარ-ტაქტი შედგინი ცუხურით ორად განიკვეთება)".

იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 591.

სად გაქრა კ. კველიძის გადმოცემაში ეს „ნახევარ-ტაქტი"? ლექსის მეტრული სტრუქტურის ზუსტი აღდგენისათვის ამ „ნახევარ-ტაქტს" ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც „ტაქტს".

(ერთმა ცნობილმა მეცნიერმა, როდესაც მას კამათის დროს ეს მოექცენ, როგორც კ. კველიძე იქცევა, ოხუნჯა: ჭადრაკის თამაშის დროს საქმე ის კი არ არის, რომ მოწინააღმდეგის ფიგურა წააქციო, ან დაფიდან აიცილო, არამედ ისაა საქმე, წესების თანახმად მოიგო იგი).

ამის ერთვის აგრეთვე შემდეგი. კ. კველიძემ, გარდა იმისა, რომ ორი ერთეულიდან („ტაქტი" და „ნახევარ-ტაქტი") დაუმალა მკითხველს მეორე მათგანი („ნახევარ-ტაქტი"), სხვაგვარიც დამახინჯა ჩემი აზრი.

კ. კველიძის მოთხრობის თანახმად, ისე გამოდის, ვითომც მან გაარკვია, რომ მოყვანილი ტექსტი ხელთაგან იამბიკოსა; მე კი ვითომც ეს შეუძნეველი დამარჩა, და რომ მე ამის ნაცუვლად, ჩემი „მეტრული პუნქტუაციის" თეორიით, მივიღე ისეთი ნაწარმოები, „რომელსაც იამბიკოს ს:ხე დაუკარგავს და სხვა რაიმე ლექსის ვერც ერთი ნიშანი ვერ მოუპოვებია".

ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია უცვლელად, ფორგრაფიული სიზუსტით მოვიყვანო ჩემი წიგნიდან ეს ადგილი, რომელიც კ. კველიძეს ასე შეცვლილს სახით გადმოუცია.

„გიორგი მერჩულეში" (გვ. 591—592) ჩვენ ვწერთ შემდეგს:

გარკვეული

„რით განარჩევენ ასე ^{გარკვეული} სხვადასხვა დაწერილს პროზასა და ლექსს, მარტო სმენით? თუ არსებობდა რაიმე გრაფიკული მაჩვენებელი სალექსო ფორმისა, მეტრისა. როცა ეს საკითხი ჩვენს წინაშე აღიჭრა, მაშინვე ყურადღება მივაქციეთ პუნქტუაციას, რომელიც მეტრული პუნქტუაცია აღმოჩნდა. ლექსის ამ გაბმით დაწერილ ტექსტებში მეტრული პუნქტუაციით — წერტილებით — გამოყოფილი აღმოჩნდა ყოველი ტაქტი (და აგრეთვე ნახევარ-ტაქტი, როდესაც ტაქტი შედგინი ცუხურით ორად განიკვეთება).

„აეილოთ მაგალითისათვის მიქაელ შოდრეკის კრებულში მოთარებული ტექსტი, რომელსაც აქვს ზედწერილი: „იამბიკონი, თქუმელნი ივანე მანჩისანი". X საუკუნის ქართული პოეტის ივანე მინჩის ეს ნაწარმოები, დაწერილი იამბიკონებით, შეიცავს 33 სტროფს, ანუ, როგორც ძველ ქართულად ერქვა, მუხლს.

„ხელნაწერში იამბიკონებს დათული აქვს აეტორის ასეთი შენიშვნა:

„ყოველსა მუხლსა 60 შეტყუება (=მარცვლა) აქვს, 5-ჯერ 12".

„ამრიგად აეტორი საგანგებოდ მიუთითებს, რომ იამბიკონების ყოველი მუხლი (სტროფი) შესდგება 5 ტაქტისაგან, რომელთაგან თეთვეულში 12 მარცვალა.

„ტექსტი კი მოყვანილია გაბმით, პროზის მსგავსად.

„მოგვეყვას მაგალითისათვის ტექსტის ერთი მუხლი. (სტროფი) ამ სახით, როგორადაც ეს წარმოდგენილია ხელნაწერში (ზუსტად ვიცავთ ხელნაწერის პუნქტუაციას):

„განუთუთოლი © განიყუთა ქუეყანა © და დაიფლა აბელი რომელ მოიკლა © ძმისა ჭელითა © შეიწყევა ქუეყანა © ხოლო ოდეს დაეუფლა ღმერთი და კაცი © იყრთხა მის წილ © აჲ და უყუნისამდე ©".

[შინაარსი ამ ტექსტისა შემდეგია: „განუთუთოლი ღედამიწა პირველად განიყუთა, როდესაც გასჭრეს პირველი საფლავი და დამარხეს აბელი, რომელიც მოიკლა ძმის (კენის) ხელით. ამ დროს დაიწყევა ღედამიწა, ხოლო როდესაც ღედამიწაში დამარხეს ღმერთ-კაცი (ჯვარცმული ქრისტე), ამ ქამოდან ღედამიწა იყრთხა აჲ და უყუნისამდე."]

„დავალაგოთ ამის შემდეგ ტექსტი ისე, როგორც იგი დაყოფილია პუნქტუაციის (წერტილების) მხებდვით. მივიღებთ შემდეგ სურათს:

(5) }
 (7) }
 (12) }
 (5) }
 (7) }
 (12) }
 (5) }
 (7) }

განუყოფილი
 განიყუთა ქუეყანამ,
 და დაეფლა აბელი, რომელ მოიყლა
 ძმისა ჭელითა;
 შეიწყვეა ქუეყანამ!
 ზოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი,
 იყრთხა მის წილ
 აწ და უყენისამდე!

მ ვ ნ ი შ ვ ნ ა. ციფრები არშიაზე აღნიშნავენ მარცვალთა რაოდენობას სტრიქონში.
 „როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ გვაქვს არა პაროზა, არამედ ლექსი, რომლის საზომი გამოვლინებულია მეტრული ბუნებრივით.
 „აქ საჭიროა აღნიშნოს აგრეთვე შემდეგი. ავტორი ზემოთ-მოყვანილ შენიშვნაში გვაუწყებს, რომ იამბიკონის ყოველი მუხლი შეიცავს ხუთ ტაქსს, რომელთაგან თეთეთული

12 მარცვალა, მათსადამე ზემოთ მოყვანილ ტექსტში 5-მარცვლადი და 7-მარცვლადი სტრიქონები წარმოადგენენ ნახევარ-ტაქსებს (ტაქსის ისეთ ნაწილებს, რომლებიც მუდმივი უძრავი ცეზურით არის გაყოფილი).

„ხოლო როდესაც ჩვენ ტექსტს დავალიაგებთ ხუთ ტაქსად, როგორც ამას ავტორი მიუთითებს, მივიღებთ შემდეგს სურათს:

განუყოფილი / განიყუთა ქუეყანამ.	(5 + 7)	12
და დაეფლა აბელი, რომელ მოიყლა		12
ძმისა ჭელითა; / შეიწყვეა ქუეყანამ!	(5 + 7)	12
ზოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი,		12
იყრთხა მის წილ / აწ და უყენისამდე!	(5 + 7)	12

მ ვ ნ ი შ ვ ნ ა. ნიშნით აღნიშნული გვაქვს მუდმივი ცეზურა, რომელიც ნახევარ-ტაქსის ბოლოში მოდის, და რაც ხელნაწერში წერტილით აღინიშნება.
 (იხ. გიორგი მერჩულე. გვ. 591 — 592).

მკითხველი გაეცნო ჩვენს ნამდვილ ტექსტს, რომლის შინაარსი კ. კეკელიძემ ასე დამახინჯებულად წარმოადგინა მკითხველს.

ამრიგად, ჩვენს წინაშე სრულიად ნათელი სურათია ბუნებრივი (წერტილები), როგორც ვხედავთ, აღნიშნავს მეტრს: 1) სალექსო ტაქსს; 2) სალექსო ნახევარ-ტაქსს (ამ უკანასკნელს იმ შემთხვევაში, როდესაც სალექსო ტაქსი მუდმივი ცეზურით ორად განიყუთება)¹.

მაშასადამე, კ. კეკელიძის მტკიცება (— ეოთომეც „წერტილებმა ჩვენ მოგვეცეს არა ხუთ-ტაქსიანი, თეთეთულ ტაქსში 12 მარცვლიანი იამბიკო, არამედ ისეთი ნაწარმოები, რომელსაც იამბიკონის სახე დაუკარგავს და სხვა რაიმე ლექსის ვერც ერთი ნიშანი ვერ მოუ-

პოვებია“) — ყალბად გამოყვანილი დასკვნაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სანამდებოლესთან.

აქ საჭიროა აღნიშნოთ ამასთან შემდეგაც. გარდა იმისა, რომ კ. კეკელიძის დასკვნა მცდარია, ისიც ირკვევა, რომ მას საერთოდ პრიმიტიული წარმოდგენა ჰქონია ლექსის ბუნებაზე. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ თუ შეიძლება ლექსის დაწერილობა, მისი გრაფიკა, ანთ იცვლება თვით ლექსის ბუნება. ასე, მაგალითად, ეფფფის-ტყაოსნის სტროფი თუ დაიწერა 4 ტაქსად (16 მარცვლადი ერთ ტაქსში), ეს ერთია, ხოლო თუ დაიწერა 8 ტაქსად (8 მარცვლადი ერთი ტაქსში), ეს იქნება, კ. კეკელიძის დასკვნის თანახმად ისეთი ტექსტი, „რომელსაც შიარის სახე დაუკარგავს და სხვა რაიმე ლექსის ვერც ერთი ნიშანი ვერ მოუპოვებია“. მაშასადამე ასეთნაირი გრაფიკით წარმოდგენილი შოთა რუსთაველის ლექსი არც შიარია, და საერთოდ ლექსიც არაა („სხვა რაიმე ლექსის ვერც ერთი ნიშანი ვერ მოუპოვებია“).

ამასვე ამბობს კ. კეკელიძე იამბიკოს შესახებ. იამბიკონი, რომელიც 5 მარცვლიანი და 7 მარცვლიანი მუხლებებისაგან შედგება, თუ დაიწერა ერთ სტრიქონად, ეს არის, კ. კეკელიძის დასკვნით იამბიკონი; ხოლო თუ დაიწერა ორ სტრიქონად, 5 მარცვლიანი და 7 მარცვლიანი ნახევარ-ტაქსებად, ეს უკვე არ არის იამბიკო, არამედ ისეთი ტექსტი, „რომელსაც იამბიკონის სახე დაუკარგავს და სხვა რაიმე ლექსის ვერც ერთი ნიშანი ვერ მოუპოვებია“.

¹ სახელდობრ, აქ მოყვანილ მაგალითში — პირველი, მესამე და მეხუთე ტაქსი განიყუთება მუდმივი ცეზურით მე-5 მარცვალის შემდეგ. რაც შეეხება მეორე და მეოთხე ტაქსებს, რომლებიც არაა გაყოფილი წერტილებით, ისინი არ შეიცავენ მუდმივ ცეზურას, არამედ ცეზურა აქ მოძრავია (ცეზურა ამ ტაქსებში მოდის არა მე-5, არამედ მე-7 მარცვლის შემდეგ; სხვა შემთხვევებში, ანტიტროფებში, ცეზურა შეიძლება მოვიდეს მესამე, მეოთხე, მეექვსე და სხვა მარცვლების შემდეგ).

ლექსის ბუნების გაეგებრობა ამაზე შორს ვერ წავა.

გადეიდეთ ამის შემდეგ რიტმული პოეზიის შეგალითებზე. ძველ-ქართულ რიტმულ პოეზიაში ჩვენ გვაქვს რთული და მეტად თავისებური ლექსი, უაღრესად ღინამიური რიტმით, რომელიც ემყარება არა მხოლოდ ტაქტობრივს, არამედ სტროფულ-ტაქტობრივ რიტმიკას. რიტმულ პოეზიას ახასიათებს შეწყობა სტროფში არა ერთი და იმავე ზომის ტაქტებისა (როგორც ეს მაგალითად, შირშია), არამედ სხვადასხვა ზომის ტაქტებისა. რიტმული პოეზიის ლექსი ასეთი რთული ტაქტობრივი წყობა განსაკუთრებულს ღინამიურობას ანიჭებს.

ეს ერთი დამახასიათებელი მხარე რიტმული პოეზიის ლექსისა.

მეორე დამახასიათებელი მხარე რიტმული პოეზიის სალექსო ფორმისა ის არის, რომ აქ ჩვენ გვაქვს რიტმული მონაცვლეობა სტროფული ერთეულებისა სტროფებისა და ანტისტროფების სახით. ყოველ ცალკეულ გელობაში ძირითად სტროფულ ერთეულს ანუ სტროფს მოსდევს ანტისტროფები, რომლებიც დაწერილია იმავე წყობის ტაქტებით, განსხვავებული ზომის ტაქტითა იმავე თანამიმდევრობით, რაც ჩვენ გვაქვს ძირითად სტროფში.

აქ არაა ზედმეტი აღნიშნოთ ამასთან შემდეგი. როგორც ამის შესახებ უფრო დაწერილობით გვაქვს საუბარი „გიორგი შერჩულეში“, ძველ ქართული პიმნოგრაფიული პოეზიის სალექსო ფორმას კავშირი აქვს ბერძნული ლირიკის სალექსო ფორმასთან. ვინც კი ვაცნობილია ძველ-ბერძნულ პოეზიას, მას რასაც

ვირეულია, კარგად მოეხსენება, რომ ძველ-ბერძნულ ქორულ ლირიკაში სწორედ ამანტიტის ლექსთწყობა იყო მიღებული მსგავსი ტაქტობრივი რთული რიტმიკით. ქორულ ლირიკაში, ისევე როგორც ძველ-ქართულ რიტმულ პოეზიაში, მიღებული იყო: 1. რთული ტაქტობრივი სტრუქტურა, — შეწყობა სტროფში სხვა და სხვა ზომის ტაქტებისა; 2. სტროფულ — ანტისტროფული წყობა, ე. ი. უცვლელი განმეორება სტროფის სალექსო აღნაგობისა მისი მომდევნო ანტისტროფების სახით).

რა გზით, რაზე დამყარებით იქმნა ამოხსნილი ძველი ქართული რიტმული პოეზია? იგი ამოხსნილ იქმნა არა ზეპირად, არა ნებისმიერი რაიმე ეარადლით, არამედ ამოხსნილ იქმნა იმავე დოკუმენტურ საფუძველზე, რომლითაც ამოიხსნა იამბიკონები, ე. ი. მეტრულ პუნქტუაციაზე დამყარებით.

საქმე ისაა, რომ ყველა ეს ძველი რიტმული პოეზიისა გამართულია ზუსტად იმავე სახის მეტრული პუნქტუაციით, როგორც ზემოთგანხილული იამბიკონები.

შოგვეყავს ჩამდენიმე მაგალითი რიტმული პოეზიის ტექსტებისა.

1. საგალობელი შობისა — „რომელმაც დაჰბადნა ცანი“, რომელიც ეყუთნის მე-10 საუკუნის ქართულ პოეტს იოანე მტკვარს (იხ. მიქაელ შარტყილის კრებული, გვ. 74, გიორგი შერჩულე, გვ. 644—647).

ეს ლექსი, დალაგებული მეტრული პუნქტუაციის თანახმად, იეთხვის შემდეგნაირად:

<p>ა</p> <p>(სტროფი)</p> <p>ბ</p> <p>(ანტისტროფი)</p>	<p>რომელმან დაჰბადნა ცანი</p> <p>სიტყუითა, — იხილვების</p> <p>ბაგასა პირტუეთასა</p> <p>მწოლარემ სახვევლითა.</p> <p>რათა ბუნება ჩვენი</p> <p>აღიყვანის</p> <p>ზეცისა სუფევასა.</p> <p>რომელი ქერობინთავან</p> <p>შეუძლებელ არს ვანცდად</p> <p>დაუტევნელი ღმერთი,</p> <p>დატევნელ იქმნების დღეს</p> <p>ბაგასა პირტუეთასა,</p> <p>რათა აღამ</p> <p>განზრწილი ვანააბლოს.</p>	<p>(8)</p> <p>(7)</p> <p>(7)</p> <p>(7)</p> <p>(7)</p> <p>(4)</p> <p>(7)</p> <p>(8)</p> <p>(7)</p> <p>(7)</p> <p>(7)</p> <p>(4)</p> <p>(7)</p>
--	---	---

როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ გვაქვს ზუსტი დამთხვევა სტროფისა და ანტისტროფისა, სხვადასხვა ზომის ტაქტები ზუსტი თანრიგით მისდევენ ერთმანეთს როგორც სტროფში, ისე ანტისტროფში.

ამრიგად აქ არის სრულიად გარკვეული, კანონზომიერი რიტმული სისტემა.

2. ძლისპირი მე-9—10 საუკუნეთა „ვიხაროდენ ქალწულთა სიქადელი“ (ძლისპირთა დედანი B, გიორგი შერჩულე, გვ. 632).

ლექსი (მეტრული პუნქტუაციის თანახმად) ასე იეთხვის:



•

გიხაროდენ, ქალწულთა სიქადულო,
 (სტროფი) გიხაროდენ, დედაო,
 უსძლოო ღმრთის-შობებლო,
 რომელსა ჩვენ ყოველნი — გადიდებთ (7) }
 (3) }

•

გიხაროდენ, შენ ცათა უვრცელესო, (4ს7)
 (ანტისტროფი) გიხაროდენ, საუღარტოა (7)
 მაღალთა უმაღლესო, (7)
 რომელსა ჩვენ ყოველნი — (7) }
 გადიდებთ (3) }

•

3. ძლისპირა გრიგოლ ხანძთელისა (758—860 წ. წ.) „სოფლისა ზღვაი აღძრულ არს“
 (ძლისპირთა კრებულები ABC, „გვიორგი შერჩეულე“, გვ. 613).
 ლექსი (მეტრული პენტამეტრიის თანხამად), იკითხვის შემდეგნაირად:

•

სოფლისა ზღვაი აღძრული არს (7)
 (სტროფი) ლელეთა ცოდვისათა, (7)
 საშინელად დამტოჳს მე, (7)
 და მოვიელტი შენდა ნათსაყუდლისა, (11)
 და ესრეთ გილაღადებ: (7)
 დანთქმისაგან მიხსენ მე — (7) }
 მრავალმოწყალები (5) }

•

ქალწულო დედოფალო, (7)
 (ანტისტროფი) რომელმან გვიშვე სიტყვაჲ (7)
 დაუსაბამოჲ ზორციოთ, (7)
 დააქბრვენ ლელანი განძვირებულნი, (11)
 გულის-სიტყვანი ჩემნი, (7)
 და მოეც სულსა ჩემსა — (7) }
 სიწმიდე საღმრთოა (5) }

ამავე სტროფულ-ტაემობრივი საზომით არის დაწერილი მე-10 საუკუნის პოეტის იოანე შტბეგარის გალობანი შობისანი (გალობა V, მიქაელ მოდრეკელის კრებული, გვ. 74, „გვიორგი შერჩეულე“, გვ. 616):

•

ესერა თვისთა თანა (7)
 (სტროფი) მოვალს ქრისტე შეუფეჲმ (7)
 სახლელუ ვეკმნეთ ღირსად (7)
 და შევიწუნარით სულითა გულსა შინა, (11)
 რათა მოვილოთ მისგან (7)
 ნაყოფი სიმართლისაჲ — (7) }
 ვითარცა ღმერთს არს. (5) }

•

ღესუს ძირისაგან (7)
 (ანტისტროფი) შორში აღუვაებულო, (7)
 სასოებაჲ წარმართთაჲ (7)
 აღმოსცენდა, რომლისა ნაყოფითა (11)
 განიყურნა სიმწარეჲ (7)
 ზისა მის ცნობადისაჲ — (7) }
 და შეახოვრა ჩვენ. (5) }

ამავე საზომითეჲ დაწერილი „გალობანი ნათელთანი“ მე-9—10 საუკუნის ანონიმისა (მიქაელ მოდრეკელის კრებული, გვ. 162—163 „გვიორგი შერჩეულე“, გვ. 617).



1 (სტროფი)

ტყევისა სამოსელსა
განდიარცევს დღეს ადამ
იორდანესა შინა,
და შეიმოსს ნათლისა სამოსელსა,
საღმრთოთა შით მადლითა,
სულისაგან და წულისა —
განახლებულსა.

(7)
(11)
(7)
(7)
(5)

2 (ანტისტროფი)

მღინარე მადლისად და
საშეებელი სულისად
მასე ჩვენ ნათლის-ლებითა
შენითა დღეს, ძეო მხოლოდ შობილო,
და განბანაა ცოდვითა
მომანიქე სახიერ —
ნათლის-ლებითა.

(7)
(7)
(7)
(11)
(7)
(7)
(5)

4. გალობანი ნინოსნი მე-9—10 სულქუნთა (ზელანურები წვირმული, Sin—59, Sin—64, Sin—93 და სხვ., «გიორგი შერჩულე», გვ. 654).

ლექსი (მეტრული პუნქტუაციის თანახმად) იკითხვის შემდეგნაირად:

1 (სტროფი)

მოველით, უგალობდეთ
შესხმითა ქებისადთა მხნესა ნინოს,
ტაძარსა მას წმიდასა
ვადიდებდეთ გალობითა ახლითა.

(7)
(11)
(7)
(11)

2 (ანტისტროფი)

დღეს ნათლითა საღმრთოთა
განენათლდეთ, მორწმუნენო, სიხარულით,
და ედღესასწაულობდეთ
სხენებასა ღირსად-მოღვაწისასა.

(7)
(11)
(7)
(11)

ჩვენ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მოყვანილი მაგალითებით (უფრო დაწვრილებით საკითხს შეიძლება გაეცნობა «გიორგი შერჩულეში»). წარმოდგენილი მაგალითებიდან შეიძლება სათქმელის ნათელია, რომ აქ ჩვენს წინაშე არის სრულად კანონზომიერი მეტრულ-რიტმული სიტყვა, შემავრებული სტროფებისა და ანტისტროფების პარალელური მწკრივებით, ამასთან დამყარებული არა რაიმე ნებისმიერ და ზეპირ ვარაუდზე, არამედ ისეთი შეყვარება და ურყევს დოკუმენტურ საფუძველზე, როგორც არის მეტრული პუნქტუაცია.

მელი ჰიმნოგრაფიისა ყოფილა ერთნაირი რაოდენობა მარცვლებისა ტაქებში. ენახოთ, რამდენად გამართლებულია ეს ამ ლექსის ნიმუშებში, რომლებიც მოტანილია საინალიზო ნაშრომში... არცეცა, რომ ამა თუ იმ სტროფის ტაქებში არ არის უოველთვის ერთნაირი რაოდენობა მარცვლებისა... საქმის ასეთ მდგომარეობაში, თავისი სტროფულ-ტაქობრივი ლექსის გაღასარჩენად, მეცდევარი ტექსტების შეკეთებას მიმართავს. ის ტექსტებში უმატებს ხოლმე მარცვალს, ხანდახან სიტყვებს (გვ. 451—452).

კ. კეკელიძე, ამრიგად, როგორც ვხედავთ, სასეებით დამარცხდა მეტრული პუნქტუაციის საკითხში, რაც კარდინალურს, ვადამწყვეტბ ხისიათის დოკუმენტალურ ჩვენებას წარმოადგენს პრობლემის გასარჩევად.

ამის შემდეგ კ. კეკელიძეს მოჰყავს ამისი მაგალითები, სადაც ცალკეულ შემთხვევებში ჩვენ ვიძლევით დაზიანებული ადგილების კონიექტურას, გამორჩენილი მარცვალის (იშვითად გამორჩენილი სიტყვის) აღდგენას და სხვა.

მაგრამ კ. კეკელიძე მაინც უკან არ იხვევს მიუხედავად ასეთი სრულიად ნათელი სტრატეგია, და მას კიდევ ერთი უკანასკნელი იერიში მოჰყავს რიტმული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ვითომცდა გასანადგურებლად

კ. კეკელიძე ამას უწოდებს «მანიპულიაციას» (sic!), რომელსაც ვითომც მე მივმართავ «ლექსის ამ სიხის გაღასარჩენად».

იი ეს ვითომც-და საბუთი კ. კეკელიძისა. კ. კეკელიძე წერს: «ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება რიტ-

კ. კეკელიძეს უნდა მოეახსენიოთ ასეთი უპასუხისმგებლო განცხადების გამო, რომ იგი, რასაც კ. კეკელიძე «მანიპულიაციას» უწოდებს, ეს არის არა მანიპულიაცია, არამედ ტექსტის მეცნიერული კრიტიკა.

კ. კეკელიძე თვით ტექსტების გამომწვევლია და მას კარგად მოეხსენება, რომ ხელ-

ნაწარში ტექსტები ყოველთვის არ არის სწორად მოღწეული, ამ ზოგჯერ ადგილი აქვს შეცდომებს, და შეცნიერული კრიტიკაც იმაში მდგომარეობს, რომ შტაციე შეცნიერულ საფუძველზე დამყარებით, ყველა დოკუმენტულური მასალისა და ვარიანტების გამოყენებითა და ჩვენებით, ტექსტის ნამდვილი სახეობა აღადგინოს.

თუ რამდენად არაა სწორი კ. კეველიძის ეს განცხადება, მკითხველსათვის ეს ნათელი გახდება მეორე ჩემი რეცენზენტის პროფ. ს. ყუბზინშვილის წერილიდან „ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის“, სადაც ს. ყუბზინშვილი დაწვრილებით ეხება ჩემ მიერ ჩატარებულს ტექსტულურ კრიტიკას ძველი ქართული ჰიმნებისა.

პროფ. ს. ყუბზინშვილი, აღნიშნავს რა, რომ ჰიმნები ძველ ხელნაწერებში იწერებოდა ვაბშით, პროზის მსგავსად, წერს:

„...ჩვეულებრივი მოკლენაა, რომ გადამწერს ზოგი ასო ან გამორჩება, ან ზედმეტს იმაჩნის, ან და კიდევაც შეცდის ზოლზე სიტყვის ფორმა. (ლექსში [კ. ა. კუბუტეგის სახით გაწეული ტექსტში]) ეს უფრო იშვიათად ხდება, რადგან გადამწერის უფრო შეამჩნევს ზოლზე რიტმის დარღვევას, თუ რამე ასო ან დაკლებდა, ან მოემატება). ამიტომ ბუნებრივია, რომ, რაკი პ. ინგოროყვამ, მას შემდეგ, რაც გამოარკვია, თუ ლექსთწყობის რა ფორმას მისდევს ესა თუ ის ლექსი, შეამჩნია, რომ რომელიმე ტაქში ზედმეტი მარცვლი გამოდის ან მარცვლი აკლებდა, იგი ახდენს ამ ტაქსის შესწორებას, იძლევა კონიექტურას...“

რომ ეს ანბანური ტექსტირება ტექსტულური კრიტიკის დარღვიდან, ამის ნათელყოფა შეძლება უამრავი მაგალითით.

„აი, ჩვენ ზელთ არის „ქართლის ცხოვრების ტექსტი, კრიტიკულად დამუშავებული ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით. ერთისა და იმავე დენდიდან მომდინარე რამდენიმე ხელნაწერში ასეთი სხვადასხვაიანი ფორმით გვხვდება სიტყვები და გამოთქმები:

193,21 სიდევისა	სუფივისა მის
193,22 წარინებული ისი	წარინებულიცა
221,16 მეფობდა კეთილად	მეფობდა
245,17 ნიჭთა	ნიჭთა დიდთა
263,9 ღონე	ღონენი

„რას მოასწავებს „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტთა ასეთი სხვაობა? ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ შემოხვევაში, მაგალითად, გადამწერს გამოჩნა „კეთილად“, ხოლო მეორე შემთხვევაში მას უძარღვოდ მოეჩვენა „ნიჭთა“ და დღემაცა „ნიჭთა დიდთა“. ყოველ კერძო შემთხვევაში თანამედროვე რედაქტორმა უნდა გამოიჩინოს იმდენი ადლო ტექსტულური შეგრძნებისა, რომ გავრცევს, თუ სად გამოჩნა

რამე გადამწერს, ან სად დღემაცა მან. ლექსის მიმართ კი, ამ ლექსის, რომელიც ბუნებრივად ვაბშით იწერებოდა, ყოველთვის ერთსა და იმავედელი მარცვალთა ან სიტყვათა დაკლებამიმატება, და რადესაც გარკვეულია რომელიმე ლექსის სტრუქტურული სახე, მის გამოცემულ — რედაქტორის სრული უფლება აქვს ამ სტრუქტურული სახის მიხედვით აღადგინოს ლექსის ტექსტი; სადაც მარცვალი აკლია — შეავსოს, სადაც ზედმეტია ამოშალოს.

„პ. ინგოროყვას თავის შრომაში „გოგორვი მერჩულე“ — ყველგან სქოლიოებში ზედმეტი წევნი თ აქვს აღნიშნული, თუ რა სახის კონიექტურა ჩაატარა მან ამა თუ იმ ლექსის ტექსტის დადგენის დროს.“

(იხ. პროფ. ს. ყუბზინშვილი, „მნათობა“, 1957, № 10, გვ. 113 — 114).

მეორე შეცნიერო, მიხეილ თარხნიშვილი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტია (ევროპის მასშტაბით) ძველი ჰიმნოგრაფიისა, ასევე იზიარებს ჩვენს კონცეპციას, კერძოდ ჩვენს მიერ ჩატარებულ ტექსტულურ კრიტიკას. წერტილში რომელიც დაიბეჭდა ფურცლით Oriens Christianus, იგი წერდა:

„საქმით ხანს გავრძელება, სანამ იმას მიღწევდნენ, რომ ბიზანტიური საეკლესიო პოეზიის მეტრული ხასიათი საბოლოოდ გავრცვიათ. ასევე მოუვიდა ქართულ პოეზიასაც და მის მეტრიკასაც; მხოლოდ ამ ცოტახნის წინათ მოახერხა პაუე ინგოროყვამ გაუფანტა ის ბურუსი, რომელიც ამ საკითხს შემოხვეიდა“. (შემდეგ მ. თარხნიშვილი ეხება ძველ ქართული მეტრიკის ამოშიფრვას ისტორიას და კერძოდ წერს): „ჰიმნების შესწავლის დროს ინგოროყვამ დაადგინა, რომ საგალობლებს (ჰიმნებს) მოეპოვება გარკვეული, კანონზომიერი განმეორებული პუნქტუაციის ნიშნები, რომლებსაც ერთგვარი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. კვლევა-ძიების დროს გადამწევები მნიშვნელობა იქონია იმ გავრცობამ, რომ შრავალი ჰიმნის თავში მოთავსებული იყო შენიშვნა: „სოფლისა ზღუა აღძრულ არს“ ან „ზღუსა მის შემწეულია“ და სხვ. მალე ინგოროყვამ იპოვა ამ ზედწერილების ტექსტის შემდგომმა კვლევა-ძიებამ დასასრულ გამოვლინა ის, რომ შრავალი ჰიმნი ამ სტროფებით იყო გამართული. ამით იქმნა აღმოჩენილი ირმოსი; ეს რყო მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომლისგან გამომდინარეობს შემდგომი დასკვნა, რომ ქართული ჰიმნები პროზული ნაწარმოებები კი არ არის, — არამედ ნამდვილი, გარკვეული კანონების მიხედვით შეთხზული ლექსები. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო ის, რომ ეს კანონები დადგენილიყო, ჰიმნების უამრავი რაოდენობა ამ მეტრული სტრუქტურ-

არის საფუძველზე დაცხრილულიყ და ღალ-
გებულიყ.

(ob. Oriens Christianus, ტ. 41, 1957, გვ. 97).

ტაქტუალური კრიტიკის საფუძველზე შე-
ტანილი თითო-ორილა დაზიანებული აღგილის
შესწორება, რასაცვირვული, არ ცვლის საე-
რთო სურათს, არ ცვლის და არც შეიძლება
შეცვალოს ლექსთწყობის ის ურყევი კანონე-
ბი, რომელიც დადგენილია კანონზომიერი,
თანმიმდევრული მეტრული სტრუქტურით,
სტროფულ-ანტისტროფული წყობით, მტყი-
ცულ კონტროლირებული მეტრული პენქტა-
ციით.

მეთხველმა ისე ვადამთავალიეროს რიტმუ-
ლი პოეზიის ზემოთმოყვანილი მაგალითები —
„რომელმან დაპაღანა ცანი“ (გვ. 166), „გიბა-
როდენ, ქალწულია სიჭადელი“ (გვ. 167), „სოფ-
ლისა ზღვაა აღძრულ არს“ (გვ. 167), „ესერა
თვისთა თანა“ (გვ. 167), „ტუვისისა სამოსელსა“
(გვ. 167 — 168), „მოყვლით უგალობდეთ“
(გვ. 169).

შველა ეს მაგალითი უცვლელად ეყყარე-
ბა ხელნაწერებს, აქ არა აქვს აღგილი რაიმე
კონიექტურას, არაა შეტანილი არც ერთი
მარცვლი ნებისმიერი შესწორება, რაც ხელ-
ნაწერების ტექსტს სცილდებოდეს, და შეით-
ხველი ხედავს, თუ როგორი ურყევი კანონ-
ზომიერებით არის ჩამოქნილი აქ მეტრული
სტრუქტურა, თუ როგორ უცვლელად მყარ-
დება სტროფის მეტრულ-რიტმული აღნაგობა
მის მომდევნო ანტისტროფში; სტროფის მეტ-
რული წყობის სისწორეს აკონტროლებს და
აღასტურებს მისი პარალელური ანტისტროფი.
მოყვლად, აქ გვაქვს მყარად განამაზღვრული და
ჩამოყალიბებული სისტემა.



რაც შეეხება კონიექტურებს, ზოგიერთი
დაზიანებული აღგილის შესწორებას რომელ-
საც ჩვენ ვიძლეეთ „გიორგი მერჩულიში“,
ესეც არის არა ნებისმიერი რაიმე შესწორება,
ნაყარნახევი „გემოვნებით“, არამედ ასეთ შეს-
წორებას ჩვენ მიემართავთ მხოლოდ მას შემ-
დეგ, რაც დადგენილია, სახედობრ ლექსთ-
წობის თუ რა სახეობას მისდევს პიჟნი. ამრი-
გად, ჩვენ აქ მივდივართ არა შესწორებიდან
სალექსო ფორმამდე, არამედ, პირიქით, სალექ-
სო ფორმიდან მივდივართ დაზიანებულა აღ-
გილის აღდგენამდე. (ამასთან, როგორც წესი,
სქოლიოებში ჩვენ ყოველთვის ზედმიწევნით
აღნიშნული გვაქვს, თუ რა სახისაა ეს შესწო-
რება და როგორია ხელნაწერების ვარიან-
ტები).

აი ამისი ერთ-ერთი მაგალითი.

ჩვენამდე მოღწეულია რიტმული კოფის
ერთი ლექსი, ვაბასების სახით დაწერილი
(სიტყვანი ძისა და დედისა), რომელიც
გუთუნის მე-10 საუკუნის განთქმულ
პოეტს გიორგი მერჩულეს, დაცულია იგი
მიწველ მოღრეკილის ხელნაწერ კრებულში,
გვ. 485. ლექსი შეიცავს ხუთ სტროფულ
ერთეულს (50 ტაქსს).

ყოველი სტროფული ერთეულის მეტრული
სტრუქტურა ასეთია:

8. 7. 7. 7. 6. 6. 7. 7. 7.

ასეთი მეტრული სტრუქტურა უცვლელად
მეორდება ითხი სტროფული ერთეულის მან-
თაღზე.

ხოლო უყანასენლის, მეხუთე სტროფულ
ერთეულში ლექსს ავლია ორი მარცვლი: ერთი
მარცვლი ავლია პირველ ტაქსს (ე. ი. ნაცუ-
რად 8 მარცვლისა არის 7 მარცვლი), ერთი
მარცვლი ავლია მეათე ტაქსს (ე. ი. ნაცულად
7 მარცვლისა არის 6 მარცვლი).

არაა დიდი გონებაშახვილობა იმის გამოთაყ-
ნობად, რომ პირველ შემთხვევაში აქ გამო-
ჩენილი უნდა იყუეს, „ჰ“, ხოლო მეორე შემთ-
ხვევაში „წ“; ეს უღგება საერთო კონტაქტს.

ჩვენ შევიძლია არ დავეთანხმობთ ამ შეს-
წორებებს, და არაიენ არც სთელის ამას სა-
გაღდებელიოდ, ხოლო თავისთავად ის ფაქტი,
რომ აქ ტექსტს ავლია თითო მარცვლი, ეს არ
იწვევს ეჭვს, რადგან ეს სრულს ავტომატ-
ობით გამომდინარეობს ლექსის საერთო მეტ-
რულ-რიტმული სტრუქტურიდან.

აი ამას ვემყარებოდით ჩვენ, როდესაც ამ
ლექსის მეხუთე სტროფულ ერთეულში შევი-
ტანეთ კონიექტურა (პირველ ტაქსში „ჰ“,
მეათე ტაქსში „წ“), და ამასთან სქოლიოში
აღნიშნეთ, რომ ეს ორი მარცვლი ჩვენს
შესწორებას წარმოადგენს.

გვექონდა ამისი უფლება? გვექონდა. (მით
ღფრო რომ მკითხველს ვუთხვალისწინებთ საქ-
მის მთელ ვითარებას, მას აქვს საშუალება
ყველაფერში გაერყევის, დავეთანხმოს ან არ
დავეთანხმოს). ეს არის ლექსტის მეციერულ-
ი კრიტიკით ნაყარნახევი შესწორება (და არა
„მინიპულიაცია“, როგორც ამას ე. კეიელიმე
თავისთავს ნებას აძლევს უწოდოს).

მოგვყავს ამის შემდეგ ეს ლექსი მთლიანად,
რათა მკითხველს საშუალება მიეცეთ თვით
გაეცნოს ტექსტს. ჩვენ მიერ აღდგენილი ორი
მარცვლი მეხუთე სტროფულ ერთეულში,
„ჰ“ (პირველ ტაქსში) და „წ“ (მეათე ტაქსში)
მითთავსებული გვაქვს სწორ ფრჩხილებში:



სიტყვანი ძიხა და ღედისა

1
(სტროფი)

[ძეა]
 „ნუ მწუხარე ხარ, უსძლოო,
 უბიწოო ღედოო,
 მიხილო რა შობილი
 შენგან ამ ქვეყნად ღმერთი
 ხორცილთა ჯვარ-ემული
 შორის ავაზაკთა, —
 რამეთუ ნეწსით თვისით
 დაეიბენ აწ სიკვდილსა
 ცხოვრებისა მიზეზსა
 სოფელსა ხსნისათვის!“

2
(ანტისტროფი)

[ღედაა]
 „ღმრთისა სიტყვაო მხოლოო,
 მხოლომსაგან მამისა
 ძეო მხოლოდ შობილი!
 დაღაცათუ კაც იქმენ
 და მიიღე მხსნელო
 ბუნებაჲ განხრწნადი
 ბუნებისგან ჩემისა,
 ხოლო ღმერთ ხარ ბუნებით!
 ვითარ დასაჯები
 უკვდავი მოკვდავთათვის?!“

3
(ანტისტროფი)

[ძეა]
 „ვითარცა სთქუ, უბიწოო,
 ღმერთი ვარ ბუნებითა,
 გარე-შეუწერელი,
 უკვდავი ღმრთეებითა,
 არამედ ხორცილთა
 გემოჲ სიკვდილისაჲ
 ვიხილე უხილავმან!
 ხოლო აწ მოუკედინო
 სიკვდილი და ღმრთეებით
 აღდგე საფლავისაგან.“

4
(ანტისტროფი)

[ღედაა]
 „ნუ დაჰხსნი აწ სიქადელსა
 ჩემსა, ღმრთისა სიტყვაო,
 ძეო მხოლოდ შობილი!
 აჩვენე, უძლეელო,
 ღმრთეებისა ძალი,
 ილტქმამ აღასრულე,
 აღდგომითა საფლავით
 არცხეინე მოძულეთა
 და აღიდენ, ჩომელნი
 ღირსად გადიდებენ შენი!“

5
(ანტისტროფი)

3, ღედაო მხსნელისაო
 უბიწოო ქალწულო
 უსძლო ღმრთის-მშობელო,
 უმეტესად იხარებდი:
 ძემან შენგან ღმერთმან
 ქვესკნელი შემუსრა,
 სიკვდილი მოაკვდინა,
 ვითარცა თქვა პირველად,
 აღდგა აწ დღეს საფლავით!

ამრიგად აქ ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული, კანონზომიერი რიტმული სისტემა. არ უნდა გვავიწყდებოდეს ამასთან, რომ ეს რიტმული სისტემა, როგორც მოხსენებული გვექონდა, აღდგენილია არა რაიმე ნებისმიერი და ზუზირი ვარაუდით, არამედ ემყარება ისეთს ურყევს დაუმეინტრო საფუძველს, როგორც ანის მეტრული პუნქტუაცია, რომლითაც ზუსტად არის განსაზღვრული ლექსის წყობა, მისი მეტრული-რიტმული სტრუქტურა.

ფიქტობით, ყველა ამ ზემოთ მოყვანილი ტექსტების გაყენობის შემდეგ, მკითხველისათვის ნათელია, თუ რამდენად უსაფუძვლოა კ. კეკელიძის მოსაზრებანი რიტმული პოეზიის ლექსთწყობის შესახებ.

*

აქ საჭიროა შევიჩრდეთ აგრეთვე ერთ კონკრეტურაზე, რომელიც ჩვენ შევიტანეთ ლექსში „გუნდნი იგი ზეისანი“ (ანდერძი იადგარისა). კ. კეკელიძე, როგორც ვნახეთ, ამ ლექსის მეტრის ამოცნობას პ. ბერაძეს მიაწერდა (სინამდვილეში, როგორც გამოირკვა, პ. ბერაძე აქ არაფერ შეუშია). მე კი ვითომც ვარ ამ ლექსის დამამბინჯებელი ჩემი დამამბინჯება ამ ლექსისა კ. კეკელიძეს იმდენად მინშველოვნად მიემჩნევა, რომ ამ საკითხს იგი ორჯერ უბრუნდება.

აი რასა წერს კ. კეკელიძე ამ საგანზე:

„არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ დამამბინჯებას, რომელიც ვანუცლია პ. ბერაძის მიერ გამართულ ლექსს იოანე-ზოსიმესას (აგუნდნი იგი ზეისანი) პ. ინგოროყვას შესწორებაში, თანამად მისი სტროფულ-ტაეპობრივი საზომისა (გვ. 579—580)¹. ხელოვნურად დამსხვრეულმა სტრიქონებმა (16, 12 და 8 მარცვლი) უღმობუნად უმტყუნა მკვლევარს: მუხთუე სტროფის მესამე ტაეპში იმას სპირადებოდა 16 მარცვლი; რადგან ტექსტი იმას არ იძლეოდა, მან ნებისმიერად ჩაუმატა სიტყვა „იგი“ და ამ გზით მიიღო საჭირო რაოდენობა მარცვლისა. ტექსტში ჩამატებისა და გამოვლების გზით, რასაკვირველია, ყოველგვარი საზომის მიღება შეიძლება“ (გვ. 449).

გაუცნობთ ამის შემდეგ თვით ლექსს, და ვნახათ, რამდენად სპარათლიანია კ. კეკელიძის ეს შენიშვნა.

იოანე-ზოსიმეს ლექსი „გუნდნი იგი ზეისანი“ (ანდერძი იადგარისა) დაწერილია მალაღი შაირის პოლიმეტრიით. ყოველი ტაეპი, როგორც მოხსენებული გვექონდა, შედგება ოთხ-მარცვლიანი მუხლედებისაგან.

ლექსის ამ სახეობას მალაღი შაირის პოლიმეტრი იმის გამო ეწოდება, რომ აქ

გამოყენებულია მალაღი შაირის სალექსო საზომის ყველა სახეობანი: 16 მარცვლი (4+4+4+4), 12 მარცვლი (4+4+4), 8 მარცვლი (4+4) და 4 მარცვლი.

სტროფში, როგორც ეს საერთოდ შაირულ ლექსებშია მიღებული, 4 ტაეპია.

ბოლო ყოველი სტროფის ფარგლებში მალაღი შაირის ყველა სახეობანი თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს; ეს ქმნის უმდიდრეს რიტმიკას, ნამდვილს პოლიფონიურ რიტმს.

აღენიშნავთ, რომ მიხეილ თარხნიშვილიც იზიარებს ჩვენ შეხედულებას, რომ ამ ლექსში ჩვენ გვაქვს მალაღი შაირის პოლიმეტრია. იგი წერს: „ოთხ-მარცვლიანი სტროფის ნარევი ტაეპები წარმოგვიდგენენ მალაღი შაირის ყველა ფორმას და მას კუე-განაყოფებს... ცალკეული სტროფების აგებულებაზე ვაბუობთ ჩვენ, რომ აქ საქმე გვაქვს ნათლად გამოსახულ პოლიმეტრთან — სალექსო საზომთან, რომელიც უაღრესად სახეიზოდ და უზესთაესად მოქმედებს“ (გვ. 84).

*

იოანე-ზოსიმეს ეს ლექსი დაეულია სინას მთის X საუკუნის ხელნაწერში № 34 (გვ. 208ა).

მისი ტექსტი გადმისწერა 1902 წელს ივანე ჯავახიშვილმა, იმ დროს ახალგაზრდა მეცნიერში, სინას მთაზე მოგზაურობის დროს ნ. მართან ერთად.

ტექსტი გადმოწერილია გაბიით, როგორც ხელნაწერშია (ე. ი. ლექსითი სტრუქტურის გამოყენების ვარგეშე):

ეს ტექსტი, ივ. ჯავახიშვილის გადმონაწერის მიხედვით, პირველად დაბეჭდა კ. კეკელიძემ 1923 წელს თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში (გვ. 165—166). როგორც მოეხსენეთ, კ. კეკელიძე ამ ლექსს „იამბიკოს“ უწოდებდა და აღნიშნავდა რომ აქ „არაერთი საზომი, უბრალო მარცვალთა რაოდენობაც კი ბოლომდე დატული არაა.“

1947 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის „სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, რომელშიაც დაიბეჭდა თვით ივ. ჯავახიშვილის გადმონაწერის ტექსტი (გვ. 59).

ჩვენ ამ ტექსტს ვიცნობდით კ. კეკელიძის 1923 წლის გამოცემის მიხედვით. (უფრო გვიან ვავეცანი ივ. ჯავახიშვილის გადმონაწერისაც, რომლის უცვლელ განმეორებას წარმოადგენს კ. კეკელიძის 1923 წლის გამოცემა).

ჩვენ უკვე მოთხოზობლი გვექონდა ზეით ამ ტექსტის ლექსითი სახას დადგენის ისტორია. „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში“, რომელიც 1939 წელს დაბეჭდა, ჩვენ მითითებული გვექონდა ამ ტექსტის ლექსითი სახეობაზე, აღნიშნული გვექონდა, რომ იგი 4-მარცვლიანი მუხლედებისაგან შედგება.

„გორაკი მერჩულეში“ ჩვენ გამოვაქვეყნეთ ამ ლექსის სრული ტექსტი აღდგენილი სახით;

¹ სინამდვილეში აქ „სტროფულ-ტაეპობრივი საზომი“ არაფერ შეუშია, აქ სულ სახის ლექსთან გვაქვს საქმე (მ. ი.).

და აი აქ ჩამოდენია ის „მანიპულიაცია“, ტექსტის ვითომდა შერყვნა, რასაც კ. კეკელიძე მომავლდინებულ ცოდვად მითვლის.

*
აქ საჭიროა ამასთან აღენიშნოთ შემდეგიჩვენ ამჟამად ამ ლექსის ტექსტის დოკუმენტაციისათვის ბევრად უკეთეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე დღემდე ვიყავით.

ყველანი ჩვენ აქამდე ვემყარებოდით ივ. ჯავახიშვილის მიერ ახალგაზრდობის დროს გადმოწერილ ტექსტს.

1957 წელს მიხეილ თარხნიშვილმა, რომელსაც საშუალება ჰქონდა ფოტო-პირებში გასცნობოდა ამ ლექსის დედანს, აღნიშნა თავის რეცენზიაში (გვ. 84, შენ. 63), რომ ივ. ჯავახიშვილის ამ ლექსის გადმონაწერში გამოტოვებულ უოფილა პირველ სტრიფში — ერთი სიტყვა: „წმიდათასა“.

ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა. სიტყვა — „წმიდათასა“ (რომელიც მარცვალთა ჩაოდენობით მაღალი შაარის 4-მარცვლიან მუხლედს წარმოადგენს), სრულიად ბუნებრივად ჯდება ლექსის მეტრში.

ამას ემატება შემდეგი: პირველი სტროფი ლექსისა, რომელიც აქამდე განმარტოვებით იდგა, ნამდვილი წყითების აღდგენის შემდეგ, უფრო ორგანულად ერწყმის მართელს, იგი პირაღელს პოულობს მე-2 და მე-5 ტაქტებში

(რომლებშიაც ასევე ორჯერ გვხვდება 16-მარცვლი, და თითოჯერ 8 და 4 მარცვლი). ამის შემდეგ თბილისში მიღებულ ვერსია სინას მთას ხელნაწერთა ფოტოპირები და ჩვენ ამჟამად გვაქვს საშუალება ლექსის მთლიანი ტექსტის დედანთან შედარებისა.

*
გავეცნოთ ამის შემდეგ მთლიანად ლექსის ტექსტს და განვიხილოთ, თუ რამდენად მართებულია ის შესწორებანი, რომლებიც მე შევიტანე ტექსტში¹.

რათა შეიკოვებულს გაუადვილდეს ლექსის მეტრული სტრუქტურის ათვისება, ყოველ მეტრულ მუხლედს გამოვყოფთ ერთმანეთისაგან ნიშნით ||. ამის მიხედვით შეიკოვებულს თვალნათლივ დარწმუნდება, რომ ლექსი მთლიანად ნაწილდება 4-მარცვლიან მუხლედებად.

¹ ლექსი იბეჭდება უცვლელად იმ სახით, როგორცადაც იგი მოყვანილია „ვიორჯი შერჩილუში“ იხ. გვ. 579—580. (ერთადერთი სხვაობაა მხოლოდ პირველ სტრიქონში, სადაც, ხელნაწერის მიხედვით, დამატებულია სიტყვა „წმიდათასა“, რაც, როგორც აღენიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის გადმონაწერში გამოჩენილი უოფილა, და რაც სრულიად ბუნებრივად ჯდება ლექსის პოლიმეტრულ წყობაში).

ანდერძი იადგარისაჲა

ბუნდნი იგი || ზეისანი || შენ წმიდასა || წმიდათასა || (16) 4 4 4 4 4
განწყობილნი || გიგალობენი || (8) 4 4

მე უღირსი || შევიერდები, || რათა ვიყო || მათ თანავე || (16) 4 4 4 4 4
შენგან უძაბე || (4)

*
მსე შესხმამ || სულერი || შენ მიერვე || მოცემული, || (16) 4 4 4 4 4
კაცთა მიერ || მოღაწეთა || ფრიად სიბრძნით || გამოთქმულო, || (16) 4 4 4 4 4
შეიწირე || ზემ მიერცა, || (8) 4 4
კაცთ-მოყვარძი || (4)

*
მრთა მიერ || ბრწყინვალეთა || ღმრთისა კაცთა || სისურველთა, || (16) 4 4 4 4 4
სიღრმითა მით || გულისაჲთა || სათნოდ ღმრთისა || შეკრებულთ, || (16) 4 4 4 4 4
ვითარცა რაჲ || მარგალიტი || ურიცხვსა || სასყიდლისაჲ, || (16) 4 4 4 4 4
ჩვენ მოგვცა, || მორწმუნენო, || (8) 4 4

*
რათა ჩვენცა || ვიხარებდეთ || შეწინებულად || დატკობილთა || (16) 4 4 4 4 4
ხმათა მათთა || სიმრავლითა, || (8) 4 4
გალობითა || ბრწყინვალითა, || შესხმითა მით || წმიდათაჲთა, || (16) 4 4 4 4 4
რომლითაცა || იდიდებები || შენ, სახიერა || (12) 4 4 4 4

*
ბანჯვარავლე, || ჭველის-მოქმედ, || განმე ესე || სულერი, || (16) 4 4 4 4 4
მოცემული || შენ მიერი; (8) 4 4
ძალსა მისსა || მყვენ მიმწოდომელ, || რათა არა || იყოს [იგი] (16) 4 4 4 4 4
ჩვენდა თუბი || (4)

*
იხარებდით || მოძღურებითა || სულერად || შესხმისაჲთა, (16) 4 4 4 4 4
კრებულთ || მსწავლელოთა, || (8) 4 4
ურთიედეთ რაჲ || სიტყვათა მით || გალობითა || კმეანთა, || (16) 4 4 4 4 4
ჩამელთაგან || იდიდების || კაცთ-მოყვარება || ღმერთთა ჩვენნი, || (16) 4 4 4 4 4



ამრიგად, როგორც მკითხველი ხედავს, ლექსი ან დერძი ი ა დ გ ა რ ი ს ა მთლიანად დაწერილი ოთხმარცვლიანი მუხლებდით. სულ ლექსში არის 74 ოთხმარცვლიანი მუხლები. აზავითარი სხვა სახის მუხლები, ვერაღ ოთხმარცვლიანისა, ლექსში არ არის და ლექსთწერობის საერთო სტრუქტურის მიხედვით არც შეიძლება იყოს.

ამიტომაც, როდესაც ხელნაწერში ჩვენ გვხვდება ერთი ადგილი, სადაც მუხლებში, ნაცვლად ოთხი მარცვლისა — არის ორი მარცვლი (იხ. მე-19 სტრიქონი, მეოთხე მუხლები, სადაც ნაცვლად ოთხი მარცვლისა: „იოსის [ი]“, ხელნაწერშია ორი მარცვლი: „იოსის“) — აშკარაა აქ ტექსტის დაზიანებასთან, გადაწერის შეუდგომასთან გვაქვს საქმე, რადგან ეს არღვევს ლექსთწერობის მკაცრად ჩამოყალიბებულს სისტემას, მაღალი შიარის მუხლებდოვან სტრუქტურას, რაც ლექსში თავიდან ბოლომდე არის დაცული (ნუ დაგვაიწყდება რომ ეს დაზიანებული ადგილი წარმოადგენს მხოლოდ ერთადერთს გამონაკლისს 74 მუხლებდოვან შიარისს).

ამრიგად, რომ ამ ერთ შემთხვევაში ტექსტის დაზიანებასთან, გადაწერის შეუდგომასთან გვაქვს საქმე, ეს უდავოა; გასარკვევია მხოლოდ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პირველადი ტექსტი. საერთო კონტექსტი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აქ აკლია სიტყვა „იგი“, რასაც მოითხოვს თვით ფრაზის ბუნებრივი წყობა.

გარდა ამ მთავარი კონიექტურისა, „გიორგი მერჩულეში“ ჩვენ წარმოვაღვიწხეთ აგრეთვე შემდეგი კონიექტურები ამავე ლექსის ორი ადგილისა.

1. ლექსის პირველ ტაეში კ. კეკელიძეს და პ. ბერაძეს შეუდგომით დაბეჭდილი აქვთ: „გ ა ნ წ ყ ო ბ ი თ ი ნ ი“, ნაცვლად სწორი წაკითხვისა „გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი ნ ი“. ეს კონიექტურა შემდეგს ემყარება. ჯერ ერთი, კონტექსტი აქ მოითხოვს სიტყვას „განწყობილი“ („გუნდნი... განწყობილი“) და არა „განწყობითი“; ამას ერთვის ის გარემოება, რომ ნუსხა-ხეცურ დამწერლობაში, როცა სიტყვა ვაგამით არის დაწერილი, „განწყობილი“ შესაძლოა წაკითხულ იქნას, როგორც „განწყობითი“. ამის გამო „გიორგი მერჩულეში“ ჩვენ ვწერდით, რომ ხელნაწერში

უნდა წარებულიყო „განწყობილი“, ტაეში კ. სწორად იქნა ამოკითხული, რეგულარული „განწყობითი“ (იხ. გვ. 579).

ამჟამად ხელნაწერმა დადასტურა ჩვენი ვარაუდი. სინას შთის ხელნაწერში № 34 (შეათვ უნუქენისა), რომლის ფოტო მიღებულია თბილისში (ფოტო დაუღლია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში) იკითხვის „განწყობილი“, როგორც ჩვენ ვივარაუდეთ, და არა „განწყობითი“, როგორც ეს კ. კეკელიძეს და პ. ბერაძეს აქვს დაბეჭდილი (იხ. ხელნაწერის 208 ა გვერდი).

2. ლექსის მეექვსე ტაეში სიტყვა „გ ა მ ო თ ქ მ უ ლ ი“ (ანუ ძველ-ქართული ორთოგრაფიით „გამოთქმული“), კ. კეკელიძეს და ბეჭდილი აქვს როგორც „გამოთქმით“ (= გამოთქ(უ)მით), ხოლო პ. ბერაძეს, ვინაიდან ლექსს ერთი მარცვლი აკლდებოდა, სიტყვა შესწორებული აქვს ამ სახით: „გამოთქ(უ)მი თ[ა]“. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ნუსხა-ხეცურში, დაქარაგმებული დაწერილობა „გამოთქ~მით“ და „გამოქ~მლი“ გრაფიკულად ერთმანეთს უახლოვდება: „გიორგი მერჩულეში“ ჩვენ მიუთითეთ, რომ ნაშლევი წაკითხვა ამ სიტყვისა არის „გამოქ~მლი“, ე. ი. ქარაგმა-გახსნით „გამოთქ(უ)მული“, რაც არა სწორად ამოუკითხავთ როგორც „გამოთქ(უ)მით“, გრაფიკის მსგავსების გამო.

ხელნაწერმა აგრეთვე დადასტურა ეს ვარაუდი. სინას შთის ხელნაწერში № 34, როგორც ეს ირკვევა ფოტო-პირის მიხედვით (იხ. გვ. 208 ა), ლექსის მეექვსე ტაეში იკითხვის დაქარაგმებით: „გამოქ~მლი“ = „გამოთქ(უ)მული“, ე. ი. ზუსტად იმ სახით, როგორც ეს ჩვენ გვჭონდა მიუთითებელი.

ჩვენ ამით დავამთავრებთ საუბარს ამ ლექსზე — ან დერძი ი ა დ გ ა რ ი ს ი ს („გუნდნი იგი ზეცისანი“).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მთელი ეს რიზიანი საუბარი კ. კეკელიძისა (ეთიომე მე „დავამახინჯე“ ლექსის „სწორად გამართული ტექსტი“, ეთიომე მე „უღმობელად მიმტყუნა“ კრიტიკულმა აღლომ ქართული ლექსთწერობის საკითხთა განხილვის დროს), — მეტი რომ არა შეუქვამთ, მოკლებულია მეცნიერულ საბუთიანობას.

(დასასრული იქნება)

353000000 ზიოზინი



ენრიკო კარუზო

ნეაპოლის არტიტულ საზოგადოებაში პატარა „კაფე დეი ფიორი“ მერად ცნობილი იყო. ყველა არტიტი და მომღერალი, ვინც კი ოქნებობდა თუნდაც რომელიმე მეორეხარისხოვან პროვინციულ თეატრში მოწყობაზე, აქ დაიარებოდა, ყველა მათ იზიდავდა „კანტორა“ — თეატრალური აგენტის ფრანკესკო ცუკის პატარა მაგიდა. საქმიანმა, ტემპერამენტისა სიცილიელმა დიდი ხანია, რაც ყურადღება მიაქცია ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა ტენორს, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე დღეა ელოდა — როდის გავლიშებდა ბედი. დაღვა ეს დღეც ერთხელ, როდესაც ახალგაზრდა მომღერალი დაღონებული იჯდა „კაფე დეი ფიორეში“, ჩქარი ნაბიჯით შემოსულმა ცუკიმ დაეძახა მას: „აბა, მეგობარო, მოეშადავ, იშვიათი ბედნიერება გხვდა წილად. ფასტი უნდა იმღერო, გესმის? ფასტი ნეაპოლის „ბუღინის თეატრში“. ამ თეატრის პირველი ტენორი აეად გახდა ხალხს თუ მოეწონები, სხვა როლებსაც შეასრულებ“. უმაწილმა, მართლაც, გაამართლა ცუკის იმედები, აგენტი სიამოვნებით და კმაყოფილებით საეცე იყო... მაგრამ, როდესაც მოვიდა ცნობა, რომ ახალგაზრდა მომღერალმა „რიგელტოში“ პერსონაჟის როლი სამჯერ ზედხედა შეასრულა, ცუკი უკვე ვეღარ იკავებდა თავის აღტაცებას. როგორც ეს სრულიად სიცილიელებს, იგი წინასწარმეტყველებდა „კაფე დეი ფიორეში“: „დამიჯერებ, მეგობარებო, გვაა დრო და ეს უმაწილი მსოფლიოში უდიდესი ტენორი გახდება“. ყველამ იცოდა, რომ თეატრალური აგენტს უკვარდა ლამაზი ფრანზა, მოხდენილი ქუსტი და პიონა, ამიტომ ძნელად წარმოიდგენდნენ, თუ ახერხებდა ცუკი სიამართლეს ამბობდა, რადგან ეს უმაწილი იყო — ენრიკო კარუზო.

1873 წლის 25 თებერვალს ნეაპოლში მექანიკოსის მარჩელინო კარუზოს ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც ენრიკო შეარქვეს. ახალ-

შობილს ხანმოკლე სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდნენ, და განა უმიზნებოდ: მომავალი მომღერლის მანამდე დაბადებული ჩვიდმეტი და-ძმა აღრეულ ასაკში გარდაცვლილანამაგრამ ბავშვმა თავიდან აიცილა თითქოს ბედით წინასწარდანიშნული სანწუხარო ხვედარი, თუმცა ვერ დაიკვეხნიდა საშერეელ ჯანმრთელობით. ათი წლისამ უკვე მიიქცია საერთო ყურადღება თავისი ხმით — პატარა გულსიაში „სან-ჯიოვანელი“, რომელიც მის სახლთან აბლოს მდებარეობდა, პირველი მისი საჯარო გამოსვლება შედგა.

სისტემატური სწავლა-განათლება მას არ მიუღია. კარუზოს დედა, სუსტი ჯანმრთელობის ქალი, შექტებისდაგვარად ამეცადინებდა თავის შვილს, მაგრამ იგი უფრო ხშირად ავადმყოფობდა, ამიტომ ბავშვს მეზობლები და ნაცნობები უვლიდნენ. ცოტათი რომ წამოიზარდა, ენრიკომ დაიწყო მუშაობა ფაბრიკაში, იქ სადაც მამამისი მუშაობდა, მაგრამ სიმღერას თავი არ დაანება: ეს იყო ახალგაზრდა ნეაპოლელის უდიდესი სიხარული და სიამოვნება. ხშირად ესმოდა მას ბავშვობის ერთერთი მეგობრის აღტაცებული სიტყვები: „შენი ხმა, ენრიკო, ყველანს საუკეთესოა!“ და შეიძლება ამ სიტყვებმა გააბედინეს, მისთვის ეოკალურ პედაგოგ ჯუზეპე ვერჯინესთან უკანასკნელმა თუმცა არ სუნო კარუზოს ხმა განსაკუთრებულ შოეღენად, მაინც დათანხმდა მისთან შეტანილობაზე. ფიცილი და თვითმჯერადი, თანაც, არა საქმარისად გულწრფელი ვერჯინე მუდამ გაიძახოდა, რომ კარუზოს ხმა არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულს. კარუზო კი მუშაობდა ფაბრიკაში და თან მღეროდა, მღეროდა არა მარტო ვერჯინეს გაყვითლებდს დროს, არამედ ნეაპოლის ქუჩებში მდიდარი მოქალაქეების ფანჯრების წინ, ზოგჯერ რამდენიმე საათს ზედხედა, ხან „ნეაპოლური სიმღერის“ სახელგანთქმულ კონკურსებზე, ხან აბლომაბლო სოფლებსა და გულსიებში. ეს იყო გაპირებებისა და მძიმე შრომის დრო; უკვე სახელმწიფოში მამარალი მწარედ იგონებდა, თუ როგორ უბედებოდა მას

ცნობილი მუსიკისმცოდნე ე. ტიზონის სტატია დაწერილია სპეციალურად ჩვენი ძურნალისათვის.

ბშირად გვიან ლამით შინ მისვლა ღონეშიბდილ-სა და დედუღერებულს ასეთი „კონცერტების“ შემდეგ, ერთ-ერთ „მეცენატის“ მიერ ნაჩუქარი, ძველ პალატოთი წამოსხმული, რომ გზაში არ გატეხულიყო. ცამეტი წლის ენ-რიკომ დაჯარა ვედა: იგი ვარდაიცივლა საყ-ვარელი შვილის ერთ-ერთი ასეთი „კონცერტის“ დროს...

გადიოდა წლები. ვერჯინეს შემდეგ კარუ-ხო მშობლიური ქალაქის სიმღერის ერთ-ერთ კერძო სკოლაში მიეზარა, მერე დადგა დრო სამხედრო ბევარის გადახდას. მაგრამ როდესაც ენრიკო ისევ საყვარელ ნეაპოლში დაბ-რუნდა, ვერჯინემ გადაწყვიტა, დაეხმაროს თავის მოწოდეს — დადგეს არტისტულ გზა-ზე. მაგრამ ახლაც კეთილშობილი ზრახვები კი არ ამოძრავებდა ვერჯინეს, არამედ ანგა-რება ამოცდიდა: შეთანხმების თანახმად, კარუხო დაპირდა განსაზღვრული დროის მან-ძილზე თავის მასწავლებლისათვის ეძლია-ოცდახუთი პროცენტი შემოსავლიდან! მაგ-რამ ვერჯინეს პირველი ცდა უშედეგო აღ-მოჩნდა: ენრიკო ნეაპოლის თეატრში „ბრა-ვანტე“ გამოცდაზე წაიჭრა. ამ დროს ადგი-ლობრივი კომპოზიტორი მორჯე საოპერო დასს აგროვებდა თავისი საკუთარი ოპერის „მეგობარი ფრანჩესკოს“, დასადგმულად და კარუხო ჩაეწერა ამ დასში. მორჯელის ოპერის პირველი შესრულება და, ამავდროულად, კარუ-ხოს ღვინო პრიფესორულ საოპერო სექ-ტაქლში მოხდა 1894 წლის 16 ნოემბერს თეატრ „ნუოვო“-ში. ოპერას არავითარი წარ-მატება არა ჰქონდა, კარუხოს ხმამ კი მყუ-ტებლის და, შეტადრე თვითონ მორჯელს, აღ-ტაცება გამოიწვია. მიუხედავად მარცხისა, მორ-ჯელი დაპირდა ახალგაზრდა მომღერალს თავ-ის მომავალ ოპერებში ახალი პარტიები და პრემიაცი კი მისცა, რამაც შეტად დროზე მოუწერ-რო ენრიკოს, რადგან სცენური კონსტრუქციის შე-საძენად მიღებული ავანსი ახლადგამოჩეკილმა სოლისტმა ქაიას-სმაზე დახარჯა ცხადია, კარუ-ხო აღარ გამოსულა მორჯელის ოპერებში, მაგ-რამ „მეგობარი ფრანჩესკო“ პირველი ნაბიჯი იყო უეცარ შეხვედრებისა, ცალ-კეული წარმატებისა და ბედნიერი შემთხვევე-ბის მომავალ გზაზე. ამან მცირე როლი როდი შეასრულა ახალგაზრდა მომღერლის მსოფ-ლიო დიდების მწვერვალებზე ასვლისათვის. ოპერა „მეგობარი ფრანჩესკო“ მცირე (და უკანასკნელი) შესრულების დროს დარბაზში იმყოფებოდა იმპრესარიო ფერარა, რომელსაც იმდენად მოეწონა ენრიკოს ხმა, რომ მცირე დღეებზე კონტრაქტი შეკრა მასთან ნეაპოლის ახლოს მდებარე ქალაქ კაზერტაში რამდენიმე გამოსვლაზე. კაზერტაში შემდეგ დაიწყო კარუხოს ხეტიალი იტალიის სხვადასხვა, დიდ

და პატარა, ქალაქში, 1895 წელს კი ძველი ნეაპოლის ფრანჩესკო ცეკის მწვერვალზე: კარუხო პირველად გამოვიდა მსოფლიო კაიაროში. ევგვიტის დედაქალაქში საოპერო კოლექტიუს არაადამიანურ პარობებში მოხუ-და მუშაობა: მომღერლები გამოდიოდნენ სცენა-ზე უოველ საღამოს, ზოგჯერ ორჯერ დღე-ში (დღილი და საღამოთი), ისე რომ დასვე-ნების დროც კი არ ჰქონდათ. იტალიაში დაბ-რუნებისას კარუხო ისევ მოგზაურობს: სა-ლერნო, ტრამანი, პალერმო. სალერნოში ახალ-გაზრდა ტენორი გაიყნობს ცნობილ დირიჟორ-სა და სიმღერის მასწავლებელს ვინჩენცო-ლომბარდის, რომლის ცოდნამ, გამოცდილებამ, და პრეწინაულ პედაგოგიურმა ნიჭმა კარუხო მსოფლიო მომღერლად აქცია. იმეფითი თავდე-ვიწყებითა და გულმოდგინებით შეცადინებო-და ენრიკო ახალ მასწავლებელთან, რომელმაც იგი მთელი თავისი სიოცხლე თბილად აგო-რებდა. ლომბარდისთან შეცადინებამ მალე თავისი შედეგი გამოიღო: მაღალი ნოტები, რომლებიც მომღერალში კარიერის დაწყებუ-სას უოველთვის შიშს ჰკვირიდნენ, ახლა აღარ აბრკოლებდა მას.

პალერნოში გამოსვლების შემდეგ არტისტს მოუხდა ლავორნოში წასვლა. აქ ამაღლებდნენ პუჩინის ოპერის „ბოქმის“ დადგმას. კარუ-ხო რუდოლფის პარტია უნდა შეესრულებინ-და. მაგრამ ანტრეპრენიორი დიდხანს ეგუო-ბდა: არტისტის სახელ მისთვის უცნობი იყო, რისკზე კი იგი არ წავიდოდა, მით უფრო, რომ ცნობილი მუსიკალური გამომცემლის — რიკორ-დის ფირმა სასტიკ კონტრაქტს უწევდა პუჩინ-ის ოპერების შესრულებას. მიინც შეთანხმდ-ნენ: ახალგაზრდა ტენორი უნდა წაღვეს თვი-თონ ავტორის — პუჩინის წინაშე (პუჩინი ლავორნოს ახლოს ცხოვრობდა), დაე მანსტ-როს სიტყვამ გადაწყვიტოს მომღერლის ბედი. კარუხოს ხმა ძალიან მოეწონა „ბოქმის“ ავ-ტორს და შესანიშნავი არიის — „Che gelida manina“ პირველივე ფრაზების შემდეგ მან წარმოთქვა: „თელი ბედმა მომიცლია თქვენი თავი“. ასეთი განაჩენის შემდეგ კარუხო, ცხ-ადია, იმდენა ლავორნოში... მაგრამ მისი ნამდ-ვილი საერთო აღიარება მოხდა მილანში, ჯერ ეს იყო დიდი წარმატება, შემდეგ კი — არა-ჩვეულებრივი ტრიუმფი, არტისტის ნამდვი-ლი „მეორე დაბადება“...

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში იტალია ავ-ვირებდა მსოფლიოს ახალი ბრწყინვალე იპერგებით. პოეტის „მანონ ლესკო“ და „ბოქმა“, ლეონკავალოს „ჯამბაზები“, მასკა-ნის „სოფლის პატრონება“ ზედიზედ იდგმებო-და სხვადასხვა ქვეყნის საოპერო სცენებზე... ახლა კიდე ილაპარაკდნენ უმბერტო ჯორდა-ნოს შესახებ. მისმა ოპერამ — „ანდრე შენიე“,

რომელიც მილანის „ლა სკალა“ სცენაზე დაიდგა, დიდი პოპულარობა მოუპოვა კომპოზიტორს. სარდუს პიესის მიხედვით დაწერილ ჯორდანოს ახალ ოპერას „ფეოდორას“ დიდი ინტერესით ელოდებოდნენ. საუკეთესო არტისტული ძალები — სახელმწიფო ტენორი რომბერტო სტანიო, რომელიც ვერბოსი და ამერიკის ქვეყნები მოიარა, და განთქმული მოპერაილი-ქალი ჯემა ბელინჩონი, სანტუეს პარტიის შემქმნელი ოპერა „სოფლის პარტიონებში“ მოწვეული იყვნენ მილანის თეატრ „ლირიკო“-ში 1898 წელს დანიშნულ პრემიერაში მონაწილეობის მისაღებად. მსაღებმა ახალი ოპერის დასადგმელად ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, როდესაც მოვიდა ცნობა სტანიოს უკუბრუნების შესახებ. დადგმა, რომელიც სეზონის დიდ ამბავად უნდა გადაქცეულიყო, ჩაშლის საფრთხის წინ იდგა... სტანიოს სრულუფასოვანი შემსრულებელი არ ჩანდა, პრემიერის დრო კი ახლოვდებოდა, მდგომარეობები გამოსავალი ბელინჩონი მონახა: „შე ვიცი ერთი ახალგაზრდა ტენორი... უთხრა მან თეატრის დირექტორს, — ამას წინათ შე იგი მოვისმინე ლივორნოში „ბოქმეში“. შესანიშნავი არტისტია, მას დიდი მომავალი აქვს. მისი სახელია ენრიკო კარუზო“. „იო, მაგრამ, თქვენ დარწმუნებული ხართ რომ ეს სენიორი... კარუზო განსაიდგენს არ ჩაადგებს თეატრს და მესსანო ჯორდანოს ოპერას? ჩვენ ხომ სტანიო შეეპირდით!“ — „დარწმუნებული ვარ, მას დიდი წარმატება ექნება, — დაინებით ამბობდა ბელინჩონი, არაბალები, ვიდრე ლივორნოში და შარშან ჰქონდა აქ, მილანოში!“ დირექტორმა მიიღო პირობადონას წინადადება. კარუზოსთან შეკრებს ხელშეკრულება „ფეოდორაში“ მონაწილეობაზე და 1898 წლის 17 ნოემბერს მადრიდში, რომელიც მოვიდა თეატრში ჯორდანოს ახალი ოპერის მისასმენად, ამავე დროს, მოწამე გახდა დიდი მომღერლის მსოფლიო დიდების პრეტენდენტი. „თეატრ-ლირიკოს“ მდგომარეობებს არ ახსოვდა ასეთი ენთუზიაზმი დაუსრულებელი გამოძახება, ცალკეული ნომრების გაყიდვები, ახალი მომღერლის მხარა შექებაზე ტაში-მთელს იტალიას მოედო. კარუზოს სახელით გაზეთები აივსო; კრიტიკოსების აღტაცებას სასულვარი არ ჰქონდა: „ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ტენორია, რომელიც კი ჩვენ ოდესმე მოგვისმენია“, „მილანის მადრიდელი ოვაციებს უმართავს კარუზოს...“ წელიწადი არც კი გასულა, რაც კარუზო იმავე „თეატრო-ლირიკოში“ მღეროდა მსანეს ოპერა „ნაერვალ ქალიშვილი“ და ჩილეს „არაღმართად ქალიშვილი“, მისი გამოსვლა კარგად იყო მიღებული, მაგრამ ახლა ვის ახსოვდა ეს ოპერები: მილანი მავსალმებოდა მომღერალს,

რომლის მსგავსი საოპერო ხელოვნების დღე-ქალაქში არასდროს მოესმენია...
სტანიოს
ენციკლოპედია

მშობლიურ იტალიაში დიდი წარმატების შემდეგ კარუზო იწვევს გასტროლებს სხვა ქვეყნებში. 1898 წლის დეკემბერში იგი გამოდის პეტერბურგში, სადაც იღებს მონაწილეობას იტალიური ოპერის სეზონში ისეთ განთქმული მომღერლების გვერდით, როგორც იყვნენ სოპრანო ლეონა ტეტრაციანი, ზოგიდ არნოლდსონი, ბანი ვიტორიო არიმონდი. მაგრამ ამ სახელმწიფო მომღერლებმა მინც ვერ დაზრდილეს ახალგაზრდა კარუზოს იმედიანი ხმა უმოკლეს დროში მან რუსი მსმენელების დიდი სიყვარული დაიმთავრა, და როდესაც კარუზო ერთი წლის შემდეგ, 1900 წელს, ისევ დაიწყო გასტროლები პეტერბურგში, ოპერა „ილიათა“, რომელშიც მონაწილეობდნენ „ბარიტონების მეფე“ მატია ბარტისტინი და განთქმული უკრაინელი მომღერალი ქალი სალომე კრუშელნიცკაია, კარუზოს უკვე შეზღვენა, როგორც ძველ ნაცნობს. მსუბუქი დამთავრების შემდეგ მრავალი მსახიობი და თაყვანისმცემელი ულოცავდნენ მომღერალს რადამესის პარტიის ბრწყინვალე ოსტატობით ჩატარებას. თბილი მიღებით იღვწებულ კარუზო ამბობდა: „ო, მე ნუ მიზნით მადლობას — მადლობა გადაუხადებთ ვერადის!“ რუსეთის შემდეგ ახალ ტენორს უსმენენ სამხრეთ ამერიკაში (ბუენოს-აირსი, 1899), რომში (კონსტანციის თეატრი, 1899) და ისევ მილანში, მაგრამ ამჯერად იტალიური მუსიკალური კულტურის გადამცემაში, სახელგანთქმულ „ლა სკალაში“ (1900 — 1902). პირველად კარუზომ ვერ მოახდინა ძლიერა შობეცდლება, მაგრამ ლონიეტის ოპერაში — „სიყვარულის ნექტარი“ მას ისეთი არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად, რომ არტური ტოსკანინი, რომელიც ამ ოპერას დირექტობდა, ყოველთვის მკაცრი, ზოგჯერ პირქვეში, სახობო სიტყვებს ძუნწი მთქმელი, გადახვია მომღერალს და თავისი ნობრინწო, ჩახლენილი ხმით უთხრა: „ღმერთს ჩემი ამ ნვათელმა ახალგაზრდამ თუ ასე განაგრძო, იგი მთელ მსოფლიოს აილაპარაკებს“. 1901 წ. იმავე „ლა სკალა“ საოპერო თეატრში კარუზო გაეცნო შალიაპინს, დიდი რუსი მომღერალი, კარუზოს სიყვარულში, მისი უახლოესი მეგობარი გახდა. კარუზოს გარდაცვალების რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ენრიკოს არტისტული საპირუფარეო ნილო-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ შალიაპინის განკარგულუბაში გადავიდა, მან ასეთი წარწყობა დატოვა კედლებზე:

«Сегодня с трепетной душой
В твою актерскую обитель
Вошел я — друг «далекий» мой! —
Но ты, певец страны полденной,
Холодной смертью пораженный,
Лежишь в земле — тебя здесь нет!
...И плачу я! — И мне в ответ
В воспоминаньях о Карузо —
Тихонько плачет твоя муза!»

ცხრაასიწამა წლებში „ამ ნეაპოლელს“ გამარჯვება გამარჯვებებზე მოუტანა. კარუზოს დიდება იზრდებოდა მთელ მსოფლიოში: 1902 წ. ოჯახი თბილისში ჩამოვიდა მის მონტე-კარლოში და ლონდონში, 1903 წ. ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერაში“, 1904 წ. იგი პირველად მღერის პარიზსა და ბერლინში. და ყველგან განთქმული მომღერლის გამოსვლას ხედვებოდნენ დიდი აღტაცებით. 1903 წ. კარუზო „მეტროპოლიტენ-ოპერის“ სოლისტი გახდა და მთელი მისი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება ამ თეატრს დაუკავშირდა. მხოლოდ სეზონების შუა, თავისუფალ დროს, გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებში, იგი გამოდის საგასტროლოდ ევროპისა და სამხრეთ-ამერიკის ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, არჯენტინა, ბრაზილია, ურუგვაი). ზნობად მიემგზავრება კარუზო სამშობლოშიც, მაგრამ... მხოლოდ დასასვენებლად; მარტო 1914 წ. რომში და 1915 წ. მილანში, თითქმის ათი წლის შემდეგ, იტალიელებმა კვლავ მოულოდინეს თავის საყვარელ მომღერალს — და სამუდამოდ გამოეხოხივნენ: „ოქტობრისიან ნეაპოლელს“ ამის შემდეგ აღარ უმღერია თავისი თანამემამულეების წინაშე.

„მეტროპოლიტენ-ოპერაში“ კარუზოს მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე პრემიერა, მათ შორის, — პუჩინის ოპერის, „პალიშვილი დასაფლავდიან“; ამ მან შესარტლა ოქტაველი-მეტრი როლი, თავისი რეპერტუარის თითქმის ნახევარზე მეტი. ამავე თეატრში 1919 წ. საზღვიმოდ ჩატარდა კარუზოს 25 წლის იუბილე-ჩვეულებრივ, „მეტროპოლიტენ-ოპერის“ გახსნის რამდენიმე კვირით ადრე კარუზო ხალიოდა ნიუიორკში ახალი სეზონისთვის მისამზადებლად; 1903 წლიდან დადგენილი წესი მოითხოვდა სახელგანთქმული ტენორის აუცილებელ მონაწილეობას პირველ სპექტაკლში. 1920 წელსაც არავითარი ცვლილება არ შეუტანია ამ წესში, თუ მხედველობაში არ მივაღწეოთ იმ ვარაუდებს, რომ მომღერალი კანადისა და შვეიცარიული თეატრების ქალაქებში ჩატარებული დამკანცხელი გასტროლებიდან დაღლილი და გაწამებული დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ნიუიორკში კარუზოს გამოსვლები წარმატებით ჩატარდა და არავინ არ ფიქრობდა

მოხავალ დრამატულ ფინალზე. მაგრამ, მ დუკეშერს, ლეონკავალოს „გეგზანუზინს“ — შესარტლების დროს, კარუზომ მღერის შესატყვის პირველი აქტის უკანასკნელი არიის დამთავრება და სცენიდან გასულა. მეორე აქტი მაინც მისცეს, მსახიობმა ბოლომდე ჩაატარა თავისი საფეთქის რილი. 11 დეკემბერს ბრუკლინის მუსიკალურ აკადემიაში დადგეს „სიყვარულის ნექტარი“, მომღერლის დიდების გვირგვინი, რომელიც ამ გერად მოხავალ კატასტროფის მომასწავებლად იქცა. ოპერის დასაწყისშივე კარუზოს ყვლიდან სისხლი წამოვლიდა, ამიოდ უღიობდა შეუჩერებინა იგი კულისებიდან მოწოდებულ პირსახოცებს საშეაღებით თავხარდაცემული აუდიტორიის თვალწინ და მხოლოდ ცნობილი არიის დამთავრებისას გაიყვანეს იგი სცენიდან. საჩქაროდ ფარდა დაუშვეს. გაოცებულმა და შეშრწუნებულმა მსმენელებმა ზემად დატოვეს ღარბანი, რადესაც ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ მომღერალი ავად გახდა და აღარ შეუძლია რილის შესრულებით. ამის შემდეგ არავის არ სურდა სხვა მომღერლის მოსაყენა. მაგრამ კარუზომ შესძლო კიდევ სამჯერ გამოსვლა „მეტროპოლიტენ-ოპერის“ სცენაზე: 13 დეკემბერს ვერდის „ბედისწერის ძალიში“, 16-ში სენ-სანსის „სამსონ და დალილაში“ და 24-ში ჰაღეის „კარდინალის ქალიშვილი“. ავადმყოფობის დროს გამოსვლებშია მომღერლის უანმართლობაზე უცლად იმეჭება. ექიმებმა განაჩინე გამოტანეს — ჩირქოვანი პლევრიტი ფესვგადგმულ ფორმაში. ჩატარდა რამდენიმე ოპერაცია, მაგრამ კარუზო მაინც მძიმე მდგომარეობაში იყოფებოდა. მისი ავადმყოფობის დღეებში აუარებელი ხალხი მოდიოდა იმ ოტელში, სადაც კარუზო ცხოვრობდა, რათა თავისი თანავტრძნობა და სიყვარული გამოეცხადებინა მისთვის. მხოლოდ 1921 წლის გაზაფხულზე იგარანო მომღერალმა უკეთობა და ზაფხულის დასაწყისში ოჯახით გაემგზავრა სორენტოში (ნეაპოლის მახლობლად).

ფრთხელ კარუზოსთან სორენტოში მივიდა ვილად ახალგაზრდა მომღერალი. მის სურდა, კარუზოს შემოქმედებინა მისი ხმა და შეეცადა ფლოტოვის ოპერა „მართა“-დან ლიონელის შესანიშნავი არიის შესრულება (ეს ოპერა განუყრელად დაკავშირებული იყო კარუზოს სახელთან), მაგრამ კარუზოს არ მოეწონა მისი სიმღერა და უცებ, ნახევარწლის იძულებითი განემშობის შემდეგ პირველად თვითონ დაიწყო ამ არიის შესრულება არანუქლებრივ აღმავლობით, წინანდელი ბრწყინვალეობითა და ვნებით: „დორო, მე შემოძლია ვიმღერო! ხმა არ დამეკარგა, მე შემოძლია ვიმღერო!“ — მიზართა აღუღებულმა კარუზომ მეუღლეს, რამდენიმე

დღის შემდეგ კი ავადმყოფის მგლომარეობა ისევ გაართულა. მომღერალი ჩაწვა ლოგინში... გაღწევიტის მისი გაგზავნა რომში (ახალი ოპერაციისათვის), მაგრამ მგზავრობა შეწყდა ნეაპოლში. დიდი არტისტი 1921 წლის 2 აგვისტოს გარდაიცვალა.

ენრიკო კარუზოს გარდაცვალების ამბავი სწრაფად მოედო მთელ მსოფლიოს. ათი ათასამდე ნეაპოლელი აცილებდა თავის საყვარელ თანამემამულის ცხედარს... გადიოდა წლები, მაგრამ დელ-ლანტოს სასაფლაოზე თეთრი ეკედარი და მარმარილოს სარკოფაგი ხულონეების მოყვარულთათვის თავდასაცემის აღწევად იქცა აქ ეპიკაროსების ჩრდილში გაჩნდნებს „ოქროსბზინი ნეაპოლელი“ — მეოცე საუკუნის ლეგენდა.



სამი ოქტავის მოცულობის, არაჩვეულებრივი ხმა, ენით აფერეული, საუცხოო ძლიერი ბგერა, ბრწყინვალე ტექნიკა, რილის განსაკუთრებულად ემოციური შესრულება დიდი ხანი გადაიქცა სპეციალური შესწავლის და კვლევის საგნად. იყვნენ მომღერლები, რომელთაც ჰქონდათ უფრო ძლიერი ხმა (მაგალითად, ტამანო, ოტელოს პარტიის შემქმნელი ვერდის ოპერაში), ზოგი ადვილად იღებდა კარუზოსათვის მიუწევრობელ მაღალ ნოტებს (მაგალითად, ბონი ან იპოლიტო ლასარო), ზოგი კი შესანიშნავად ფლობდა პიანისიმოს ხელოვნებას, რაც უოველთვის არ ეხერხებოდა კარუზოს. მაგრამ ვერაუენ შეედრებრდა მას ხმის ბუნებრივი სიმდიდრით, სილამაზითა და სიწმინდით. სწორედ ამ თვისების გამო ჰქონდა მას მაგურტი ძალა მსმენელებზე. ძნელად თუ ვინმეს შეეძლო ასეთი საოცარი ძალითა და გამოშახველობით გადმოცეს გრძინბათა ცეცხლი, დრამატულ მომენტის სიმძაფრე ბრწყინვალეობა და სიღაჭიზე. პათოსი და მომთაქმანოვებელი სიტუოება, მთის სწრაფი წყაროს სიშმავე და სამხრეთის ღამის სურნელება — ყველაფერი ეს იყო კარუზოში. ვერც ერთი იტალიელი ტენორი ვერ ასრულებდა გმირულ რეპერტუარს ისეთი ცეცხლითა და ენებითა და ღირიერულ როლებს ისეთი სინაზით და სიბრბოთი, როგორც კარუზო. ცნობილი ბანი ვლდარდ რემეი ვუნებოდა მას: „როცა თქვენ გისმენთ, არაჩვეულებრივ მღვდვარებას განვიცდი, რაც

ძალიან იშვიათად მომდის ხოლმე, თქვენ ხართ — გული, პოეზია, სიმართლე... ვისაც კი მოუსმენია კარუზო, ყველა აღფრებს მის შესანიშნავ უნარს, მისცეს ხმას ისეთი შეფერადება, რომელსაც მოითხოვს როლი. ხმის ტემბრის თავისებური გამოცვლით კარუზო თვითონ როლს ანიჭებდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხმოვან ფერადებს, იქნება ეს რადამესი („აიდა“) თუ რედოლფა („ბოკემა“), პერტოვი („რიგოლეტო“) თუ საშსონი. კარუზოს მუდმივი აკომპანიატორი საღვტორო ფუნქტო წერდა: „ესი მომართავდა ხოლმე თავის ხმას მუსიკის ხასიათის მიხედვით, სწორედ ამ უნართთ ამფლანებდა კარუზო კემშიაიტ ტემპერამენტს, რომელიც არტისტი-ინტერპრეტატორს შემოქმედებატრჩად გარდაქმნიდა“. დიდი ეოკალსტი კარუზო თავდაპირველად ვერ კმნიდა სისლსავსე სცენერ სახეებს, და მის აქტიოროტთ თამაშს ხშირად ერთფეროვნების ელფერი დაკრავდა. მხოლოდ უკანასკნელ წლებში მან შესძლო ისეთი რეალისტური სცენერი სახეების შექმნა, როგორიცაა ნემორინო („სიყვარულის ნექტარი“), საშსონი („საშსონ და დაილა“), ელეზარი („კარდინალის ჭლიშვილი“), რითაც კარუზომ საოკრო-დრამატული ხელოვნების სიმაღლეს მაღწია. და ვინ იცის იქნებ, უდიდესი მხატვრული მიღწევა იქნებოდა მის ეოკალურ შემოქმედებაში ოტელოს როლი (ვერდის ოპერაში), რომლის შესრულება მას განზრახული ჰქონდა 1921 — 22 სეზონში, მთელოდნელი სიკვდილი რომ არამ კარუზო მუდამ დიდი აქტიორული ნიჭის არტისტების გარმოცევაში იმყოფებოდა, მას არ აცლდა შემოქმედებითი ენერჯია, ცეცხლი და შრომისმოყვარეობა, რითაც იგი ხშირად ღირსეულად გამოდიოდა რთული და ძნელი შეჯიბრებოდა. როგორც აღამიანი, იგი თავმდაბალი და უბრალო იყო, თავის თავისადმი დიდად მომთხოვნი, არაჩვეულებრივად კეთილი და გულშემატკვარი.

კარუზოს სახელი სამუდამოდ დარჩა შემდგომი თაობების ხსოვნაში. და ახლაც, როდესაც სურთ ტენორის მორე კარავად შესრულებულ არიას შეფესება მისცენ, ჩვეულებრივ ამბობენ: „კარუზოს არ ჩამოუვარდება!“ ან: „კარუზოსავით მღერას“. და ვინ იცის, იქნებ ამაშია დიდ მომღერლის უკვდავება.



პეპთ. თაყაიფილი



მოგონებები*

ასე იყო თუ ისე, ორი მუზეუმი მოთავსდა გიმნაზიის შენობის შესამე სართულში, ერთ-მანეთის გვერდით. კორიდორი საერთო ჰქონდათ. ახლა ჯერო მიღვა საეკლესიო მუზეუმზე. იმჟამად საქართველოს ეგზარქოსად იყო პლატონი, ჩრდილო ამერკის შეერთებული შტატების რუსული მართლმადიდებელი მრევლის ეპისკოპოსად ნაშყოფი. განათლებული კაცი იყო და მეტი ვაეგებოდა მეცნიერებასა, ვიდრე უწინდელ ეგზარქოსებს. იმან ინახულა ჩვენი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, ძალიან მოიწონა და გვიტობა, „თქვენი მუზეუმი უფრო საეკლესიო ყოფილა (მეტწილად, რასაკვირველია, მართლაც საეკლესიო ნივთები გვექონდა და აგრეთვე სურათები) — წამლით ნახატიკა და ფოტოგრაფიულიც, ვიდრე ჩვენიო; რაღა საჭიროა, რომ ჩვენი ცალკე იყოს, წამოიღეთ, შეუერთეთ თქვენას და ერთი მუზეუმი გექნებათ“. მაგრამ სამღდელოება არ დაეთანხმა ეგზარქოსის ამ წინადადებას. საეკლესიო მუზეუმში მამინე ქორღანი უყვე აღარ შემოაბდა, კარიონ ეპისკოპოსი და მ. ჯანაშვილი განაგებდნენ იქაურობას. გიმნაზიის შენობის იმ ფრთაში, რომელშიც ჩვენი ორი მუზეუმი მოეწყო, ერთი დარბაზიც იყო თავისუფალი, ეს შევთავაზე საეკლესიო მუზეუმს და ისინიც გადმოვიდნენ. მ. ჯანაშვილი იყო იქ გამგე. ამრიგად, გიმნაზიის შენობის მარჯვენა ფართის შესამე სართულში დამწყობდა სამი ქართული მუზეუმი, რომელთა დათვალერება ზედმედ შეეძლო მნახელს. ფაქტურად თითქმის გავრთიანდა ეს სამი მუზეუმი, მოუხედავად იმისა, რომ სამივეს თეთათვის განეკობა ჰყავდა. იმ დროს წერაკითხვის საზოგადოებასა და საეკლესიო მუზეუმებს უკვე იმყოფადა შემოსილიდით ახალი ექსპონატები, უფრო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს სწირაენენ ხოლმე... ასეთი ვითარება გრძელდებოდა მენშევიკების ხელისუფლების დამასრულამდე.

მენშევიკური მთავრობა არცეი კიბთლობდა მუზეუმს. მხოლოდ ერთხელ იყენენ ჩვენთან მათი წარმომადგენლები. არც ერთი კაბიცი სა-

ზოგადოების სასარგებლოდ არ გამოუღიათ. როგორც ცნობილია, მთელი ის სამუზეუმო ძვირფასეულობა, ემიგრაციაში წასულ მენშევიკურ მთავრობასთან ერთად, საფრანგეთისაკენ წაიღია, და მეც ძალუნებურად მოიხბდა ემიგრანტობა, რათა არ მოეშორებოდი ჩვენი ერის სასიქადლო ედრტურულ საგანძურს, დამეცეა იგი ყოველგვარი საფრთხისაგან... ამ საქმეს ემშახტებოდი თითქმის სრული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და, მიუხედავად მრავალგვარი გასაჭირისა და იმოდენა ხნის უსიხარულე ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმისა, შემიძლია ვთქვე, რომ პირნათლად შევასრულე ეს ჩემი მოვალეობა მშობელი ერის წინაშე. საბჭოთა ხალხის ძლევაშისიღე-ბამ დაშობის წინააღმდეგ სამეკლერო-სასიციუ-ხლო ომში შესაძლებელი ვაბადა ჩემი დიდი ხნის განზრახვის — სამუზეუმო განძეულობის საბჭოთა საქართველოში, მისი ნამღელი პატრონისათვის, ხალხისათვის დაბრუნების — განზორციელება, რასაც მე ჯერ კიდევ ომამდე ბეკრად აღრე ვედილობდი და სათანადო მიწოწრაც მქონდა აქაურ მთავრობასთან, მაგრამ ეს არ ზერხდებოდა.

ევროპაში კი არა ერთხელ დამღგარა ჩვენი სამუზეუმო განძეულობა საფრთხის წინაშე. ვაეიხსენებ რამღენსამე ასეთ მომენტს.

„ახალგორის განძი“, რომელიც თავის დროზე მე გადავარჩინე დაღუბას და კავკასიის მუზეუმს გადაეცეა, მსოფლიოში უნიკალეი კოლექციად ითვლება და ნამღელი თვლი იყო და ახლაც არის ჩვენი სამუზეუმო ქონებისა. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი შესანიშნავი ნივთია გათხრით მოპოეული მცხეთაში, თრიალეთში და სხვაგან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ახალგორული ოქრო-ვერცხლის მეცნიერული ღირებულება ყველა სპეკილისტმა კარგად იცოდა და ბრიტანეთის მუზეუმმა მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში შეიმავლად მოევიგზავნა ინგლისელი ისტორიკოსი ჯ. ალენი (რომელმაც ინგლისურად გამოსცა ქართული ერის ისტორია, საკმოდ დიდი და სერიოზული ნაშრომი). გვთხოვდნენ, ერთადერთი რომელმე ახალგორული ნივთი დავეათ-

* გაგრძელბა. იხ. „მნათობი“ № 1, 2.

მთ ნიშნად, თქვენივე ამორჩევით, და, სა-
მაგიეროდ, მთელ განქველსაც უსასყიდლოდ
შეგინახეთ და, თან, რაც გამოსაცემი გაქვთ,
ყველაფერს გამოგაცემთა“. პირდაპირ გადა-
რეული იყვნენ, ისე მოსწონდათ ის კოლექ-
ცია. მე, რა თქმა უნდა, ძალიან შორს დავი-
პირე თავი: ვუთხარა, რომ მე მხოლოდ მცვე-
ლად ვითვლება ამ სახელმწიფო ქონებისა და,
საერთოდ, არც ერთი ნივთის არაფრისთვის
დათმობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება-მეთქი.

არა ნაყლებ ინტერესს იჩენდა ჩვენი კოლექ-
ციებისადმი ნიუ-იორკის მუზეუმშიც. არც ენა-
ხათ, მაგრამ ვაგვლობთ, რომ კარგი მინანქრისანი
ნივთები გვექონდა, ხოლო ამ მუზეუმს ადრე
შეეძინა საქართველოდან ჯერ კიდევ რევო-
ლუციამდე გატანილ-გატაცებული მინანქრები,
ისე რომ ჩვენებური მინანქრის ფასი კარგად
ესმოდათ. მუზეუმის დირექტორი თვითონ ჩა-
შვრიდა პარიზში — გვიარა აღარ მასხენდებდა,
ნიაგარის ჩანჩქერზე ხელის ამშვენებელი ინეი-
ნერი იყო. დიდძალი ფული შემოგვადგია
ჩვეს მინანქრებში, მაგრამ, რასაკვირველია, ეს
მოლაპარაკებაც ჩავშალე. პირდაპირ ამბობდა,
„ფასზე ლაპარაკიც უნდა შეტყობა, რასაც მოით-
ხოვთ, მოგვემთო“. მენშვევიკთა მეთაურების
ერთ წყებას ჰქუდავი დაუჯდა ეს წინადადება
და უჩემოდ აწარმოებდნენ მოლაპარაკებას,
მაგრამ ძალიან შევტრე: „რა უფლებით
ძლევთ ხალხის მიზარებულ ქონებას-მეთქი?“
მუზეუმის დირექტორმა რომ შეიტყო ემიგრა-
ციის გაქორწებული მფლობელობა, უთხრა,
„იმის პირობა მინც მომეცით, რომ სხვის
არაფრის მიპყიდით, თუ ვადასწყვეტთ, ისევე
ჩვენ მოგვეცემთ და, სამაგიეროდ, დიდ სესხს
მოგვემთო“. მენშვევიკებს ეს მოეწონათ და
მითხრეს, „მოვეცეთ ასეთი ხელწერილიო“ მე
ვუთხარა: „რაო? იმაზე მოვეწერო ხელი, რომ
უპატიოსნობას არა ვიქ და სხვის ქონებას არ
გავყვიდო? მაგაზე, თუ ვინდათ, თქვენ მოუწე-
რეთ ხელი-მეთქი!“ ამის შემდეგ კი დამანებეს
თავი.

ერთ რუს ემიგრანტს — არისტოკრატ ობო-
ლენსკის ცოლად ჰყავდა დადიანის ქალი, რომ
გაუპირდათ, გამოგვედგა ზედგედის სასახ-
ლიდან წამოღებულ ქონებაზე (ვიტრისულზე
და სხვ.), სახელმწიფოს რა ხელი ექვს, ჩემი
ცოლის ოჯახის კერძო საყურებება და მემ-
კიდრეობით ჩვენ გვერგებათ, და გვიივლა
საფრანგეთის სასამართლოში. დიდი ორომტ-
რიალი ატყდა და დიდი ბრძოლის გადასდა
დამპირდა იმ ნივთების დასაბრუნებლად. სა-
სამართლოს ოქმებისა და სხვა საბუთების
კარგად დიდი დასტა წამომყვია თან.

დასასრულ, ჩვენს განძებულობას ძალიან სა-
შინაოდ შემოუტია ლუკრის მუზეუმშიც, სადაც
იგი შესახებავად გვექონდა მიზარებულნი, პირ-

დაპირ უცნაური ამბავი მოხდა: გერმანელი
არმიის მიერ საფრანგეთის ტერიტორიის
დაპირებებს გადაურჩა ის ჩვენი ქონება და
გერმანიის დამარცხების შემდეგ კი „დემოკრა-
ტიულში“ საფრანგეთში კინაღამ გამოგვეგლიჯა
ხელიდან, აქო და ემიგრანტები დიდი ხანი
ნაშთად მთავრობას აღარ წარმოადგენენ, სა-
ქართველოს თავისი საბჭოთა მთავრობა ჰყავ-
სო და, მამასაღამე, ემიგრანტების მიერ მიზა-
რებული ქონება, ამდენი ხნის გასვლის გამო,
ლუკრის საყურებლად უნდა იქცესო. შეიძლე-
ბა, თავისივე კი გაეტანათ, რომ კიდევ ერთხელ
არ მიმეწერა საბჭოთა კავშირის მთავრობისა-
თვის და ეს უკანასკნელი ენერგიულად არ
ჩაბრუნეთაო საქმეში. საფრანგეთის მთავრობის
მაშინდელი მეთაური დე-გოლი როგორც კი
დაბრუნდა მოსკოვიდან (სადაც ა. სტალინს
შეხვედრალა, სტალინს კი ვთქვა, სხვათაშო-
რის, ჩვენი განძებულობის შესახებ), მაშინვე
გასცა სათანადო განკარგულება და ლუკრის
მუზეუმშიც ულაპარაკოდ გადმოგვცა ჩვენი
ქონება, რომლის წამოსაღებად პარიზში ჩამო-
ვიდა საგანგებო კომისია პროფ. შ. ამირან-
შვილის მონაწილეობით. ჩვენი კოლექციები
ომის დროს შენახული იყო მუზეუმის ყუბარ-
საფარი სარდაფის მე-4 სართულში. სათბობი
ჯერ კიდევ ძალზე ქრდა და სარდაფი გაყინე-
ლი იყო. ყოველდღე იქ მუშაობაში და მინა-
ბარი კოლექციების ისე ჩაბარებაში გავცივდი
და ფილტვების კრუპოზული ანთება დამეპარ-
თა. იმ გაკორებებში და ყველაფრის ნაყლეო-
ბაში მარტოხლა მოხუციის ავადმყოფობა შე-
ტად საწინაო რამ იყო და დარბოვ რომ არ
ჩამოვსწრო საბჭოთა კომისიას, ალბათ ვეღარც
წამოვდგებოდი ცოცხალი. სასწრაფოდ მიღებუ-
ლი ყოველგვარი ზომების წყალობით, გამოე-
კეთდი, გულდაგულ ჩავალავეთ სამუზეუმო
ქონება, ჩემი პირადი მიზლითეკარგიეცა
და გამოვმგზავრეთ: ჩვენ და განძებულობა
პაერით, დანარჩენი ზარეკი კი — გატარებლით.

პარიზიდან 1945 წლის 5 აპრილს გამოეფ-
რინდით, ომი ჯერ კიდევ არ იყო გათავებული-
ლაშე რომში გაერთიეთ. რომიდან შუადღისას
გამოეფრინდით და 8 საათის შემდეგ დაეშ-
ვით ბიზერტაში. ბიზერტადან ქაიროში გად-
მოეფრინდით და იქ კი 2-3 დღეს გაეჩერდით,
უამინდობისა გამო, იქიდან თერანში გად-
მოეფრინდით და იქაც 3 დღეს გაგვიარა უა-
შინდობამ, შალაღ მოუბს უნდა გადმოველებო-
დით თავს. 11 აპრილს გამოეფრინდით თერა-
ნიდან და 7-8 საათის შემდეგ უკვე თბილისს
ავროდრომზე დაეშვეით. თვითმფრინავიდან
რომ გადმოვდგი ფეხი, აკაის ლექსი მომადგა
ენაზე: „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო
სამშობლო მზარეო... დედა-შვილობას, ბევრს
არ გათხოვ, შენს მიწას მიმამარტო“ 82 წლის

მოხუცს ამიხდა დიდი ხნის ნატვრა, დავუბარუნდი სამშობლოს და დავებრუნე მას მისი ეთვნული განძეული. საშუალება მომეცა, ჩვენი უნივერსიტეტში და ახალშობილ აკადემიაში დამეწყო მეშობა ოღონდ ძალზე მიკლავს ველის გარემოება, რომ ჩემი საყოფაცოცხლო მეუღლე, ჩემი ხანგრძლივი სიყვარულის ერთგული თანამგზავრი, საფრანგეთის მიწაში დამჩნა დამარბულა...

სამეცნიერო და სხვა საზოგადოებათა დაარსება (ხალხი რომ თავს მოიყრიდა, იმსჯელებდა და, იყამაუბნა და სხე.) კარგა ხანს ჰქონდა მთავრობას აქრძალუა რევოლუციური მოძრაობის შიშით. მხოლოდ მას შემდეგ გამოიცა კანონი ასეულების ნებართვის შესახებ, რადესაც სახელმწიფო სათათბირო იქნა მოწვეული, და სწორედ მაშინ იყო, რომ დეაარსეთ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება მანამდე კი ნებადართული იყო მხოლოდ საუბრო, კომერციულ და სხვა მსგავს საზოგადოებათა დაარსება, ურთიერთდობის საფუძველზე: ერთ რომელიმე პირს დაეკისრებდა შეამხანაგებელი ჯგუფი გამოეგობას და მის სახელზე იყო ხოლმე საქმე ნოტიაროლი წესით გაფორმებულად, ის პატრონობდა ყველაფერს. რამდენიმე კაცმა ვისარგებლეთ ამ წესით და დაიარსეთ „ქართულთა გამოცემული საზოგადოება“. დაშარსებულთაგან, ჩემ გარდა, მასხენდება შემდეგი პირები: გრ. ჩაკეიანი (წიგნის მაღაზიის კნობილი პატრონი და გამოცემული, ძალიან კარგი კაცი), დ. ბაქრაძე (პოეტი, ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდი“ თარგმნა რუსულად, აგრეთვე კარგი კაცი იყო) ალ. ჯაბაძარი (ქალაქის მმართველობაში მსახურებდა რაღაც მცირე თანამდებობაზე, წესიერი და კომერციული უნარის მქონე იყო). შეეკარით ნოტიაროლთან პირობა და გამვედ ამოვრჩიეთ ალ. ჯაბაძარი. საქმის მოსაწყობად თითო ამ ხელთუთ თემანი შევიტანეთ და შევუდგეით საგამომცემლო საქმიანობას, რომელიც საკმაოდ თვალსაჩინო ნაყოფიერი გამოდგა.

ქუთაისის გიმნაზია რომ გავათავეთ, ყველაზე პატრიოტული სულსკვეთებით ვიყავით განსტეულილი, იმდროინდელი საერთო განწყობილების შესაბამისად: აკაკისა და ილიას ნაწერებს ვეწაფებოდით; ქუთაისის ბანკის კრებებსა და, საერთოდ, ყოველგვარ საზოგადოებრივ თავყრილობას ვესწრებოდით, საერთოდ, გიმნაზიის უფროს კლასთა მოწაფეები სტუდენტებზეთ ვიყავით ქუთაისში... ზემოთ უკვე ვახსენეთ, თუ რაგორ ვთათბირობდით ჩვენი უმჯლესი განათლებისა და მომავალი ხელობის შესახებ და რა თვალსაზრისი ედო საფუძვლად ამ ჩვენს არჩევანს: „რა უფროა საქართველოსთვის საჭირო, რით უფრო გამოვადგებით სამშობლოსა და ხალხსო?“.

განსაკუთრებით თავგადაკული პატრიოტი იყო ჩემ გიმნაზიის ამხანაგთა შორის მათი მარი. ერთ მშვენიერ ღღეს დაქრსა შეხვდნისა შიწამოვიდა, მივიდა ზაქარია კვიციანიქსთან და შესთავაზა თავისი სამსახური სახალხო წიგნების გამოცემა-გავრცელების საქმეში; მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო მასთან და ისევ დაბრუნდა ქუთაისში. ჩვენი გიმნაზიის დირექტორმა სტოიანოვმა წაუყრდა ნიყო მარის ამ ახირებულ საქციელს და ისევ დასვა კლასში, თითქოს არაფერი მომხდარიყოს; იცოდა მისი განსაკუთრებული ნიჭიერება, ძალიან იფასებდა მის მომავალს და ყოველნაირად ხელს უწყობდა იმავე დროს, ნიყო მარს ადვილად გამტაცებელი ხასიათი ჰქონდა. მეტყუებდა იგი მომავალი ხელობის არჩევანში. ერთ ზაფხულს იგი ვურიაში მიიწვია თავისი ძმის რეპეტიტორად ტიტყო ერისთავმა, რომელიც მაშინ სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებდა. მისი მამ, მესასხელად „ტასკა“, გონებალუფი ბავშვი იყო და თან ფიზიკურადაც უკეთეს, წერის და გამხდარი (ერთი გიორგი თაყაიშვილი იყო, ძველი კაცი, ის „ტასკა“ რომ დანახა, იყიოხა, ვინ არისო და როცა უთხრეს, ერისთავიო, იტკია: „უჰ, ერისთავს რომ შეხვდაე მაშინვე იცნობ, კიოხვა იდარ უნდა და აი, გლახა როგორი ერისთავიარა?!“). იმ ტიტყომ ისეთი აღტაცებით დაუწყო ნიყო მარს ლაპარაკი მედიცინის განვითარებასა და საჭიროებაზე, რომ მარმაც გადაწყვიტა, სამედიცინო ფაკულტეტზე შესულიყო. მეტი კი არ უნდოდა! ნამეტანი უცხად იცოდა ყველაფერი აყოლა. მაგრამ, კიდევ კარგი, ბოლოს თვითონაც შეიცვალა აზრი და ჩვენი ავადებინეთ ხელი ექიმად ვახდომის განზრახვაზე. უფროს კლასებში ყოფნისას მან კერძოდ შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები. მეტი თურქულსაც მიიყო ხელი, არავე უშლიდა ხელს, იჯდა თავისთვის და მეტადინებოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, თვითონ „დაიტოვა“ თავი გიმნაზიის უფროს კლასში, ენების კარგად სწავლა ვერ მოეწარია, ბერძნული საკმაოდ არ ვიცო. იმაზე კი ჯიერობა დირექტორი, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჩვენს თათბირზე ნიყო მარმა განაცხადა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე შევა, რათა ქართული ენა იცოდოს. ამ არჩევანში ჩვენი, ამხანაგების, გულენაც იყო: გამჩნევდით დიდ ნიჭს ენების სწავლაში და გადაჭრით ვურჩიეთ ეს დარგი.

უნივერსიტეტისა და ჩემი იქ სწავლის ამბებში საკმაოდ დამწირობეთ ზემოთ ვახსენებ. უნივერსიტეტი დაეამთავრა 1887 წლის გაზაფხულს. არადავგებუდაც დაყრის საკანდიდატო დისერტაციის დასაწერად და შუა სექტემბერში წარვადგინე იგი. ჯერ არ მქონდა გადაწყვეტილი წამოსვლა თუ დარჩენა, მაგრამ

სტიპენდია უკვე შემოწყვიტეს და ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის გაეუფლებოდნენ დღემდე თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის გამგეს — ალექსი ჭიჭინაძეს, მაგრამ ამაზე სიტყვა არაა.

უნივერსიტეტში მე კავასიის სტიპენდიატი ვიყავი 25 მანეთი მქონდა თვეში. კავასიას რამდენიმე სტუდენტი პყავდა სახაზინო ხარჯზე — ისინი, ვინც კარგად დაამთავრებდა ხოლმე საშუალო სასწავლებლს. იმ დროს რუსეთს ძალიან სჭირდებოდა უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები და, ამიტომ, კანონით, ყოველი სტიპენდიანტი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხუთი წლის მანძილზე მთავრობის განკარგულებაში იყვნენ, სადაც მას უნდოდა, იქ დანიშნავდა სამსახურში. ხუთ წელს რომ მოიხდიდნენ იმ საჯარულ-სამსახურს, მერე თავისუფალი იყვნენ და თუ უნდოდათ, სამსახურიდანაც კი გადადგებოდნენ. ამავე დროს მაშინ პოლიტიკა უკვე ისეთი იყო, რომ ქართველებს ნაკლებად აძლევდნენ ადგილს — საქართველოს პროვინციებშიც კი დიდი ვაჭირებით ნიშნავდნენ, ხოლო თბილისსა და ქუთაისში ხომ — მით უმეტეს. ხოლო თუკი ადგილს თვითონვე არ მოგვეძინებენ, მაშინ უკვე ვეღარც იმ 5 წლის საჯარულ-სამსახურს მოგთხოვდნენ. ამ უკანასკნელისაგან განთავისუფლება იშვიათად შეიძლებოდა, თუ მთლად გადაიხდოდი იმ ფულს, რაც სტიპენდიის სახით მიგეღოს სტუდენტობის დროს. მე რომ უნივერსიტეტის ვათავადდი, მაშინ კავასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად იყო ცნობილი იანკოვსკი. სწორედ იმხანად ჩამოვიდა პეტერბურგში და მეც ვინახულე, რომ მომესიწყა ადგილი. რომ არ დამნიშნავდნენ, ვიცი, მაგრამ მაინც გადაჭრილ პასუხს მივიღებდი და ის იყო! ვუთხარი სტიპენდიანტი ვარ, ახლა ვათავად (გამოცდები უკვე ჩაბარებული მქონდა) და მივიღებ თუ არა ადგილს-მეთქი? სპეციალობა მკითხა და როცა ვაიგო, რომ ისტორიკოსი ვიყავი, მითხრა: „საერთოდ, ძალიან ცოტა ადგილები და ისტორიკოსებასათვის კი სულ არაა, ლათინურის, ბერძნულს მასწავლებლებისათვის უფრო მოინახებოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, მაინც გამოიგზავნეთ თხოვნა და პასუხს გაცნობებით“. ის იანკოვსკი პიბუ-დონოსცივის, კატკოვისა და მისთანათა წრისა და ტაბის ადამიანი იყო, ზედმიწევნით ჩინოვნიკი. თუთონ მათმეტრიკოსი იყო და, სიმართლედ უნდა ითქვას, მერე დიდხანს ვაკვირდებოდი — პედაგოგად ვარგოდა. შესაბამისებლად რომ შემოვივლიდა გავკეთებულე, იმ წუთსვე ადვილად შეამჩნევდა ხოლმე, თუ მასწავლებელს რაიმე ნაკლი ჰქონდა. თავი დინჯად ეკირა, მისგან უზრდელსა და უცებ

სიტყვას, ამაღლებულ ხმას ვერ გაიგონებდი. მაგრამ, ამავე დროს, ვარსკვლავის პროლოგის ნამდვილი ბერძენი იყო და მისი მარტო-მარტო მოადგენდა რუსეთის იმპერიის ყოველ კუთხეში რუსული ენის გაბატონება და ადგილობრივ ენათა დაეწეება ყველამ იცის მისი ამგვარი მოღვაწეობა ჩვენში და ჩვენი მოწინააღმდეგეობის გამოდგმული ბრძოლა მასთან და მის დამკვიდრებთან, ასე რომ იმ საკითხზე აქ სიტყვას აღარ ვაგვიტყობ...

გამოუვუზახენ თხოვნა იანკოვსკის, თანახმად მისივე ნათქვამისა, თბილისში მინდოდა მუშაობა, სხვაგან არსად ვაპირებდი წასვლას. მეორე კვირას მივიღე პასუხი, წინასწარ გამზადებულ ბლანკზე დაწერილი: „Места нет и не предвидится“-ო. ასეთი „პოლიტიკის“ კაცი იყო ეს პასუხი მომხალა, ხოლო პეტერბურგში, პირადად რომ ვნახე, მაშინ კი კარგად მივიღე, ერთხან ისიც გაიხსენა, თუ ქუთაისში ვინ ვგანაწევდი და სხვ. სხვათა შორის, ისტორიის მასწავლებელ სიმონ ღოღობერიძეზე მიხატა, „положим, педагог-то он неважный“-ო, მაგრამ მე რომ ვიტყვი ესა, მაშინვე დამიყრა კეერი: „Да, да, он в высшей степени порядочный и гуманный человек!“-ო (პართლაც და მეტად ტკბილი და განათლებული კაცი იყო ს. ღოღობერიძე, მაგრამ ვერ გამოდგა ენერგიული, ქალღმის თამაშს ვაქვია; თანაც ძალიან ლამაზი ცოლი პყავდა — მალაქელი, მდიდარი ოჯახის შვილი — და იმანაც ბევრი უსაპოვნება მოიყენა, ხელი შეუწყო მის დაქვეითებას). იანკოვსკიმ პეტერბურგშივე მიხატა, შეგვიძლია სამშობლოში დასაბრუნებლად 120 მანეთი მიიღოთ, და მართლაც მოჰკეს. მინდოდა ერთ წელიწადს მაინც დავჩენილიყავი პეტერბურგში: ცოტას შევიცვენებდი, კიდევ რაღაცას ვისწავლიდი და, რაც შემეძლო, ვეიდულობდი, ვალც კი ავიღე, ისე რომ საქმიად კარგ მიზლითოთეკის მოვუყავი თავი. ვიცი, რომ, თუ კაცი ნამდვილად კარგად არ იყო განვითარებული, არ ივარგებდა. მაგრამ სტიპენდია უკვე აღარ მქონდა და თავის სარჩენად სახსრის ძებნა დამჭირდა. ვერ ვცადებ, თორემ ივანე ნაკოშიძისათვის რომ მეტხოვნა, მომეწმარებოდა... ავღუქი და გამოვუვუზახენ ზემოაღნიშნულ დებეშა ალექსი ჭიჭინაძეს, თბილისში: „Есть ли свободные уроки в вашей школе?“ დებეშითვე მიპასუხა: „Есть 12 уроков латинского языка, 60 рублей в месяц.“

მას მართლაც ისე ვაგვო, რომ მის სკოლაში მასწავლებლობა მინდოდა. მე კი აღარაფერი მომიწყობია. გავიდა სექტემბერი და ოქტომბრის დასაწყისში მომივიდა ჭიჭინაძის მეორე დებეშა: „Ждем приезжайте поскорее“. მაშინ მივხედი, რომ სწავლა დაწებულა,

ის ადგაო წემთვის შეენახეთ და არავის-თვის მიუციათ. დაყენება უხერხულია იყო და მეც ჩამოვინდო ხაბლისში. აღუქი ქიქ-ჩა-ჭესაც და მის მეფულეს ფროსიკო ნიკოლოძისა და ძალიან იამათ ჩემი ჩამოსვლა (ფროსიკოს პეტერბურგიდანვე ვიცნობდი, იქერა ქართ-ველები რომ ვიკრებოდით ხოლმე — ძალიან გონიერი და განვითარებული ქალი იყო, ნიკო ნიკოლოძის და)... ავიღე ლათინურის გაკე-თილება და დაეწყე მასწავლებლობა.

აღუქიმი მისხრა, წადი და იაზოცეი ნახეო, თუმცა კი იმ ხუთი წლის ვალდებულებებისაგან ავტომატურად განთავისუფლებული ვიყავი, რაჟი კავკასიის სტიპენდიანტს კავკასიაში ადგი-ლი ვერ მოვძებნი... მაშინ ახალი შემოსული იყო გ. წ. ვერსიტელი მეფოდი. თბილისის I-ლი გიმნაზიის ინსპექტორი იყო ჩუხი დრბო-გლავი (საერთოდ, რუსეთში კლასიკურ ენათა მასწავლებლები აკლდათ და ჩუხები მოჰყავდათ, „*пратья чехи*“ —ო, უძახდნენ), რომელიც ადრე ქუთაისში იყო და შერე თბილისში გადმოიყვან-ვის დირექტორ მარკოვის თანაშემწედ, ინსპექ-ტორად. ლათინური კარგად იცოდა: დიდი მომ-ხრე იყო კლასიციზმისა. აქ ყოფნასან შეადგი-ნა სახელმძღვანელო — „*Учебник латинского языка для I—II классов по евритическому методу*“. ეს შეთოდა, ლუვიციუს მიერ შემო-ღებული, იმასში მდგომარეობდა, რომ, რაც შეიძლებოდა, თარგმანის გარეშე უნდა გელა-პარაკა მოწაფეებთან შესასწავლ ენაზე. იგი მთავრობის მიერ მოწონებული და კავკასიაში გულგან მიღებული იყო. მოვიხილომე იმ მე-თოდის პრაქტიკულად გაეცნობა და, მართლაც, მივედი იანოვსკისთან. მაშინვე ვიხსენა, პე-ტერბურგში რომ ვიყავი მასთან. მე: „თბა სა-სახურის აშბავი და რომ ვაივო, თქვა: „*Ну и прекрасно!*“ მე ვეთბარა, ფაქტობრივ კი გაეთავვე ისტორიულ-ფილოლოგიური, მაგრამ პრაქტიკა არა მქონდა და, რაჟი ლათინურის ესწავლა, მინდა აქ დავესწრო კარგ მასწავ-ლებელთა გაკეთებებს, თქვენა რეკომენდი-ციით-მეთქი. ძალიან ვაეხარადა: „*Вот это понимаю! Молодые так и должны делать!*“ აი, დრბოგლავი ასწავლის ლათინურს და იმას გაკეთებებზე იარათო!“ მაშინვე დამიწერა ბარათი, რომელ გაკეთილებდაც მოინდომოს, დაუშვითო. მეც დაეიწყე იმ ბარათით სიარუ-ლი, ჯერ I გიმნაზიაში. დრბოგლავი ძალიან ზრდილი კაცი იყო, და ისე მივიღებდათ, პირ-დაპირ მოგზიბლავდათ, ამსთანავე, ყურმოჭ-რილი ჩინოვნიკიც გახლდათ: მზრუნველთან რომ შევიდოდა, ჯარისკაცივით ვაკიშული იდ-გა ხოლმე. მარკოვი ძალიან აფასებდა და ვერ ეტყოდა მის, არ აძლევდა სათანადო რეკო-მენდაციას და ამიტომ დრბოგლავი დიდრ დავეიანებით გახდა დირექტორი II გიმნაზი-

ისა)... დავესწარი მის გაკეთილებს და, რასაც ვირველია, ძალიან მომეწონა: სხეულებიც კარ-გად მქონდა დაყენებული, დს-ტაპლინაცა და ყველაფერი. შერე სხვათა გაკეთილებსაც და-ვესწარი — იმ-ვე გიმნაზიაში და II გიმნაზია-ში. ზოგის გაკეთილი სრულიად არ მომეწონა. მავალითად, ვანი რომ იყო, ძველი ენების მასწავლებელი, იმას მოწაფეები პირდაპირ თაზე ასდებოდნენ. კიდევ ერთი ჩუხი იყო, გუარად რაჟემანი, რომელმაც ბერძნული ენის სახელმძღვანელო შეადგინა. შერე ის ჩვენს გიმნაზიაში ასწავლიდა...

მხრეად, დაეწყე მეშაობა. პირველიდ სა-თავაღმსწერო სკოლაში 12 საათი მქონდა კვირამი, მაგრამ იმთავითვე ავიღე კერძო გაკეთილებიც. სხვათაშორის, რაჟემანმა და-მითმო მავს ჰევეჭაქის რეპეტიტორობა, რა-შიც თვიურად 100 მანეთს ვიღებდი (ასეთი დიდი გასამრჯელო მაშინდე რაჟემან-სათვის იყო განკეთილი მხოლოდ). უფრო ადრე კი სამხედრო მოსამართლემ, პოლკოვნიკმა კარ-ნილოვიჩმა მიმიწვია, დრბოგლავის რეკომენ-დაციით, თავისი შვილის ლათინურში მოსამ-ზადებლად (სრული უღუფით, იყ რომ ქამაზე ფული აღარ შეხარჯებოდა). ასე რომ არ მოწ-უობლიყო საქმე, ჩემი ჯამავირო, 60 მანეთი, არ შეუყოფდა, რადგან 30 მანეთი მართ-ბინის ჰიჩას მაქონდა. რომ ჩამოვედი, ერთ-ხანს ჩემს მშასთან, ვიარაგოდი, დაღუქვი ბინად. ის გენერალური შტაბის თოიციერი იყო, არტილერისტა, და „მუხრანსკის ნიბრეშმა“ ცხოვრობდა. ის სასტუმრო ლაზარო სახლი იყო. მისი ქედა საბოთელი ეყავა მაშინ ცნო-ბილ რესტორანს „პერ-ლინის“, რომელიც ჩვენს სოფელურს სანდრო თოიძეს ეკუთვნო-და... თბილსში მანამდე სულ ერთხედ ვიყავი ნამყოფი, სანაზავად, ერთი კვირით. მაშინაც მშასთან ჩამოვდი, არდადეგებზე, VII კლასის მოწაფე. მასსოცს, თუბრის თეატრის საძირკვე-ლი ახალი ჩაყრილი იყო, მაგრამ ზამთრის გამო მშენებლობა შეუბრუნებინათ. მაშინ იმ სასტუმროში ვცხოვრობდი, რომელიც თუბრის მშენებლობის პირდაპირ მდგარ სახლში იყო. სხვათაშორის, უნდა ითქვას, რომ ჩვენი თუ-ბრის თეატრი ქალაქის ერთი უღამაზუნი შე-ნობაა. ქართული არა სცხია რა, მაგრამ, რაც არის, კარგია. მისი მშენებელი ინიერირი, შვილი, პოლონელი იყო. მისი ქალიშვილი და ფროსიკო ნიკოლოძე ერთად სწავლობდნენ პეტერბურგში ქალთა უმაღლეს კერსებზე.

პეტერბურგიდან თბილისს რომ მოვიდიოდი, მაშინ ნიკო შარი უყანასკენლ კერსზე სწავ-ლობდა (რაჟი თავის დროზე თეოთონვე დარჩი-

¹ იმ სახლის ადგილასაა აშენებული ახლან-დელი კავშირგაბმულობის სტამინისტრის სახლი.

განმანათლებელი კიდევ ერთი წლით). წამოსვლისას მთხრობა, მე გაიხად დავასრულებ უნივერსიტეტს და შენ მანამდე მომწყრე, თუ რა მდგომარეობაა თბილისში და რა საქმეს მოეკიდოთ მე და სერ ზელი, ძურნალს თუ სკოლასაო ერთი სიტყვით, მინც კიდევ საზოგადოებრივ საქმიანობას აპირებდა, ზაქარია ქვინიანძესთან შემოაბის გამოცდილება არ ასვენებდა. მე სულ ვეუბნებოდა, უნივერსიტეტში უნდა დასრულე ქართული ენის სპეციალისტად-მოქმედი, მაგრამ არ უნდოდა: პროფესორ ცაგარელთან უკვე კონფლიქტი ჰქონდა, ისე რომ ქართულ ენაში დარჩენის იმედი არ იყო, ხოლო თუ სხვა რამეში დაერჩები, მაშინ ცოდნა არ შეყოფი, იქაც ხომ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. რა გავწყობოდა, დავპარდი მოწყრას...

მე რომ დავიწყებ შემოაბა, მაშინ სათავად-აზნაურო სკოლა კუთვასი იყო, ნაყოლოზის ქუჩაზე 1, მანათიანის სახლში, მართამ დასტან-გის ასულ ჯამბაყურ-ორბელიანის ბინის ახლოს. არ იყო მაინცადამაინც დიდი სახლი. ჩემ ჩამოსვლამდე სკოლას 5 კლასი ჰქონოდა, მაგრამ შერე ქვინიანძეს 4 კლასამდე დავუყვანა, ბანკი მეტ ფულს არ იძუებო. ასე რომ სკოლა პროგნოზისადა წარმოადგენდა. აღქმით ქვინიანძე ძალიან უფრადღებით შეკადროდა, რაკ ისა და მისი მეუღლე მანამდე შეინობდნენ. სკოლაში შემოაბდნენ ძველი, დამსახურებული მასწავლებლებიც, სხვა სკოლებიდან გადასულნი: გიორგი იოსელიანი (მწერლობაში „წყალებოელი“), არისტო (ბასილთბელ) ქეთათელაძე, ნაყო მთავარელიშვილი, გამყრელიძე (რომელიც გიმნაზიაშიც მასწავლებლობდა) და სხ. მაგრამ აღქმით რომ სადმე წაივლიდა, მე მთხოვდა ხოლმე, დამავადე და ჩემი მთავარობა გასწიეო. უფროსი ამხანაგებისა კი შერიდებოდა ხოლმე, მაგრამ მათ არ სწყინდათ ეს გავრეობა.

მეცხებლ-მოვხებლე და ძალიან არ მუსიამოვნა თბილისში ქართული საზოგადოების ვითარება. სულ ორი ქართული დაწესებულება იყო იმ დროს — ბანკი და სათავადაზნაურო სკოლა, და ერთიც საზოგადოება — წერა-კითხვის გამავრცელებელი. ბანკისა და ამ საზოგადოების თამყდრომარე ილია ქვეკვაძე იყო, ბანკის ერთი დირექტორი — ვანო შანაბელი, მეორე — აღექსანდრე ჩოლოყაშვილი. ერთადერთი ქართული გაზეთი გამოდიოდა „ცერია“, რომელიც ჩვეულებრივ 800 ცალი იბეჭდებოდა, კვირარობდა 1000 და არც ის იყუდებოდა. თქმეცა იყო კიდევ ერთი ქართული საზოგადოება — დრამატული (რომელსაც მაშინ გიორგი თუმანიშვილი თამყდრომარეობდა), მაგრამ მას ნივთიერად ძალიან უჭირდა და სულ

ლაფავდა. ეს იყო და ეს... ილია მაშინ საჯარო-ნობლად „დამამებელი“ იყო და ჩვეულო-სრმხით ვეღარ მისდევდა საქმიანობას: ზოგჯერ წელიწადი გავიდოდა ისე, რომ წერი-კითხვის საზოგადოებას არც მოაკითხავდა. ერთხელ წავეყვი პეტრე უმიკაშვილს იმ საზოგადოებაში: მაინტერესებდა, როგორ მუშაობდნენ და თან ილიასა და გოგებაშვილის ნახვაც მინდოდა. ილიას მანამდეც ვიცნობდა, პეტრებერგიდან (ზემოთ უკვე ვაიხსენებ ჩვენს, სტუდენტების მასთან შეხვედრა ერთი საქმის გამო), გოგებაშვილი კი არ მენახა. თავის დროზე ქართული აზნანის სწავლა მსახ-დედა-აინო“ მქონდა დაწყებული და მეგონა, უკვე მსკოვანი კაცი დამხედება-მოქმედი, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ერთი ჭლარად ამ ჰქონდა თმანი გამორკვეული. საზოგადოების გამგეობის წევრთაგან მახსენდება: ილია (თამყდრომარე), ვანო შანაბელი (მასი მოადგილე), იაკობ გოგებაშვილი, ნაყო ცხვედაძე, იაკობ მანსუკე-შვილი (მღვანედი)... ჩავეწერე წერა-კითხვად და შევიტანე გადასახადი (წელსწადში 3 მანეთი იყო და ისიც უჭირდა ბუკარს; ხანგრძლივი დავა იყო: მენწევრები იბჩობდნენ, 1 მანეთზე დი-ვიყვანათო, მეშვების შემოყვანა უნდოდათ). ჩავეწერე დრამატულ საზოგადოებაშიც. იმავე 1888 წელს ამირჩაევს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრად და მალე შევედრე აქტიურად შემოაბას მის ბიბლიოთეკა-მუზეუ-ში, რის შესახებ ზემოთ დაწვრილებითა მაქვს მოთხრობილი. აქ მაინც კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ ხელნაწერზე და, საერთოდ, ქართულ ძეგლებზე შემოაბისათვის უნავერსიტეტში არავითარი მომზადება არ მომილია. როგორც უკვე ვამბობდი, პროფ. ცაგარელს ლექციებზე სიარული ამ მხრე სრულად უნაყოფო გა-მოცდა, რადგან ვერც ისა და ვერც პატარაივე ნამდილ სერიოზულ კერსებს ვერ კითხულობდნენ, ისე რომ, ვინც აღმოსავლური ფაქულტეტი გაათავა, მათზე ვერ იტყოდი, ქართველოლოგიაში ან არმენისტიაში ნამდილი უმაღლესი განათლება მიიღო; ჩვენ ფაქულტეტზე კი ეს დარგები სრულიად არ იყო წარმოდგენილი. ამიტომ ყველაფერში საკუთარი თაოსნობით მომიხდა გაწევა და გზის გაკლავა და რაკ რამ ნაკლი ახლდა იმ ჩემს პირველ ნაბიჯებს, ამითაც ახსენება...

გაეცანი ჩვენი საზოგადო მოღვაწე ქალები, რომლებიც, რაკ შექმლით, მხნედ და ნაყოფიერად მუშაობდნენ: კატო გაბაშვილი, ტასო თუმანიშვილი, კეკე მელიქიშვილი (სერგეი მესხის ცოლი). ამ უკანასკნელის ძმას, სოსო-კოს, სტამბა ჰქონდა. კაცად წესიერი კაცი იყო, მაგრამ საქმეში არ ვარგოდა, კვიხნა ჰარბობდა. სტავანოშის, კ. გაბაშვილი შემდეგ ჩემი მოყვარე გახდა (ჩემი მიუღწეველი ბიძალი

1 ახლა კალინინის ქუჩა.

იყო და ძალიან დაეხლოვდით. როცა მივ-
დიოდით, უფროდ თავშესაქცევი ქალაქის
თამაში უნდა გავცემართა, თორემ ვეწინებო-
და მისი სიძე რომ იყო, კ. შავაშვილი (მშვე-
ნიერი კაცი და ინტელიგენტი ქართველი,
კარგი პოეტი, უდროვოდ ამსხუარბლა ქვეყნა),
მებურჰობდა ხოლმე: „შენ ამ „რამსისა“ და
„დურაქას“ თამაშში ასე გწყალობს ბედი,
რომ კლდეში ითამაშო, დიდ ფულს მოიგებო“.

ნაყო შარს, რა თქმა უნდა, გადაჭრით მივ-
წერე. მანდღადან ფეხი არ მოიციელო, უნიერ-
სიტეტში დაჩინ-მეთქი. ძალიან კმაყოფილი
ვარ, თუ ჩემმა რჩევამაც იმოქმედა მის გადა-
წყვეტილებაზე და საპროფესოროდ მომზადე-
ბისათვის დაჩინა ამჯობინებინა: იქ იგი სხო-
ფლიო მნიშვნელობას შეენიერადა გამოიზარდა
და თბილისში ჩამოსული კი აღბათ ვერ
ეგრავებდა, თავისი სუსტი და შერყევი ხასია-
თის პატრონი.

ახლა ისეე ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობას
დავებრუნდეთ.

თავდაპირველად ხომ ლათინური ენის გავ-
ეითლები მქონდა, მერე გავოგრაფიაც მომიკეს,
მერე-ბერძნულიცა და სულ ბოლო დროს —
ისტორიაც, რომლის გავკეთილები ცოტა იყო.
რაც შემეძლო, კეთილსინდისიერად ვეკიდებ-
ოდი გავკეთილებს, ზერეულად არაფრის სწავ-
ლება არ მინდოდა. მაგალითად, გეოგრაფიის
მასწავლებელი ვალდებული იყო დაფიქვ გა-
შობებზე აზნი, აფრიკა, ევროპა და ა. შ. მიმ-
ნელდებოდა, მაგრამ გავკეთილებს და ვის-
წავლუ რუკების ხატეცა... იანოვსკი წელიწად-
ში ერთხელ უსათუოდ გვეწვეოდა ხოლმე
სარევიზიოდ. ერთხელ მოსულეთ და შევიდა
თურქი იმ კლასში, რომელშიც აფრიკა მქონდა
დახატული. ძალიან მოსწონებოდა და ეკითხა,
ვინ დახატაო? კვიტინაქეს ეთქვა და ვამომიძა-
ხეს. „Это Вы? მომშართა — Ну и прекрати,
так и надо!“ ერთხელ ლოპატინსკი გამოგ-
ზავნეს რევიზიაზე და ჩემს ბერძნულს გავ-
ვითოს დაესწრო. თუთონ სწორედ ბერძნუ-
ლის სპეციალისტი იყო და ძალიან მოეწონა
ჩემი გავკეთილი. მზარუნელს მოხსენება წა-
რდდგინა და, წინააღმდეგ სხვა რევიზორთა
ერთობლივი უარყოფითი აზრისა, კარგად
დახასიათა ჩვენი სკოლა: „იქაც ისევე კარ-
გადაა სწავლების საქმე დაყენებული, როგორც
ჩვენს გიმნაზიუმში“ (ჩვენი სკოლა კერძო
სასწავლებლად ითვლებოდა, სახელმწიფოს არ
ეკუთვნოდა). მართლაც, ჩვენი მოწაფეები
კარგად იყვნენ ხოლმე მომზადებული, კლასში
არავინ არა რჩებოდა და ყველა 4-იანებსა და
5-იანებს იღებდა.

მალე შეიქნა გუთთაყებელი კამათი ჩვენი
სათავადაზნაურო სკოლის მიმართულების შე-
სახებ — ყველგან, საზოგადოებრივ, კრებებ-

ზედაც და სხვაგანაც. რამდენჯერმე გახსდეს
მსჯელობის საგნად, კლასიკურნი სწოფიციტნი ეს
სასწავლებელი თუ აგრონომიკური საქმეცა ეს
საკითხი იმთავითვე. სკოლის დაარსებისთანავე
ყოფილიყო სადგომი ილია ჭავჭავაძე, ილია
წინამძღვროშვილი და სხვები სამეურნეო მი-
მართულების მომზარევი იყვნენ. მეორე ჯგუფთ
კი იმ აზრისა იყო, რომ სკოლა საზოგადო-
საგანმანათლებლო ყოფილიყო. ამას იმით
ასაბუთებდნენ, რომ ჩვენი ხალხი არ მიაბა-
რებს შეილებს აგრონომიულ სასწავლებელში,
რადგან ასეთი საწყალო სასწავლებლის (და
არა ჩვეულებრივი გიმნაზიის) დიპლომის მქო-
ნე ახალგაზრდას 2-3 წლთ წაყოფნის ჯარში
და არა 1 წლით; ეს კი კერძო სკოლაა, ვინც
მას დაამაგრებს, დიპლომს მხოლოდ გიმნა-
ზიაში გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიიღებ-
სო და ა. შ. იყო გუთთაყებელი ზეხლა-შემოხ-
ლთა. თანაც იმ ხანებში ბანკის საქმეებიც უკან-
რუან მიდიოდა და დაიწყეს სათავადაზნაურო
სკოლის კლასების თანდათან დახურვა: მე რომ
მივედი, ხუთის მაგიერ, უკვე ოთხი დამხვდა,
მერე სამი გახადეს, ბოლოს ორზედაც ჩამოყა-
ვანეს და ამცხ გამო გავკეთილების რიცხვმა,
რა თქმა უნდა, ძალზე იყო. ასე რომ, იმუ-
ლებელი გავხდა, ისეე თავის საჩინეი საქმიო-
ნობის ძებნაზე შეფიქრა...

ჩემი ძმა ვარლამი იმ დროს უკვე პოლკოვ-
ნიკი იყო, რუსეთში გადაყვანეს საპუშკინო და
ჯარის გადაადგილების უფროსად დანაშენს.
ერთხელ ამ საქმეზე ბათუმისაკენ მოდიოდა,
რა თქმა უნდა, 1 კლასის ვაკონით, და იანოვს-
კისთან ერთად მომხდარაყო კუბეში. იანოვს-
კის თვალში მოსვლოდა გარესებული ქარ-
თველი პოლკოვნიკი, რომლისთვისაც სამ-
ხედრო შტაბს დიდად საპასუხისმგებლო
და იანოვსკისთან ერთად მომხდარაყო კუ-
ბეში. იანოვსკის თვალში მოსვლოდა გარესებუ-
ლი ქართველი პოლკოვნიკი, რომლისთვისაც
სამხედრო შტაბს დიდად საპასუხისმგებლო
საქმე დაეკისრებინა, და ეკითხა, ვქვითიმე
სითონის-ძე რა არის თქვენი? როცა ვარლამს
ეთქვა, ძმავო, შევექე. „თუ ვეითი კარგად და
გასაქანს რატომ არ აძლევთი?“ — ეკითხა
ვარლამს. „როგორ არ ეძლევთ, მოვიდეს ჩემ-
თან და სიმომხენებით მოვუნახავ ადგილსაო“,
მთუო თურმე იანოვსკიმ. ძმამ რომ შემატყობი-
ნა ამ საუბრის ამბავი, მეც ავდექი და მივედი
იანოვსკისთან. მითხრა, ამეამად ძალიან ხელ-
საყრელი ადგილი არსად გვაქვსო, და დამნიშ-
ნა ლათინური ენის შტაბგარეშე მასწავლებლად
ეკითა III გიმნაზიაში. ამან უკვე გამომზარა
ნიუთიერად წელი და ერთხანს იქ ვიმუშავე.
მასწავლებლებმა იქაც ძალიან კარგად მიმიღეს.
გიმნაზიის დირექტორი იყო მარტინოვსკი.

სიტყვიერების მასწავლებელი, რუსები რომ იტყვიან, „чужодрал ужасный“, მაგრამ თან ნიჭიერი კაცი. საუკეთესო სახელმძღვანელო შეადგინა და ამით გამდიდრდა. ბოლოს ტყუილზე შეიშალა...

მაშინ „ბანკობიად“ ახალი დაწყებული იყო და მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღება მასზე იყო მიქცეული. ილაქი ტიპინაძეს გემუდმებული კონფლიქტი ჰქონდა „შეუძლებელ (ბელმოკლე) თავდაზნაურთა მოსწავლე შეილების კომიტეტთან“, რომელშიც შედიოდნენ ფ. შაჩაბელი, ნ. ცხევედაძე, ი. გოგებაშვილი და სხვ. კომიტეტის თავმჯდომარე ძალიან კარგი კაცი იყო, სამსახურიდან გადამდგარი გენერალი კონსტანტინე ქრისტეფოროსიძე ჰამაცაშვილი, რუსპირელი, დიდი პატრიოტი და კარგი ჭაჩუველი. ცხევედაძე და მისი მომხრენი, ყველანი სემინარიელები, სულ სხვა მიზართულებისანი იყვნენ და კრიჭაში უდგნენ ტიპინაძეს, სულ აკრიტიკებდნენ, ყველაფერს უწუნებდნენ და თან რამეს რომ დაიფანებდნენ, აღარ იყო ხოლმე საშველი. ტიპინაძე კი კარგი პრაქტიკოსი-პედაგოგი იყო, ყველა მათზე მეტი ესმოდა ამ საქმეში და არაფერს უთმობდა. შამაცაშვილი და შაჩაბელი მას უკერძონდნენ შხარს. გოგებაშვილი გამოვიდა კომიტეტის შემადგენლობიდან, ცხევედაძე კი დარჩა და განაგრძობდა ტიპინაძის წინააღმდეგ ბრძოლას, ილიას ისე წარუდგენდა ხოლმე საქმეს, თითქოს მთელი სკოლა და მისი გამგეც „შაჩაბლის პარტიას“ გუთუნოდნენ, და ა. შ. ბოლოს, სასწავლებლის ორ კლასამდე დაყვანამ იძულება ტიპინაძე, მიეტოვებინა იგი: ჯერ ელა-

დკავკაზში გადავიდა, მერე კი ხონის² საოსტატო სემინარიის დირექტორად დაინიშნეს. ერთი სიტყვით, გააქციეს ეს კაცი სათუთადუნაურთა სასწავლებლიდან და ეს იყო მისი ადგილი განთავისუფლდა და არც არაფერი ჰყავდათ, რომ დენიშნათ. ამნაირად, წამოიჭრა საკითხი, თუ ვინ უნდა მიეწვიათ სასწავლებლის გამგედ? ბევრი მეუბნებოდა, უსათუოდ თქვენ ავირჩიევით, მაგრამ მე არაფრის გულისთვის არ მიწოდდა, რაკი ტიპინაძე აიძულებს, რომ წასულყო იქიდან. იმხანად გერიაში ვიყავი წასული და ვანი შაჩაბელს ჩემი კანდიდატურა წამოყენებინა. საერთოდ, ის ძალიან კარგად მიეუბრებდა — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში ვმუშაობდით ერთად და იქიდან მიცნობდა. ცხევედაძეს კი დავსახელებინა ალ. ხაჩანაშვილი, რომელიც მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტში იყო ჭართული ენის ლექტორად (პროფესორად კი იწოდებოდა, მაგრამ მაშინ იქ ასეთი პროფესორის თანამდებობა არ ყოფილა). ძალიან მუშა კაცი იყო, თუმცა ზოგი რამ (მაგ., ქართული წარწერბის ამოკითხვა) არასოდეს არ ეხერხებოდა. ის თბილისში არ გაღმევიდოდა სკოლის გამგედ, მაგრამ მაინც ესამოყენებოდა მისი კანდიდატურის დასახელება. მართლაც, უარი შემოთავალა და სასწავლებელი ისევ უგამგეოდ დარჩა... იმჟამად თავდაზნაურთა ბას ასე ჰქონდა დაწესებული: რაკი ის ინახავდა სასწავლებლებს თავისი ბანკის ხარჯზე, საერთო კრებას უნდა გადაეწყვიტა სასწავლებლის საეთხებიც.

1 ახლა ტ. ორჯონიკიძე.

2 ახლა ტ. წულუკიძე.

(გატრძლება იქნება)

შაქრო გომელაურის მოგონებანი



ქართულმა თეატრმა ფრიალ საინტერესო გზა გაიარა, მაგრამ მისი ისტორია ჯერ კიდევ არ დაწერილა. თეატრის მომავალ ისტორიკოსებს დიდ სამსახურს გაუწევს ის ცალკეული მონოგრაფიები და შემუშავება, რომელთაც ქართული სცენის მოღვაწენი აქვეყნებენ. დაინტერესებული მკითხველიც ყოველთვის სიამოვნებით ეცნობა ასეთ წიგნებს. აბლახან გამომცემლობა „ხელმოწევაში“ გამოქვეყნდა ქართული თეატრის თვალსაჩინო წარმომადგენლის შაქრო გომელაურის „მოგონებანი“.

წიგნის პირველ თავში „ბავშვობა და ყრბობა“ ავტორი მოკლედ მოგვითხრობს თავისი ოჯახის დღეის მდგომარეობასა და სცენით პირველ გატაცებაზე. იმაზე, თუ როგორ სამარტკენილად მიიჩნეოდა მამის მსახიობობა და თეატრზე შეყვარებულ მოზარდს საკუთარი შვილებიცი კი სასტიკად უკარგაღედენ,“ რადღაც პამპულობაზე გაიღენას“. მაგრამ სურვილმა მაინც თავისი გატაცა და 14 წლის შ. გომელაური არაქსიანის თეატრში მოხვდა სოფლიორად. 1905 წლიდან კი 17 წლის შ. გომელაური ავლბარის მეშთათ თეატრის მსახიობი ხდება. ეს თეატრი იმითაც იყო შესანიშნავი, რომ წარმოდგენები ქართულ და სომხურ ენებზე იდგებოდა, ამავ დროს ზოგიერთი სცენისმოყვარე ორივე ენაზე ასრულებდა ზოლმე თავიანთ როლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეშათ თეატრებს, მათი საქმიანობა კი თითქმის სრულად შეუსწაველაია. ამიტომ თეატრის ისტორიკოსებისათვის დიდად საინტერესოა შ. გომელაურის მოგონებათა ის ფურცლები, რომლებზედაც ავლბარის მეშათ თეატრისა და იქ მომუშავე ადამიანებზეა ლაპარაკი.

ლევან ბალაშვილი, გერტჟ ფირფინი, დავით მელაშვილი, ბესო მასტერაძე, გიგო გელიერაშვილი, ვანო მარკოზოვი, რომანოზ სლაყაია, ალექსანდრე ბუჯიაშვილი, ნიკო მრველივი, იოსებ რევაზიშვილი, თამარ აბაზიშვილი, ნინო საყვარელიძე, სერგო პეპანოვი, დარიო რჩეულიშვილი, ვარა ბეგიაჯიანი, მავა ქართულიშვილი, ვლენე ბუჩუკარი,

ოლა ფიქრიშვილი, მამო მარგველაშვილი, გიგა ბაქურიძე, სანდრო დავიდივი, მიხეილ ნელაშვილი, რაფიელ ჯიბლაძე, გიგო პეპანოვი, სტეფანე ბეგიაჯიანი, არმენაქ უმბრივი, ლიზა ვამაქიძე, სონა გოგაშვილი, ილია ზურაბიშვილი, სოფიო რომანიშვილი და სხვა მრავალი. აი, უბრალო, უპრეტენზიო ადამიანები, ძირითადად მეშები, ხელოსნები, წერილი მოხელები, რომლებიც სრულიად უანგაროდ და გატაცებით ემსახურებოდნენ ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მათგანს საკუთარი თეატრალური განათლება არა ჰქონდა მიღებული, ზოგიერთი მაინც იღწევდა პროფესიულ ისტატის დონეს. მათი შედგოვი აუდიტორია — ქალაქის დაბალი ფენები ხომ იტაცებულნი მათურებლად იყვნენ. შ. გომელაური, რომელიც რამდენიმე წელი ტრიალებდა მათთან და ბევრი სამასუხისმგებლო როლიც შეასრულა, მოკლედ, მაგრამ სიყვარულით გვიხატავს თვით თვლი მათგანის სილუეტებს, მათ საქმიანობასა და როლებს. ეს კი მეტად საჭირო და სასარგებლო მასალაა ქართული თეატრის მომავალი ისტორიკოსებისათვის. თუ მავო საფაროვა, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი ქართული სცენის ბუმბერაზები იყვნენ, არც ისინი უნდა დავივიწყოთ, რომელთაც უსმაროდ, მაგრამ თავადღებით გარკვეული წელი შეიტარეს ჩვენს ქვეყნის თეატრალური ეტრტრის განვითარებაში. ამ მხრე მისასალმებელია შ. გომელაურის ინიციატივა.

1909 წელს ქართული თეატრის დიდმა მოამაგემ ვალერიან გენიამ ნიჭიერი სცენისმოყვარე შ. გომელაური პროფესიულ დასში მიიწვია, მაგრამ, როგორც ავტორი ილნიშნავს: „სამწუხაროდ, დიდხანს არ გასტანა ამ ჩემმა ბედნიერებამ და სიხარულმა“ — 1910 წლის თებერვალში რევოლუციური საქმიანობისათვის 22 წლის კაბუკი მეტრის ციხეში ჩასვეს.

მესამე თავი „სამატერიაში“ მოაღწინილი მეტრების საყვარობილში გატარებული წლებიხადში, დეტალურად მოგვითხრობს ავტორი რევოლუციამდელ ციხეში გამეფებულ სასტიკ რეჟიმზე, ზედამხედველებს აღვირახსნილობასა და რევიდივისტების თავაშეებულ-

ბაზე, შვარამ, იგონებს ავტორი, საბედნიეროდ ჩვენს საიანში თანდათანობით გვემატებოდნენ უფრო შეგნებულო, პოლტიკურად მომზადებული პაროვნებები, მათ შორის ცნობილი მწერალი უოფილი დეპუტატი ჯოლა ლომთათიძე, გიორგი ლახიშვილი, ივანე გომართელი, გერონტი ქიქოძე და მრავალი სხვა. ზმირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები და გასამართლება გმირისა პესენიდან და ლიტერატურული ნაწარმოებიდან.

მოგონებების ამ ნაწილიდან განსაკუთრებით საინტერესოა სტრატეგები, რომლებიც ეხება ჭ. ლომთათიძეს. აქ ნათლად ჩანს შესანიშნავი ბელტრისტის კუთხისმობილტა ბუნება და პატარების უღრმე პატრიისცემა და სიუჟეტური მისაღმი, შ. გომელაურის ეს მცირე მოგონება კოლაზე ახალ მასალას იძლევა მწერლის ბიოგრაფიისათვის.

საპატრიოტო განსიყვარულსათვის შ. გომელაური ისევ პაროვნულ თეატრს დაუბრუნდა. აქედან უკვე იწყება მისი ინტენსიური მუშაობა სცენაზე.

მოგონებების შემდეგი თავი ეხება სწორედ ამ პერიოდს, 1928 წლამდე. ავტორი მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იმდროინდელ სპექტაკლებზე, მსახიობებსა და თეატრალური მოვლენებზე. გარდა დედამაქაქისა, შ. გომელაურის ამ პერიოდში უმუშავედა ჭუთისში, ბათუმში და საქართველოს სხვა დამაქაქაქებში საგასტროლოდ უმოგზაურნადა პატრიისცემითა და სიუჟეტული იგონებს ავტორი თავის მაშინდელ პარტნიორებს და გულთბილად ახასიათებს მათ. მსუბუქი იუმორი იხსენიებს ავტორი სცენაზე არც თუ ისე აშკარად მომხდარ კერპობებს.

მემორების მეხუთე და უკანასკნელ თავს ეწოდება „დიდ რევისორთან“. რასაკვირველია, ეგულისხმება სცენის ჯადოქარი კოტე მარჯანიშვილი. ავტორი გულახდილად ამბობს: „შეიძლება მკითხველმა მისაყუდდეს რატომ არ ვეხები მარჯანიშვილს მეოთხედს, როგორც რევისორსას. მე ხომ მის სიყვდილამდე ამ თეატრში ვმუშაობდი და ბევრი საბასუბისმებლო რილი მქონდა დაკისრებული. მაგრამ ეს არ ძალმოძს. მემორისტს ეს არც მოეთხოვება. მსახიობთაგან თეორეტიკოსები ჩვენ ძლავრ ცოტანი გვეყინან, შეიძლება ითქვას — არც გვეყინან“. ავტორს მოჰყავს შემდეგ უშ. ჩხეიძის წიგნიდან ვრცელი ამონაწერი მარჯანიშვილის რევისორული მეოთხედის გასახსენლად. მართლაც ჯერჯერობით მსახიობთაგან შლოდ უშაგვიძე, ქართული თეატრის ამ უბაღლო ოსტატმა შესწლო დიდი რევისორის მეოთხედის ანალიზი.

რამდენიმე გვერდია წიგნი დათმობილი მარჯანიშვილის თეატრის ტრეპმედალურ

გასტროლებს უკრაინისა და მოსკოვში, იქვე მოჰყავს ავტორს ციტატები რუსეთისა და უკრაინის პრესიდან, რომლებიც შლოდ შეუფასებას აძლევენ თეატრსა და სპექტაკლებს, რევისორსა და მსახიობებს.

ჩემი სასცენო მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე ბევრი ქარგი რილი განმისახიერებდა, დამარცხებაც მიგემინა და გამარჯვებაც, — სწერს შ. გომელაური — გამაყობ რომ ქართულ სცენაზე ერთ-ერთ პირველს მშვედა ბედნიერება დიდი ლენინის სახე განმსახიერებინა შალვა დადიანის პიესაში „ნაპერწყლიდან“.

მოგონებებს დართული აქვს ძველი ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწეთა პატარა პორტრეტები. თავმდაბლად და სწორად შენიშნავს ავტორი: „რასაკვირველია, ეს პორტრეტები არ არის სრული, ბევრი მათგანი გამომჩნა, მაგრამ მეპატიება. შე არა ვარ ისტორიკოსი, არც მყელეკარი თუ თეატრცილოდ. თუ ქალამ მოვიდე ბელი, ეს მხოლოდ იმპორტ, რომ აღმენიშნა ამ ადამიანთა ღვაწლი, რომელთა შემოქმედებაც იყო ჩემი სკოლა, ჩემი სტუდია და ინსტიტუტი“.

თავის პორტრეტებში შ. გომელაური არ იძლევა ამა თუ იმ აქტიორის დასრულებულ შემოქმედებით სახეს, იფარგლება მხოლოდ მცირე შტრიხებით, საყუთარი დაკვირვებითა და მოგონებით, მაგრამ მაინც საყურადღებოა მკითხველისათვისაც და ქართული თეატრის ისტორიკოსისათვის. განსაკუთრებით ხაზს უსვამს და აფასებს ავტორი მსახიობების ადამიანურ თვისებებს, მათი ცხოვრების შემდარებით უცნობ პერიოდებს.

შკაულდ, ლაონერად იგონებს შ. გომელაური ქართული სცენის უქრობ ვარსკვლავებს: ეასო აბაშიძეს, მაკო საფაროვ-აბაშიძისას, ნატო გაბუნის, კოტე ყიფიანს, ლალო მესხიშვილს... ამ უკანასკნელის შესახებ მას მოჰყავს საგულსმში ფაქტი: ქართული კლუბში მოწყობილი საქველშემქმლო საღამო, რომელსაც ღიღამოი ხალხი დასწრებია, „განსაკუთრებით ბევრი იყო მოხდენილი, ლამაზი, საუკეთესოდ გამოწყობილი ახალგაზრდობა, რადგან ამ საღამოს უნდა გაცემულყო სილამაზის ჯილდო“. როცა ყიფია შესდგამია გადამწყვეტილების მიღებას, შემოსული ლალო — „ვის უნდა ერგოს ჯილდო, თუ არა ამ ელასიკური სილამაზის მქონე ლალოსი“. ყიფიის მართლაც მისთვის მთუეთუგებია ჯილდო.

გულთბილად იხსენიებს ავტორი ქართული თეატრის სახელგანთქმულ მოღვაწეებს: კოტე მესხს, ვალერიან გუნისს, ვალერიან შალიაშვილს, ვიქტორ გამყრულიძეს, სვიმონ სვიმონიძეს, ალექსანდრე იმედა-

შეილს, დათა მგალობლიშვილს. განსაკუთრებული სიყვარულით მოუხაზავს ავტორს ორი ჩუხი თანამედროვე დიდი აქტიორების, მისი უმცროსი მეგობრების უშანგი წყიძისა და შალვა ლაშბაიძის სილუეტები.

თავის მოგონებებში შ. გომელაური ერთ იდგლას აღნიშნავს, რომ „როგორღაც ძნელი აღამინაშა თავის შემოქმედებაზე ილაპარაკოსო“, ჩუხი აზრით, შ. გომელაური თავის მოგონებებში თავმდაბლობას იჩენს, საკუთარ

თავზე თითქმის არც ერთი სიტყვა გარდა შშრალი ფაქტებისა, სამსგეროდ ის ძალიან ბევრსა და ილტაცებით ლაპარაკობს თავის პარტნიორებზე.

შ. გომელაურის „მოგონებანი“ იკითხება შეუენლებელი ინტერესით, დაწერილია კარგი ქართული ენით, მაგრამ შეინშენის სახით უნდა ითქვას, რომ უკეთესი იქნებოდა რედაქტორის შვტი ემუშავა სტილისტური დახვეწისათვის.

ალ. სანადირაძე

მოსე გვასალიას მოთხრობები



რეალისტური ხელოვნების ჰუმანისტური ტრადიცია შეერყეულად ცოცხლობს საბჭოთა მწერლობაში, რომლისთვისაც არ არსებობს უფრო დიდი მოწოდება, ვიდრე ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი, მშრომელი მასების აღზრდა მაღალი იდეალებს სულისკვეთებით, თავისუფალი და ღამაში ცხოვრებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

აღამინისადმი თბილი გრძნობით, მის ბედსა და ცხოვრებაზე მზრუნველი ფიქრით გამოირჩევა მოსე გვასალიას მოთხრობებიც. მწერალი სიყვარულით ხატავს მშობელი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების პატარა სურათებს და ნამდვილ აღამინურ კეთილშობილებასა და მოჭალაქობრივ გრძნობებს უღიძობს მკითხველს. ასეთია, მაგალითად, მისი „ივის შაცენ“. ჰიტლერულ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ბევრი ქართული ვაჟაყვის სახსლი დაიღვრა. ბევრი ქართველი დედა აყენეს და მამინ, ბევრი ახალგაზრდა ქალის გული დაილია მძიმე დარღისა და ნაღველისაგან, ბევრ ბავშვს დაკლდა მამის მზრუნველი ხელი და იღერსი. ყველა მწეველ განიტიდა ამ დანაკლისს, მაგრამ თავისებურად მწეველ იყო იგი მათთვის, ვინც გამარჯვებული დაუბრუნდა მშობელ ქვეყნას, ოჯახს, მეზობლებს. ომგადაბედლებს გამარჯვების სიხარულით ერთად თან მოაკვებოდათ მძიმე დარღიცი, თითქმის სინდისის ქენჯნაც, რომ ვერ დაიციებს მეგობრების სიცოცხლე. რა უთბრან მოლოდინში გულგაღებულ დედებს, ცოლებს, შვილებს, რა ფეხით მივიდნენ ოჯახში, როგორ ეჩვენონ, რით ანუგეშონ?

ეს ცხოვრებისეული ამბავი უღვეს საფუძვლად შ. გვასალიას მოთხრობას. სამშობლოში დაბრუნებული ომგადაბედი დაღუპული ფრიტელი მეგობრის ოჯახში მიღის და რაც უფრო უახლოვდება სოფელს, მით უფრო ამირჩილებს მას მძიმე ფიქრები. ოთხი წელი

ერთად გაატარეს, ერთმანეთის გვერდით ეძინათ, მწერიც ერთად იღგნენ, ამათს შვებზე იყოფდნენ.

— ექა

ეკი ბეობა და გშმაკი იცინოდო. გადაწყვეტილი ჰქონდათ, ამის შემდეგ ერთად დასახლებულიყვნენ. ხროყ მთიდან ბარში უნდა ჩამოსულყო, მერაბის მეზობლად დაეგოფდეთ, ახლა ეკი... ახლა იგი „დაობლებულ ოჯახს სტუმრად ეი არ ეწვევა, როგორც დათქმული ჰქონდათ, ვეის შაცენდ მიღის, ამრეზალი, გულამდრეული. მრავალი სიცოცხლის გაქრობის მოწმეს არაფერი ისე არ შზარავდა, როგორც შეცხადება. მოვა, შეიკხადებენ. მოთელი სოფელი მოიყრის თავს; ექა“

ჯირისკაცის წუხილი კიდევ უფრო ძლიერდება, როცა იგი მეგობრის ოჯახში მივა. აქ ყველაფერს ოშში დაღუპულის სული უღგას, ოჯახში ყველაფერი მასით სუნთქავს. ერთგულ მებღლეს სახლი და კარმიდამო ისე მოუწყვია, როგორც ოშში წასული ქმარი აპირებდა და ახლა შხოლოდ მისი ჩამოსვლის იმედით ცოცხლობს; პატარა გოგონაც ყოველდღე მამის ჩამოსვლას ელოდება. „სტუმარი ბავეს ღვიწხის დააკარებდა და თითქმის ქიქა ბელიდან უვარდებოდა. მოტეხილ ლუქმას საინზე იეიწეებდა. გულში გაუნღებელი ცეცხლი უტრიალებდა. ამა, რა ეთქვა, რით დაეწყო? როგორ აფეორიაქმინა ეს მშეიღი ოჯახი? როგორ ეფუქრო მშინდა ოცნება და ხვალინდელი ღღის იმედი? ნაღველისა და ტიცილებისაგან გაწამებულმა ველარ გიბედა შეშზარავი საიდუმლოს გამშელა, სამაგიეროდ მეგობრისადმი ერთგულება და აღამინური სინდისი მას დაობლებული ოჯახისადმი ვალდებულებს გრძნობას კარახობს და უყოყმანოდ გადაწყვეტს: ცოლ-შვილი ჩამოიყვანოს, აქვე მეზობლად დაესახლოს და ვაჟაყვის ხელო გაუწოდოს მეგობრის ოჯახს. ასე დაუბრუნდა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მეგრძო-

ლის „ქერვის ომის ქართველიდან საშველო შიშ... ხოლო ობოლ-ერთგული მამობილი“.

მწერალი არასდ არ ასხენებს თავისი მოთხრობის გმირის სახელსა და გვარს და ამით თითქოს გვაგონობინებს, რომ ეს „უცხოში ჯარისკაცი“ ერთი იმ მრავალთაგანია, რომელთაც მთელ მსოფლიოს დაანახეს საბჭოთა აღმშენებლის მალაღობი სული, დიდებულები, მთავრებისადმი თავდებებული სიყვარული.

მწერალი თითქმის არ ერევა თხრობაში, თითქოს ერიდება თავისი მოთხრობების გმირებსა და მკითხველს შორის უშუალო ურთიერთობის დარღვევას, მკითხველისათვის საკუთარი აზრისა თუ გრძნობის მოხვედრას. მაგრამ ეს ამას როდი ნიშნავს, რომ იგი გულგრილი აღმწერელი იყოს. ასეთი „ობიექტიუზმი“ უცხოა მისთვის. შ. გვასალია ცხოვრებას გრძნობით იხსრებს, გულის ხმით გვესაუბრება აღმშენებელ და ისეთ ფერებს და დეტალებს არჩევს, ისეთ პროპორციებს ამჯავებს ფაქტებსა და მოვლენებს შორის, აღმშენებლის ხასიათებისა და ცხოვრების ისეთ მხარეებზე უკეთესს აქცევს, რომ მკითხველს აჩენს მოთხრობის იდეურ ჩანაფერს და გარკვეული გვაგრძნობინებს ავტორის მოქალაქეობრივ პოზიციას.

შ. გვასალიას მწერლის ბუნება ვერ იფუტებს თეატრალურ პათოსს, შეშლადებულ ინტონაციებს. იგი მიწორული ხმის მწერალია და აღერსიანი სიტუბო, სინაზე ახასიათებს გრძნობათა გამობატრავში. აღმშენებელსა და ცხოვრებას იგი საკუთარი თვალით უყურებს. მართალია, ის თვალის არწივისებრად ყოვლისმხილველი არ არის, მაგრამ სადამდეც წვდება, იმ არეში იმდენად გამჭირავსი და დაკვირვებულა, რომ იოლად აღიჭებს მკითხველის ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს. აი მინაბტრა „აკაცია“. ჩვეულებრივი სურათთა: გახიფხობლზე პირველად აღტანა იწყებს უაღიფხობლზე, შემდეგ ტყეში, ატამი, ილუბალი და ა. შ. სულ ბოლოს კი, უკვე მისის თვეში, აკაციაც გამოჩენს ყვავილებს. მართალია, იგი დამატარებელ სურნელს ღერის არგელიც, მაგრამ თუ სხვა ხეებს ნაყოფთ დამუშობლდებო ტრეპში, აკაციას გამოუსადეგარი პარკუჭებიდა შერჩება მხოლოდ. ბუნების სიციცხლის ეს ჩვეულებრივი სურათი მწერალმა პოეტურად გაიხარა და მოგვცა გაბედულეების, სიმამაის, ბრძოლის სილამაზის პატარა პოემა.

მწერალის აღმშენების სტლიერ სიჯანსაღეს გეიხენებს მწერალი მოთხრობაში „ქლისპირა“. ეს მოთხრობა ფაქიზი ხალხური „ქმობით გამოიჩინება. ავტორი თითქოს თავშესაქცევ ამხავს გვიყვება მხოლოდ, მაგრამ მასი თხრობა მდიდარია ქვეტექსტით და მკითხველი მოხიბლული რჩება ამ კეთილმეგობარი და ხალხიანი

კომპერსე ბიჭებო, მათი ზნეობრივი სისპეტაკით, კლემპოსილებით, ქალისადმე... ცეცხლიერი სიყვარულითა და... გულისმწერებო. ასეთი აღმშენებისა ნამდვილად გვერა, გვერა, რომ ისინი თავს არ შეირცხვენ, ნაშუსია და აკიობის ქუღს არ დაჯარგავენ, შრომითა და მოქალაქეობით ასახელებენ ხალხს და ქვეყანას.

საგულისხმო და აქტუალურ თემის ეტება მოთხრობა „არჩევნების ბილიცე“. ავტორი ხატავს სტუდენტ ახალგაზრდობის შრომისა და ცხოვრების საყურადღებო სურათს. მოქმედების ფონია ერთი საკურორტო გზის მშენებლობა, სადაც ეს ახალგაზრდები პრაქტიკაზე არიან გაგზავნილი თბილისიდან. მოთხრობის მთავარმა გმირმა, თბილისში გაზრდილმა სტუდენტმა გოგონამ, შრომისმოყვარე და კეთილშეგობარმა ბერი სიმეარე გამოსცადა, ვიდრე მეგობრებისა და უფროსი ამხანაგების გულისხმიერი აღმარებით ნამდვილი ცხოვრებისა და სიყვარულის ნათელ გზაზე გამოვიდოდა. ავტორი არ იოლდებს თავისი გმირის წინაშე წამოჭრილ დაბრკოლებებს, ერთი ხელის დაკვირთ არ კერნაენ მას „უებარა“ შრომისტური ჩაგონება. პირიქით, საგანგებოდ უსჯავს ხაზს, რომ ახალგაზრდას გულში გაღვივებული გრძნობის დაძლევა, გულის ხმის დამორჩილება სალი გონებისათვის, ცხოვრებაში სწორი ორიენტირის მიკვლევა არც თუ ასე იოლად ვძლევა აღმშენებს.

მოთხრობის გმირის ქვედა და ხასიათი დეკლარირებული კი არ არის, ნაჩვენებია მხატვრული ფერადოვნებით. შ. გვასალია ცდილობს ჩახედოს აღმშენების სულში, მისი მოქმედებისა და ქვევის შინაგან იმპულსებს ჩაიწვდეს და ფსიქოლოგიურად ახსნას. მწერალი მომეტებული სიტუბილით მიმართავს გმირის აღწერათი დახასიათებას, სამაგიეროდ მერ სარბიელს ქმნის, რათა მოქმედებით, აღმშენებთან ურთიერთობით, ფიქრებისა და გრძნობების გაჭიდებებით თავთ გამობატონ საკუთარი ხასიათი და პიროვნება.

შ. გვასალიას მოთხრობების ენას ხალხური უნაბრლოება ახასიათებს და, შეიძლება ასე ითქვას, შინაგანი ბუნებრივი ხატოვანება გაჩნდა, რომელიც აღარ სპირიებს ზედმეტ სამკაულებს. მწერალი ცდილობს, რომ ფრაზა ელასტიური და შინაარსიანი იყოს, ხოლო მხატვრული სახე — ნაწარმოების სტილისა და სურათი განწყობილებებისათვის ბუნებრივი. აი, მაგალითად, სოფელი ბიჭუნა ასე აღწერს თიფის სროლას: „წუთით ცა განათდა, შემდეგ რაღაცამ წაბრებულად დაიკრებუნა როგორც ზაფხულს წვიმა ერთხაშად დაასხმს სახრებზე, ყვარს ახმშინებს და გადაიკლეს, სწორედ ასე მწყნარდა ცოტა ხანში თიფისა“.

ურისწამლები დაგადევი" („აბრაგი“); ხოლო სოფლად გაზაფხულის მოსვლის სურათს ასე გეხატავს მწერალი: „თბილმა ნივთმა ისე დაუბერა, თითქოს ორღობეში ფეხშიშველა ვოგონამ აბრეშუმის კაბის შრიალთ ჩამოიბრინაო“ („აკაცია“).

მ. გვასალიას რამდენიმე მოთხრობა ახლო წარსულის მოვლენებზეა დაწერილი: „აბრაგი“ შენშევიკური მთაერთობის მოხელეთა აცაკობისა და სულეერი გაბრწილების მკაფიო სურათია; „ჯარისკაცი“ შენშევიკთა დემაგოგურად პროპაგანდით თვალახვეული მშრომელი აღმომადის გამოფხიზლებასა და თავისუფლე-

ბისათვის ხალხის თავგანწირულ პრძოლას ასახავს, ხოლო „მეჯოგე“ — დაბოროტებული კულაკობის ვერაგობას. თემატრად სინტაქსოა, აგრეთვე, „ნაჯიბურალი“. ამ მოთხრობაში იტორი გვაცნობს ახალგაზრდა ქართველ ინჟინერს, რომელიც თავდადებით შრომობს, რათა რკინიგზა გაიყვანოს შორეული ჩრდილოეთის ტაიგაში.

მოსე გვასალია ცდილობს თავისი შემოქმედებით მოკრძალებული წველილი შეიტანოს ხალხის სულეერი აღზრდისა და ახალი ცხოვრების შენების საქმეში.

მ. სულაბერიძე

ახალი წიგნები



- ლ. ტოდსტრი — ანა კარენინა, წიგნი II, თარგმ. თ. საყვარელიძის და ლ. ტიტ-
ვინიძის. რედ. ნ. აგიაშვილი. გვ. 580, ფასი 9 მან.
- ნიკო ლორთქიფანიძე — თხზულებათა სრული კრებული. ტომი I. რედ. დიმიტრი ბენაშვილი,
დ. ვაშლიანი. გვ. 703, ფასი 25 მან.
- ი. გრიშაშვილი — რჩეული. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 583, ფასი 11 მანეთი.
- დემნა შენგელაია — თხზულებანი ორტომად. ტომი I, რედ. მარგო ბაკურაძე. გვ. 495, ფასი
13 მან.
- სანდრო შანშიაშვილი — რჩეული. რედაქტორი ბ. შირცხულავა, გვ. 319, ფასი 8 მან.
- ილი მოსაშვილი — რჩეული. ტომი I. რედ. რ. ბეგანიშვილი, გვ. 428, ფასი 10 მან. 80 კაბ.
- მ. შოლოხოვი — წყნარი დონი, წიგნი III. თარგმ. თ. ჯავახიშვილისა, რედ. როდ. ქორ-
ქია, გვ. 489, ფასი 8 მან.
- ი. ა. ვონჩაროვი — ზრამი, პირველი და მეორე ნაწილი თარგმნილია პ. წერეთელისა და
გ. დოლიძის მიერ, დანარჩენი სამი ნაწილი პ. წერეთელის მიერ. რედ.
ვ. ბაკურაძე, გვ. 697, ფასი 13 მან. 40 კაბ.
- ო. ბენონი — ნოელები. თარგმ. ნელი ლარიონასი და პორფირე იაშვილისა.
რედ. ლ. ელიოზიშვილი, გვ. 70, ფასი 1 მან.
- გიორგი ნადირაძე — რუსთაველის ესთეტიკა. რედ. თ. გოგოლაძე, გვ. 423, ფასი 10 მან.
- ალ. კალანდაძე — ივანე კერესელიძე, რედ. თ. გოგოლაძე, გვ. 291, ფასი 8 მან. 40 კაბ.
- ვახილ გვეტაძე — ქარაჯანი შიდის. ლექსები. რედ. ბ. შირცხულავა, გვ. 109, ფასი 1 მან. 65 კაბ.
- ამირან აბშილაძე — ფიქრები პირველ სიყვარულზე. რედ. ბ. შირცხულავა, გვ. 106, ფასი 3 მან.
70 კაბ.

საბლიტბაში

- მ. გორკი — ბავშვობა. თარგმ. მ. ლორთქიფანიძისა. რედ. ვ. ძიძიგური, გვ. 239,
ფასი 6 მან. 20 კაბ.
- გრიგოლ იმედაძე — საბავშვო ლექსები. რედ. ე. ვაბესკირია, გვ. 232, ფასი 5 მან. 20 კაბ.
- ირაკლი არაბული — ვარბენილი ბილიკები. რედ. ე. გვეტაძე, გვ. 75, ფასი 1 მან.
- აბეხალომ იმედაშვილი — საქართველოს კომკავშირის ძველი გვარდია. რედ. რ. ორჯონიძე,
გვ. 79, ფასი 1 მან.
- აგნია ბარტო — შენი დღესასწაული. რედ. ვ. ძიძიგური, გვ. 68, ფასი 1 მან. 30 კაბ.
- ვალერიან იმედაძე — იმ დღეების გახსენება. რედ. ნ. მახარაძე, გვ. 52, ფასი 80 კაბ.
- კ. პოლიაკოვა — ზღაპრები, თარგმ. მარგარიტა გვასალიასი. რედ. ქ. ნადირაძე,
გვ. 42, ფასი 2 მან. 20 კაბ.
- ოთარ ჰელიძე — ალბანა და ჩალხანა. რედაქ. ირაკლი აბაშიძე. გვ. 62, ფასი 1 მან. 80 კაბ.
- ტ. გრიცი — ერმაკი. რედ. ი. ტყეშელაშვილი, გვ. 76, ფასი 2 მან. 50 კაბ.
- ჯონ სტეინბეკი — მარგალიტი. თარგმ. ანა რატიანისა. რედ. ვ. ჰელიძე. გვ. 90, ფასი
2 მან. 20 კაბ.

12

3260 8 8.

6-02/103



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»